


# ԳԻՆԵՄ

4

1968





# ტესტი

131


გამოცემის მეთორმეტი წელი

4

აკრილი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მეცნიერული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# შინაარსი

## კოეზი და კოეზა

- 3. მურმან ლეზანიძე. ლექსები.
- 13. რეპე ნინიოვილი. საღამო ხანის ჩანაწერები.  
მოთხრობები.
- 32. ვახტანგ ჯავახიძე. ლექსები.
- 35. ანდროს აბულაშვილი. ციკლიდან: აბასთუმანი,  
გუე და თოვლი. ლექსები.
- 38. მურმან ქოივა. ზღვა მავშელის თვალით. მოთხ-  
რობა.
- 97. გენო კალანდია. ლექსები.
- 98. სულიკო დიასამიძე. საშობლოვ, გვმინის მხის-  
ფერი ფარჩა. ლექსი.

## უცხოური ნოველა

- 99. ირვინ უოუ. ფრანგულ ქაილაზე. თარგმნა ნუგზარ  
რუხაძემ.

## ჩვენი აღამიანები

- 108. თანგი ლეკვიშვილი. სიცოცხლის მტვენი.  
1868-1968

- 112. გივი გვენათაძე. ქართული მოტივები მასნი გორ-  
კის რევილუციამდე ლიტერატურულ მიმკვიდ-  
რეობაში.

## პრინტი და კუპლიცისტიკა

- 120. უოთა რევიშვილი. ლენინის სახე ბერმანულ ლი-  
ტერატურაში.
- 124. არლი თაქიშვილი. ენა ქველი, ენა ახალი.
- 151. დალი კოკია-ფანჯიკია. მონოგრაფია თოვას  
მანის აღრულ შემოქმედებაზე.
- 157. აღმესანდო პანანავი. რაკეტის წინამორბედი?

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
 გურამ ასათიანი,  
 აბატი ზაქარაძე,  
 გივი ვეგვიკორი,  
 გურამ გვირგვინი,  
 მერაბ ელიოვიშვილი,  
 პარლან კალაძე,  
 კონსტანტინე  
 ლორთქიფანიძე,  
 ოტინა პაპკორია  
 (პახუხიშვიტი მდივანი),  
 ნუგზარ წერეთელი,  
 ნოდარ წულუკიანი,  
 ტარიელ ზანტუაძე,  
 სერგი ზილანი,  
 თამაზ ზილანი,  
 ლეზა ჯანაშვილი.

## კუბლიზისტური პოემა

მავზოლეუმის  
თაღქვეშ სუფევს დუმილი დიდი,  
მავზოლეუმში  
ერთადერთი წევს ბუმბერაზი,  
მავზოლეუმის  
წინ წითელი მოედანია  
და ტრიბუნებზეც  
უხვად დგანან ხალხის რჩეულნი...  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად და უზრუნველად!

ვევბერთელა  
სახელმწიფო შორს გაშლილია,  
შენ შენი ხალხით  
თანასწორი წევრი ხარ მისი.  
იხარე, გულო,  
გააქვს პრიალი ნამგალს და უროს!  
იხარე, სულო,  
რაკეტები დაჰქრიან ცაში...  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად და უზრუნველად!

თეთრი ევროპა  
გაყოფილი ბუზღუნებს ორად,  
შავმა აფრიკამ  
დადგა დრო და ასწია თავი,  
ყვითელ აზიას  
ეფინება წითელი ფერი  
და ყველაფერი  
საცა არის იალღებს წითლად!  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად და უზრუნველად!

შენ დაიბადე,  
შენ დაიბადე საოცარ დროში,  
როცა, როგორც თქვა  
დიდმა პაპამ, გალაკტიონმა,

„ეჯახებიან  
პლანეტები ერთიმეორეს!“  
მაგრამ მთვარეზე  
დიდი რუსეთის ვიმპელი ბრწყინავს...  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად და უზრუნველად!

იმღერე, ჩანგო,  
იწკრიალე და ისრიალე:  
კუბა და კონგო  
ლამის ერთ დღეს განუდგა შტატებს,  
წვერმთშეგებული  
ფიდელ კასტრო მასებში დადის,  
ინგლისის ფლოტი  
ბაჟით გადის მეწამულ ზღვაში...  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად და უზრუნველად!

### 2

რა დააწყნარებს  
მსოფლიო ქარებს!  
რა დაამშვიდებს  
მსოფლიო ღელვებს!  
დაუდგრომელი,  
დაუცხრომელი,  
გაუძღომელი  
ტალღები გრგვინავს —  
მესმის ბუზღუნი  
მსოფლიო ხმების!

მოჭქრის ევროპა —  
თეთრი ფაშატი —  
გაუხედნელი,  
მკვირცხლი და ფიცხი,  
ასიათასი  
იღვით მაკე...

მოაქანავენს  
აზია ხორთუმს,  
მოიზლაზნება  
აზია — სპილო,  
ისიც კოსმიურ  
ეტლში შებმულა...

წაურთმევია  
მხედრისთვის თავი,  
დაუღეჭია  
ლაგამი რკინის,  
მოხტის აფრიკა —  
ყვითელი ზებრა...

რა დააწყენარებს  
მსოფლიო ქარებს!  
რა დაამშვიდებს  
მსოფლიო ღელევებს!  
დაუდგრომელი,  
დაუცხრომელი,  
გაუძლომელი  
ტალღები გრგვინავს,  
მესმის ბუზღუნი  
მსოფლიო ხმების!

3

უპირველესად  
შენთვის, ჩემო სამშობლო მხარევ,  
მაინტერესებს  
მე ბუზღუნი დღევანდელ დღეთა,  
მაინტერესებს,  
თუ რარიგად ივლიან დრონი,  
მაინტერესებს,  
თუ რავგარად დაჰბერენ ქარნი...  
უპირველესად  
შენთვის, ჩემო სამშობლო მხარევ!

დიდ გზაზე დგახარ,  
საქართველოვ, ჩემო ქვეყანავ:  
ვერ გაექცევი,  
მშობლიურო, მსოფლიო ქარებს,  
ვერ გაექცევი,  
საყვარელო, მსოფლიო ღელევებს,  
გინდა თუ არა,  
ქარიშხლებში შენ ხარ ჩაბმული —  
დიდ გზაზე დგახარ,  
საქართველოვ, ჩემო ქვეყანავ!

აბრუნებს კორდს —  
სავენახედ ქართველი გლეხი,  
ჩაჰყურებს ბრძმედს —  
სამამულედ ქართველი მუშა.  
აპურებს მტრედს —  
სამშვიდობოდ ქართველი დედა, —  
შედგება წუთით  
წარბშვერული სამივე ერთად  
და ყურს მიუგდებს  
მსოფლიო ქარებს!

ოცი წელია,  
სამშვიდობო გრიალებს ომი,  
ოცი წელია,  
ხნულში დგახარ ხმლითა და გუთნით,  
გასივდა ტვინი,  
მშობლიურო, ამდენი ფიქრით,  
გასივდა გული,  
საყვარელო, ამდენი ზრუნვით —  
ოცი წელია,  
სამშვიდობო  
გრიალებს ომი!

რა დააწყენარებს  
მსოფლიო ქარებს!  
რა დაამშვიდებს  
მსოფლიო ღელევებს!  
დაუდგრომელი,  
დაუცხრომელი,  
გაუძლომელი  
ტალღები გრგვინავს,  
მესმის ბუზღუნი  
მსოფლიო ხმების!

\*

მაგზოლეუმის  
თაღქვეშ სუფევს დუმილი დიდი,  
მაგზოლეუმში  
ერთადერთი წევს ბუმბერაზი,  
მაგზოლეუმის  
წინ წითელი მოედანია  
და ტრიბუნებზეც  
უხვად დგანან ხალხის რჩეულნი —  
იმღერე, ჩანგო,  
უდარდელად  
და უზრუნველად!

# მ ა ხ ს ო ვ ს !..

სოსო იორამაშვილის ხსოვნას

ეს ერთი სიტყვა უნდა ავიხირო —  
მახსოვს!  
შენი დათვისისხლა შავი ღვინო —  
მახსოვს!  
შენგან მოძღვნილი არყის ბოცო —  
მახსოვს!  
შენგან მოწვედილი ტახის ხორცი —  
მახსოვს!  
იორ-მუღანლოში სადილობა —  
მახსოვს!  
შენ რომ შემაყვარე ნადირობა —  
მახსოვს!  
შენ რომ ლელიანის კატა მაპოვინე —  
მახსოვს!  
შენ არ ესროლე და მე რომ მასროლინე —  
მახსოვს!  
მე რომ პირველი ხობით გავიხარე —  
მახსოვს!  
შენ რომ დაიხარე და აიყვანე —  
მახსოვს!  
ივრის ჭაღები აქოჩრილი —  
მახსოვს!  
ეგ მხრები ბრეშენტით გაკოჭილი —  
მახსოვს!

მზისგან დამწვარი გორმასები —  
მახსოვს!  
შენი თათარი ყონალები —  
მახსოვს!  
ბოლო ხანებში გვედლებოდი —  
მახსოვს!  
მახსოვს ხელიდან გვეცლებოდი —  
მახსოვს!  
„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო“, —  
მახსოვს!  
„პაუ, რანაირად თენდებაო!“ —  
მახსოვს!  
ლექსებს მიკითხავდი კოცონთან —  
მახსოვს!  
ეს ოთხი სტრიქონი მოგწონდა —  
მახსოვს —  
მახსოვს,  
ყველაფერი მახსოვს!

„გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი,  
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.  
გარეულ ჭაღებში ტრიალებს ქათამი,  
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი“...

გალაკტიონი მობრძანდა,  
უცნობ პოეტებს შესცინა.  
მაჩაბლის ქუჩით მობრძანდა  
და ახლა ბაღში მოჩანდა  
წვერმოშვებული ჭეჯილად.

მოვლილი ჰქონდა ზღვისპირი,  
წელს ზღვისას წერდა მეტწილად,  
ხელთ თვისი უნაბისფერი  
მეხუთე ტომი ეჭირა.

მეხუთე ტომი ეჭირა,  
რომელსაც წლები შესწირა,

რომელიც ტიტანიური  
ტანჯვით სამშობლოს შესძინა.

სასახლის ბაღში მჯდომარემ  
ერთ ხანს სათვალე ამშრალა,  
მერე ის შუქთამთოვარე  
სამეფო წიგნი გაშალა...

ნეტავი იმას რა მოჰკლავს,  
ნეტავი იმას რა უჭირს,  
„ჩემს პეტრეს, ანუ ივანეს!“ —  
ვისაც მაგ წიგნზე წაუწერს.



მესამე ლექსი წვიმასე ფიქრობს:  
ვარ გახირული მარუხის კლდეში,  
ჩხრიალებს წვიმა და კოცონს მიქრობს  
და ისარშება ღამეში ლეში.

ჩემთვის მომხდარა ვერმახტის წინსვლა,  
ჩემთვის ამტყდარა სოდომი ბრძოლის:  
დაბადებიდან ცხრამეტი წლის ვარ,  
მე უნდა ვჭამო ამაღამ მძორი.

ნაღმებით საგვს მოსხნეს საპალნე,  
ის ჩაიყვანეს კოდორზე გუშინ,

ყვავილების მდინარეს

კუბო ცისკენ მიჰქონდა:

იწვა გალაკტიონი

და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე

მთაწმინდისკენ დიოდა:

იწვა გალაკტიონი —

მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

აღბათ, შუბლიც სტკიოდა —

მაინც მეფურ იერით,

იწვა მეკრდბუმბერაზი,

ხნიერი და ძლიერი.

რადაც პათეტიური

მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:

იწვა, როგორც ყოველთვის,

ასლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა,

ეს მზე ოქროსკურვილი

იყო ეს ყველაფერი

მხოლოდ მისი სურვილით.

ღირეფორი თვით იყო!

რაც მოხდა და გათავდა

და რაც ასლა ხდებოდა —

მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს

რკინის კუბო მიჰქონდა,

იწვა გალაკტიონი,

სიფრცველზე ფიქრობდა.

უცბად შავმოვლებული

შეჩოჩქოლდნენ დროშები,

უცბად მამადავითის

ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

მჭლე და ართვალე წყალში გაბანეს  
და ცხელი ტყვია ჩაასხეს ყურში.

გერმანელები გადმოდგნენ თხემზე,  
თითის დაქნევით გასროლა დაჰგმეს.

უნდა გავტეხოთ ამაღამ ხემსი —  
უტრიბუნალოდ მოგვარდა საქმე —

მაგრამ წვიმს წვიმა და კოცონს მიქრობს,  
ვარ შემწყვედული მარუხის კლდეში...

ოცი წლის წინდელ წვიმასე ვფიქრობ  
და მაძლარი ვარ წითელი ლეშით.

კონსტანტინე-ბატონთან

ლეონიძეც იქ იდგა.

— რა ჰქნა? — უმისამართოდ

ჩიქოვანმა იკითხა.

— რა ჰქნა? — ასლა ირაკლიმ

თქვა და თავი დახარა.

იმ დღეს ავად მენიშნა

ეს ამდენი ჭადარა...

სდუმდნენ დიდოსტატები,

იდგნენ მხრების კანკალით,

დასწყებოდა მთაწმინდას

საუკუნის სამკალი.

წინ გვიძლოდა სიკვდილით

სიფრცველის მხილველი,

მიდიოდა ამაყი

და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდა-

ცხრამეტი წლის ტალახი,

იყო ფრთხილად გაჭრილი

წმიდა ძვალთშესალავი.

ალაგ სამარხ მიწაში

იყო მარტის ამინდით

ტალახში აწელილი

უძველესი კრამიტი.

რადაც პათეტიური

მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,

იწვა, როგორც ყოველთვის,

ასლაც არვის არ ჰგავდა...

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,

ვინც მშობლისთვის იღვწოდა,

მაგრამ ვისაც მარხავდა,

საქართველომ იცოდა!

ოთარ ჰელიძეს

გაზაფხულზე  
ყაყაჩო ყვავილია,  
თიბათვეში  
გასთიბვენ და — თივა.  
ყვავილობა,  
იცოდე, ჩავლილია —  
ოთარ,  
გული მტკივა.

გული მტკივა,  
მომაშველე რამე,  
შემასხენე  
საზიარო სიყრმე,  
მომატყუე,  
რომ შორსაა ღამე,  
ხალისიან  
საღებავებს მიხმე.

შენც გჭირდება,  
ძმაო, ჩემი ხელი,  
მეც მჭირდება,  
მომიფონო წყლული.  
ისევ შენ და  
ისევ შენი ცხელი,  
მტკივანი და  
ულალატო გული!

მე ვიგონებ  
ფიროსმანის ქუჩას,  
პირველ ლექსს და  
ცაში პირველ ფრენას,  
მზეგარეულ  
ღღებებს ერთი მუჭას  
და ცალთვალა  
შენს პაწია სენაკს.

გავლილია  
წუთისოფლის ბონდი,  
ავლილია  
მოქანავე კიბე —  
გისხაროდეს,  
ოქროს ზვრებში ცხონდი,  
აღმართ-აღმართ  
მწიფე ლექსი ჰკრიფე!

დაღმართ-დაღმართ  
ვეშურებით ახლა,  
ძირს მოვყვებით  
მზის ჩასვლისას ქუჩებს,  
და ერთ-ერთი,  
ვიცი, ასწევს მაღლა  
ყვავილებით  
დამძიმებულ ჭურჭელს.

ჯერ კი მაინც  
მზე დაგვლუსი ციდან,  
დაბადებით  
პირდაპირს და ჯიუტს  
თავდაღმართშიც  
გაგაგონო მინდა:  
„ტია-ტია,  
ტიუ-ტიუ-ტიუ“.

დაგეკარგო  
უნდა ორი კვირით,  
მოგიტანო  
მოძებნილი ხმები;  
მომაგებო  
საკოცნელი პირი,  
მოგიშვირო  
ჭლექიანი ყბები...

შეცდომებზე  
გვისწავლია, ოთარ,  
უშეცდომოდ  
არ გვივლია გზები,  
კი გვწყენია  
ერთმანეთის ცოტა —  
განეწმენდილვართ,  
დავრჩენილვართ ძმები.

გაზაფხულზე  
ყაყაჩო ყვავილია,  
თიბათვეში  
გასთიბვენ და — თივა.  
ყვავილობა,  
იცოდე, ჩავლილია —  
ოთარ,  
გული მტკივა.

საფიქრბელი ბევრია ახლა, —  
ისევ მოდიან შენთან ფიქრები.  
დაჯექ და წერე, შორს შენგან დაღლა,  
ისიც გეყოფა, რომ არ იქნები!

რომ არ იფიქრო, შენი ნებაა?  
თვალი მოავლე აწმყოს და წარსულს...  
სოფელში ახლა გასვენებაა —  
ხუთზე მარხავენ ოცი წლის ქალწულს.

ახლა ცოტაა გასახარელი,  
წაუკითხავენ დეპეშას ყველას.  
მინც რა ტურფა, რა საყვარელი  
სახელი ერქვა იმ საწყალს — ლელა!..

კურთხეულ იყოს ყოველი მგზავრი,  
რომელმაც უნდა განვლოს უღრანები...  
მე ექვს შაურად სამიძიარს ვგზავნი:  
„მონაწილე ვარ თქვენი მწუსარების“..

ძველი ქართული ანდაზა  
იტყვის: „სოფელი დიდია!“  
რამ გაადიდა, ანდა სად?  
სოფელს ბოქლომი ჰკიდია!  
რაჭა-ლეჩხუმი მშობელი  
გაცლილა, გათხელებულა,  
ტყეს გადუვლია სოფელი,  
სოფელი გატყვევებულა.  
ვზივარ ჭვარტილიან ბუხართან,  
სცრის ნოემბერი მტირალა.  
გამახსენდება წვიმაში  
ბაბუარემი ფირანა.  
სიტყვა იცოდა ჯიბრით,  
იტყოდა მხოლოდ მთავარზე:

„აქიდანა და ჭიბრეც  
თხა გევიდოდა ყავარზე!“  
სარკმელში მთათა გრებილი,  
ყავარზე წვიმა არ ცხრება,  
შებერებულა ხეხილი,  
მოლურჯო პური არ ცხვება,  
კახაბლებს აღარ ამყნობენ,  
აღარ თესენ და არ ხნავენ,  
ქორწილზე არას ამბობენ,  
მარხვით ჯერ კიდევ მარხავენ...  
მე უნდა გავსდე გოროში,  
არ წაივქცე და არ წავესდე —  
ლებანი ქედის ბოლოში  
გიჟივით მართლ დავსახლდე!

წარწერა რემარკის წიგნზე

დავხურავ წიგნს და  
ვიტყვი: „არა, არ არის გვიან!“  
დავხუჭავ თვალს და  
წარმოვიდგენ შენს რომანს ასე:  
საოცარ ფირმის  
მეგობრობა რომელსაც ჰქვია,  
მოქტრის მანქანა  
უღაბური ცხოვრების გზაზე.

კაცობრიობის  
თვალშეუდგამ კუპრისფერ ღამეს  
ის მოათუთრებს  
და მოარღვევს თოვლისფერ ნუშით;

პატარა „კარლს“  
წარბშეკრულნი უსხედან სამნი  
და დიდ დედოფლად  
პატრიცია ჰოლმანი უზით...

მანქანა იგი  
კვლავ იფრენს სტვენით,  
მანქანა იგი  
ათასწლეულებს გადაიარს!  
წაიკითხეთ და  
ალივსეთ რწმენით,  
დახურეთ წიგნი და  
ხელი მიეციეთ ადამიანს!

# მოსუცი კაცი

## საქართველოს ტყეებს უფრთხილდება

მცხოვან მეცნიერს ალექსანდრე კვალიაშვილს

1

მოსუცი კაცი

საქართველოს ტყეებს უფრთხილდება,  
ტყეს რომ ახსენებს,

უცნაურად თვალეზი უბრწყინდება,  
მონადირეებს,

მებადურებს, მინისტრებს უხირდება —

მოსუცი კაცი

საქართველოს ტყეებს უფრთხილდება:

„ახალგაზრდები

ნადირს კლავენ,

თევზს ხოცავენ,

ტყეებს ყიდიან,

ახალგაზრდები

ცხოვრობენ და

სხვა ცხოვრება

ფეხზე ჰკიდიათ!“

ტყეს რომ ახსენებს,

უცნაურად თვალეზი უდიდება —

მოსუცი კაცი

საქართველოს ტყეებს უფრთხილდება.

უკანასკნელი

მოჰიკანი თბილისში დადის,

მას გადარჩენა

მშობლიური ტყეების სწადის.

შეუწირია

ტყეებისთვის თვისი დღეები,

დაბერებულან

მასთან ერთად მისი ტყეები.

გვაფრთხილებს იგი,

აჩემებულ იდეით ცხოვრობს,

მას ეშინია,

რომ ხრიოკზე არ დავრჩეთ ბოლოს.

შვილთაშვილისთვის  
გადარჩენა ტყეების სწადის,  
უკანასკნელი  
მოჭაკანი თბილისში დადის.

ჩივის, ამტკიცებს,  
იმუქრება მრისხანე არზით,  
ჯდება და წიგნს წერს,  
რომ საშველი არა ჩანს არსით!

ოთხი ფიცარი  
მისა, იცის, ჩანახშირდება,  
თვითონ მას აწი  
ეს ტყეები აღარ სჭირდება.

და მაინც,  
დღეებს უკანასკნელს ტყისათვის ხარჯავს,  
თუ მოგიხელთა,  
მოგამტვრევს მაჯას.

ტყეს რომ ასხენებს,  
უცნაურად თვალები უდიდდება,  
მოხუცი კაცო  
საქართველოს ტყეებს უფრთხილდება.

## 2

ჩემს მაგიდაზე შენი წიგნია,  
თვალწინ იელვა მეტყვევის ქოხმა,  
ჩემო მოხუცო, ეს რა გიქნია —  
დაგისტამბია ტყეების ბოღმა!

მე შემოვდივარ შენს ტყეში ფრთხილად,  
შენ ქოხის კართან თავსხმაში მხედები,  
ჩვენ ვართ შეთქმული, მიმიღებ შეილად  
და ჩვენ ჩაღველფილ კოცონთან ვსხდებოთ.

გადასარჩენი ტყე გარეთ გვიცდის,  
შენი ფიქრების მე ვარ ერთგული,  
ხვალინდელ დღისთვის, ხვალინდელ დღისთვის  
შენთან და ტყესთან მე ვარ შეთქმული.

მეც, მეც ჩაგებერავ ჩაღველფილ კოცონს,  
ნაცარში წავყოფ ცხვირ-პირს და მუხლებს,  
შეატაკუნებს კოცონი ქოჩორს  
და გაგინათებს ძელქვებს და მუხებს.

და ცისკენ წავლენ ჩვენი ვერხვები,  
და ცისკენ წავლენ ჩვენი მუხები,  
და ცისკენ წავლენ ჩვენი ძელქვები,  
და გამარჯვებას დაიქუხებენ...

ჩემს მაგიდაზე შენი წიგნია,  
თვალწინ იელვა მეტყვევის ქოსმა...  
ჩემო მოხუცო, ეს რა გიქნია! —  
ქვეყნის წყლულისთვის შენ მიგიგნია,  
დაგისტამბია ტყეების ბოღმა!

3

ძუნწის სამოსი ტანზე გაცვია,  
შავით მოსილი შენა ხარ მწირი.  
მე უნდა გავხდე შენებრ ქვაწვია,  
არ მოგვიტეხონ ჩვენს ტყეში წკირი.

კობიტი, უზანი, შვინდი და კვიდო...  
შენ გაგიმარჯოს, მოხუცო დიდო!

მე შენ მაგონებ ბერიკაცს გამწყრალს,  
ჯერ შემოუსვლელ ხილს რომ ჰპარავენ,  
გინებას მისას, კრულვას და ჯაჯღანს  
ყურს რომ არ უგდებს სოფლად არავენ.

მუხა და ძელქვა, შვინდი და კვიდო...  
შენ გაგიმარჯოს, მოხუცო დიდო!

გამწარებულო, გახლებულო,  
გადაფოფრილო მამულის ტყეებს,  
გაძვლებულო, დაბერებულო,  
მე დავენაცვლე შენს მტკივან დღეებს!

კობიტი, უზანი, შვინდი და კვიდო...  
შენ გაგიმარჯოს, მოხუცო დიდო!

მწირის სამოსი ტანზე გაცვია,  
„გონი მოიეს!“ — მამულში ჰყვირი.  
მე უნდა გავხდე შენებრ ქვაწვია,  
არ მოგვიტეხონ ჩვენს ტყეში წკირი!

ტალანებში მომიხელე,  
 ან მევალედ გზაში სადმე დამხვდი,  
 ულვაშები მომიღერე,  
 დამმოძღვრე და ჩემი შემწე გახდი.

შემომხვდი და ხელი მტაცე,  
 ძვალმტევანა ხელი მტაცე ყელში,  
 გასაჭირი ქვეყნის მამცნე  
 და შავ მუშად წამიყვანე ტყეში.


დამემუქრე გაძვალული თითით  
 და იმედი უცბად გაბრწყინდება:  
 „აქ იქნება საქართველო დიდი,  
 ეს ქვეყანა შვილებს დასჭირდება!“

წამიკითხე მგლისთავზე სახარება,  
 დაიკარი მჯილი გულის ფიცარს,  
 როგორ უნდა მოვლა და გახარება  
 საქართველოს ჰაერს, წყალს და მიწას....

მე შვილივით დაგიტკბები,  
 სახლს დავტოვებ, წამოგყვები ტყე-ველად  
 და სამ თუმნად დაგიდგები  
 საქართველოს  
 მეტყვეედ და მეველედ.



# საქონლის მოვლა



## დათია და გოგია

ვინც კი ჩემთან ყოფილა, ყველა შემამჩნევდა ჩემს მიერ ყმაწვილობისას ფანქრით დახატულ პატარა ბანიან სახლს, რომელსაც დერეფნის ბოძებამ თავკაპიანი მრუდე მუხის ხეები აქვს შედგმული, თავხედაც ასეთივე მრუდე ხე უდევს, უბრალო ფიცრებისაგან შეკრული კარი აქვს ჩამობმული, ერთი თახჩასავით ჩაშავებული ფანჯარა აქვს დატანებული, დაკბილული ლოდები უსწორმასწოროდ ასულან კუთხეში... ამ ბანიანი სახლის ნაშთი შარშანწინდელამდე კიდევ იდგა ჩვენს მეზობლად, სოფელში. შარშანწინ დაანგრის. კოჭები და ოდნავ მაინც გამოსადეგი ქვისათუ ხის მასალა აქეთ, ახალ სახლს მოახმარეს. ლამი, წნელები და გამხმარი გაცი მახლობელ ხევში ჩაყარეს.

ახალი სახლი კონტაქტ არის, დიდიც,

ნათელიც, სუფთაც, შიგ ჩემი კეთილისმყოფელი და მოყვარული ადამიანებიც ცხოვრობენ, მაგრამ როცა კი იქით მომიხდება გავლა, ანდა გონების თვალწინ გამიღვებებს ეს ადგილი, ყოველთვის ძველი ბანიანი სახლი მაგონდება, იმას დაპბრუნავს ჩემი ფიქრი, რადგან ამ სახლში მაქვს გატარებული ჩემი ბავშვობის მესამედი მაინც, ამ სახლშიც ცხოვრობდნენ დათია და გოგია, ჩემი უფროსი მეგობრები.

დათია და გოგია!

ცოდნა რომ ხელს მიწყობდეს, ამ ობოლ ძმაზე მუსიკას დაწვრილი. ძნელად რომ სხვა რამემ უკეთესად გამოხატოს ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებად და ციმციმა ფერებად ქცეული მათი ამქვეყნიური ცხოვრება. მაგრამ რაკი ამის საშუ-



აღება არ მაქვს, ისევ სიტყვიერებას მივმართავ, თანაც სიტყვიერების იმ ფორმას, რომელსაც მეგობრულ საუბარში ვიყენებთ ხოლმე ჩვენი გრძობების გადმოსაცემად. იმედი მაქვს, ესეც მიღებულ იქნას იმ სანთლად, რაიც უნდა დამენათო მათ მოსახსენიებლად, მორწმუნე რომ ვყოფილიყავი...

დათია უფროსი იყო — ტანად ცოტა დაბალი, ბეჭებგანიერი, მუდამ რაღაცის მაძებარი, მუდამ საქმეში გართული. გოგია ზემოდან დაჰყურებდა ხოლმე, თანაც ვეზად, ღიმილით. ვენახი ჩვენს გვერდზე ჰქონდათ — აჯაგულ-აჩალავებული ფერდობით. ფერდობის შუაგულში ჰქაობი იყო. იმ ჰქაობში განუწყვეტლივ რაღაცეები ფრაქუნობდნენ, ბუყბუყებდნენ, კვენსიოდნენ. ჯერ გათენებული არ იყო, რომ ძმები ვენახში იყვნენ. რანაირი ამინდიც არ უნდა მდგარიყო, ირგვლივ მაინც შემოუფლიდნენ. მიდიოდნენ გაზაფხულისა თუ შემოდგომის წვრილ, გაგრძელებულ წვიმაში აჩრდილებივით, გადაადგებოდნენ ფერდობს, რაღაცას ფიქრობდნენ, ანგარიშობდნენ, გეგმავდნენ. ძირს სველი ჰქალა იყო, სველი კატაწნორები, ვერხვები, იმას იქით წვიმის ქვეშ ჩაყურებული იორი. ვენახში, ვახეზშორის, ნამყენი ატმები ჰქონდათ ჩარბიებული. ერთ ზამთარს კი, წივიწივების ხმებით აღსავსე სუსხიან დღოს, ფერდობსაც მისდგნენ. დათია მისდგა. გოგია პირველად როგორღაც უგუნებოდ ეხმარებოდა, მერე ისიც მუშაობის ეშხში შევიდა, აღიღინდა კიდევ. დათია კმაყოფილი იყო.

ბუჩქნარი გაკაფეს, ჩალიანი გატუსეს. თავბოლო შეკრული ფიჩხი მალა ამოზიდეს, ღობის ძირში ლამაზად მიაწყვეს. მოიტანეს გრძელგრძელი ბარები, დაიდგა თითომ თითო წყლით სავსე ვედრო, ბარებს შიგ ასველებდნენ, ისე იღებდნენ სუფთა, კრიალა წოწოლა ბელტებს და ერთმანეთზე აწყობდნენ კონტად, მიყოლებით. ჰქაობს ღრმა, დაკუთხული არხები დაჰკრეს. დაიძრა ამ არხებში გათავისუფლებული თქროსფერი წყალი და საამურად

ალიკლიკდა თავდაღმართებში. მთელ სოფელს მოედო მათი ნამუშევრის ამბავი. ვინც ახლომახლო გაივილიდა, ის ხომ მოდიოდა სანახავად, ზოგნი სავანგებოდაც ჩამოდიოდნენ ზემოუბნიდან. უკვირდით და აქებდნენ. დათია აიოლებდა, არაფერია ისეთიო. გოგია იღრიჭებოდა: — წყალს ხომ ამოვადგმევინებთ ენა, ცოტა ხანში ბელტებსაც გავაცოცხლებთ და თქვენ მერე ნახეთო. ისეთი სახით მიდიოდნენ მნახველები, მგონია, სანახევროდ მაინც სჭეროდათ მისი ნათქვამი.

მალე ყინვები დაიჭირა, მერე წვიმა, ქარი და მზე შეენაცვლა ერთმანეთს. ნაბარი ჩაიწვა, ჩაიშალა. მაშინ დათიამ ვაშლისა და მსხლის ნამყენები იშოვა და, საღ რა მოუხდებოდა იმ ფერდობს, ისე ჩაყარა. გოგია კიდევ, ბოლოზე, წისქვილის არხის პირას, ალვის ხეები გაამწკრივა. ამაზე წაიჩხუბნენ. დათია უწყობოდა: — გესმის რას სჩადიხარ, მაგათ ხომ ხეხილს დაუჩრდილეს, ნეტავ რა ეშმაკად გინდა, ხილად გაჰყიდი თუ ქვევრებს დაგვისებენ, ჰა? გოგია ალვის ხეს ძირიდან ღიმილით ააყოლებდა თვალს და ცაში შეაჩერებდა მზერას: — ეე, რას ამბობ, ნიავი რომ წამოუბერავს და დაიწყებს შრიას ვიქ, ცაში, ის ნაკლებია? ნიავი რომ წამოუბერავს საღამო ხანზე, გადმოხრიან კენწეროებს და დაიწყებენ შრიას, ის ნაკლებია? — ტუტუცი ხარ, ტუტუცი! — იძახდა დათია, მაგრამ გოგია ამ სიტყვებსაც აუღელვებლად იტანდა: — ყველანი რომ ჰქვიანები ვიყოთ, მაშინ ხომ უფროს-უმცროსობა აღარ იქნებოდა! — ფუ, თარსოო! — ბრაზობდა დათია. გოგია კი თავის საქმეს განაგრძობდა ღიმილით.

ალვის ხეებმა უკლებლივ იხარეს. ყველამ იცოდა, რომ გოგიას დარგულები იყო და „გოგიას შრიალებს“ ეძახდნენ. მაგრამ გოგიას მარტო ალვის ხეები კი არ ეღვა თავისი, იქვე ფერდობის პირებში დატოვებული ჰქონდა იფნები, თელები და წნორები. ეს ხეებიც ისე შეეწაღდა. შეეყელყელავებინა, ერთი შეხედვით ვერც კი იცნობდით. წასუ-

ლები იყვნენ მადლა, მადლა, და იქ პატარა ქორეები ჰქონდათ დატოვებული. ჩამოუვლიდა გოგია. შესცქეროდა სიამოვნებით და ღიღინებდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვას გამოჰკვეთდა ხოლმე ამ ღიღინში: „დაანდური, ქონდარი, ჭინჭარი და ბალბა“... რა იყო ეს სიტყვები, რა ლექსის ნაწილი იყო, რა მისამღერი, არ ვიცი. ამჟამად, თავისებური ზვიადი ღიღინით კი დაასრულებდა ხოლმე: „დაანდური, ქონდარი, ჭინჭარი და ბა-ალბა!“ მოწყვეტით დასვამდა წერტილს და გადმოგვხედავდა, როგორი ბიჭი ვარო. ჩვენ სიყვარულით გვეცინებოდა.

ფერადობი რომ გატეხეს, იმ წელიწადს დიდი მოსავალი გამოუვიდათ, განსაკუთრებით სიმინდი და კიტრი. კიტრი, კიტრი, რომ უნახავი გახდებოდა კაცი! ხან დათია ეზიდებოდა ქალაქში, ხან გოგია. საღამოს, ტახტზე მოიკეცავდნენ და ფულს იქ სთვლიდნენ. დათიამ სანეფო ჩექმები, ლურჯი გალიფე და თეთრი აბრეშუმის ხალათი იყიდა. მთელ დღეს ჯაფაში მყოფი საღამოს სუფთად ჩაიციმევდა და სოფელში გავიღოდა. გოგია კი უბანს იშვიათად ვასცდებოდა. გოგია ქალამნებს, ლურჯი სატინის ხალათს და თუშურ ქუდს არაფერში არ ვასცვლიდა. ქალამანი ორი წყვილი ჰქონდა, საშინაო — ღორის ბლნინი ტყავისა, და საგარეო — თეთრბი, თეთრი კობით ამოსხმულები, ფანჯაფინებით მორთული და ზომიერჭვინტიანები. ვერც მთლად უჭვინტო ქალამანს იტანდა და ვერც ძალიან ჭვინტამოკაუჭებულსა — ჭვინტია მთელი ლაზათი ქალამანისა, ქალამანის ჭვინტზე შეატყობ. პატრონი რა კაციაო. იცოდა ჩონგურების თლა. დაკვრა ხომ, რაღა თქმა უნდა, ოღონდ უსიღეროდ. ხანდახან თავის აკვიატებულ სალიდინოს თუ ააყოლებდა. ისიც დაკვრის დასასრულს. იმისი ვათლილი ჩონგურები დღესაც აქვთ სოფელში — სულ მთლად მოხატული და მოჩუქურთმებული. გამოვიდოდა საღამო ხანზე, დაჯდებოდა ღობის ძირას, ქვაზე, გადახრიდა ქოჩორა თავს მარცხნივ და ჩაჰკრავდა, ჩაუტკებებოდა ახალგა-

ლილ ჩონგურს. ხალხი ამბობდა, ცივით ალაპარაკებს ეგ ღმერთადლო. გოგოებს ძალიან უყვარდათ.

ზამთარი რომ მოახლოვდებოდა, ჩანისლოლ-ჩალურჯებულ მთებისკენ მოუხშირებდა ყურებას: — ცოტაც და წითელკაკები მოფრინდებიანო. წითელკაკებს სკვინჩებს ეძახდა. ჩამოჰყრიდა თოვლს (სადღაა ახლა ისეთი თოვლები?!), მოფრინდებოდნენ ის წითელკაკები, გუნდ-გუნდად ვადადიოდნენ საარყედან საარყეზე. გოგია ლასტს გამართავდა, გაქეჟავდა თოვლს, დაყრიდა ნაკმახს და ვიჯეჭით მათ ფანჯარასთან, ტახტზე, გატვრენილები. ჩამოდიოდნენ ფიფქები და იმ ფიფქებთან ერთად ის წითელკაკებიც. დღეში ხან თხუთმეტოცს ვიჭერდით. დათია გაბუმბლავდა, შესწავდა, შებრაწავდა, და კვეთფობდით.

დათიას ნაღდი საქმე უყვარდა. გოგიას რაღაც ათასგვარი ოცნებები უტრიალებდა. ყოველ შემთხვევაში, ნაღდ საქმესაც რაღაც ბურუსში ხევედა. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც ასეთი იყო. ჩაცუქუქლიყო კუნძთან და სამიოდ მტკაველის სიგარძე ფიცარს აშალაშინებდა. მივედი და ახლოს მივუტუქქდი: რას აკეთებ-მეთქი. შალაშინი სიბრტყივ მიიტანა ტუჩებთან, ეშმაკურად გაუბრწყინდა თვალები და ჩურჩულით მითხრა: — ჯერ არ ითქმისო. ამან, რა თქმა უნდა, უფრო დამაინტერესა. დავუწყე ხვეწნა: რას აკეთებ, რას აკეთებ-მეთქი. და ბოლოს, როდის-როდის ჩამჩურჩულა ყურში: — მატარებელს ვმართავ! გავმართოთ, გავუშვათ წისქვილის წყლის პირას და იაროს აღმა-დაღმა. ჩუქ-ჩუქ-ჩუქ! აღმა და დაღმა! როგორი იქნება, ჰა? წისქვილის წყლის პირას ლამაზად გაკვერილი ბილიკი გადიოდა, ზედ კაკლის ხეები და ფშატები იყო გადმობურული. — მართალი მატარებელი? ჩასაჯდომი? — მაშ, სათამაშოდ მცალია მერ? ის ფიცარი რომ გააშალაშინა, გაასწორა, ხელი თავზე დაამადო და მითხ-

**რამაზ ივანიშვილი**  
სალამო ხანის ჩანაწერი

რა: — ეხლა შენ შინ წადი, მე კი ზევით წავალ, ვინტეები უნდა გავამართინო მჭედელსაო. შალაშინი თახჩაში შედო, ქამარი შემოიხსნა, ხალათის კალთები ჩამოიხერტყა, ისევ შემოიკრა, ხალათი წინ გაიტყია, უკან ნაოჭები ჩამოისწორა, და წავიდა — კობტა, წერწეტა, თავაწეული, მსუბუქი ნაბიჯით. სწორეთ ამ დროს დათიაც გამოჩნდა. ღორის საჭმელი ღიჭი ჰქონდა ამოიღლიავებული. ეტყობოდა დაღლილი იყო. — სად მიხვალო! — დაუძახა გოგიას. — ჩახჩახ მეფესთან, ქალი უნდა ვთხოვო! — ღრეკვით ვამოსძახა გოგიამ და გზა განაგრძო, მზეში, თითქოს ჰაერ-ჰაერ სიარულითა. დათია აბუზღუნებულ დაუტრიალდა მიწას.

მეორე თუ მესამე დღეს ომი დაიწყო. დათიაც წაიყვანეს და გოგიაც. მალე დათიაც დაიღუპა და გოგიაც. ძველი ბანიანი სახლი (მე რომ მაქვს დახატული) ჩამოინგრა. მათმა სხვა სოფელში გათხოვილმა და ომიანობის მერე შინმობრუნებულმა დამ ახალი სახლის აშენება დაიწყო. ვენახში ჯიშიანი ატმები დახმა,

შამბმა შეჭამა ის ნამყენებიც, დათიამ რომ ჩაყარა ფერდობში. დასჭრეს, აკუწდაკუწეს და დაწვეს გოგიას შრიალეზიც, იფნეზიც, თელეზიც. მხოლოდ ორად ორი ალვის ხეა გადარჩენილი, ისინიც ძირნაღიჯნი და ტოტებჩამოხლეჩილი. მაგრამ ჩვენ, ვისაც კი როგორღაც გულზე გვება ეს ორი ობოლი ძმა, თუკი მათი ვენახისაკენ მოვხვდებით, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ავხედოთ ამ ალვის ხეებს. ავხედავთ ხოლმე და გვეჩვენება, რომ ცის ის ნაკერი უამრავი კენწეროებით არის სავსე, საიდანღაც ჩაბინდული ნიავი მოდის, მაღლა-მაღლა წასული კენწეროები რბილად გადმოხრილან ნაღვლისფერ მიწისკენ, მიდამო მათი ფოთლების იდუმალი ჩურჩულით არის შეპყრობილი, და ყველაფერ ამას ობოლი ძმების უთუოდ ჩვენსკენ მოსწრაფებულ სულები სჩადიან.

ჩვენთვის ეს დიდი, ძალიან დიდი რამ არის. თავს შეურაცხყოფილად კი ვგრძნობთ, ვინმემ რომ გვთხოვოს ამ „რამის“ ახსნა.

### პატარა პოეტის გზა

ეს უკვე ზღაპარია, ძველებური, ბუნებისპირული ზღაპარი

ერთ ქალაქში ერთი ასეთი პოეტი ცხოვრობდა: პატარა ბინა ჰქონდა, სამსახურშიც პატარა კუთხე და მაგიდა ჰქონდა დათმობილი, იშოვიდა პაწაწინა თავისუფალ დროს და პატარ-პატარა ლექსებს და მოთხრობებს წერდა. აიღებდა ქალაღსა და ფანქარს, მიჯდებოდა სადმე მყუდრო ადგილას და წერდა წიკწიკა ასოებით: იყო და არა იყო რა, ერთ პატარა ქვეყანაში ერთი პატარა ეკცი იყო, ამ ეკცო ყველაფერი პატარა ჰყოფნიდაო, თვით სიხარულიც კიო, დადიოდა და ამ პატარა სიხარულს დაეძებდაო. ნახავდა, მაგალითად, ბალახის ყურში ჩარჩენილ კამკამა წვეთს, რომელშიც მზის სხივი იყო ჩაძინებული, და პატარას გაიხარებდაო. კიდევ

წავიდოდა, ნახავდა, მაგალითად, პატარა ბიჭი პატარა ხბოს ეთამაშებოდა და კიდევ პატარას გაიხარებდაო. სულ ასე წერდა — პატარა, პატარა, პატარა... ამის გამო თვითონაც პატარა პოეტი ერქვა.

რასაც დაწერდა, პირველად თავის მეუღლეს და ბავშვებს წაუკითხავდა. მეუღლე, რა თქმა უნდა, ერთი ჰყავდა, ბავშვი კი — ორი — პატარა გოგონა და პატარა ბიჭი. თუ მისი ნაწერი სიხარულს მოჰგვრიდა მეუღლეს და ბავშვებს, მაშინ წიგნაკადაც დააბეჭდვინებდა, იქნებ სხვებსაც მოეგვარო სიხარულიო. წიგნის დამბეჭდავები პატარა ფულებს აძლევდნენ. იმ ფულებით პატარა პოეტი პატარა ფეხსაცმელებს, ქუდეებს, პერანგებს და ასეთ რამეებს ყიდულობდა. მიუტანდა თავის ბავშვებს და...

პატარა გოგონას და პატარა ბიჭს ძალიან უყვარდათ თავიანთი პატარა პოეტი მამა.

მაგრამ იმ ქალაქში, სადაც პატარა პოეტი ცხოვრობდა, სხვებიც ბევრნი ცხოვრობდნენ. ეს „სხვები“ სულ რაღაც დაუსრულებელი სიდიდეებისკენ მიისწრაფოდნენ, თვით პატარა პოეტის თანამოკალმენიც კი, დიდი პოეტები, სულ იმაზე ოცნებობდნენ, დიდი, დიდზე დიდი წიგნები დაეწერათ, ისეთი დიდები, რომ მათი თაროდან გადმოღებაც კი გაძნელებულიყო, და არა მარტო ოცნებობდნენ, წერდნენ კიდევ, თანაც ასე: დიდი გზა იყო, დიდი მანქანა მიდიოდა, დიდი ბრძოლა ატყდაო და სხვა. თვითონ ხომ წერდნენ, პატარა პოეტსაც უკვირებდნენ: შენაო, პატარა პოეტო, რატომ წერ სულ პატარ-პატარა ლექსებს და მოთხრობებს, რატომ გეჩვენება ყველაფერი პატარად? აბა, შეხედე, რა დიდია ეს ქუჩა, რა დიდია აგერ ის ქარხანა, რა დიდია ჩვენი საყვარელი ქალაქი! პატარა პოეტი ძალიან დამყოლი კაცი იყო. მორჩილად მიიხედავდა იქით, საითაც თანამოკალმე უთითებდა, დაინახავდა, რომ მართლაცდა დიდი იყო ქუჩაც, ქარხანაც, მით უმეტეს, მათი საყვარელი ქალაქიც, გაიღიმებდა დამნაშავის ღიმილით, იფიქრებდა: დღეის ამას იქით მეც დიდ რამეებზე დავწერო, მაგრამ გამობრუნდებოდა თუ არა, ყველაფერი ძველებურად ლაგებოდა.

ჩვეულებრივი ადამიანები პატარა ფისუნებს, პატარა ძაღლებს და თვით პატარა ლომებსაც კი ვეაღერებოდათ (თუკი ლომები ძალიან პატარები არიან და ზოოპარკში მომუშავე ბრახიანი ქალები მიგვიშვებენ ახლოს). პატარა პოეტი კი დაჭდებოდა წერად, გაიხსენებდა ქუჩას, ქარხანას, მთლიანად თავიანთ ქალაქს, და ისინი ისე დაპატარავებულად, ისე უმწიფოდ წარმოუდგებოდა, რომ თან აღწერდა და თან თვალზე ცრემლმომდგარი ეაღერებოდა. გეგონებოდათ, ბავშვობაში, დაბადების დღეს მორთმეული საჩუქრები ყოფილიყოს და ეშინია, არ დამეხსტერესო.

ეს წესია: დიდმა პატარას უნდა დაუქნიოს თითი. პატარა პოეტიც უღრტინველად იტანდა დიდ თანამოკალმეების საყვედურებს. მით უმეტეს, რომ იცოდა, ჭერჭერობით ისეთი არაფერი ხდებოდა, საყვარელ მუუღლესთან და შვილებთან გასძნელებოდა დაბრუნება დაბრუნდებოდა, ნახავდა, რომ მის მუუღლეს პაწაწინა მზეები ენთო თვალებში, პატარა გოგონაც და ბიჭიც ფისუნებისგან უსციცინებდნენ მამას. მუუღლეს აკოცებდა, პატარა გოგონას და ბიჭს კამფეტებს მისცემდა, რომლებსაც ქუჩის კუთხეში, ცისფერ მალაზიაში ყიდულობდა ტყაცუნა პარკუჭანაში ჩაწყობილს, და ყოველგვარი უსიამოვნება დააფიქრებოდა, დიდი თანამოკალმენიც და მათი შეხვედრის შემდეგ გამოყოლილი სედაც. დააფიქრებოდა კი არა, ის დიდი თანამოკალმეებიც პატარებად გადაიქცეოდნენ, და რაკი პატარებად გადაიქცეოდნენ, მათი მოალერსებაც კი მოუნდებოდა. ისინი ხომ უკვე შორს იყვნენ და გონების თვალთდა ხედავდა მათ, გონება კი, თქვენ უკვე იცით, როგორ ჰქონდა მოწყობილი პატარა პოეტს!

მაგრამ ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რამაც ძალიან, ძალიან შეაშფოთა პატარა პოეტი. მაინც რა მოხდა? სამსახურიდან დაბრუნებულმა ნახა, რომ მის მუუღლეს თვალებში ის პატარა მზეები ჩაჰქრობოდა, რომლებიც არანაკლებ უყვარდა, ვიდრე ნამდვილი მზე. მაშინვე მიხვდა, რის ბრალიც იყო ეს. მისი მუუღლეც აღარ იყო კმაყოფილი პატარა ლექსებით, პატარა მოთხრობებით, პატარა წიგნებით და პატარა ბინით. დაჯდა, თავზე ხელები შემოიფიყო და დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა: იქნებ მართლაც ისე არ არის, როგორც მე მეჩვენებოდა, და არავისთვის არაფერი უთქვამს, მძიმე ფეხსაცმელები ჩაიცვა, ხელში მძიმე ჭოხი დაიჭირა და წავიდა. მიდიოდა და ეძებდა ნამდვილ დიდ რამეს, რაც არ უნდა

რედაქცია ინანოვნილი  
სალამო ხანის ჩანაწერი



ყოფილიყო იგი. უნდოდა დარწმუნებულყოფიყო, რომ სხვები მართლები იყვნენ, მართლები იყვნენ მისი დიდი თანამოქალაქეები და საყვარელი მეუღლე, და მხოლოდ ის იყო მტყუანი. მიდიოდა ნელ-ნელა, აკვირდებოდა სახლებს, ხეებს, მთებს, მანქანებს, ველებს, წყლებს. გაიხედავდა, წინ, მაგალითად, ღრუბლებში თავშერგული მთა იდგა. იტყოდა, აი, ახლა კი ვიპოვეო ის, რასაც მე ვეძებო. ახლოს მივიდოდა, მთა მართლაც დიდი იყო. მაგრამ ხომ უნდა გამოვბრუნებულიყო, ან წინ წასულიყო? წავიდიოდა წინ, ან გამოვბრუნდებოდა, ან, სულ უბრალოდ, მოიხედავდა, და მთა იმწამწამე დაპატარავდებოდა. დაპატარავდებოდა და სათუთ, მოსაფერებელ საგნად გადაიქცეოდა.

ასე იარა წლები, წლები. მთელი დედამიწა შემოიარა, ეგონა დედამიწა მანც იქნებოდა დიდი, მაგრამ ისიც დაუპატარავდა თვალსა და ხელს შუა. ის ერთი მთრთოლვარე, მოციმციმე ბურთობი იყო, რომელზედაც პაწაწინა მთები იდგა, პატარა ზღვები ირწეოდა. პატარა მდინარეები მოჩუხჩუხებდა, პატარა სულდემულები და მანქანები გარბი-გამორბოდნენ. ისიც ისეთივე სათუთი, მოსაფერებელი საგანი გახდა პატარა პოეტისათვის, როგორც იყო სხვა ყველაფერი, რასაც აქამდე ხედავდა, და პატარა პოეტმა დაიჯერა, რომ ის მართალი იყო. ის იყო მართალი და დიდი თანამოქალაქეები და საყვარელი მეუღლე არ იყვნენ მართლები. ამ ამბავმა ისევ დაუბრუნა სიხარული, რომელიც იმ დღის შემდეგ აღარ უგრძენია, რაც მის მეუღლეს პატარა მზეები ჩაუჭრა თვალბში, და ხომ გახსოვთ, რა ჩვეულებაც ჰქონდა, შინ რომ ბრუნდებოდა?! ახლაც ტყაცუნა პარკუჭანაში ჩაწყობილი კამფეტები იყიდა კუთხის ცისფერ მაღაზიაში თავისი პატარების გასახარებლად...

მისი პატარები კი უკვე დიდები იყვნენ. როდესაც პატარა პოეტმა თავისი სახლის კარი შეაღო და გამარჯვებულის ღიმილით გაჩერდა ზღურბლზე, ისინი სადიდო საქმეებით იყვნენ გართულნი. გოგონა სქელი, დაძინილი წიგნიდან რაღაც ფრაზების ნაწილაკებს იწერდა, ბიჭი კი ნერვიულად აწეწილი ხაზების კონას ჩაკირკიტებდა. პატარა პოეტმა, იმისათვის, რომ ყურადღება მიექციათ, წინააწვდილი პარკუჭანა აატყაცუნა. გოგონამ და ბიჭმა ამოხედეს. მათ ამოხედვაში სიხარულსაც დაინახავდით, გაკვირვებასაც და შიშსაც. პატარა პოეტმაც ეს დაინახა, მაგრამ მან, გარდა ამისა, დაინახა კიდევ სხვა რამ, რამაც თავზარი დასცა და ბნელში დარჩენილი ბავშვივით აკანკალა: მისი გოგონასი და ბიჭის ოდესღაც მხიარული ბურთუ-სით საგვე თვალბს თითქოს კარები შეხსნოდით, ეს კარები გადიოდა ღრმად, ღრმად წასულ, იღუმალებით მოცულ სამყაროში. და პატარა პოეტი მიხვდა, რომ მისი გზა ჯერ არ დამთავრებულიყო, კიდევ უარესი, ის ახლა იწყებოდა, ამ იღუმალებით მოცულ სამყაროს ზღურბლთან. ის კი უკვე მოხუცი იყო, დაღლილი, დაუძლურებული. ნელ-ნელა, გზაშემილი მგზავრივით გამობრუნდა უკან და წავიდა... თვითონაც არ იცოდა, საით.

მიდიოდა და მიტიროდა. ხალხმა იცოდა, რომ ის პატარა პოეტი იყო და არავის არ უკვირდა მისი ტირილი. ხალხს არა მარტო პატარა პოეტის ტირილი არ უკვირს, არ გაუკვირდება, თუკი დიდი პოეტი მოახერხებს და ატირდება. ხალხს ასე ჰგონია, ყველა პოეტი რაღაც სხვანაირად არის აწყობილი. თუ პოეტი ტირის, მამასადამე ასე ყოფილა საჭიროო, და ყველანა მორჩილად უთმობდნენ გზას.

# სიკვდილი ბარბალე გალიაურისა

ეუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის თავაფრიანი დედაკაცის ხსოვნას

დაიბადა სოფელ არაშენდაში, აპრილის ვაცრიატებულ დღეს. მამამისს რომ უთხრეს, ქალი გეყოლო, ბარი მიწაში ჩატოვა, დაძინილი თუშური ქული მოიხადა, ოფლიან შუბლზე გაისვა, ისევ დაიხურა და ბარვა განაგრძო. გაჩქებულმა ბარა საღამომდე. მაგრამ არც საღამოს უნახავს, არც მეორე დღეს. მეხუთე გოგო იყო, მეხუთე სადარდებელი და სალოლიავებელი ღარიბი კაცის ოჯახში! იზრდებოდნენ ნეკერზე გაშვებული თხებივით, ჭინჭარსა და ეკალზე სიარულით ხელ-ფეხი ჰქონდათ დაეაზული. რვა წლისა ართავდა და ქსოვდა. თოთხმეტი წლისას პირველად უყვიდეს წითელი ჩუსტები და წითელწინწკლებიანი ცისფერი ჩითის კაბა (მანამდე უფროსი დების მონარჩენებით გაჰყავდათ იოლას), პირველად იცეკვა დღეობაში, მარიამობა დღეს, საქონლისაგან გადაძვირლ მინდორზე. პირველად გაიგონა ხანდაზმული დედაკაცებისაგან: აი, დაიწვი, დაიწვიო!

შემოდგომაზე სხვაგნებურები მოვიდნენ: ერთი მწითური, ჩაბურვაკებული კაცი და მეორე კიდევ სხვა კაცი, მოხუცებული. დასხდნენ, რაღაცეები ილაპარაკეს. მერე ბარბალეს დაუძახეს. შევიდა. გული რაღაც ცუდს უგრძნობდა, კანკალებდა. გაიგო, რაც უნდა მომხდარიყო. იმ მწითურ, ჩაბურვაკებულ კაცზე ათხოვებდნენ, ერთ თვეში უნდა წაეყვანათ. რამდენიმე ღამე თეთრად გაათენა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მამამისს თუ ერთ მჭამელს მოაშორებდნენ, ამის გულისთვის სათათრეთს ფეხით წაეიდოდა.

ერთი თვის შემდეგ მართლაც მოვიდნენ წასაყვანად, მოჩარდახული ურმით, ღვინით, საკლავით. თან დედაკაცებიც მოიყოლეს. სიძეს ჩერქეზული ტანსაცმელი ეცვა, თეთრ ცხენზე იჯდა. ცხენიც და ტანსაცმელიც, რა თქმა უნდა,

ნათხოვარი იყო. სიძეს ახალუხის საყველო უჭერდა და ძლივს სუნთქავდა. ქალებმა ბარბალე შუაში ჩაისვეს და ურემი დაძრეს. სანთლის ალივით უმწეოდ მოლოცლიცე ბარბალეს დიდი, შავი თვალები უფრო დასდიდებოდა, მაგრამ თითქმის ვერაფერს ხედავდა, არაფერი დამახსოვრებია ნათლად იმ დღისა, არც შემდგომი დღეებისა. მისი ქმარი, ის მწითური, ჩაბურვაკებული, ჩაბებღვილი კაცი, მენახირე აღმოჩნდა. ბინდისას მოვიდოდა, თავჩაღუნული შეჭამდა, რასაც ბარბალე დაუდგამდა, მერე დააწვენდა და დათვივით ბუნბიდა, კამეჩივით დაჰშვინავდა. თვითონ ბარბალე ცივი ჟრუანტელისა და შიშის მეტს არაფერს გრძნობდა. გაშტერებული თვალებით იყურებოდა სადღაც მალდა, სიბნელეში, და სულ ელოდა, ელოდა, რომ რაღაცა მოხდებოდა.

შვიდი თვის თავზე მართლაც მოხდა ეს „რაღაც“. მენახირე მულანლოელმა ყასუმმა ყაჩაღმა მოჰკლა. ბარბალეს შავი კაბა ამოუყერეს. ის-ის იყო თხუთმეტისა გახდა. ისევ სუსტი იყო, ისევ სანთლის ალივით უმწეო. მარტო კი ცხოვრობდა. მენახირეს მის მეტი სხვა არავინ დარჩენია!

იმ ზამთარს ბოლშევიკებიც მოვიდნენ. მალე სოფელში გამოჩნდა ტანთხელი, ცოცხალი სახის ბიჭი, კომუჯრედის მდივანი. დალიოდა და იწერდა, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა. პატარა ქვრივამდეც მიადწვია, არც იმან იცოდა არაფერი, მაგრამ სკოლაში სიარულზე მაინც უარი თქვა. კომუჯრედის მდივანი არ მოეშვა. დღე არ გავიდოდა, ღობის ზემოდან არ გადმოენათებინა თავისი ცოცხალი სახით. მეზობლებმა სხვა სუნი დაიკრეს ამ შეხვედრებში. ადგა ბარბალეც და გაუტყდა, ასე და ასეო. მაშინ კომუჯრედის მდივანმა ხელი მოჰკი-

რევაზი ინანიშვილი  
საღამო ხანის ჩანაწერი

და, საბჭოში წაიყვანა და სამი მოწმის თანდასწრებით ცოლ-ქმრობის საბუთი გააფორმებინა.

კომუჯრედის მდივანი სხვაგნებური კაცი იყო, ბარბალესთან დასაბლდა. დღისით მუშაობდნენ — ბაღჩაში, ვენახში, მიწდორში, კალაზე. ღამით მდივანი წიგნებს კითხულობდა ხმაბლდა. წიგნებში უმეტესად ვაჟისა და ქალის სიყვარულის სევდიანი ამბები იყო შოთხრობილი. ბარბალეს, თვითონაც არ იცოდა რატომ, გული უჯდებოდა და ცრემლებით ვეგებოდა დიდი შავი თვალები. ხშირად ეს ცრემლები ლოყებსაც ჩამოუხაზავდნენ ხოლმე ორი პრიალა ხაზით. მაშინ მდივანი იცინოდა, მკერდზე იხუტებდა და იმ სველ ადგილებს უკოცნიდა. კარგი, ძალიან კარგი იყო ეს ხალამოები!..

ეყოლათ ბიჭი, მერე კიდევ ბიჭი, მერე ქალი. ქვეტყირის სახლი დაიდგეს, სწორი კრამიტით გადახურეს. კომუჯრედის მდივანი ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, ძველი ყაიღის თავმჯდომარე. კოლმეურების გვერდით იღდა ხოლმე ტალახით სავსე რუში, სიმინდის სათოხარში, სამკალში, ტყეში. გამაგრდა და გააყდა. დაკუნთული მხრები ძლივს ეტეოდა ხალათში. მოვიდნენ ერთ საღამოს ვიღაც ფორმის ტანსაცმლიანი კაცები, წაიყვანეს. თავმჯდომარეს ეცინებოდა: რაღაც გაუგებრობაა, ჩემთან ვის რა ხელი აქვს, ზვალვე გაირკვევა ყველაფერი და გადმოვალო. თან მაინც რაღაც უჩვეულო ნერვიულობით იკრავდა ბრტყელ ქამარს (ეს დაამახსოვრდა ბარბალეს საყვარელი ადამიანის ამ ქვეყანაზე არსებობის უკანასკნელი წუთებიდან!). მეორე დღეს არ გადმოსულა... არც მესამე დღეს, არც მეოთხე დღეს. ბარბალე ყველას ერიდებოდა. ქვეყნის ამბები — შორეულ დონდგოლად თუ ესმოდა. უფროსი ბიჭი წაიყვანა და რაიონში წავიდა. კითხვა-კითხვით მივიდა, ქმრის ამბავი სადაც უნდა ეკითხა. — ტროცკისტიანი? — ჰკითხა ვიღაცამ. — არა, ტროცკისტი კი არა, კობერიძეაო, — და უფიქრებლად მიუგო ბარბალემ. —

უყურებთ ამასო! — გაბრაზდა ის ვილაცა, — უყურებთ ამასო! მაშინ ერთი ხნერი, კეთილი გამომეტყველების კაცი მივიდა და ჩურჩულით უთხრა: — წადი, დაო, შინ წადი, ბალებს მიხედო. და წამოვიდა. სოფელს რომ გამოსცდა, ტირილი აუვარდა. ისეთ ჭკუაზე დადგა, მივალ სადმე კლდესთან და გადავიჩეხებო. მაგრამ ბიჭი უკან მოსდევდა. მიხედა, ნახა რომ ბიჭიც ტიროდა და თავი შეიკავა. ბიჭს გამხნეება დაუწყო...

მერე თოვლშიც მოუხდა რამდენჯერმე გადასვლა. მერე უკან დაუბრუნეს საჭმელი, შენი ქმარი გადაგზავნილიაო. იმ დღიდან აღარაფერი გაუგია მისი.

გადაყოლილი იყო ბავშვებზე. თვითონ დაჰქონდა საფეკავი წისქვილში, თვითონ ჭრიდა შემას, თვითონ თოხნიდა — ოღონდ თქვენ ისწავლეთ და მე თქვენი არა მინდა რაო. ისინიც სწავლობდნენ. კარგად სწავლობდნენ. უფროსი ბიჭი უმაღლესშიც შევიდა, ვეტექნიკში უნდა გამოსულიყო. ატყდა ომი. უფროსი ბიჭი მაშინვე წაიყვანეს. უმცროსი პირველ მობილიზაციაში არ მოხვდა, მაგრამ მერე ისიც წაიყვანეს. უფროსი დაბრუნდა, უმცროსი დაიღუპა. ახლა ქალიც უმაღლესში სწავლობდა, ვაჟმაც ისევ იქ გააგრძელა სწავლა, ვეტერინარულზე. გაეგო ქალაქის გზაზე ბარბალე. უზიდავდა ხურჯინით: ხორცს, ლობიოს, ფეკილს, ხილს. ქალი გათხოვდა. ვაჟმა ცოლი მოიყვანა. ეყოლათ შვილები. ერთიც და მეორეც ქალაქს შერჩნენ. ხან ქალი წამოუშვებდა ცრემლებს, ხან რძალი: რა იქნება, თავწყალი ვერ გავგიდენებო, ბავშვების პატრონები ვართ, ჩამოდი და იყავი ჩვენთანო. დარჩებოდა ერთი სამიოდე დღე, გაუსივდებოდა გული, ასტივდებოდა თავი, გაუკრთებოდა ძილი. აიკრავდა თავის ბარგი-ბარხანას და წამოვიდოდა უკან. წკირებით, ღობისძირებში მოკრეფილი ნამტკრევე-ნამტკრევით აანთებდა გაციებულ ღუმელს. ეზოს დაგვიდა, ბაღჩას დაასუფთავებდა. ბარავდა, სხლავდა, თოხნიდა. მოჰყავდა ჭირნახული. თვითონ რა სჭირდებოდა! ყველაფერი

შვილებს უგზავნიდა, ზოგს ფულად, ზოგს ზამთრის სარჩოდ. მარცვალს არაფერს გააფუჭებდა, ყველაფერს გამოიყენებდა...

ვენახის ბოლოზე ერთი წაფერდებული კაკალი ედგათ. მაღლიან კაკალს ეძახდნენ, ყოველ წელიწადს ხვრინჭასავით ეყარა. ხან ვის აბერტყინებდა, ხან—ვის! მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან გაძნელდა დამბერტყავის შოვნა. სოფელში კაცი აღარ იყო ამ საქმის მიმყოლი. თუ ვინმე ჰქაუანებდა, იმასაც კუდი ყვარზე ჰქონდა გადებული. რომ შეეხვეწებოდა, — წამო, შვილო, შენს გახარებას, ერთი ის ჩემი წაფერდებული კაკალი ჩამომბერტყეო, ყველა ამას ეკითხებოდა: — შენი ბიჭი სად არის, რატომ ის არა ბერტყავსო? — ქალაქშია, შვილო, მსახურობს, არა სცალიაო. — ჩვენ რაღა მოცლილები გვნახეთ!..

წამოვიდოდა გულმოკლული: ჩემი

ბიჭის მკვლელები დაგადგეთ თქვენსო ამოუჯდებოდა გული, იტირებდა. მერე ისევ ყოჩაღად იყო, მტრის თვალების დასათხრელად. მტრის თვალების დასათხრელადვე აიღო ერთხელ ხალხა და კაკალზე თვითონ გავიდა. მე დავბერტყავ და მტერს არ გავახარებო. ორჯერ არ ჰქონდა მოქნეული ის ხალხა და წინ წავარდა. რამეს მოვეპიდებო, გაუელვა, მაგრამ ვერაფერს მისწვდა. იგრძნო ილუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ შემთხვევით მოჰკრა თვალი. გეგონებოდათ, მყუდროზე მიწოლილა და ისე მისძინებიაო.

შვილებმა მეორე დღეს ძლივს გაიგეს მისი ამბავი. დიდი პატივით დაკრძალეს. სახლს მძიმე კლიტეები დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩალაბულით აავსო.

## ჯ ა რ ბ ვ ა ლ ე

გადამლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის ათას ცხრაას ოცდაათხუთმეტ წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის უკვე გაყვითლებული მესამე ტომი და სიტყვასიტყვით ვიწერ ესმა თოთიბაძის მოგონებას. ჩვენი დროისთვის ამ უცნაურ საქციელს, რა თქმა უნდა, ექნება თავისი მიზეზები, შეიძლება ითქვას, მიზეზთა მთელი წყებაც, მაგრამ, რადგანაც მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წავგიყვანდა, მე მხოლოდ ერთს ვიტყვოდი, და იმასაც ორიოდ სიტყვით: სტრიქონები, რომლებსაც მე ამ წიგნიდან ვიწერ, ყრუ, განმწმენდელ ტყვილებად შემოდის ჩემში, მინდა ასეთი ყოფნა გავრძელდეს რაც შეიძლება დიდხანს, მინდა ხელები გავშალო, მივაწვდინო სხვებს და ეს ტყვილები ელექტროდენივით გადავცე მათაც... მგონია, ამით ნაწილობრივ მაინც მოვიხდით სასჯელს, რაიც გვეკუთვნის დიდი, პატიოსანი ადამიანების წამებული სულების წინაშე თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი

გულგრილობის გამო. რა ხასიათის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე, მე ეს არ მაღარდებს, ამ კატეგორიების დამდგენთა წინაშე მე შემიძლია ძალიან გულმშვიდად წარვდგე.

თოთხმეტი წლის გამათხოვეს, — ასე იწყება მოხუცი ქალის მოგონება ეგნატეზე. — მიმცეს სანთ (სიმონ) თოთიბაძეს, რომელიც ცხოვრობდა ოზურგეთში. წამიყვანეს იქ. სახლი გვედგა, ახლა რომ სადგურია მატარებლის, იმას ზევით, მაღლობზე. რომ მიმიყვანეს, ეგნატე არ დაძმდენია იქ. ჯერ ცხოვრობდა მანასე თოთიბაძისას და შემდეგ გადმევიდა ჩვენსას, რადგან მოწაფეები, სამი ძმაი მელუები გვედგა მაინც მელუები იძლეოდნენ თვეში ოთხ მანეთს და საჭმელი მისაჭმელით მოქონდენ თვითონ. ეგნატეს ფულს არ ვახთავდით, მხოლოდ, რაც კი შეეძლო, საჭმელი მოქონდა მისი ზურგით შინიდან, რადგან ძაან ღარიბი იყო.

**რედაქციის მადლობა**  
სალამო ხანის ჩანაწერები



ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე, ხუსტი, მომადლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭებში მოხრილი და ვაწრო, გრძელი პირისასის. იდგა მელუებთან ერთად ბინაზე ჩვენსას და ოთხივე დეიარებოდა კლასში. გვეადა წელიწადნახევარი და ეგნატე გაგვეყო. ჩვენი ადგილის კუთხეში, ფენაზე ამოთხარა მიწა. მიხმარა მელუები და დადგა ჯარგვალე. ასე, ოთხარშინიანი იქნებოდა ირგვლივ. დაასო ოთხი ბოძი და ზედ ააკრა შეზუგაპობილი შეშები და ფიცრების ნაკი-დურე, რომელიც ზოგი ჩვენდგან წვილო, ზოგი მანასედან და ზოგიც სხვა მეზობლებ-მა მისცა. გადახურა რაცხა საწყლათ და დადობილი ჩელტეს კარი შეკიდა ზედ. ჯარგვალეს გვერდები თითო თითის გორგაზე იყო დაშორებული. შით, მიწაზე, დადო ორი შეშა და ზედ დაადგა სამი ფიცრის ნაკიდურე, რომელზეც ტანგოუნდელი წობოდა პირდაპირ. პირველათ მელუებიც მასთან ცხოვრობდა. ქვეშაგებელი არ ქონდა. ეცვა ერთი პალტო ვინცხვის ნაქონი, ძაან გახუნებული, და ამით იყო სულ. ტანისამოსს შინაურები ვერაფერს უკერვიდა, ძველებს აძლევდნ ხან ჩვენები და ხან მანასესანი. არც ფეხსაცმელი ჰქონდა. ერთი წვევიდა შინ და შინაურებს ქალამანი შეეკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამევიდა, ქალამანი ხელით ჩამეიტანა, გზაზე დაგვებოდა.

რაც გიეწყობოდა, სუფთა ბიჭი იყო საწყალი. გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როცხა ძაან სიცივე არ იყო, წვედიოდა ნატანების წყლის პარზე, გეიხთიდა ტანზე, გარეცხვიდა ყველაფერს და ტანსაც დეიბანდა. საქამდე ტანისამოსი შეშერებოდა, მიიმალეობდა ჟვეროში და წიგნს კითხულობდა. ჩეიცვამდა მერე ნახევრათ მშრალს და შევიდოდა შინ.

საჭმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალეში ქონდა კელამიდე (თიხის კეცი), ლიტრე (პატარა დოქი), ხელგობა და გატეხილი ჩარხანე (თუჯის ქვაბი). კიდომ კუთხეში ქონდა მიყუდებული ჟვეროცოცხი, რომლითაც გვიდა მის სახლს. ჭადს ზელდა და იცხობდა. თუ იყო რამე მიწდროში, მონახავდა ფხალს და მოხარჩვიდა, მარილს წააყრიდა და მიაჭმევდა ჭადს, ან კიდომ

ყველს ან ტარანს, თვარა ქე იყო მშვიერს მიუხედავად ამისა, სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილი გაჩერება, სულ წიგნზე იყო მაციკქინებული.

სამკითხველო არ იყო მაშინ, მარა სულ სხვა და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა. საცხეიდან ყოველთვის მეიტანდა წიგნს.

წიგნსავით ეგნატეს არაფერი არ უყვარდა. იშვიათად დენისახელი გაცინებულს ან გათამაშებულს. არც იგი მოხდებოდა მისგან, ახალგაზრდა კაცი რომ ქალებს გეიკიდებოდა და დროს დაკარქავდა. მგონი წიგნზე ქონდა ჭიბი მიჭრილი.

ჩვენსას მევიდოდა და, სიმინდის ფშვნაზე რომ მოგვეხმარებოდა, წიგნს ჯორკოზე მიაყუდებდა გადაშლილს და თვალით იმას უყურებდა. კითხულობდა და შლიდა. დამეშვადამემდი კითხულობდა, დღეი მეიშხადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს, რის გამო სშირათ თმაიც კი ქონდა შერუჯული. აბირბილდებოდა ფიჩხის ცეცხლი, წვიკითხავდა ცოტას და ჩოუქრებოდა. კიდომ შეურთავდა ფიჩხს და ამასობაში წაკითხულს მოყობოდა, რაც ბევრჯელ გამიგონია, რომ დამიტანება ყური იქითკენ მიმავალს. კიდომ ეინთებოდა და კიდომ წვიკითხავდა, და ასე წვალობდა შვადამემდი. სახლიდანც რომ გვეიხევიდით, განათლდებოდა მისი ჯარგვალე უცბათ და დაბნელდებოდა. კი ჩანდა, ნუ გეშინია, დადროიოვებულ კედლებიდან. კიდომ განათლდებოდა და მიბნელდებოდა. ასე იყო ზამთარშიც. ყველას ეძინა და იგი კითხულობდა. რა ქონდა საწყალს! იყო მშვიერი, მწყურვალე, ჩოუცმელ-დოუხურავი, გაყინული სიცივით, უსინათლოდ და მარტუე მაგდებული, მარა მაინც კითხულობდა და კითხულობდა. მივეციტ ჭრაქი, და ნაფოსაც ხან ჩვენ, ხან სხვაი აძლევდა. გულზე ქინძისთავი ქონდა და იმით ამოუწვედა გულს, რომ ჩეიწობოდა. სშირად, რომ არ ქონდა ნაფთი და სხვისი შეწუხება ეზარებოდა, მაინც ფიჩხით ინათებდა. უწინ კი სულ მარტუე ფიჩხით იყო საწყალი. არავის არ აწყე-



წინებდა საწყალი, ოღონდ ზოგიერთი საყვედურებდა იმაზე, რომ ფიჩხი მიაქვს ჩემი ვაზოდანო.

ყანაში კი იშონიდა საჭმელს, თუ მიეხმარებოდა ვინმეს, მაგრამ მაინც შიმშილი ერჩია, ოღონდ წიგნი ეკითხა.

წელიწადნახევარი იმ ჯარგვალეში იყო. მერმედ კლასში ჩაცხა უჩენიკების აბუნტება და წამეს და გამოავდეს იმის გამოისობით.

წელიწად მერმედ საწყალი საცხა და მისი ჯარგვალე კიდომ დიდხანს იდგა თქინე...

ეგნატე წინოშვილი ოცდაათობმეტი წლის გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. სოფელში კუბოსთვის ფიცრები ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩაასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს ეკუთვნის: „პალიასტომის ტბა“, „ჯანყი გურიამში“, „გოგია უიშვილი“, „ქრისტინე“, „სიმონა“, „პარტახი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა მოთხრობები. — თუმცა სულ დამაფიქვდა მეკითხა, გოყვართ, საერთოდ. მოთხრობები, თუ არა?

## ბერიკაში პოპოვის გარეგანობა

ძველი სევდის ეხო

— რას ამბობ, ე, რასა! ეგ ადგილი ზოგზოგებივით იგრე კი არა მაქნაშოვნი! აგე, შვილო და ძმაო, ის ხალხი ისევე ცოცხალია და ჰკითხეთ: აგე ყრუვ სვიმანა, დაბძანდე, ძალათ კნიაზი. ევგენა მღვდელი... მე და ჩემი ძმა როგავყარეს, ეგ ადგილი იმას ერგო. იმას არგუნეს და ახლა მანდა კალო ჰქონდა. მერე ჩემი ძმა როგ მოკვდა, აბა ჩემი ძმისწულეებს რა შეეძლოთ, პატარები იყვნენ, დათია ხუთი წლისა, სონკა უფრო პატარა, ი გოგო კიდენა სუ პატარა, აკვანში ეწვათ. ხოდა, აგე ყრუვ სვიმანა მოკვდა, თითონ ყრუვ სვიმანა, ძალათ კნიაზი და ევგენა მღვდელი მოვიდნენ და შენ უნდა დაჰმარხოო, მიოხრეს. აგე ხო ცოცხლები არიან ერთიცა და მეორენიცა. უნდა დაჰმარხოო, და მე, ნამღურა-

ვად ვიყავი თუ რაც ვიყავი, მე მაგისთვის არ დამიხედნია. ორი კოდი პური, სუ სასიანოს პური, პური, პური როგ შვინდის მარცვალი პირდაპირა, აგერე ჩემი ხელით გავავსე და გადავუტანე. ერთი ჰედილაცა, აგე ძმაო, ისიც ხო ცოცხალია, მგელიჭამიანთ მიხა, მაგას გამოვართვი და დავუკალი. ღვინო კიდენა, შვიდი ჩაფი ღვინო! ცოტაა, ჰა, ცოტაა?! აგე ის ხალხი ცოცხალია, განა დაიხონენ: დაბძანდე, ძალათ კნიაზი, ევგენა მღვდელი. იმაში მარგუნეს, ი დამარხვის ხარჯში, ზოგიერთებივით იგრე კი არა მაქნაშოვნი ეგ ადგილი! მიდით და ჰკითხეთ. აგე აქ არიან: დაბძანდე, ყრუვ სვიმანა, ძალათ კნიაზი... ბიჭო, იგრე კი არ არი, როგორც თქვენ არაკუნებთ აქა!

## ლ ე ბ ი

ვინ იყავ შენ, ლეგო? რატომ არავის უთხარი, ვინ იყვნენ შენი დედა და მამა, სად იყო შენი სოფელი ან ქალაქი? რატომ დადიოდი ყოველთვის შუბლშეკრული? იქნებ დედ-მამა შეგიგინა ბატონმა, იქნებ ლამაზი და მოვტაცეს ყაჩაღებმა, იქნებ გულის მურაზმა ვითხრა უარი? რას ეძებდი თეთრი საბატარ-

ძლოს ყინულით შემოღესილ მწვერვალზე? იქ ხომ ღრუბლები სხდებიან ხოლმე თავიანთ საღრუბლო საქმეებზე საბჭობლად, იქ ხომ ქარი ისწორებს ორწოხებში გამოტარებულ ფრთებს.

რედაქცია ივანეშვილი  
სალამო ხანის ჩანაწერი



იქ ხომ მეხი ცეკვავს ცეცხლის ცეკვას დელგამში?! რას ეძებდი და რა ნახე? რატომ შეუბრუნე შენი განიერი ბეჭები თეთრ საპატარძლოს და წახვედი უგზო-უკვლოდ? სადა ხარ, ბიჭო, ლეგო!

სიმღერაში ამაზე მეტი არაფერი არ არის ნათქვამი, მაგრამ დღესაც არიან მოხუცები, რომლებსაც „ახსოვთ“ ლეგოს თეთრ საპატარძლოზე ასვლის ამბავი და ხალისითაც ყვებიან, თუ ასეთი რამეებით დაინტერესებული ადამიანი შეხვდათ. მათი ნაამბობიდან კი, გარდა შემოთქმულისა, აი რის გამოტანა შეიძლება კიდევ.

ჭრელი კაცთა მოდგმა, ძმისავ! ყველას ღედა გვშობს, მაგრამ არავინ არ ვიცით, რად მოეცლინებოდა თვით ჩვენი სისხლნი და ხორცინი მიწას. ერთნი საამო სითბოდ და აღერსიან სინათლედ გადაუვლიან მის გორაკებს და მინდვრებს, მეორენი ჭექა-ქუხილად და ღვარცოფად დაატყდებიან თავს, მესამენი კუმტად შეკრულ ღრუბლად გაივლიან და წავლენ; შევეყურებთ ამ ღრუბელს და გვაკრთობს. შეიძლება მაცოცხლებელ წვიმადაც ჩამოიღვაროს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, ჭვის სეტყვად ჩამოტყდეს. სწორედ აი ასეთ ღრუბლად გაიარა ლეგომ!

ეს ბიჭი ბარიდან ამოჰყვა ცხვარს და სულ ორი თვე იმწყემსა. მისი მნახველები არაფერს ამბობენ გარეგნულისას: ტანმაღალი იყო, თუ ტანდაბალი, თვალები შავი ჰქონდა, თუ ცისფერი. თითქოსდა ისიც კი არ შეუმჩნევიან, პირტიტველა ყმაწვილი იყო, თუ დაწვერულვაშებული ვაჟკაცი. მთიელები უხსოვარ დროიდან ასეთ ჭვრეტას არიან დაჩვეული: ეს კაცი ლაღია სიმართლესავეთო, ესო—ცეცხლივით დაუნდობელიო, ამას კალთით დააქვს სოფლის ბედი თუ უბედობა, იმას თვალი აქვს, რვა თვის ფეხმძიმეს მოსწყვეტს წელსო. ლეგოზეც ასე ამბობენ მოხუცები: საგონებლად იყო შეკრულიო. იჯდა თურმე, შეკუთრებდა თეთრ საპატარძლოს და ისე მიმოდითონ ფიქრები მის შუბლზე, როგორც ღრუბლები ნაწვიმარი მთის კალთებზე.

საამო საცქერი კია ტიალი თეთრო საპატარძლო ზაფხულობით. თითქოს მართლაცდა თეთრი საპატარძლო დამკლარაო ჩალურჯებულ გორმასებებს ფონზე, ხასხასა მწვანე კაბა მორთხმულ მუხლებზე ვადმოუფარებია. წელგამართულია, ამაყი, მეწამულ ჯუბაში გახვეული; სახეზე და მხრებზე კი ყინულისფერი ჩაღრი აქვს ჩამოფარებული, და იმ ჩაღრის ქვეშიდან გითვალთვალეს გიზგიზა თვალებით. ხანდახან აიშლება, მიჰფეშ-მოჰფეშავს სამკაულებად დაკიდებულ მზის ლამაზ სხივებს, გაეხვევა ჯანღში, კაპასობს და თრთის, ღვარებად გასდის ცრემლი, მაგრამ ავი ზნის არ არის. ისევ მალე მოიხასიათებს, გადაიყარის ღრუბლებს და ნამტირალევი, თავისი თავის დამცინად, უმანკო ღიმილით ვადმოიხედავს მადლიდან. ახლოს კი სულდგმულს არ იკარებს, არწივებიც კი რიდით ტრიალებენ სადღაც დაბლა.

მიუკარებელი იყო თურმე ლეგოც. სხვებთან ერთად ინაწილებდა მწყემსურ ჭირ-ვარამს, ხანდახან ხუმრობდა კიდევ; იღიმებოდა კიდევ, მაგრამ თვალები მაინც ზარიანი ჰქონდა. ერიდებოდნენ ტოლნიც და უფროსებიც. ეშინოდათ კიდევ. ხმა კი არც ერთხელ არ აუმაღლებია იმ ორ თვეში. გაშლიდა ცხვარს, ჩამოჯდებოდა ლოდზე, დააწყობდა ხელებს კომბალზე და შეკუთრებდა თეთრ საპატარძლოს. ერთი მოხუციის თქმით, თითქოს ლაპარაკობდნენ კიდევ ლეგო და თეთრი საპატარძლოო. მაგრამ, მე ვგონებ, ეს უკვე მეტისმეტია. მეტისმეტი მოუვიდა იმ მოხუცს...

ერთხელ ნათელი დარი დადგა საოცარი, ცა გადაწმენდილი იყო კიდით-კიდემდე. თეთრი საპატარძლო მოსულიყო სულ ახლოს და ღიმილით ეძახდა, თავისკენ იწვევდა ლეგოს. და ლეგოც წამოდგა, ჩოხის კალთები ქამარში ჩაიკეცა, ქალამნები და პაჭიკები გაისწორა, ცხვარი ამხანავს ჩააბარა და ისიც ღიმილით წავიდა თეთრი საპატარძლოსაკენ. შეშინებული ამხანავი დიდხანს მისდევდა. დიდხანს მისძახოდა, — ნუ, ლეგო, ნუ სჩადი, თავი არ წაავოო. მაგრამ ლეგომ არ გაიგონა, მიდოდა და



მიანგრევდა კლდე-ლორღს. მოსხლეთი-  
ლი ლოდები ჯახაჯუხით ცვიოდნენ უფს-  
კრულებში. შემკრთალი არწივები ყვი-  
ლითა და ფრთების აჩქარებული ქნე-  
ვით უთმობდნენ გზას. აიშალა თეთრი  
საპატარძლო, შეიკრა შუბლი, სადღაც  
იქუხა კიდეც. ლეგო კი მიდიოდა და მი-  
ანგრევდა კლდე-ლორღს. ხანდახან შე-  
ჩერდებოდა, კლდეს მიეხუტებოდა, რა-  
ღაცას უგდებდა ყურს. რა ესმოდა, არა-  
ვინ არ იცის, გაეღიმებოდა კია, და ასე  
ღიმილით იწყებდა შემდგომ კლდეზე  
ასვლას. ბოლოს, როგორც იქნა, ეს  
კლდეებიც გათავდა. დაიწყო გეო, ავად  
ალაპლაპებული ყინულის ფერდობი.  
ქარი სთომავდა, აბობოქრებულ ბუ-  
რუსში ზუთ ნაბიჯზე ველარაფერს ხე-  
დავდა, სუნთქვა უძნელდებოდა. მაინც  
ჯიუტად მიიწევდა მაღლა. წაიქცეოდა,  
მოსხლტებოდა, მაგრამ შეშინებული კი  
არა, დარცხენილი დგებოდა. ასე იარა  
დიდხანს, დიდხანს... და უცებ იგრძნო,  
რომ აღმართი გათავდა. რამდენიმე ნა-  
ბიჯი ექვიანად გადადგა გავაკებულ ყი-  
ნულზე, იქით თავქვე დაიწყო. ამობ-  
რუნდა, შემალღებულზე დადგა. აღარ  
იცოდა, რა ექნა. ხან მაღლა იყურებო-  
და, ხან დაბლა. ყოველის მხრიდან სქე-  
ლი ბურუსი ეხვეოდა. მერე სადღაც  
ქვემოთ მზემ გაიელვა წამით. შუადღე  
კარგა ხანია გადასულიყო. აქ დიდხანს  
დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ხელები  
გაშალა, დატრიალდა. — ეჰეი, მე აქ ვა-  
რო, დაიძახა და თავის ხმას გაადევნა  
ყური. ჩქამი არსაიდან არ მოსულა. მა-  
შინ დაიჩოქა, ხანჯალი ამოიღო, სამჯერ

აკოცა ყინულს და ხანჯალი იმ ნაკრეს  
ადგილას დასცა. ხანჯლის წვერმა ყინუ-  
ლის ნაპერწკლები ამოყარა და გაჩერდა.  
თვითონ ადგა, მუხლებზე ხელი ჩაისცა  
და წამოვიდა.

შებინდებისას უკვე ბინაში იყო. მოკ-  
რძალეულნი, აღტაცებულნი შეჰყუ-  
რებდნენ ამხანაგი მწყემსები. ლეგო კი  
იღიმებოდა და არაფერს ამბობდა  
მეტს: ავედიო, ჰო, ავედიო. მერე? მერე  
რალა? ავედი და აი, ჩამოვედიო. დასის-  
ხლიანაბული ფრჩხილები დაუნახეს.  
ერთმა არაყი ამოიღო, — გადაივლო.  
გაიღიმა, ხელები გაუმვირა და არაყი  
წყალივით გადაივლო.

ღილით კი, ცხვარი რომ გაშალა და  
ჩვეული სიყვარულით გახედა თეთრ  
საპატარძლოს, თავზარი დაეცა. თეთრი  
საპატარძლო კიდეც უფრო ახლოს მო-  
სულიყო, იმ ერთ დამეში უამრავი ნაო-  
ჭი გასჩენოდა სახეზე, ცდილობდა აღ-  
რინდებურად გაეღიმებინა ლეგოსთვის,  
მაგრამ ეს იყო ქმარყოფამოშლილი ქა-  
ლის ცუდი, ცუდი ღიმილი. ლეგომ სა-  
ხეზე ხელები აიფარა და ასე დარჩა  
დიდხანს.

მეორე დღეს კი წავიდა. არავითარი  
გასამრჯელო არ უთხოვია ცხვრის პატ-  
რონისაგან, მარტო ჯოხი აიღო და წავი-  
და, წავიდა აღმოსავლეთისაკენ. ერთ  
ხანს ჩანდა ლოდებს შორის. მერე ფერ-  
დობს ჩაეფარა. სხვას აღარავის არ უნა-  
ხავს მეტად.

მე შემინდვია, მოხუცებო, თუკი ზო-  
გი რამ გამოგონებულია თქვენს ნაამ-  
ბობში!..

## რუშის ნამსკრევი

დილის გრილ ცაზე ჯაფარა ამოფრინ-  
და, რბილად შემოუარა მაღალი წიფლე-  
ბის გარინდებულ კორომს, ფრთები  
მომტვრეულივით ააფათქუნა, ფეხები  
ჩამოუშვა, ხმელ როკზე დააბირა დაჯ-  
ღომა, მაგრამ უცებ ხეზე რაღაცა დაი-  
ნახა, დაიხსავლა, შემფოთებული ავარ-  
და მაღლა და გაფრინდა. ხის ტოტები

აფაჩუნდა და იქიდან პატარა ბიჭმა  
ამოყო თავი. დანტრეტებული იყურე-  
ბოდა, საითაც ჯაფარა გაფრინდა. რა-  
კი ველარაფერი დაინახა, ძირს ჩაიხე-  
და: იქ, ძირს, თითქოსდა მიწაზე დაფე-  
ნილ სიფრიფანა ფოთლებს შორის, მისი

**რეზა ივანიშვილი**  
სალამო ხანის ჩანაწერები



პატარა ყავისფერი ფეხსაცმელები ეწყო. ისინი ახლა ცოცხლებს ჰგავდნენ. ერთმანეთს მიხუტებოდნენ და ვიდაცას ემალებოდნენ. ბიჭს ვაეღიმა, ტოტს ვადალაჯა და მოხერხებულად დაჯდა. ნელ-ნელა ქანაობდა და ფიქრობდა. მერე ნაცნობმა ხმაურმა მიიქცია მისი ყურადღება. ფერდობის თავზე, თეთრი სახლის მხრიდან, მოკლევადიანი გოგონა მოდიოდა. მოდიოდა კი არა, სახტუნაო თოკს ატრიალებდა და წვრილი, მაღალი ფეხებით სკუპ-სკუპით მოხტოდა. ბიჭს სახე გაუბრწყინდა, ხელი მილივით გააკეთა, ტუჩებთან მიიტანა და ბოხვერა კატასავით დაიჩხვალა: მიაუ!... გოგონამ ვერ ვაიგონა. მამინ ბიჭმა ხმას აუწია. გოგონა შეჩერდა (სახტუნაო მორჩილად ჩაიკლავნა მიწაზე), ფართოდ გახეულილი შავი თვალებით ეძებდა იმ ხმის პატრონს. ბიჭმა სუნთქვაც კი შეწყვიტა. გოგონამ ერთხანს ეძებდა, მერე სახტუნაო და დაიქნია და ხტუნვა განაგრძო. ბიჭს ვაეღიმა და ხელახლა ატეხა: მიაუ! მიაუ! ჰავ! ჰავ! ამჯერად კი გოგონასაც ვაეღიმა. სახტუნაო აკეცა, წელზე შემოიხვია, მაღლა-მაღლა ყურებით ჩაირბინა მწვანეანი ფერდობი, წინ შემხვედრ ხეებს გრძელი, სუფთა მკლავებით ეჭიდებოდა, შეჩერდებოდა და ისევ მაღლა იყურებოდა. ბოლოს სწორად ასულ წიფელთან შევებით ამოისუნთქა, — ბალახებში ჩაყუჩული ფეხსაცმელები დაინახა.

— დათო! — დაიძახა ნასიამოვნებით ხმით.

წიფლის ტოტზე ვატერენილი ბიჭი ხმას არ იღებდა. გოგონა ხეს ირგვლივ უვლიდა, თვალებზე ხელს ირდილებდა და ისე იყურებოდა მაღლა, მაგრამ ბიჭი მაინც ვერ შეამჩნია. მამინ ფეხსაცმელები აიღო რაღაც მეტისმეტი სიფრთხილით. ეს იყო ცხვირდაჩხვლეტილი სანდლები, ოცდაათოთხმეტი ან ოცდათხუთმეტი ნომერი. საქუსლეები ოდნავ ჩასტეკყოდათ. გოგონა დიმილით დაპყურებდა, ამოაბრუნა და ლანჩაზეც დახედა. მერე გაიქცა.

ბიჭმა ყვირილი დაიწყო:

— ე, ე!

გოგონა შეჩერდა. ახლა ის მაღლა იყო, ნახევრადშემობრუნებული, გმანკვევადგამზადებული იყურებოდა სწორადასული წიფლისაკენ, და დაინახა, ბიჭი დაინახა!

— უჰ! როგორ ახვედი?

— დადევრე საჩიჩელი, ვკარ ზედ ბუქნი და ამოვხტი!

— საძაგელო!

— ჰო, ჰო!

გოგონამ ბიჭის სახედლები ძირს დააწყო, თავისი თეთრი ფეხსაცმელებიც გაიძრო, წვრილი, მსუბუქი ფეხებით გაირბინა ბალახებზე და წიფელს მივარდა.

— გგონია, მე ვერ ამოვალ?

— არ ამოხვიდე, გესმის! — შემფთობებით ჩამოსძახა ბიჭმა.

გოგონამ ყური არ ათხოვა, წიფელს ხელები შემოხვია, აცოცება დაიწყო. ბიჭი ადგილს მოსწყედა და საოცარი სისწრაფით დაეშვა დაბლა. თან სულ იძახდა:

— არ გაბედო, გესმის? არ გაბედო! ჩავარდები!

არ დაუნახავს, როგორ გამოეღია გოგონას ძალა, როგორ დაცურდა ხის ვლუ ძირზე და სასოწარკვეთილი იქვე ჩაიკეცა. ბიჭი კინაღამ ზედ დაახტა.

— სულელი! — ისწორებდა წინწამოშლილ სწორ მძიმე თმას გოგონა.

— სულელი შენა ხარ, სად მიძვრები?

— შენ რომ მიძვრები?

— მე ბიჭი ვარ.

— ოჰ, ბიჭი! დიდი ამბავი, თუ ბიჭი ხარ!

ბიჭი გაწითლდა, გვერდზე ბალახი მომუტა, მოგლიჯა და გაუბედავად თქვა:

— მე რომ ჩამოვვარდე, არაფერია!

— რატომ ვითომო?

— მე რომ ფეხი მომტყდეს, არაფერია, ბიჭი ვარ. შენი კი არ შეიძლება...

ბიჭმა გოგონას გრძლადგამოშლილ სწორ ფეხებს გადაატარა თვალი. გოგონამ კამბის მოკლე კალთა წინ წამოიწია და თეთრ ბარკლებზე დიფარა.

ბიჭი წამოდგა, გოგონას აღარ უყურებდა. უცებ რაღაც დაინახა.

— ფშველი მოვიდა! — წამოიძახა და გაიქცა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შეჩერდა, მიმოიხედა.

— ხეძი სანდლები რა უყავი? გოგონამ ორივეს ფეხსაცმელები მოარბენინა. ბიჭმა ტერფები წვივებზე შეიწმინდა, სანდლების გადასაჭირებელი არ გაუხსნა, ისევე ჩაიცვა. გოგონამაც აითრია თავისი ფეხსაცმელები და ქშენით, ფათაფუთით აირბინეს აღმართი. მაღლა, პატარა მოედანზე ბოხოხიან მოხუც ფშველს დაბალი ლევა ცხენი გაეჩერებინა და მუცელთან რალაცას უსინჯავდა, ეს ფშველი ხშირად მოდიოდა ხოლმე. ხან ერბო მოჰქონდა, ხან ყველი, ხან მაწონი. მოაგარაკეთა მიუყრებულ ცხოვრებამში გამოცოცხლება შეჰქონდა. დღეს ადრე იყო, მოედანზე არავინ ჩანდა. მოთელილ, მიწაში ჩაჭყლებილ ბალახს სისველე შემორჩენოდა. ფშველმა ცხენს ლაგამთან ჩასვიდა ხელი, პატარა ფანჩატურთან აიყვანა, ბოძზე მიაბა. ბოხოხი მოიხადა, დატკენილ ჭლარა თმაზე ხელი ჩამოსვა, ბოხოხი ისევე დაიხურა. გოგონამ ახლოს მიიბრინა, ბიჭი ცოტა მოშორებით გაჩერდა.

— რა მოიტანე, ბაბუა? — იკითხა გოგონამ.

ფშველმა მოხედა, თითქოს რაღაც უჩვეულო რამ დაინახაო, თვალები ჯერ მოჰუტა, მერე ჩქარ-ჩქარა დაახამხამა, მერე გაეღიმა, წვერ-ულვაში გაუნათდა:

- მაყვალი, მაყვალავ.
- მე მაყვალა არა ვარ!
- აბა?
- ცირა.
- აჰ, არა! მაყვალა ხარ, მაყვალა!
- დედას გეფიცებით!

ფშველი სიამოვნებით იღიმებოდა და უნაგირს უკან გადაკიდებულ ხურჯინს თასმას ხსნიდა. აი, ახსნა. გამოიხედა, ბიჭი დაინახა, დაუძახა:

— ერთი ახლოს მოდექ, ბალო!

ბიჭი მივიდა.

ფშველმა ხურჯინის გაბერილ თვალს ხელები ქვემოდან ამოსდო.

— აესე დამიჭირე.

ბიჭი გაუბედავად შეენაცვლა.

— მაგრა დაიჭირე, ბალო, ნუ გეშინიან!

ფშველმა ცხენს წამოუარა, მეორე თვალი ასწია, ბიჭისკენ წამოილო. ბიჭმა ხურჯინის სიმძიმე იგრძნო, დაიძახა, სიწითლემ აჰკრა. უცებ ცხენი შეტოკდა, კუდი გაიქნია და ცოტა გვერდზე მიდგა. ბიჭმა ხურჯინს ხელები გაუშვა და უკან გახტა. ხურჯინის მეორე თვალი ფშველსაც გაეშვა. გაისმა ყრუ ქლარუნე და ძირსდაცემული ხურჯინის თვლებიდან ორი შავი ნაკადი გამოსკდა. აქ შემალღება იყო. ეს ორი ნაკადი მისწრაფოდა ქვემოთ, იშლებოდა, ფართოვდებოდა, ფუსფუსებდა, ბოლოს შეერთდნენ და შეჩერდნენ. გოგონას ხელები ლოყებზე ჰქონდა შემოწყობილი და შეშინებული დაჰყურებდა ამ უცნაურ სურათს. ფშველმა ხურჯინს ხელი წამოჰკრა, ჩაიხედა, მერე დაბნეულ მაყვალს გაადევნა თვალი, ფუო, მაგრამ აქ ისევე პატარა გოგონა შეამჩნია და შუბლი გაეხსნა, წელში გაიმართა, ხან გოგონას შეხედავდა, ხან დაბნეულ მაყვალს. მერე უცებ წამოიძახა:

— რა ლამაზია ეს ტიალი, არა?

გოგონასაც თვალები გაუნათდა და ჩაიჩოქა:

- მოკკრიფოთ!
- იყოს მაგის...
- მოკკრიფოთ, მთლად სუფთაა, აი, ნახეთ!

გოგონამ მუქა აივსო, ხურჯინში ჩადგმული ვედრო მოითრია და შიგ მაყვარა.

ფშველმაც ჩაიჩოქა. ისინი კრეფდნენ მაყვალს და იღიმებოდნენ.

ბიჭი კი ხეზე ასულიყო და იქიდან იყურებოდა გაბოროტებული თვალებით. გრძნობდა, რომ წახდა, თავს ლაფი დაესხა, მაგრამ უცნაური სურვილი დაუფლებოდა: უნდოდა ჰქონოდა გრძელი, ბასრი მახვილი, ყოფილიყო ცოტა დიდი, გაეძრო ეს მახვილი, გაეწვია ის ფშველი ხმალში, შეჰბომდნენ ერთმა-

---

**ამაზა ინანიშვილი**  
სალამო ხანის ჩანაწერები



ნეთს და... კი არ მოეკლა. არა. დაეცა მიწაზე, დაეგდებინებინა აი ის ბრტყელი შავი ხანჯალი და მკერდზე გამარჯვებულს დაედგა ფეხი...

ფშაველს კი ერთხელაც არ გამოუხედია მისკენ.

გოგონა და ის რაღაც საამო გაფაციცებით დასტრიალებდნენ ფერდობზე ჩამოდვრილ შავ ნაკადს, ერთიც და მეორეც გახვეული იყო თითქოსდა არა-ამქვეყნიურ სინათლეში... და ბიჭმა მხოლოდ მაშინ იგრძნო, საყრდენს რომ

მისწყდა, როცა საზარლად გაუხიზნა ყურებში ქარმა.

მას შემდეგ ბევრი, ძალიან ბევრი წელიწადი გავიდა. იმდღეინდელ ბიჭს ახლა ბევრის მცოდნე და ბევრის მნახველი მამაკაცი ჰქვია. მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ყავარჯენს მოჰკიდებს ხელს, მაინც ასე ეჩვენება, რომ მის მიერ გამოვლილი უდიდამო დღეების ფონზე მხოლოდ ის ერთი დღე ბრწყინავს მიმზიდველად... ბრწყინავს ღამეულ უღამნოში ჩარჩენილ შუშის ნამსხვრევით.

### სამეხტი წლის ბიჭი

ცამეტი წლის ბიჭი დეიდასთან იყო სტუმრად, რაღაც აწყენინეს და, არავისთვის არაფერი უთქვამს, გამოიპარა. თავის სოფლამდე ოცდახუთ კილომეტრზე მეტი ჰქონდა გასავლელი, თანაც თოვლქუაპში, იანვრის მოკლე დღეს. ორდობეები თავჩალუნულმა გაიარა, სოფლის განაბირას, კალოებისა და საბძლების იქით შედგა, შარვლის ტოტები წინდებში ჩაიტანა, პალტოს ღილები შეიკრა, საყულო ყურებზე წამოიწია, ერთი მიბრუნდა, მუქართა თუ ბრაზით გახედა ნისლში მიკარგულ სახლებს და გამოიქცა. მორბოდა ზომიერი ნაბიჯით, მკერდთან აკრფილი ხელებით, ისე, როგორც ამას ფიზკულტურის მასწავლებელი ასწავლიდა. ეგონა დიდხანს ირბენდა ასე, მაგრამ ნახევარი კილომეტრიც არ ექნებოდა გარბენილი და ქომინი აუვარდა, ისევე ნაბიჯზე გადავიდა. აქ ამ დროს მანქანები არ დადიოდნენ, თუნდაც ევლოთ, ბიჭს ფული არ ჰქონდა და გაჩერებას ვერ გაუბედავდა. აქეთ რომ მოდიოდა, ცხენზე იჯდა, ამინდიც მშრალი იყო, შხიანი. ტყიან ფერდობებში შაშვები და ჯაფარები დაფრინავდნენ, გზის აქეთ-იქიდან ერთმანეთს გადასძახოდნენ ლამაზი სკვინჩა ჩიტები. ახლა ჩაჩუმებული, ჩაღუშული იყო ყველაფერი. შვადაპარიალებულ რცხილებს და ჯაგმუხებს მძივბევით დაჰკიდებოდა წვიმის მსხვილი,

კამკამა წვეთები, და იმ წვეთების მოწყვეტისა და ფოთლებზე დაცემის ხმა თუ შემოესმოდა, ისიც მაშინ, როცა შეჩერდებოდა. აღმართი აკრთობდა, ეჩვენებოდა რომ იქ, მაღლა, ბნელოდა. არც უამისობა იყო, ხის ტოტებში გახლართული ნისლი სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯის იქით ფუსფუსებდა და იწეწებოდა. დაღმართში გული ეძლოდა, გარბოდა. ერთი ორჯერ მოკლეზეც ჩასჭრა, მაგრამ ძალიან დასველდა და ისევე გზაზე სიარული ამჯობინა. ვერც ბალახს მიეკარებოდი და ვერც ხეს, შრიალით მოდიოდა მსხვილი, მძიმე წვეთები. ჯიბეში პატარა, ფრჩხილის საკვეთი დანა და პური ედო, ხელისგულისოდენა, ჩუმადღებულ პური. პირველი მთა რომ გადაიარა, ხელი წაუცდა და ცოტა წააციცქნა იმ პურს. მაგრამ მერე გაახსენდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, გზას რომ გაინახევებდა, იქ შეექამა, და თავი შეიკავა. „მთავარია, საჭმელზე არ ვიფიქრო“, — თქვა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. აქ მთები გზიდან შორს იყვნენ გასული, ნისლიც მაღლა იყო აწეული. ხელმარჯვნივ, მდინარის გაღმა, სოფელი მოჩანდა. პატარა ტაფობში ნახირი სძოვდა. ბიჭი შიშით რაღაცას უკვე აღარ განიცდიდა, მაგრამ გული მაინც დამძიმებული ჰქონდა. დეიდა ადარდებდა. დეიდასაც დამნაშავედ სთვლიდა იმ ამბავში, რამაც გამოპარვა გადაწყვე-

ტინა, მაგრამ მაინც აღარდებდა. მოიკითხავდნენ, ვერ ნახავდნენ და გადაიროლა საცოდავი ქალი! სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ბიჭის მიერ დადებული სასჯელი, მაგრამ მაინც აღარდებდა. „თუ გააკეთებ ასეთ რამეს, აღარც უნდა იხანო“, — დაასკვნა ბოლოს და ცდილობდა, სხვა რამეებზე ეფიქრა, აი, მაგალითად, „გრძნობენ თუ არა მცენარეები, მე რომ გავუარე ახლა გვერდზე? ან მიწა თუ გრძნობს, ფეხს რომ ვადგამ ზემოდან?“ გაელიმა. „თუმცა რა, რანაირი პატარა ქინქვლაც არ უნდა დაგაჯდეს...“ ხევიდან მენახირე ამოვიდა და გზის მახლობლად გაჩერდა. საჩიხწინწამოწეული ბრეზენტის საწვიმარი ეცვა, ილღით მსხვილ ჯოხს დაჰყრდნობოდა. ბიჭი ფეხაკრეფით მიდიოდა, არ უნდოდა მენახირეს შეემჩნია, მითუმეტეს — რამე ეკითხა. მაგრამ მენახირემ შეამჩნია. მობრუნდა და ყურება დაუწყა. ბიჭმა გამარჯობა უთხრა, გავიმარჯვოსო, — გაგარქელა მენახირემ. კითხვით კი არაფერი უკითხავს. აქ უკვე ფეხჩქარებულს, პურზე ხელი ისევ წაუცდა. პატარა მოატეხა. გაახსენდა თავის თავისათვის მიცემული პირობა და შერცხვა. ის პურის პატარა ნატეხი რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა. კინალამ გადააგდო. მაგრამ მერე თქვა, „პურის გადაგდება არ შეიძლება“, და პირში იკრა. „ისევ ჯიბეში ჩაგედო“, — წამოეწია თითქოს სხვისი ხმა. „ო, აღარც მაგდენად ღირს! მთავარი სხვაა. მთავარია, არ დამიღამდეს. თუ დამიღამდა? ღამეც ვივლი. ღამე არ ამოვედით ამ ზაფხულს მინდვრიდან? გადაირევა ბებიანემი. ნეტაც შუადღე თუ გადავიდა?“ ცა კიდით კიდემდე ერთი ფერის იყო. წვრილი, წვრილი წვიმა ჩამოდიოდა, ხანდახან თოვლის ფიფქებიც ჩამოსდევდა, ნახევრადგამდნარი თოვლის ფიფქები.

გზა ხევში ჩავიდა. ზაფხულში აქ, ეტყობოდა, დიდ ნიაღვრებს ევლო. რიყის აქეთ-იქით აყრილი მურყები და თხილები მინამუხლი ნარიყით იყო სავსე. ახლა ოდნავ შემდგრადი ლიკლიკა ნაკადული მიედინებოდა. პატარა ტბორს

ზემოთ, გაქერქილ ხმელ როკზე, ალყუნი იჯდა. ბიჭს გაგონილი ჰქონდა, ალყუნი ლიფსიტებით იკვებებოდა. „ნუთუ ამ წყალში თევზები არიან?“ გაჩერდა და ცლა დაიწყო, აბა რას იზამს ეს ტბორს-ჩაშტერებული ჩიტო. მაგრამ მერე უცებ გაახსენდა, რომ ისედაც აგვიანდებოდა და ხელები აუქნია, დაუყვირა კიდევ — „პოუ!“ ალყუნი აფრინდა, კი არ აფრინდა, როკიდან ძირს დაეშვა და ასე, ცისფერი ფრთების ციმციმით გაუყვა რიყეს.

ხევის იქით შარავზა იყო. წონწონში არეულ ხრემს კარგად ეტყობოდა მანქანების კვალი. მაგრამ რა! რომც ყოფილიყო მანქანა, როგორ გაუბედავდა გაჩერებას! შემოხვდნენ გომბორიდან მომავალი ცხენოსანი ოსები — ორი კაცი და ორი ქალი. ჰკითხეს, ვისი ხარო. სხვაგნებური ვარო, — და სულ ეს იყო. ოსებმა ეკვისთვალის აადევნეს ბიჭს, იმასაც გულმა რეჩხი უყუო, მაგრამ აღარ ჩასძიებინა, თავიანთი გზა განაგრძეს. ბიჭმაც ნაბიჯს აუჩქარა.

გომბორში დაბა-სოფლისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სურათი დახვდა. ბაზარში რამდენიმე სიცოცხით აბუზული ქალი იდგა, საპარკიმახერო უსაქმური გამომეტყველების ხალხით იყო სავსე, საკოლმეურნეო წერტისწინ, გაქონილ ბოძზე, ღორის ფეშნო ეკიდა. იქვე, ათიოდ ნაბიჯზე მალაზია იყო, ბიჭი შევიდა და გამყიდველს საათი ჰკითხა. უკვე ოთხი ხდებოდა. გამყიდველს არ შეუშინებია, ბიჭს რომ სახეზე სიწითლემ გადაუარა, არც იმას დაუინტერესებია, რატომ იყო ასე დასველებული. ბიჭი გარეთ გამოვიდა. ველარ გაგადაწყვიტა, გზა განეგრძო თუ აქ სადმე დარჩენილიყო. მაინც სად უნდა დარჩენილიყო? ცრემლები მოერიო, თავი შეეცოდა. მერე უცებ თავისი გადაწყვეტილება და ქაღილი გაახსენდა — ღამეც ვივლიო, პალტო გაისწორა, პური ამოიღო, ღონივრად ჩაკბიჩა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ხო, გზისპირა ონ-

**რეაზი ივანიშვილი**  
სალამო ხანის ჩანაწერები



კანზე წყალიც დალია. ოდნავ შესცივდა. ამან ფეხი კიდევ უფრო ააჩქარებინა. მიდიოდა და უკვე სხვაზე არაფერზე ფიქრობდა: „ამ აღმართს მერე არყნარია, არყნარის ქემით—ნავომურლები, ნავომურლებს იქით—თელიანხევი, თელიანხევის იქით — ვაკე ტყე“.

გადასავალზე თხელი თოვლი იდო, კვლავაც თოვდა. „აქ მალღობია, დაბლა ჩავალ და ისევ წვიმა იქნებაო, მაგრამ არა, თოვლი, პირიქით, გახშირდა. ნავომურლების დიდი ველი თეთრად იყო გადაბუნტილი. ერთი პირობა ესეც იფიქრა, რომელიმე ჯერაც ჩამოუნგრეველ გომურში ხომ არ დავკრჩეო, მაგრამ წარმოიდგინა თუ არა გომურის სიბნელე, ეს ფიქრი მაშინვე თავიდან მოიშორა. ჩქარობდა ის და ჩქარობდა თოვლიც, უკვე წვრალი, ხორხომელასავით მაგარი თოვლი. ეს წვიმას სჯობდა. აღარ ასველებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თოვლი უფრო აკრთობდა. თოვლი და მშვიერი ნადირი როგორღაც ერთმანეთთან იყო დაკავშირებული!

თელიანხევი იგრძნო, რომ უღამდებოდა, მაგრამ აღარ შეშფოთებულა. ერთი ტყელა ჰქონდა გასავლელი, ამ ტყეს გაივლიდა და სათავიანთოში იყო. მაგრამ სწორეთ ამ ტყის გავლა იყო საქმე! ნახევარზეც არ იქნებოდა მისული და დაღამდა. შინ, ლოგინში ჩაბთუნებულს რომ წარმოედგინა ასეთ ადგილას თავისი თავი, ალბათ შეზარავდა. ახლა კი ღამე მხოლოდ აბრაზებდა. მართლამე კი არა, აბრაზებდა ბიოკიც, უშნოდ გამოწვედილი ტოტებიც და ეს, მისდაგასაოცრად, ძალას მატებდა. „მთავარია, გზა არ დავკარგო, მთავარია, ბუწქნარში არ გავება, თორემ ნადირი... ნადირი ტყეში ვერაფერს ვერ დამაჯლებს, ხეები აქ არ არის?!“ ახსენდებოდა, რაც კი სახიფათო მოგზაურობაზე წაიკითხული ან გაგონილი ჰქონდა. მიდიოდა და თვითონვე უკვირდა, რომ მაინცდამაინც არ ეშინოდა. ასე თუ ივლიდა, ბევრი-ბევრი ერთი საათი და ტყიდანაც გავიდოდა. ერთი საათი, მხოლოდ ერთი საათი! და გარბოდა, შეიქაჩანებდა ცოტას და ისევ გარბოდა.

სირბილის დროს თითქმის არაფერს ვერ გრძნობდა, არც არაფერს ხედავდა. წინ დატოვებული სიცარიელე თვითონ კარნახობდა, საით უნდა ევლო. მაგრამ მოხდა სწორეთ ის. რისაც ყველაზე მეტად ეშინოდა: გზა დაკარგა, ბუწქნარში ვაება. გამობრუნდა, იხრებოდა და ისევ ეძებდა ბიოკის ნიშნებს. ვაჟამდა, არაფერი გამოუვიდა. მაშინ გაჩერდა და თქვა: „მორჩა, გზის გაგრძელება აღარ შეიძლება. ხეზე უნდა ავიდე და აქ გავათენო“. ხეები იდუმალი სულელებით იდგნენ, ისინი ისეთივე უფორმო და უსხეულო იყვნენ, როგორც სიბნელე. შიშით ადებდა ხელს ხან ერთს, ხან მეორეს. რწმუნდებოდა, რომ ისეთებივე იყვნენ, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ, წიფლები — გლუნი, ცივები. მაინც როგორღაც აფრთხობდნენ. ბოლოს თითები აბედოვით გამომშრალ, შედარებით თბილ, ხეხეშა ქერქს შეახო. ეს მუხა იყო. ოდნავ წამოხრილი დიდი მუხა. ისე გაეხარდა, თითქოს ნაცნობ კეთილ მოხუცს შეხვედროდეს. მივიდა და იმ მშრალ ადგილას მიეხუტა. გული დაუმშვიდდა. გაეღიმა კიდევ, ეს რა უცნაურობააო. მერე ააბობლდა ზედ, სამი ტოტის გასაყარიდან თოვლი გადაბერტყა, ჩაჯდა და ხელები პალტოს სახელოებში შემალა. ერთხანს კანკალებდა. მაგრამ ეს შიშის ან სიცვიის კანკალო არ იყო, დალილი კუნთები უთრთოდა. „არავითარი ავი სულები არ არსებობენ. ნადირი კიდევ აქ ვერ ამოვა. მთავარია, არ ჩამეძინოს, თორემ შეიძლება გამყინოს, ანდა ძირს ჩავევარდე. შემინახე, კეთილო მუხახე!“ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკიოდა. ქამარი მოიხსნა, პალტოს კოფოს გაუყარა, ტოტს შემოახვიდა შეკრა. ისევ მოიკუნტა, ხელები ისევ პალტოს სახელოებში შეიყო. სიამოვნებდა კიდევ ერთი რამ: როცა მოდიოდა, ეჩვენებოდა, რომ ტყე სულგაქმენდილი იყო. ის თითქოს რაღაცას ელოდა. ახლა განთავისუფლებული იყო ამ მოლოდინისაგან, მშვიდად სუნთქავდა, მშვიდად შრიალეზდნენ მშრალი ფიფქები ხმელ ფოთლებზე: „მთავარია, არ დამეძინოს. მე ბიჭი ვარ და არ უნდა

დამეძინოს“. ფიქრობდა თავის კლასელებზე, უფრო გოგონებზე. რას არ გაიღებდა, იმათ სცოდნოდათ ახლა მისი აქ ყოფნის ამბავი. იქამდე მიიყვანა ამ ფიქრმა, რომ კინალამ ძირს არ ჩავიდა და გზა არ განავრძო. ტყეში სიარული უფრო მეტი გმირობა იყო, ვიდრე აქ ჯდომა. მერე თავი ამით იმართლა, ამ კუნაპეტში კაცო როგორ ივლისო, და ისევ თავის ადგილს მიენდო. „მთავარია, არ დამეძინოს“. იშმუშნებოდა, მხრებს ათამაშებდა — ამით ძილსაც იგერიებდა და სიცივესაც. დამე და ტყე კი იყვნენ დიდები, ძალიან დიდები მასთან შედარებით... და უცებ წყნარ, გაბმულ შრიალში რაღაც სხვა ხმა გაისმა, რაღაც თქრიალი თუ ფლოქვების ხმა. „ნადირი!“ — უსიამოვნოდ დაირეკა ბიჭის გულში. აიწია, ქამარმა არ გაუშვა. ხმაური კი ძლიერდებოდა — თითქოს რამდენიმე ფლოქვოსანი ცხოველი უახლოვდებოდა მუხას. ბიჭმა ქამარი გახსნა, დაახვია, ჯიბეში ჩაიღო და ზედა ტოტზე აინაცვლა. გაისმა ლაწანი, მერე ხვნეშა. ბიჭი კანკალმა აიტანა და აქ მეზვიით გავარდა ადამიანის ხმა: „ჰა, თავმკვდარო!“

ბიჭი ფათაფუთით ჩამოხოსდა მუხიდან. „ძია! ძია!“ — ატეხა ყვირილი. გარბოდა, მიფორთხავდა, ცრემლები ჩამოსდიოდა და ყვიროდა: „ძია! ძია!“. მერე ვილაცამ ასანთი გაჰკრა. „ეუჰ, აქ რა გინდა, ბიჭო!“ ორნი იყვნენ, ორივე

ცხენებზე ისხდნენ. დაქვეითდნენ. ხსენება გაჰკრეს ასანთს და ბიჭმა ორივენი იცნო. ერთი კოლომეურნეობის თავმჯდომარე იყო, მეორე — ფერმის გამგე...

\* \* \*

ტყე უყვე შორს იყო დარჩენილი, სადაცაა თავიანთ სოფელსაც გადახედავდნენ. ბიჭი ფერმის გამგის უკან იჯდა, ხელები წელზე შემოეხვია. ფერმის გამგის ფარაჯას ასლიოდა სველი მატყლის რაღაც შინაური, თბილი სუნი. მორჩენილიყვნენ გამოკითხვას, გაკვირვებას და დარიგებას. ცხენები ჯიქური ნაბიჯით მიიარღვევდნენ სიბნელეს. ბიჭი კი იჯდა და... ის ზომ ცავეტი წლისა იყო... ისევ ცრემლები ჩამოსდიოდა. ახლა მას ის ატირებდა, რომ თავმჯდომარემ და ფერმის გამგემ საძაგლად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის უშველეს, უშველეს, როგორც წყალწალბებულს, როგორც მათხოვარს. სულ ცოტა ხნის წინ კი გმირად გრძნობდა თავს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი რამის გაკეთება დაიწყო, რაზედაც ვერც ერთი მისი ამხანაგი ვერ ამოიღებდა ხმას. ვერ შეძლო ამ საქმის თავის მობმა და ნელ-ნელა, მწარედ ჩამოსდიოდა სირცხვილის ცრემლი გაციებულ ლოყებზე.

კიდევ კარგი, რომ ბნელოდა და ამ ცრემლებს მაინც არ ხედავდნენ საღვალაც ოსებში შეჭედიფიანებული თავმჯდომარე და ფერმის გამგე.



●

გავლა მიყვარდა ბავშვობაში მესაათესთან,  
 თითქმის ყოველდღე ვაკითხავდი ნაცნობ ნათესავს.  
 დახლებზე იდგა მთელი ჯარი და ჯამაათი:  
 ვერცხლის საათი, ხის საათი, ოქროს საათი.  
 შემომყურებდნენ გაკვირვებით ვიტრინებიდან:  
 ზოგი ეყარა, ზოგი ეწყო, ზოგი ეკიდა.  
 ბევრჯერ დავთვალე — სამოცი თუ სამოცდაათი —  
 მაჯის და ჯიბის, მაგიდის და კედლის საათი.  
 სდუმდნენ ისინი. მალღებოდა მიწა ზეცამდი.  
 მე მათ ვეძახდი მკვდარ საათებს, დიდხანს ვეძახდი...  
 ერთ ზაფხულს ზღვაზე წამიყვანეს: ზღვიდან ძალატი  
 ამონათრის, გადამაცვეს ხამის ხალატი,  
 გამომიცხადეს შუადღისას მკვდარი საათი  
 და ჩემი მკვდარი საათები უცებ გაცოცხლდნენ.

●

18 აპრილი

ცამ აიფარა თეთრი პირბადე,  
 მზე უცინოდა მიწას შორიდან, —  
 იმ წელს,  
 როდესაც შენ დაიბადე,  
 ძალიან დიდი თოვლი მოვიდა.  
 არ მოჰყოლია ავდარს ხიფათი  
 და ზეცამ შუბლი გახსნა თავისით,  
 იმ თვეს,  
 როდესაც შენ დაიბადე,  
 არც მარტი ერქვა და არც მაისი.  
 დედამიწაზე დიდი სინათლე  
 ენთო ლამაზი ქალის ტანივით...  
 იმ დღეს,  
 როდესაც შენ დაიბადე,  
 გარდაიცვალა აინშტაინი.

●

ადამიანი წარსულსა და მომავალს შორის  
 ცხოვრობს და ზუსტად დათვლილია მისი დღეები:  
 მხოლოდ იმდენი დღე აკლდება კაცის მომავალს,  
 რამდენიც წარსულს ემატება. ბოლოს მომავლის  
 დღე უთავდება ადამიანს, მხოლოდ წარსულის  
 დღეები რჩება...  
 ჩვენ ამ მომენტს ვეძახით სიკვდილს.

ჩვენ რომ მოგვკვდებით,  
მხოლოდ ზოგისთვის  
მოგვკვდებით, რადგან ზოგისთვის ვცოცხლობთ,  
სიკვდილი ალბათ ცოტას მოგვიცდის  
და შერე ჩუმად ჩაგვიჭრობს კოცონს.  
სიკვდილი თავის დროზე მოგვძებნის,  
მაგრამ ჩვენ ისე გვეზრდება ფრთები,  
თითქოს ყველასთვის ვცოცხლობთ ცოცხლები  
და როცა ვკვდებით,  
ყველასთვის ვკვდებით.  
ზოგჯერ ყველაფერს მძაფრად განვიცდით  
და ზოგჯერ ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ,  
ვინც ცხოვრობს მხოლოდ თავის თავისთვის,  
იგი თავის თავს უკვდება მხოლოდ.  
სიკვდილი თავის დროზე მოძებნის  
ჭკვიანს და ღარიბს,  
მდიდარს და დებილს, —  
და მაინც ისე ვცოცხლობთ ცოცხლები,  
თითქოს ყველასთვის ვცოცხლობთ და ვკვდებით.

მეტი თუ არა — ათი წელი მაინც გელოდი.  
მე მამშვიდებდნენ სანუგეშო სადღეგრძელოთი.  
მე დღეებს ვთვლიდი გამოცლილი მათარებივით,  
ვაგზლებს შორის და ნავსადგურებს შორის გავები,  
უკანასკნელი ჩამოვიდა მატარებელი,  
უკანასკნელად ჩამოფრინდნენ თვითმფრინავები.  
აეროპორტში ყველა ქვეყნის დროშა ეკიდა,  
პორტშიც ეკიდა დროშა ყველა სახელმწიფოსი.  
ფერებს ვარჩევდი ანარეკლის ანარეკლიდან,  
მეკარგებოდა ფერებს შორის სახე ძვირფასი  
და ერთხელ უკვე ჩემს გარეშე შექმნილ სამყაროს  
ხელახლა ვქმნიდი და ხელახლა ვანაწილებდი,  
ათასი ეჭვის წინააღმდეგ  
ყოველ საღამოს  
მე გამომყავდა ერთადერთი ჩემი იმედი:  
შენი იმედი... იმედივით წამომიმატე  
შენი სინათლე — ჭეშმარიტი წინამორბედი,  
რომ მოდიოდდი,  
მპირდებოდი — მხოლოდ სიმართლეს,  
მთელი სიმართლე — მომიტანე,  
როცა მოხვედი.

●

როგორც სამამდე,  
 ისე დავთვალე  
 ცხრამდე და უცებ გავნაბე სული, —  
 ვერ დავუჭირე მაინც სადავე  
 მოსალოდნელი დღეების სურვილს.  
 მართო ვერ დავრჩი საკუთარ თავთან,  
 გამოფხიზლებაც სხვებმა მომასწორეს:  
 აღმოსავლეთის სარკმელი აკლდა  
 ჩემი ოცნების მაღალ მონასტერს.  
 ახლა დღეები ელევა ლოდინს,  
 თითქმის გარკვევით მოჩანს ნაპირი,  
 შერიგებული მტერივით მოდის  
 ყველა აპრილზე დიდი აპრილი.  
 მიდის —  
 ბავშვივით ტირის ზამთარი  
 და მე აკვნისკენ გამირბის ხელი...  
 როგორც სამამდე,  
 ისე დავთვალე  
 ცხრამდე და პირველ სასწაულს ველი.

●

ისე იცინი,  
 თითქოს ათასი  
 მზე ამოვიდა ქარიშხლის შემდეგ  
 და ყველაფერი გადააფასა,  
 რაც ოდნავ მაინც მომწონდა დღემდე.  
 მე ვიტყვი,  
 თუნდაც ქარი და სეტყვა  
 მიმტერევედეს სახლის კარებს და სარკმელს—  
 თავდაპირველად არ იყო სიტყვა,  
 თავდაპირველად არ იყო საქმე, —  
 თავდაპირველად იყო ღიმილი.



## ციკლიდან: ახასთუმანი. მზე და თოვლი

### გაგაფსული შიკართან

აყვავებული ალუბლის ტოტით  
ხელში რძიანი მაისი მოდის.

არღვევდა თოვლის ჯებირს თუ ზღუდეს,  
ვინც ახლა მერცხაღს უშენებს ბუდეს...

მაისი მოდის მთაში და ტყეში  
შხით და ქუხილით, უეცარ თქეშით.

უცებ აღელდა პატარა ოცხე,  
მზე გაგვიმეფდა ამ უცხო კონცხზე.

ფრთა გაუშლიათ ქვემოთ გუგულებს,  
აქ კი — ზეკართან ეს ტყე გუგუნებს.

მთის ზამთრის დიდი თოვლი მიკვირდა!..  
დღეს მზე მწვავს, როცა ვაშლის კვირტიდან.

ვით აუღებელ და მძლე ციხიდან  
ყვავილმა ღიმით გამოიხედა.

თბილ მაისს ტანზე იფუთნის ფიჭვი  
და მზის ალერსით მთელი ტყე იწვის.

ჰკვეთენ ისრებად სხივები წიწვნარს,  
ორთქლი ავარდა ბალახს და მიწას...

ტყეში — ბილიკზე ალუბლის ტოტით  
ხელში — გამხდარი გოგონა მოდის.

### ბ ა რ ა თ ი

ხელის ფათურით, გუმანით, აზრით  
აი, ამ მთებში, ძალიან მაღლა, —  
როგორც დაჭიმულ თოკზე ჯამბაზი,  
ისე მივყვები ჩემს დღეებს ახლა.  
მე ვწევარ ჩემი გზებით დაღლილი,  
ვუმზერ ჩემს სიხმრებს უმშვიდეს მზერით,

თუმცა სულ წვრილი ძაფით მახვილი  
ჰკიდია ჩემი საწოლის ზევეით.  
მხოლოდ ნერვები და ნებისყოფა  
და მოთმინების მარადი სიბრძნე —  
ყველაზე მეტად, ყველაზე უფრო  
მჭირდება, ამ მოთებს ვეკუთვნი ვიდრე!..

●

ბორკილის სითბოს თეთრ და ნაზ მკლავთა,  
ბროლსა თუ ჭადებს თუ ციაგს დილის,  
წვიმათა მღერას, ზაფხულს თუ ზამთარს —  
ეფინა დიდი მწუსარე ჩრდილი.

მანც მორჩილად მივდევდი სურვილს,  
მანც ვერ შევძელ უარი მეთქვა  
გულისთვის, რადგან სხვა არის გული,  
ცოდვია გული თუ მხოლოდ ფეთქავს.

ჩვენ რასაც ცივი გონება გვიშლის,  
გული იმ მაცდურ ბილიკებს მისდევს;  
და სიამაყე, შიში თუ სისხლი  
ითხოვდა მსხვერპლს და მიჰქონდა კიდევ.

●

როგორც შევიძლებ — ვიცხოვრებ ისე...  
დღეს უკვე გული სიყვარულს მიშლის,  
სიძულვილს მიშლის! და კიდევ ითმენს,  
აი, ამ ტყეში დარჩენის შიშით.  
მაგრამ იქნება არცა აქვს აზრი  
ფიქრს თუ მოთმენას — ან რალაც ამგვარს  
და არის ერთი ნათელი ხაზი,  
რომლის დაკარგვით ყველაფერს ვკარგავთ.  
მაგრამ სიცოცხლე ისე მარტივი  
და აღტაცების ღირსი სიბრძნეა, —  
ამ მომენტში მყოფთა აგრე ადვილად  
მისი დათმობა არ შეგვიძლია!

●

უკვე დრო არის, მოგქებნო უნდა  
და მოგიტანო წითელი ვარდი,  
შენ ჩემი სიყრმის სიზმრებში მუდამ  
პირველი თოვლის სინათლეს ჰგავდი...

ნოემბერს ძლივსდა უდგია სული,  
დრო კი თვლის სუნთქვას, როგორც ითვლიდა.  
ამოდის მთვარე ცივი და გლუვი  
მჭკნარი ჭალების ჩუმ სიყვითლიდან.

მე ვანთებ ბუხარს!..  
და ნათელ წერტილს,  
ამ მყუდრო სენაკს, ამ ცეცხლის ციმციმს  
შეკვადლებივარ ყველაფრის მჭვრეტი,  
ყველაფრის გჭვით შემყურე პრინცი —

და ვფიქრობ ხვალის ბრჭყვიალა მზეზე.  
და გადათოვლილ-დასისხლულ ვარდებს  
ვარჩევ და მათში ისეთ ვარდს ვეძებ  
მის ფერში გული მზესავით ჩანდეს.

ცეცხლის მბჟუტავი ციაგი ფეთქავს...  
და ახლა, როცა ტყის იჭით ჩადის, —  
მოაქვს ნოემბრის ღამეს სარკმელთან, —  
მთვარე — გაშლილი ყვითელი ვარდი.

როგორ გავძელი უშენოდ დღემდე,  
ეს ვინ აღმჭურვა ამგვარ მოთმენით!..  
და შემოდგომის დაკეცილ ფრთებზე  
თრთოლვით ცვივიან ხმელი ფოთლები...

მაინც თენდება!  
პირველი სხივი  
ტყდება სენაკის სარკმლის მინაში,  
და ნაკვერჩხალი ნაცარში ღვივის,  
როგორც ცისკარი ღრუბლის ფთილაში.







## გახსენება

ახალი, ფართო გზა ჩემს ქოხს გაცდა, ფიჭვნარის ტყეს მხარი აუქცია და ახალსოფლისკენ გაიჭიმა.

ჩემი ქოხი გზის გადმოღმაა, გაღმა — დალოცვილი ზღვა ბუბუნებს.

ქოხიდან ფიჭვნარი მოჩანს. ფიჭვნარის შუაგულში ძველთაძველი ეკლესიაა.

ეკლესიის მეთვალყურე ათანასე დაბერდა, გადაყრუვდა და შარშან ზამთარში გარდაიცვალა. ეკლესიაც უპატრონოდ დარჩა და დაბალ ბოკონებზე შემდგარი სახლიც, მარტოხელა ათანასეს რომ ეკუთვნოდა.

ჩვენ ეკლესია უბრალო არ გვეგონოთ, ათანასეს მანამ სული ედგა, მისი განიერი კარი მუდამ ღია იყო და უამრავი ტურისტი და მოგზაური აწყდებოდა.

ეკლესია ამაოდ ელის მნახველებს, მისი კარი დაგმანულია და კედლებზე მიმოხატული წმინდანებიც საეჭვოდ სდუმან.

ფსოუს რიკულნიანი ოდეები და ქოხმახები თვალდახელშუა გაქრა. საურმე გზები წაიშალა და ფსოუში თითზე ჩამოსათვლელი მეზობლებიდა დავრჩით: ცალთვალა მინაგო, მეთევზე პანტე შამუგია, ოფიციალტი დუხო, ყრუ-მუნჯი იონა და ხანგა ტოჩი.

ძველ ფსოუელებს ახალსოფელში ახალი ოდეები და ეზოები დაახვედრეს. მთის ფერდობებზე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ხარაჩოები გახშირდა.

იმ წელს ზღვისპირას „ქოლგები“ და „სოკოები“ ჩაამწყრივეს. ნაპირი სამივე მხრით მაღალი მესერით შემორაგვეს და ლურჯად შეღებეს. ერთგან პატარა ჯი-



ზურიც მიუშენეს. ჯიხურში მაშველი-სათვის პირველი დახმარების იარაღები ინახებოდა. იქვე, ბოძზე გამობმული მაშველი ნავი ტალღებზე მსუბუქად ირწეოდა.

ფსოუში კარგ მოცურავედ მიცნობდნენ. უმუშევრად დარჩენილს სახელდახელოდ მოწყობილი პლაჟი ჩამაბარეს. მეურმე კაცი ზღვაზე მაშველი გავხდი.

ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება; ერთხელ შერქმეული სახელი კი მაინც ვერ მოვიშორე — მეურმე ისევ მეურმედ დავრჩი.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა.

## უღვაწე

უთენია გავდივარ ქოხიდან.

პლაჟის კედლებთან ნისლი თანდათან იფანტება და საკალმახოზე მეთევზე პანტე შამუგია გამოილაშქვება: ზის კლდის ქიშხე, ბადე გაუშლია და თვითონაც უსაშველო ფიჭრშია ჩაძირული. ლუკმაპურს დაკემსილი ბადე აჭმევს.

ფსოუში პანტე შამუგიას სახელითა და გვართ არავინ იხსენებს, უღვაშას ეძახიან. დასავსები ჭრუტა თვალები ახლაც უციმციმებს, მაგრამ მაინც ბრმაა.

უღვაშას ახლა ყურადღებას არავინ აქცევს. არც იმას კითხულობენ, მის დაკემსილ ბადეს ღორჯო ამოჰყვება თუ ზუთხი.

როხროხა ხმა დაუწვრილდა და ჩურჩულზე გადავიდა. ფსოუელი მეურმეებიც შემოეცალა და უსახლკარო ტოჩი შეიკედლო. საცოდავ ტოჩის ჯერ კრიალა ცისტვის თვალი ხეირიანად არ გაუმართავს. მუდამ თავჩაქინდრული დედამიწას უბღვევს. ჩრდილში დაჩიავებულ ნერგს ჰგავს, პატარაა და თვალებს ყოველთვის ახლად გამოღვიძებულივით ახამხამებს. გაგანია შუადღით ისეთ სიზმარს გეტყვის, ტანში გაგაჟრჟოლებს.

უღვაშა საკალმახოზე უთენია მიდის. აქ არავინ აწუხებს და მეტოქეობას

არავინ უწევს. ხშირ ზღვაურს მისი სახე დაულარავს, ნაოჭები დაჰყრია და ფოფალა უღვაშები ერთიანად გათეთრებია.

— გამარჯობა, უღვაშა, — ვესალმები დილაადრიან.

— ღმერთმა შენი უღვაშიც შეარცხვინოს და გამარჯობაც, მეურმეგ!

— ღმერთი რომ იყო, უღვაშა, როგორ მოიქცეოდი? — ვეუბნები, ვიცი, უღვაშას გულში უხარია, ნატვრაში მაინც იყოს ყოვლისშემძლე, წამით მაინც წარმოიდგინოს, რომ ის უღვაშა კი არა, მართლა ღმერთია.

— ღმერთი რომ ვიყო, ამ ზღვას დავაშრობდი, პლაჟის მომგონს და ბადის მომქსოვს სამუდამოდ შევაჩვენებდი. ბადე დაუნდობელი კაცის მოქსოვილია... იმ შიშველ ხალხს კანჭებს ჰინჭვრით ავუჭრელებდი! — ჯაჭლინებს უღვაშა.

ნაცარში ამოგანგლული კუდა ძაღლი ამტქნარებს. უღვაშა ახლა ძაღლს უბრაზდება.

— დაბერდი, სიბერემ დარდი და შიში იცის, დამით ალაგესთან ნიავს არ გააჰქანებდი, ახლა სიკვდილს ემალები და მე შემომყმე. აჰვაიტი, მარჯა, ესაა ღდინძალი ცხოვრება — ერთი გრძელი ამოხვრა! — ზღვას შეუბღვირა უღვაშამ და ბადე დაითრია. ბადეს მედუღუბი ამოჰყვა. უღვაშამ ბადე დაფერთხა და შრიალით ისევ ზღვას დააფინა.

— სააფხაზოს მთებში ბილიკი არ დამრჩენია. მთავრობის მტრებს დავდეგდი, მარჯა, მაგრამ ახლა დაუმარხავი მკვდარი ვარ. მამაშენმაც იმ მთებში დალია სული, ქოხამდე ვერ ჩამოაღწია. ისიც უპატრონოდ დარჩა, — თვალები დაწყურა მეთევზემ.

მამაჩემი მართლაც ამ მთებში ებრძოდა გერმანელ მოძალადეებს, მთები მუდამ მამას მაგონებენ. რამდენი რამ დარჩა გასაყეთებელი მამას, ვერ მოასწრო, სწორ გზაზე ვერც მე დამაყენა და ბეგ-

**მუხრან მოიავა**  
 ჯღვა გაზვილის თვალით



რი აუხდენელი სურვილი მიწაში ჩაიტანა.

ულვაშამ ჩაიხითხითა და მისი ხითხითი ზვირთებში ჩაიკარგა.

— გურულმა შაშვს თოფი ესროლა, დააცილა და მიაძახა: ჩემი ხელიდან მაინც მკედარი ხარო... მაუზერით სასურველ ვარსკვლავს ჩამოვიღებდი, მარჯა, ახლა კი პირში ლუკმა არ მიჩერდება. გუშინ კიტრი პირიდან გამოსხლტა და ტოჩის შუბლზე კოპი შევატოვე.

სიცილით გული რომ იჯრა, ისევ მოვავონდი: — ამიერიდან მაგ ფეხებით კრილა გზაზე საკუთარი სახელი და გვარი უნდა დაქარგო, არამხუტ ემხვარს უნდა აჯობო, მეკამეჩე! — გამაფრთხილა. — მეურმე კაცისათვის ეს ფართო გზა ჭკუის ამრევია, გაგინელდება, მარჯა, ფონს ვერ გახვალ.

ულვაშა უკუღმართი იყო, მაგრამ ფსოუ მაინც უყვარდა. წუხდა, რომ ფსოუ ნათის სუნით იწამლებოდა, სათარჩო ცხენებს მიხსენებდა და უგზო-უკვლოდ გადაკარგულ დორო ნალბანდს გლოვობდა. დამსვენებლებს აჯილღებდა და ჭკაებად ნათლავდა. გზის პირას ჩამწკრივებულ ელნათურის ბოძებს დაღულ მუშტს უღერებდა.

— მალე მთავარსაც დაგიჭრივებენ, ღამეც დღესავით გადაიჭყვევა, ღამე კი ყოველთვის საჭიროა, მერე იბოდიალე ქუჩებში პირღია და ყლაპე კოლო-ბუზეები, — შემომოიტია ულვაშამ და კულა ძაღლს გადახედა.

კულა ძაღლი სდუმდა. ხმას არც მე ვიღებდი.

— დასაჩეხად რომ მოგდგენ, ორი საყენი მაინც დახვავდები, ხმა მაინც გამეცი, შე მართლა მეკამეჩე, — ბობოქრობდა ულვაშა.

მე ულვაშას მუქარას და ყვირილს არაფრად ვაგდებდი.

— დიერთი რომ იყო, ულვაშა...

— მეკამეჩის სახსენებელს მოესპობდი და ამოჭირკვავდი. შე მართლა მეკამეჩე! — ჭირვეულობს ულვაშა და ჭრუტა თვალები ლამის ბუდიდან ამოუცვივდეს.

ასე იწყება ყოველ დღით ჩვენს ვედრა. უთენია „ლოცვა-კურთხევით“ რომ წაიხემსებს, უხმოდ გავეცლებ და ჩემს ნავს მივაშურებ.

მე მეურმე გახლავართ, მეურმე უტუჩალი ვა. გუდაუთის, რიწისა და ადღერის გზები ნაბიჯ-ნაბიჯ დამივლია. ყველა საცალფეხო ბილივი ვიცი.

ურმის კოფო ხვედრად ომბა მარგუნა. ფსოუში დარჩენილი ბიჭები მთებში წასულ მამებს შეევენაცვლეთ. ურემი ისე გაგვიტება, სკოლის კედლებისთვის არც კი შეგვიხედავს.

მოგონებების ამშლელია გზა. საურმე გზებმა ბევრი რამ მასწავლა: მიჰყვება ურემი გზის კიდე. ხანდახან „ჰამოს“ შეუძახებ და სახრეს გადაუტლავუნებ კამეჩებს. პირუტყვები ზანტად მიიზღაზნებიან და ჰყვები ციხას და ბარისას.

წინამძღოლი და მეთაური ყველას სჭირდება.

ჩვენი გზის გამკვლევი და წინამძღოლი კონდრა ბიძია იყო.

უთენია დავადგებოდით გზას. ბზიფის ხეობაში სამხედრო საწყობი იყო. ჩვენი ურემებიც იქითკენ მიჭრიალებდნენ: ხან ტყვია-წამალი მიგვეჭონდა, ხანაც სასმელ-საჭმელი.

ერთხელ, მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. მთებს ოზნვივარი ასდიოდა. ციოდა. ბზიფს ნაპირი ვადმოვლიხანა, წყალი კარგა ვანიერ ნატოტარში მიგრიალედა და გზას გვიღობავდა.

კონდრა ბიძიამ ურემი დააყენა. პირჯვარი გადაიწერა. ხელისგულზე დაიფურთხა, სახრე ხელში შეათამაშა, კამეჩებს ვადაუჭირა და ურემი მღვრიე წყალში შეაგდო.

— აბა, ჰე, მეურმეებო! — შეუძახა და მისმა ხმამ ჩვენც გაგამხნევა. მღვრიე, ჩქარი წყალი ურემს ეკვეთა და წამოატივტივა. საცაა ბორბლებს გამოაცლიდა. გუშინდელ დღესავით მახსოვს გურხას ანთებული თვალები, ლადიმერა ხვიბლიანის დაძარღვული კისერი, გვადან მხარული და „აბა მიდის“ ყვილი.

ურემს რკალად შემოვერტყით, კონდრა ბიძიამ ისევ შეუძახა თავის დარჩეულ კამეჩებს. პირუტყვებმა ქედი დაიდრიკეს, მუჭის სიმსხოდ გადაიქცნენ, წამოიჩოქეს და უკანასკნელად შეუტიეს აღმართს.

კონდრა ბიძიამ ნაპირზე ისევ გადაისახა პირჯვარი.

მერე ყველანი სათითაოდ გავედით სამშვიდობოს.

ჭრიალით მიყვებოდნენ ურემები აღმართს. მდინარესთან გამარჯვებულებს ერთი ურემული რას არ გვეჩჩია. მერე და იცით, რა ტკბილია სიმღერა მთებში? მთების ზეგვიანი მოძახილი ჯან-ლონით გავსებს. საავდრო ჯანღს გიფანტავს და სულსაც გიკრიალებს.

სიმღერა არ შეიძლებოდა. მთის გადაღმა კი არა, მტერი გადმოდმაც დაძრწოდა.

როცა იმ დღეებს ვიგონებ, გული ნაღვლით მეცხება. ომმა ჩვენც მოგვაცენა დიდი ჭრილობა, რომლის პირის შეკვრა და განკურნვა, არც ისე იოლია. ...ახლა ფსოუ აღარ არის.

მანსოვს, საკუთარ კერასთან დიდხანს იჯდა მეურმე კონდრა შარუხია. მიწისა და ურემის სიყვარულმა ისიც მოტეხა და დაამორჩილა.

ერთ დროს მეურმეთა წინამძღოლი და მეთაური, უკანასკნელი აედევნა ურემს.

ქალაქის თავკაცები ჩემს ჭიშკარსაც მალე მოადგნენ და ასე დამარბიეს: „დამსვენებლებს სიმშვიდე და მყუდროება ესაჭიროებათ, ხარ-კამეჩისა და ურემის ყოლა საკურორტო ზონაში შეუძლებელია, ამხანაგო უტუტ“. მერე დამიყვავეს, ცივად გამიღიმეს და ორიდან ერთი არჩევანი შემატოვეს: ან ქოხი დამეთმო, ან ჩემი კუდვარა კამეჩები.

ჩემი ცხოვრების ტკბილი დღეები ურემის კოფოზე დაიწყო. მარტოხელად დარჩენილმა, მამისეული ქოხი მაინც ვერ მოვშალე.

ურემი იყო ჩემი დიდი სიხარული და დიდი დარდიც. დადვა წუთი და ჩემი თვალსევდიანი ჯარგა და ბუსკა დავთმე.

შენც ზურგი გაქციე, ბიძია კონდრა, თქვენც, ჩემო ძმებო.

გზებმა გაგვეყარეს და, ვინ იცის, აწი როგორი იქნება ჩვენი ტაროსი.

## ზ ლ ვ ა

ზღვა უსასრულოა და ამაში ეჭვი არ მეპარება. მე არც შორეული ნაოსნობის მეზღვაური ვარ და არც ზღვის მგელი. ნაპირს იმდენად ვავშორებივარ ნავითა და ცურვით, რომ აღამიანები წერტილებივით მომჩვენებია.

ეს არის და ეს.

ზღვის შუაგულის შტორმები ჩემთვის მუდამ გამოცანად დარჩება.

ზღვა მაინც უშომოდ მიყვარს.

ზღვა, ასე თუ ისე, ყველას უყვარს: ერთს მისი სიმშვიდე ედება მალამოდ გულზე, მეორეს — შტორმები უხანგრძლივებს სიცოცხლეს და ზვირთების ქუხილი გამოცდილი მკურნალის რჩევადარიგებას ათასწილად ურჩევნია.

ნავში ვჯდები და ზღვის შუაგულისაკენ მივიწევი.

ნავს ვაჩერებ და გამჭვირვალე წყალში ანკესს ვისვრი. სავანშმო თადარიგს დილიდანვე ვიჭერ.

ვხედავ, როგორ დასრიალებენ სტაგრიდები და ოქროსფერი ბარაბულკები. ხამსა თევზებიც გამოჩნდება. ამ პაწაწინებს ჯგუფ-ჯგუფად უყვართ საშოვარზე გამოსვლა. ხამსები ყოველთვის მეტრალეზიან და პურის ნამცეცით ეუმასპინძლები. ერთბაშად მიესევიან ნამცეცს ეს უსუსურები. უწყინარი ხამსა მუდამ ჩქარობს, მუდამ რაღაცის შიში აქვს. იცის, რომ ამხელა ზღვაში მტაცებლებიც ბინადრობენ. გაფიქრებასაც ვერ ვასწრებ და ხახადაჩენილი ნისკარტაც გამოჩნდება. ხამსები სწრაფად გაიქნევენ პაწა კუდებს და სწრაფადვე უჩინარდებიან.

ნისკარტა ცალთვალა მინაგო ბეჭაიას მაგონებს. მინაგო ჩემი კარის მეზობე-

---

**მურმან კომავე**  
ზღვა გაზვიელის თვალით



ლია, საზიარო ღობე გვყოფს. ნისკარტა მინავოს მაგონებს და თამამად ვეუბნები: „არა, შენ არ მებრალები, მინავო!“ ახლომახლო მისი ქომაგი არავინ მეგულება და ხმამაღლა გავძახი: „შენ მოხერხებაც გაქვს და შნოც. არც ფსკერზე მოიკლავ შიმშილით თავს და არც ხმელზე“. და ისევ ხამსები მებრალება, ხამსებმა ნამცეცი დაკარგეს. ხამსები ნისკარტას შიშით ყოველთვის კარგავენ ნამცეცს.

...მთებს წითელი არშია ევლება. საცაა მზე ამონათებს და ცხელ გულ-მკერდს ზღვაში გაიგრილებს.

ზღვა ნაირფერად იწყებს ციმციმს. ციმციმებენ ზვირთები, ჭრელი კენჭები და ნიჟარები.

ნიჩბებს მოვუსვამ და ნაპირისაკენ მივიჩქარი.

ნავს ბოძზე გამოვბამ. ნავიდან პატარა ბადით თევზი გადმომაქვს და ჯიხურთან წყალში ვკიდებ. მერე წამოსაწოლებს ჩამოუველი, ვედროთი წყალს ვასხამ, ვასუფთავებ და ვაგრილებ. ფარფლებიან ჭილის ქუდს ვიხურავ, მკერდზე სასატენს ვიკიდებ და სამუშაო საათის დაწყებას მომზადებული ვხვდები.

დამსვენებლები კენტად და წყვილწყვილად მოდიან. ზოგი მთელი ოჯახით მოიჩქარის. ზღვაში ჩასვლამდე ისინი ყველანი ზღვისპირას გამწკრივდებიან და ვარჯიშობენ. მხნევდებიან და სხეულს იკაეებენ.

ვის არ ნახავთ აქ: აგერ დედაბერი მიმჯდარა უღვაშას მეზობლად. მთლად დაღუღულა საწყალი. ჩამომქნარი ძუძუსთავები ჭიპამდე წვდება. კანჭები ძლივს იმაგრებენ. საბრალო ჩხირივით ხელებს ერთმანეთზე იკვანტილებს. უღვაშას ბუზღუნი მესმის:

— მეკამეჩვე, ეს წყეული საიდან გაჩნდა აქ. ზღვიდან არ იყოს ამოსული, ნამდვილი ქაჯია... რას ჰგავს.

ამ დედაბრის შემხედვარეს, ზღვა მეც საოცრად მასევედიანებს.

სამაგიეროდ, ვანზე ვავიხედავ და ძარღვებში სისხლი ამჩიხჩიხუნდება, ნა-

პირზე ნამდვილ ბზიფის კალმასს ვხედავ. ასეთ ქალიშვილს ფსოუში ვერასოდეს დაეინახავდი. თვალები სიხარულის ცრემლით მევსება. ვტირი უხმოდ, უხმოდვე ვმღერი. ეს კალმახი ჩემთვის სიზმარია და სიზმარივით მალე გაქრება.

მზე უფრო მაღლა მიიწეეს და ზღვას ბული ასდის.

ზღვისპირას ვწევარ. თავზე „ქოლგის“ ჩრდილი მადგას.

კენჭები საამოდ ჩხრიალებენ. ფშვინავს დალოცვილი ზღვა და სასთუმალს ნელ-ნელა მაცლის. ზღვის იავნანურს ვერც ჩონგური შეედრება და ვერც გაუსაპნავი ურმის ღერძის ჭრიალი.

პლაჟი ერთიანად გადაჭრელებულია, ნემსს ვერსად ჩაავდებ. აქ ეძებენ მოქანდაკენი ჩამოქნილ თეძოებს და ათქვირულ მკერდს; აქ დაბორიალობენ შავსათვალიანი, დასიცხული პოეტები.

მთელი ეს პლაჟი მე მბარია, მე ვარ ამ დედნობილთა მამველი, მხსნელი და ხელის გამწვდენი. „საურმე გზაზე“ გამოიყვანი. „საურმე გზაში“ მეურმეები კაცურ-კაცობას, ჭკუა-მოხერხებას და სიკეთეს გულისხმობენ.

დღეს ზღვა ჩემი ურემიცაა, სახნავიცა და სათესიცა. გაუტეხელი ყამირიცა და დაუშრეტელი სავანძურიცა.

მეურმეებს შორის პირველი თუ არა, არც უკანასკნელი ვყოფილვარ. ჩემი ჯარგასა და ბუსკასთვის სახრე იშვიათად გადამიკრავს. ერთხელ იყო და... ის უღმერთო საქციელი დღემდე ვერ მომინელებია. მერე რა, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი. ისე, გამჩენმა მეც კამეჩს დამამსგავსა ჯანით, ღონითა და მოთმინებით. ვარ ჩემთვის და ამოდ ვავეყვრი, რომ ზღვა საშიშია.

ომმა ბევრი სიავე დათესა და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბათუ ბაკურიაც გადარია. ახლა არც ომია და აღარც ბათუ ბაკურია.

...რული მერევა ასეთ ფიქრებში. თითქო ნება-ნება მივყვები ზვირთებს და ვილაცა ღონივრად მანჯღრევს, მიყ-

ვირის და მადხიზლებს. ირგვლივ ყივი-  
ნი და ჩოჩქოლია.

— ბავშვები ტივტივას გაცდნენ, უკან  
ველარ ბრუნდებიან, რა დროს ძილია!—  
თავზე დამჭყვივის ვიღაც ბანჯგვლიანი  
მამაკაცი და თანაც ვატყობ უხარია, რომ  
დამფრთხალი ვარ და თვალებს უაზროდ  
ვატყებ.

— ბავშვები? მშობლები სად არიან?!

— მშობლებს შენ ვინ გეკითხება! —

ქუხს ბანჯგვლიანი და ღიმილს მაინც  
ვერ ამშორებს.

საჩქაროდ ვდგები, ძილბურანს თავს  
ვართმევ.

ნამძინარევეზე ზღვაში შესვლა არც  
ისე სასიამოვნოა, მაგრამ მოვალეობას  
სად გაექცევი.

ძუნძულთი ნავს მივამშურებ, ნიჩბებს  
მოვუსვამ და მართლა თოლიას ფრთებს  
გამოვუსხამ.

ვიცი: ათასი თვალი შემომყურებს  
იმედითა და ნუგეშით, ზღვაზე კაცს ეს  
უფრო ამხნევებს.

ონავარი ბიჭები ზღვას ეთამაშებიან,  
ზღვას უფრო მოზრდილებიც, დაკაცე-  
ბულებიც და ხანში შესულებიც უბე-  
დავენ ვათამაშებას.

ზღვა ხარბია და გაუმძღარი. ზღვა  
დაუნდობელია, ცივი და პირქუში. გულ-  
ქვა და მუნჯი. ყველას უძირო ფსკე-  
რისაკენ უპირებს ჩაქანებას.

ზღვასთან შეთამაშება და მხარულის  
მოსინჯვა ძლიერთა, უშიშართა და მო-  
ხერხებულთა ხვედრია.

ცალთვალა მინაგოს კისერზე ლოდი  
რომ გამოაბა და შუაგულ ზღვაში გა-  
დაუძახო, ისევ ნაპირზე დაგიხვდება და  
მარგალიტების თვლაში წაუსწრებ.

ალოღმართალსა და უსიტყვო ლევან  
ფოსტალიონს კი ნაპირზე დაეტაკა შარ-  
შან ტალღა და კინაღამ ქვაზე ტვინი  
მიასხმევინა.

...ბავშვები ტივტივას შემოხვევიან,  
დაღლოლ-დაქანცულები უკან გამოცურ-  
ვას ვერ ბედავენ. ბიჭებს ქეროში წა-  
მოვკრავ, ყურებს ავუწევ, ნავში ვყრი  
და ნაპირისაკენ მოვეშურები.

მაინც რა საოცარია ზღვა: მაგნიტივით  
იცის მიზიდვა, მიცურავ დიდ სიჩუმეში,  
მიცურავ უფრო შორს და შორს, ნაპი-  
რისაკენ იბრუნებ პირს და მთები დე-  
დებოვით შემოგტირიან, ხეები წელში  
წყდებიან, და შენც მიწის გარდა ყვე-  
ლაფერი გავიწყდება.

ნაპირთან სიშორემ შიში იცის.

ციცაბომ თვალის აჭრელება და მუხ-  
ლის მოდუნება.

თუ ნაპირის სიშორემ დაგამინა და  
დაგვაბნა, დაღუპვა გელის.

სიმაღლემ თუ თვალი მოგჭრა, უფსკ-  
რულს ვერ ასცდები!

პლაჟი ზარზეიმით მხვდება. მოსაყვე-  
დურებიც ბლომად არიან. მე კარგისა  
და ავის მთქმელს მადლობით ვისტუმ-  
რებ. ვებოდიშები და ვაფრთხილებ, რომ  
ზღვა მატყუარაა და გულივით, გული-  
ვით კი არა, კენჭივით ჭრელია, რომ  
მთას თავისი კანონი აქვს და ზღვას თა-  
ვისი.

საკუთარ თავზე გაბრაზებული „ქოლ-  
გას“ მივამშურებ.

„ქოლგას“ ერთი მაღალი და აწოწილი  
კაცი შემოეჩვია. მოვა, მოშორებით  
დადგება. სათვალუს შეისწორებს, ხან მე  
დამხედავს და ხან „ქოლგას“ ახედავს.

გუშინ ზღვაში უცნაური „ცხოველი“  
შეენიშნეთ. ის „ცხოველი“ წყალში შა-  
ვად ტივტივებდა და ნელ-ნელა ნაპირი-  
საკენ მოიწევდა. უცნაურმა „ცხოველ-  
მა“ ნაპირი დააეჭვა და ნავით შევეგებე.  
კარგა მოზრდილ რკინის ბურთს წამო-  
ნაზარდები რქებივით აჩნდა. „ცხოვე-  
ლი“ ნაღმი აღმოჩნდა. პლაჟი შიშმა და  
ელდამ მოიცვა. ტიტველა ხალხი კივი-  
ლით და ჩოჩქოლით პლაჟის კარს  
მიაწყდა.

სამხედროები სასწრაფოდ გამოვიძა-  
ხეთ და... გზაბნეულმა ნაღმმა იგრი-  
ლა, ცას უშველებელი წყლის შადრევა-  
ნი შეაფრქვია.

ზღვა ჭერაც არ არის სუფთა, გზაბ-  
ნეული და „გადარჩენილი“ ნაღმები

---

**მუხრან მოიავა**  
ზღვა გაშველის თვალით



ისევ დატურავენ ამხელა სივრცეში და სიკვდილი დაჰქვთ.

სათვლიანმა ერთხანს ზიზღით მიყუ-  
რა. გული კინადამ აერია. ბაწია სახეზე  
ნაოჭები გაუხშირდა, ჩხირივით თითი  
დამიქნია და იწივლა:

— რას ჰვავს ეს. გუშინ ნაღმი აფეთქ-  
და... — მე ფეხზე ვერ ვდგები, დაბნეუ-  
ლი ხან ვის შეგხედავ და ხან ვის.

— საეჭვოა... დამაფიქრებელი. რა-  
ტომ უშლით ნერვებს დამსვენებლებს.  
კმარა... სისხლისღვრა და ომი რახანია  
გათავდა, გვაცალეთ ამოსუნთქვა! — წი-  
ვის თავკანტურა, ენა ებორკება და  
ილანძღება.

„ქოლგის“ ქვეშ ვზივარ გაბრუებუ-  
ლი: ვერ გამიგია, რა ხელი მაქვს მე.  
უტუ ჩალიგავას, ომთან და სისხლისღვ-  
რასთან.

მერე ვიღაც შეხუმრებული ბრგე  
დამსვენებელი მიახლოვდება. თავზე  
ვედროთი ცივ წყალს მავლებს და  
მაფხიზლებს.

— „ქოლგა“ და „სოკო“ ატომის  
ბომბს აგონებს, ლაჩარია ვიღაცა, რა  
მოხდა, გინდა მართალი ბომბიც იყოს,  
ბოლოს და ბოლოს ხალხნი ვართ, —  
თვალს ჩამიკრავს ბრგე კაცი და მე მა-  
შინვე ვმშვიდდები.

## ჩემი გუჟობელი საღმთაღა მინაგო

ჰადრებსა და ტირიფების დაბურულ  
ტოტებქვეშ წყარო მიჩხრიალებს, წყა-  
რო ოციოდე ნაბიჯს სარკესავით გაიკ-  
რიალებს და ზღვას უერთდება.

ცივ წყაროზე გამართულ სასაუზმეს  
„ცივი წყარო“ ჰქვია. ჩვენ, მეურმეები,  
ძველებურად ისევ „სანსლეს“ ვეძახით,  
არა ერთი მგზავრი დაფიქრებულა სა-  
საუზმის უცნაური სახელის ამოხსნაზე.  
სანსლე ზოგს ფრანგულად მოუნათ-  
ლავს და ზოგსაც ესპანურად.

...მინაგო ადრე მეურმე იყო...

ომი დაიწყო და მინაგო ცალმა თვალ-  
მა იხსნა. მტერს მიზანში ცალი თვალით  
იღებენ, მაგრამ მინაგომ ის ჯანსაღი

თვალიც დაიუძღურა და დაივსო. მინაგომ  
ზობლის წინ ხელს განგებ იჩრდილავდა,  
იმ ხელმოჩრდილული თვალით კი კაცის  
გულს კვერცხის გულივით ლანდავდა  
და შიგ იხედებოდა.

ომი დაიწყო და სოფელი ერთ დღეში  
გაუკაცრიელდა.

„სანსლეს“ ყარამანა ქუჩულორის  
ქვრივი შემორჩა. მინაგომ ქვრივს დახ-  
ლი წაართვა და შიგ თვითონ ჩადგა.

„სანსლეს“ ხელში ჩაგდებად, ცალ-  
თვალა მინაგო ქალაქში დადიოდა,  
წყალნარევ ადესას და აწწლის არაყს  
ფრონტიდან მობრუნებულ ჯარისკაცებ-  
ში ასაღებდა. ჰოსპიტლის ბაღებში დაძ-  
ვრებოდა და საკუთარ ქისას იმდიდრებ-  
და.

მერე ცხოვრება ისე აეწყო, როგორც  
ეს ცალთვალას სურდა.

მინაგო დიდი ქურდი გახდა, მაგრამ  
ფსოუელებს არ ახსოვთ, მინაგო ოდეს-  
მე ციხეში მჯდარიყოს. შარაგზაზეც  
არავის დახვედრია და ზურგსუკან სა-  
ტევიარი არავისთვის დაურტყამს, არც  
ვისიმე ოჯახი გაუძარცვავს. მიუხედა-  
ვად ამისა, მანც დიდი ქურდის სახელი  
ჰქონდა დავარდნილი.

„სანსლესაკენ“ უთენია მიმავალი  
ცალთვალა მინაგო ლღად მიირჩევა,  
წელს მიათამაშებს, თითქოს მხრებამდე  
წყალშია და ზვირთებს თამაშ-თამაშით  
მიაპობს, წვრილი და მაღალი კისერი  
მუდამ გაშეშებული აქვს, პაწია ტუ-  
ჩებზე ამოუხსნელ ღიმის ვერ იშო-  
რებს. დახლთან მდგარი, საღ თვალს ნა-  
ბავს, მუშტარს წეროსავით ფრთხილად  
დახედავს, ჩავარდნილ თხელ უღვაშებს  
აცმატუნებს.

მინაგოს ჰყავს ცოლი — ივლიტა და  
ერთადერთი ვაჟიშვილი — ბოკო.

ბოკო ჩემი კბილაა. მინაგოს ბიჭს ფუ-  
ლის სიყვარული ადრევე ჩაუვარდა.  
გულში. ცალთვალამ შვილის გატაცებას  
ლაგამი მალე ამოსდო, ომი დამთავრდა  
და ქალაქში წაიყვანა. სამედიცინოზე  
მოაწყო.

იმ დღიდან ბოკოს ურემი არ უხსენე-  
ბია.

ცალთვალა მინაგო თაფლივით კაცი იყო. ფული გეთხოვა, უკან არ დაიხეცდა. დახლს მიატოვებდა და ნახევარს მაინც მოვიტანდა. ვალის დაბრუნებაზე ჭიშკარს არ აგიტალახებდა. „სანსლესი“ ნისიად შეხვიდოდი და სულით-ხორცამდე გაგფტქენიდა. კაი სიზმარი რომ ენახა, ცოლს არ გაანდობდა.

ცალთვალა სოფელს გულისგარეთ უყვარდა და თითქოს პატივსაც სცემდა.

ცალთვალას ერთადერთი ოფიციალტი, დუხოც, გაქნილი ჰყავდა. დუხოც მინაგოს მარჯვენა იყო. ვერც ჩრდილში ისვენებდა და ვერც მზეში. საკეც ჯაყვასავით მოხრილს, მელოტი თავი გამხმარ მუხლებამდე ჩამოეჭინებოდა და პირზე ყოველთვის „ბატონო“ ეკერა.

— ერთი რომ ტირილით მიდის, მეორე სიცილით მოდის, მგზავრი კი „სანსლეს“ ვერ აცდებია! — დუხოს გადახედავდა ცალთვალა და მუშტრით საცხე აივანს ცალ თვალს არ აშორებდა.

ფსოუელებმა როგორც კი ფსოუ დატოვეს, ცალთვალამ ქალაქლებსაც აჩვენა შნო და მარიფათი. ვილაკეები გამოძებნა, გაიცნო და საქმე გაკვაჭა. „სანსლეს“ რემონტი გაუკეთა, მაგიდეები მიუმატა, აივანი გაადიდა და ცისფრად შეღება. იმ თანამედრობის პირებს პირველი და გრძელი მრავალკამიერიც „სანსლეს“ აივანზე ათქმევინა.

ცალთვალა დახლში დარჩა. ფესვები უფრო გაიმაგრა, თითქოს სახითაც გამოიცვალა. კიდევ უფრო ხელგამოწილი და მოსიყვარულე გახდა.

ცალთვალას ოჯახი დულს და გადმოდულს. მე ვერ მიტანს. ფსოუში ჩემი დარჩენა რომ გაიგო, კარის მეზობელს სახე ჩამოედრებულა, ყალბი საყვედურიც მითხრა: „ე, ბიჭო, გაყოლოდი ფსოუელებს. ურემს აქ არავინ გაგიჩერებს და კამეჩებს. ხელობა შენ არა გაქვს და განათლება. რაცხა ოთხი კლასი დაამთავრე და ეს რას გიშველის, იქ კი ფეხს მოიდგამდი“. ვიცოდო, ცალთვალას სიკეთე როდი ალაპარაკებდა. ხარბსა და გაუმძღარს ის მარღია თვალი ჩემი

ეზოს მუხურში ამომავალ წყაროზე ეჭირა.

ჩემი სიმდიდრე კი წყაროა. ამ რამდენიმე წლის წინათ, ხეზე კამეჩების რქის კაკუნი მახარებდა. ახლა მხოლოდ წყარო დამრჩა.

ჩემი პატარა წყარო ზღვას თავგამოდებით ებრძვის. ებრძვის და მელიმება.

## პონხო და პიქოლოგი

დღეს ზღვაში ეშმაკი ვერ შეხედავს, ისეა გადარეული.

ასეთი ამინდი ჩემთვის თავისთავად დასვენების დღედ ითვლება. ვიცი, თავზეხელაღებულის მეტი ზღვას და ისიც ასე აბოზოჭრებულს, არ გაუთამამდება და მეც არხეინად ვარ, თავი ქულში მაქვს.

ჰოდა, ბავის მოშლა გადავწყვიტე. ბავში რძიანი ბალახი რა ხანია მზემ ამოაშრო. ეს ბავა მუდამ ჭარგასა და ბუსკას მაგონებს. ძველ ჭრილობებს მიხსნის და დასავიწყებელს არ მავიწყებს.

ის იყო ბავის მოშლას უნდა შევდგომოდი, ჭიშკართან ძახილი შემომესმა. ძახილი განმეორდა. ცუდად მენიშნა.

შიშმა მალე გადამიარა.

მე მამველი ვარ და კარგად ვიცი, ჩემს ჭიშკარს მეჭორწილე არავინ მოადგება.

ჭიშკართან „სანსლეს“ ოფიციალტი ქლესა დუხოც იდგა.

ზღვას ვილაც უცნობი ჩაეთრია და ნაპირზე ვერ გამოდიოდა.

ამთავორებულ ტალღებში შესვლა ყოველთვის იოლია, თვითონ ზღვა გაგეგება ფეხქვეშ ნოხად, ოღონდ გამოსვლა იკითხე!

კარის მეზობელი შეველას მთხოვდა. ზღვის მსხვერპლი, საბედნიეროდ, ჩემს „ნაკვეთზე“ კი არ იყო, პლაჟის მოშორებით შესულიყო ზღვაში.

შემეძლო არხეინად ვყოფილიყავ ქობში და ფეხიც არ გადამედგა. პასუხ-

---

**მურმან ჟორიასა**  
ზღვა მავშვილის თვალით





საც ვერავინ მომთხოვდა და კრინტსაც ვერავინ დაძრავდა, რადგან ზღვა ძალიან დიდია და ამხელა სანაპიროს მარტო რას გავწვდები.

— მდიდარია? — შევეკითხე მეზობელს და ზემოდან დაეხედე.

ასეთი კითხვა ბევრჯერ მომსვლია თავში წინათ და რატომღაც ახლაც ამეკვივიატა.

— რა დროს სიმდიდრეა, ადამიანია, შევლა უნდა, — დაიძინა ღუზო და ჭიშკარი ფაციფუტით გამოაღო.

ღუზო გაიძვერა. „სანსლეს“ მუშტრებს თავით ფეხებამდე ფეჭვნის, ახლავითომ სულგრძელობას იჩენს და ჩემთან თავს იკატუნებს. გადარჩენილისაგან თავის „წილს“ მოელის. ისე რა შეიღია ღუზო, ვინმესთვის თავს შეიწუხებს!

— ადამიანია, კაცისშვილია, — წელში გაწყდა ღუზო.

ბევრის სიცოცხლე დამიხსნია ზღვაზე. მეზობლის ხელებს მოწყალებისთვის არასოდეს მიეჩერებოვარ. ერთი გულით ნათქვამი მადლობა ყველაფერი იყო ჩემთვის.

მარტობა და უმეზობლობა კაცს მალე გასტეხს. მარტოდმარტო დარჩენილი, ამ რამდენიმე წლის წინათ, ზღვის უბიდან ამომზტარ მარგალიტზე ვოცნებობდი. ფულიანის გადარჩენის სურვილი ცეცხლივით მედებოდა. ოღონდაც ის „ზუთხი“ და „ფსკერის ულუფა“, მდიდარი ყოფილიყო.

ამ ორიოდ წლის წინათ „ხვავიანი“ შემოდგომა დამიდგა: ბარე სამიოდე „ზუთხი“ გამოვტაცე ზღვას.

დაილოცოს ზღვის სახელი. ჭკუა მართლა რომ მასწავლა. მართალია, ზოგმა საჩუქარი გამომიგზავნა, ზოგიც მადლობას დასაჯერდა, მაგრამ იმათ ბარათებს, ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ. სიმარტოვეს ისინი მავიწყებენ.

ეს იყო წინათ. ის სურვილი და ციებციხელება ახლაც ძველ ჭრილობასავით გამეხსნა და ამაფორიაქა.

— გაცურებას ხომ არ მიპირებ, შექლესა? ასეთ ამინდში ხანგის მეტი

ზღვაში ვინ შებედავს! — დღუზო და დაეჭვებული მაინც ტუნძულით ავედევნე.

პლაცს გავშორდი და შევდექი. ზღვა მართლა ბობოქრობდა. ღმუღოდა და ხმელეთს აწყდებოდა.

ყოჩაღო ღრუბლებში სისხლზე უფრო წითელი მზე ცურავდა.

თოლიები წამოფრინდნენ და ცის კედელს წერტილებივით მიექუჭვნენ.

ზვირთებს თვალი რომ მოვავლე, შიშმა გამკრა.

„წყებად მომავალ ტალღებს უნდა გავცდე. მერე არა უშავს, შუაგულ ზღვაში შედარებით სიმშვიდეა.“

ვეება ტალღის მიღმა განწირულმა ხელები აასავსავა. ვეება ტალღები უკუქცევისას შუაგულ ზღვისკენ ეზიდებოდნენ და ქანცვაცილოს ნაპირზე გამოვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

ნაპირს მოზომილი ნაბიჯით გავეცალე. უზარმაზარ ტალღას დაუყუცინთე.

კიდევ ათიოდე მკლავის გაშლა და, ზღვის მსხვერპლს ხელი თმაში ჩავავლე. განწირული ღრიანკალივით ჩამეხვია. წყლიდან თითქმის წელამდე ამოვიმართე და მხრებზე მოვივდე. ისევ შევეტოტე ზღვას, ნაპირზე გამოვათრიე, ქვიშაზე ჩვარივით მივაგდე და ჩავიშხლე.

ტალღები ახლა უფრო თავგამოდებით მოიწვედნენ, თითქო ზღვასაც ეგარძნო, რომ ლუკმა პირიდან ავაცალე.

ჩია, ხანშიშესული კაცი პირადმა იწვა. ძლივსლა სუნთქავდა.

— ალბათ „ზუთხია“, უტუ ბატონო, — დაიძინა ფერზე მოსული ღუზო.

— ღუზო, აქედან მომწყდი და შენს „ბატონს“ მიხედე, თორემ... — ცივად გადავხედე ღუზოს. კუდამოძებული წავიდა.

ქვიშაზე ჩავიჩოქე და მოხუცის მოსხებილი, უღონო მკლავები ხელებში მოვიქციე. ჩანანად დავხილე.

მხრებში ლაღად გავიშალე, ზღვას დამცინავად გავხედე და ამაყად გაძახე: — გავჯობე! — ერთადერთმა სიტყვამ მამა მომავონა, თითქოს მამაჩემი ჩემ

წინ იდგა და განვლილმა ჩემს თვალწინ  
სინამდვილესავით გაირბინა.

იმ დილით საკალმახოზე უღვაშა არ  
იჭდა. არც საურმე გზაზე ჩანდა ვინმე.

მამაჩემმა ტანისამოსი ნაპირზე მიაგ-  
ლო, მეც გამაშიშვლა და ხელი ჩამკვიდა.

დინჯად მიიწვედა ზღვის სიღრმისა-  
კენ, ზღვას იქვე ახლოს ცივი წყარო  
უერთდებოდა და ზღვა ცივი იყო. ტან-  
ში მცირდა. სიცივეზე უფრო მამის საქ-  
ციელი მაკვირვებდა. ხმას ვერ ვიღებდი,  
არ ვიცოდი, გულში რა განზრახვა ედო.

წყალი რომ ყელამდე მომადგა, მამამ  
ხელში ამიყვანა. ცივ ზვირთებს განიერი  
მკერდით მიაპობდა. შორეულ სივრცეს  
ვასცქეროდა.

ზღვა მხრებამდე მოადგა და შეჩერდა.  
შიშისაგან გასუდრული, მამის თბილსა  
და ბანჯგვლიან მკერდს ვეკვროდი.

მალაღმა ზვირთმა გადაგვიარა და მა-  
მამ ღონიერი მკლავები შემართა, დავა-  
კებულ წყალში ტყაპანი მოვადინე. „მა-  
ააა!“ მოვასწარი და პირი წყლით ამეგ-  
სო. ზღვამ ცოტა ხანში ზედაპირზე ამო-  
მაგდო. ხელები თავგამოდებით წყალს  
დაევშინე. თავი მაღლა მეჭირა. უმწეო  
ხელებს მამის მკერდისაკენ ვიშვებდი,  
ბინდჩამდგარი თვალებით ვხედავდი,  
მამა როგორ მიიწვედა ნაპირისაკენ.

ზღვაზე გამოუცდელ მკლავებსა და  
ფეხებს თითქო ფუთიანი ლოდები გა-  
მობზოდა და ფსკერისაკენ მეზიდებოდა.

მამამ ადგილი მოინაცვლა და ფსკე-  
რისაკენ დაქანებულს, მარჯვენა ღონიერ-  
ად ამომკრა: ჰაერი, მზე და მთები და-  
მანახვა.

სიცოცხლისადმი სიყვარული და ბრძო-  
ლის ენის ამინთო.

„მა-აა-მ!“ ისევ შევებლავლე და ახლა  
უფრო ცივად და ღონიერად მიბიძგა  
მამამ ქვემოდან. სიქავაცილილი, მარი-  
ლიანი წყლით ვიბერებოდი. ძაღლივით  
ვფართხალებდი, ნაპირზე გამოსვლას  
ვლამობდი.

რა ახლო იყო მიწა, სულ ათიოდე ნა-  
ბიჯი არც კი, და საკუთარი მამის ხელით  
უცნაურად ვილუპებოდი.

დავიქანცე, მკლავები მომიდუნდა,  
მუხლებმაც მიმტყუნეს და საბოლოოდ  
ზღვას მივინებდი.

თვალებზე ბინდი გადამეფარა, სიზმა-  
რეულივით ფსკერზე ჩავეშვი. გონებას  
ვკარგავდი.

მამამ ქოჩირით დამითრია და წყლიდან  
ზემოთ ამომიყვანა. თვალები უაზროდ  
მოვავლე დაბინდულ მთებს და გულმა  
ისევ მიწისკენ გამიწია. მაინც მიწის  
სიყვარულმა იმძლავრა.

მამამ მარჯვენათი სილა გამაწნა.

ლოყაზე ცეცხლი მომეკიდა, ამეწვა  
და ზღვას თვალებიდან გადმოცვნილი  
კურცხალი შევუერთე.

გამოვფხიზლდი.

— ამოძრავდი! — ცივად ჩამძახა მა-  
მამ და ხელი შემიშვა.

უკანასკნელად მოვიკრიბე ძალ-ღონე.  
თითქო მთელმა დღე და ღამემ გაი-  
რა, გაუთავებელმა და გრძელმა დღემ  
და ღამემ.

მოულოდნელად ფეხი ფსკერს დავად-  
გი. ჩალურჯებულ ტუჩ-პირზე სიხარუ-  
ლის შუქმა გამიელვა. გასაეათებული  
მუხლები ძლივს გავმართე.

ამომავალ მზეს მოღლილი მზერა,  
ტრემლი და ღიმილი შევაგებე.

— ზღვაზე დაიბადე და მკლავის ვაშ-  
ლა არ გცოდნია. ამ ხმელს რომ გაუმკ-  
ლავდე, ზღვასაც უნდა აჯობო. ღონით  
კი არა ხერხით, დროა! — თითქო თა-  
ვისთვის ჩაიდულუნა მამამ და უქმყოფი-  
ლომ ნაპირისაკენ გააღაჯა.

კარგა ხნის შემდეგ, მამა სხვა მეურ-  
მეებთან ერთად ომში წავიდა. მეზობ-  
ლებს მხარში ამოუდგა. მამაჩემი დოუს  
ულელტეხილთან დაიღუპა. მისი საფლა-  
ვი ა იმ მთებშია. ზედ ქვაც არ ადევს.  
ამაოდ დავბობლილობ კლდე-ღრე.  
ამაოდ ვეძებ დაკარგული მამის საფ-  
ლავს.

ორი რამე მახარებს: მამის ფუძე რომ  
არ მოვშალე და ზღვას რომ შეეებრძო-  
ლე და ბევრჯერ ვაჯობე კიდევ!

**მუჰამად ალიშა**

ზღვა მავშვილის თვალით

ფიქრს თავი მივანებე და ზღვას ისევ გავძახე: — შენა ხარ ჩემი ლუკმა-პურის მწყალობელი. მშვიდობით, ჩემო ჯარგა და ბუსკავ, თქვენი სევდიანი თვალების ქირიმე, კამეჩებო!

ჩემი ძახილი ზღვაურმა შთანთქა.

ქვიშაზე უღონოდ მიგდებული მოხუცი გამოცოცხლდა. წამოფარფატდა. თვალი გაახილა. გაძვალტყაყებულმა მუხლებმა ძლივს დაინდეს.

„სიბერე კანჭებზე დაეტყობა კაცს. ამ დაღუღულს კი რა უნდა ჰქონდეს და რა უნდა მომცეს“.

მოხუცმა ოდნავ გაცვეთილი შავი ხალათი გადაიცვა. ჭკნობაშებარული თითები უქანკალეზდა. გულის ჯიბიდან სათვალე ამოაცურა და კეხიან ცხვირზე ჩამოიღო. ტუჩები ერთიანად ჩალურჯებოდა.

უცნობი გულდასმით მათვალეირებდა. მერე მზერა ზღვაზე გადაიტანა: მე და ზღვას მუშტრის თვალით გვწონიდა, გვაფასებდა და ჩანდა, ორივე მოვწონდით.

— ზღვას რომ ფსკერი არ უჩანს, უძირო კი არ მგონია, ყმაწვილო, მაგრამ ჯიბრში გამომიწვია, პონტოსთან შებრძოლება ვცადე და დარწმუნდი, ჩემი გაზაფხული უკვე მართლა წასულია! — თქვა მოხუცმა.

ზღვაური ქრდა და მისი პუტუნი კარგად ვერ გავარკვიე. მოხუცი ისევ ზღვას გაჰყურებდა.

ზღვა გულდასმით შევათვალეირე, მაგრამ იქ არავინ ჩანდა. სამაგიეროდ ერთ რამეში ვიყავი დარწმუნებული: მოხუცს რაღაც უჭირდა... ან „საურმე გზას“ იყო ამცდარი. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მეურმეების ენაზე — ჭკუაზე მთლად რიგიანად ვერ უნდა ყოფილიყო საცოდავი. ამგვარ რამეებში მე დიდი გამოცდილება მაქვს და ეს ორი აზრი სინამდვილესთან უფრო ახლოს იყო.

— ასეთ ქარბორითში ზღვაში გასვლა ძნელია, — ვთქვი მე.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ. ფეხებმა მიმტყუნეს, თორემ... — მაინც

თავისას არ იშლიდა მოხუცი. მერე ლობის ნიშნად ხელი გამომიწოდა.

„თორემ სათურქოში ამოჰყოფდი თავს“, გავივლე გუნებაში, ქვიშაზე მიგდებულ პატარა მრგვალ ქუდს დაგწვდი და გაწბილებულ კაცს ხელში მივაჩიე.

— აა, ქუდი კი არა, სიცოცხლე კინაღამ ვაჩუქე პონტოს! — თავი გაიჭინა მოხუცმა და გაღივება სცადა.

ზღვაური ისევ ზუზუნებდა და მოხუცის სიტყვები გარკვევით არ მესმოდა. მე ერთხელაც ეტყით შევათვალეირე ზღვა, მაგრამ აქოჩრილი ზვირთებისა და თოლიების მეტი, ვერაფერი დავინახე.

თვალი ტირიფებსა და ჭადრებში ჩაკარგულ სანსლესკენ გამირბოდა.

მოხუცი თითქო გამოერკვა. ხელი ჯიბეზე მოიფათურა. შიგ რომ ვერაფერი იბოვა, გაწბილებულმა სათვალე შეისწორა.

— იქ, ეკლესიაში დავტოვე ყველაფერი, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა. — წავიდეთ. ეკლესიამდე მიმაცილეთ, თქვენ დიდი მადლობის ღირსი ხართ, — ჩიფჩიფებდა. კიდეც უფრო შეემეცოდა.

„ამ კაცს ფული სად ექნება!“ — ვთქვი გუნებაში და ზღვისკენ გადავაფურთხე. წყურვილისაგან ხახა მიშრებოდა.

ტალღები ისევ აწყდებოდა ნაპირს და თითქო დამცინოდა.

— თქვენი სახელი მითხარით, ბატონო! — სახე მომედრებლა. დუხო მომაგონდა. მეგონა მოხუცი დამცინოდა.

— გვარი, თორემ არამხუტ ემხვარის ან დადიანის ნაშიერი არ ვიყო, უტუვარ, მეურმე უტუ ჩალიგავა. ახლა არც ურემი მყავს და არც კამეჩები, მაგრამ ერთ ღროს კარგ მეურმედ მიცნობდნენ ფსოლში, ახლა ამ ზღვას ვემსახურები, დამსვენებლებს სიცოცხლეს ვდარაჯობ! — გავაგებინე მოხუცს ვინც ვიყავი.

— პირველი გზა მეურმეებმა გააკაფეს, ახლაც საპატიო საქმე მოუწდვიათ, ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ დაედება, ყველაფერზე ძვირფასია!

## კვლევა და სხვაები

— ოღონდ თავის დასახრჩობად ყველამ თუ ზღვას მოაშურა, მაშინ ხვალ მე თვითონ უნდა გამოვიბა ქვე კისერზე და სასუფეველი ფსკერზე დავიმკვიდრო, — ვუთხარი.

ზღვაური ძლიერდებოდა.

მოძალებულ ქარს თითქო თხელი ყინულივით მივიმტვრევდით. მოხუცი ერთიანად ძაგძაგებდა.

ფართო გზაზე გავედით.

— მე თქვენ სიცოცხლე მაჩუქეთ, უტუ, ვეცდები სიკეთით გადაგიხადოთ. მოხუცი „სანსლეში“ შევიპატიყვი. იუარა, მაგრამ გავჯიუტდი და არ მოვეშვი.

ღუბო თავისებურად დატრიალდა.

— ბეწვზე გადარჩით, ბატონო, მე რომ არ ვყოფილიყავი, საქმე ცუდად დამთავრდებოდა, — ქაქანებდა.

— თქვენ საიდან, როგორ? — შეეკითხა მოხუცი.

— მე დავინახეთ, ბატონო, პირადად და მერე უტუსთან გავიქეცი, უტუმაც ძან იყოჩაღა, უტუს ბევრი „ზუთხი“ ჰყავს გამოყვანილი ნაპირზე.

— ზუთხი? — შეეჭვდა მოხუცი და მე შემომხედა.

— ეს ჩვენი გამოთქმაა, ბატონო, ზღვიდან დახსნილს ჩვენ „ზუთხს“ ვეძახით, თუ...

ღუბოს მეტის თქმა არ ვაცალე, ერთი ისეთი გავხედე, თავის ხვრელი მოვანატრე. მაშინვე გაიძურწა.

მოხუცმა არაყი გადაკრა და გათბა.

ნახარჯი გავისტუმრე.

ღუბომ პირი დააღო. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, საჩუქარს ელოდა. ფულს ელოდა და იმედი გაუტრუნდა.

ფიჭვნარის ტყეში შევედით. მოხუცმა ენა ამოიდგა, სულ ეკლესიაზე ლაპარაკობდა. ყოველ ძეგლს სანიმუშო მოვლა და პატრონობა უნდაო.

ეკლესიის ახალი მეთვალყურე დავაბინავე და უკანვე გამოვბრუნდი.

ამჯერად ზღვას თურმე არქეოლოგი გამოვტაცე.

ვინც მზის ჩასვლით არ დამტკბარა, სილაბაზე ვნახეთ, ვერ დაიკვენის.

მზის ჩასვლისას გარშემო საოცარი სიჩუმე დგება.

პლაჟი ერთბაშად გაყურდება. ყველას გულისყური ჩამავალი მზისკენაა მიპყრობილი. მზე კი ჩადის, ევება წითელი მზის დისკო ნელ-ნელა იძირება, იწვის, იფერფლება და თვალისმომკრეულად ხასხასებს.

მზე ხვალ დილაძე არ ამოვა, შეიძლება ხვალ ღრუბლიანი ამინდიც იქნეს და ამიტომ დამსვენებლები თავისებურად აღიქვამენ და იმახსოვრებენ მზის ჩასვლას.

ჩაიძირება მზე, ზღვაც ჩამუქდება და ჩაიბინდება.

ფსოუელთა ნამოსახლარზე ბაღი შრიალებს. ბაღში მუსიკის ხმა იღვრება. საქსაფონო კვიციანი ჭიხვინებს, კლარნეტის ხმა მთას ასკდება, გიტარა წკრიალებს და დოღს ბაგაბუგი გააქვს. ესტრადაზე ნახევრად მკერდმოღვლილი ქალი შოლტივით იგრძობა, თვალებს ნაბავს და ზღვის სიმღერას, ვინ იცის. მერამდენედ მღერის.

მომღერალ ქალს მუსიკა ცვლის. საცეკვაო მოედანზე შიშველი მკლავები ერთმანეთს გადაჭდობია. ცეკვავენ ტანგოს, ფოქსტროტსა და რუმბას... ერთ ახმახს პატარა ქალისათვის მკლავები მოუხვევია და ლამისაა ჰაერში აიტაცოს, თვალებს აბრიალებს, ყველაფერს ბრაზით უბღვერს.

ევროპულ ცეკვებს ვერ ვეგუბი, ვტოვებ საცეკვაო მოედანს და ისევ პლაჟისკენ მივდივარ. ზღვაში ვარსკვლავები ცვივა. გლისერები დაქრიაან.

ჩვენს კურორტზე უმეტესად ჯანმრთელები ჩამოდიან. ჯანმრთელებს აკრძალული არა აქვთ გაერთონ და დრო ისე გაატარონ, როგორც მოესურვებათ.

დასასვენებლ სახლს თავისი განრიგი

**მურმან ჭოიბაძე**

ზღვა მავაილის თვალით



და რეჟიმი აქვს. სანატორიუმსაც თავი-  
სი. ორივე ჯანმრთელობას ემსახურე-  
ბა. ზოგ დამსვენებელს სჯერა ეს, ზოგს  
— არა. ზოგს ეს კარგად ესმის და ზო-  
გიერთიც თავს განგებ იყრუებს.

ზღვისპირა რესტორნები და სასაუზ-  
მეები ყოველთვის საესეა დამსვენებ-  
ლებით. „მყუდრო ადგილებში“ თითო-  
ოროლა ჭიქის გადაკვრა მაინც ხერხდ-  
ბა. ზოგს თავაზიანი ცოლი ახლავს და  
იმ ორი ჭიქის მიღებასაც უკრძალავს,  
ქმრის ჯანმრთელობას უფრთხილდება  
და თვითონ სვამს.

ასეთი ცოლები ბოლომდე ოჯახის  
ერთგულები რჩებიან.

ზღვაზე დამსვენებელი ბევრია. ვერ  
გაარჩევ, რომელია ავადმყოფი და რო-  
მელი ჯანმრთელი. ვერც იმას გაიგებ,  
ჯიბეში თვითეულს რა წამალი უდევს.  
ჯიბეების გასინჯვა მხოლოდ თავაზიანი  
ცოლების საქმე და უფლებია.

დღეს ქალიშვილები ერთ ცნობილ  
მომღერალს შეუჩინდნენ და ამღერეს.  
მომღერალმა სიმღერა რომ დაამთავრა,  
დღეღმობილა დამსვენებლებმა ოვაცია  
გაუმართეს. მეორედ ამღერეს და იძუ-  
ლებული გახადეს ყელის ძარღვები მე-  
სამედაც დაებერა. მომღერალმა განზე  
გამიხმო.

— ხომ ხედავ, მამრაცებენ, არ დაი-  
ჯერო. შენ რომ გემღერა, უფრო მეტ  
ტაშს დაგიკრავდნენ, — დაბეჭითებით  
მითხრა.

მე არ დავუჯერე.

— რა გქვია შენ? — ხმა დაიწმინდა  
მომღერალმა.

— უტუ.

— ჰო, ბუთუ, ჩემს გამოცდილებას  
ენდე. ტაში ყოველთვის მოწონების  
არაა. ვიყი გინახავს?

— მეზობელი გვყავდა...

— რამდენი? — ეჭვით იკითხა მან.

— ერთი...

— საკმარისია. რაც უფრო მეტ სი-  
გიურს ჩადიოდა, ხომ უფრო უქებდით  
საქციელს და ამხნევედით?

— კი...

— აბა, რას გეუბნები, ჩემო ბუთუ...  
— ბუთუ არა, უტუ.

— თუ გინდა ასე იყოს, — თქვა მომ-  
ღერალმა, — საკუთარ თავში დაეჭვება  
კი ბევრ რამეს ნიშნავს, განსაკუთრე-  
ბით პოეტის, მხატვრის და შემოქმედის  
თვალში. ეს კარგად დაიხსოვ. ზღვაზე  
შენ ლექციებს არ კითხულობ და არც  
შენთვის სცალია ვინმეს, საამისო დრო  
არც შენ გაქვს და არც იმ ვინმეს. ესეც  
კარგად დაიხსოვ: დააკვირდი და ნახავ,  
თუ ყველა ეჭვიანი არაა.

— ყველა?! — ეჭვით ვამბობ მეც.

— ყველა. უეჭვო ადამიანი არ არსე-  
ბობს, ჩემო უთუ... ჭია+ეჭვი+გული,  
გული+ჭია+ეჭვი, — სამი თითი ცხვირ-  
წინ ამიქნია მომღერალმა.

მე მის გამოხედვაში კიდევ შემეპარა  
რაღაც ეჭვი.

— ჩემი ნათქვამი კარგად დაიხსოვ:  
ჭია+ეჭვი+გული! — ხმას სიმღერით  
აუწერა და პლაჟის კედლებს მიეფარა.

...გასივდა თავი. საშინლად გახურდა,  
თითქო შიგ ვიღაცამ ტყვია ჩამასხა.

საცეკვაო მოედნიდან მუსიკის ხმა  
ისევ მოისმის: ცეკვავენ ფოქსტროტს,  
ტანგოს და რუმბას. წყვილები ბზრია-  
ლასავით ტრიალებენ, წყინავენ, ერთმა-  
ნეთს ეკვრიან, ჩურჩულებენ, ბუტბუ-  
ტებენ და უხილავ სივრცეებს კეცავენ.

მუშტარი „სანსლეს“ ზედახორად იწყ-  
დება. დუხო ოფიცინატი წელში წყდე-  
ბა, მუშტრის სიმრავლეს ვერ აუღის.  
ხან ერთ სუფრასთან გაიფრიალებს, ხან  
მეორესთან, ცალთვალა მინაგო „მარ-  
ქაფას“ იშველიებს, დახლს მეუღლეს  
უთმობს და „სამოვარზე“ თვითონ გა-  
დის, სუფრას თვითონ ემსახურება.

ისინი ოთხნი მოვიდნენ, ფხიზლები.  
ზორბა ტანის კაცი წითურია და ბეცი,  
ქვას რომ თვალი დაადგას, დაფშვინს  
და მტვრად აქცევს.

მეორეს თავი ჩვენებურ თეთრ კვახს  
მიუგავს, თავგადახოტრილია. ჩასისხ-  
ლიანებული თვალები საუბრის დროს  
უფრო უსივდება, ლამისაა ბუდეებოდან  
ამოუცვივდეს. თავგადახოტრილი ვნაბ-  
ლუა — ბურღულს ეძახიან.



მესამეს შვიი ქოჩორი მხრებზე აფენია. ცნობილი მსახიობია. მეოთხეს — თვალები სხვის ბოსტანში ფხალს შეჩვეულ თხასავით დაუცეცებია. გადრეკილი შუბლი უელავს და კეფაზე აქაიქ მოყვითალო ღინღლი უჩანს.

ბეცს კვეცე ჰქვია. კვეცე ხანდახან ზღვისთვისაც მოიცილის, გადახედავს და ეღიმება, ჩუმად, შემპარავად.

— მეგობრებო, კარგი იქნებოდა, თითო ჭიქა დაგველია, — თქვა ქოჩორამ და კონიაკის ბოთლი ქვიშაზე გააგორა.

— სასაუზმის რიარიას ზღვა და სიმყუდროვე ათასწილად სჯობია, — ჩაურთო კვეცემ.

— ვალში არც ჩვენ დაგრჩებით, — ჩაიციხა თხისთვალემა.

— თ-უკი ა-არ გა-ავეგი-ბრა-აზღები, აზღები, — მიწა გამოეცალა ბურღლუს, ჰაერში კარგა ხანს აფათურა ხელები და ხაოიანი ენა.

ამ ხალხის მიკვირს, მე ჩემი საქმე მახარია, სამუშაო დღე დამთავრდა. არც ერთი უბედური შემთხვევა არ მქონია. ზღვაში არავინ დამედრჩოს და ნაპირზე ვინც რა უნდა, ის ქნას, მე რაში მეკითხება. თუმცა ამათი აქ მიტოვებაც არ შეიძლება. სმას რომ შეყვენ და ბანაობის ხასიათზე დადგენ, მერე რას აპირებ, უტუ? არა, ასე არ გამოვა, პლაცს ამათ ანაბარა ვერ დავტოვებ.

— ძსია მოვნეთ, თქვენი ჭირიმე, — ვეპატიეები სტუმრებს გულუხვი მასპინძელივით. თითქოს სანაქებო სუფრა მქონდეს ვაშლილი.

ქოჩორამ გაზეთი გაშალა. ბურღლუმ ზედ პური, მოხარშული კვერცხები და სათუთუნედ დაჭრილი სულგუნი დააწყო. ცალთვალას ხელი ვიცანი.

ავდექი და ჯიხურში შუქი ავანთე, მომკრო ჭიქა გამოვიტანე, ქვიშაში ჩაიციებული ლიმონათის ბოთლები გამახსენდა, გავხსენი და ჩემი წილი ზრდილობა საერთო სუფრას წაუყუმატე.

— ბატონებო, ა, ჩვენი მასპინძელიც! — ჩაიხვინებინა კვეცემ და ქორფლიანი ხელის ზურგი პირზე აიფარა.

— მართალი ხართ, ბატონო კვეცე — დაუმოწმა ქოჩორამ.

— ბატონი კვეცე არაფერში არ შეცდება! — დაუმოწმა „თხისთვალემა“ და ტუჩები კბილით მოისინჯა.

კონიაკი რიგრიგობით მოჰქონდათ ასეთი წილისყრა კვეცემ ინება. კვეცე ყოველ სადღეგრძელოზე არც ზღვას ივიწყებდა და შემპარავად უღიმოდა.

ტალღები ნაპირს თეთრ არშიად ევლებოდა, ზღვა ხარბად სუნთქავდა და კენჭებს აჩხრიალებდა.

ცის კიდეზე ვარსკვლავმა გაიციმციმა. ის ვარსკვლავი იზრდებოდა და თანდათან ნაპირისაკენ მიიწევდა.

ორიოდე საათში გემი რომელიმე ნავსადგურს მოადგება. მეზღვაურებს ყოველთვის მოუხარიათ ნაპირისაკენ. მეზღვაურები გემბანს დატოვებენ და მიწაზე ახლადფეხადგმულბივით დააბიჯებენ. მერე სანაპიროს მოედებთან და მიწის შვილები მიწას შეხარაინ.

მეოთხე ბოთლი კონიაკი გაფრინდა, ჰაერში გაიზუზუნა და ზღვის ტალღებში ჩაიძირა. ცარიელი ბოთლი მალე ამოტივტივდა და კისერი დაიგრძელა. ცარიელი და ფუტურო ზღვაში არაფერი იძირება.

მეგობრები შეთვრნენ. ბურღლუს „მანიკ“ სხვებსაც გადაედო. ახლა ჩემს წინ ოთხი ენაბლუ ზის ერთის მავიგრად.

ყველაზე დიდი ტანჯვა მაძლარის და მშვიერის საუბარია. ნაკლები არც ფხიზელისა და მთვრალის შეხვედრია.

მე არც ნასვამი ვარ და არც მაძლარი, ზღვის კანონს მტკიცედ ვიცავ და ჭიქას ახლოს არ ვეკარები, ზრდილობისათვის არც სხვის პურ-მარხის ვუთამამდელები.

მთვრალმა გაუთავებელი ლაპარაკი იცის, წინ ასი ვერსი გზა უდევს და მასპინძლის ქიშკარს ვერ გაშორებია. იტყვანება და იტყვანება ერთ ადგილას. მოგლის, მოგშლის და მოგთენთავს.

**მურმან ჟიიავა**  
ზღვა მავშლის თვალით

ათასჯერ ნაბუტბუტევეს ხელახლა ბუტბუტებს.

მთვრალი იმედიანია, თამაში და გაბედული. უკან არ დაიხევს — ცაც მისია, ზღვაცა და ცარგვალიც.

მთვრალს, რაც ნასესხები აქვს, ყველა გასესხებული ჰგონია!

კვეციუს ბებია მოაგონდა, ბებიას ვახსენებამ მოშალა.

— ბებიას სუფრაზე არვინ გაიხსენებს. ქვეყანა დაცარიელდა!

— მალე ჩვენ, მშობლებსაც, ამოგვიღებენ ლიმიტიდან, — სიტყვას ართმევს ქოჩორა, — ყოფნა-არყოფნის საფრთხე გვემუქრება.

— ბე-ე-ბიას ყო-ფნა, აა-არყო-ფნა! — იგულება ბურღლუ და ხელებს ცას უპოტინებს.

— მე ბებიას გაზრდილი ვარ, პირად! — ხეიხინებს კვეცი და ქორა თვალებს ისე ჭუტავს, თითქოს ბებიას სამარეს ეძებდეს.

— მე ბებიაც მყავდა და ბაბუაც! — რიხით ამბობს თხისთვალემა, — მაგრამ მაინც ბებიას გაუმარჯოს!

— უ-მარ-ჯოოს! — ხენეშის ბურღლუ.

— ბურღლუ, შენ დაკვირვებული კაცი ხარ, ზღვის მეტი ახლა აქ არავინ გვისმენს, რაა კაცი, ადამიანი. თუ მეტყვი, უნამუსო ვიყო, პრემია თუ არ მოგცე — ერთი თვის ხელფასი. მეტი რა გინდა.

ბურღლუ გაიჭეჭა, გაიბერა და თვალები დაკუსა.

— ყველა კაცი მსახიობია. შურიანი, მლიქვნელი და ცრუა, — წაეშველა ქოჩორა.

— ა-სეა. მმ-ლიქ-ვნე-ელია, — ბურღლუ წამოდგა, ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და დაჯდა.

კვეციმ დაიმორცხვა და უარის ნიშნად თავი გააკანტურა.

— ირემი ირემს ბალახს აწვდის, — თქვა თხისთვალემა, — ასეა, კაციც კაციტაა, ბატონო კვეცი!

კვეციმ ერთხელ კიდევ გაუკანტურა თავი ზღვას და ჩაახველა: — კაცი, ადამიანი, მიაღლი არსებება, ამხანაგებო, მა-

რა... ჯერ ეს იკმარეთ! — თქვა კვეცი და ბეცი თვალები ზღვას გადაუჭყეტუნა.

ტაში ქოჩორამ წამოიწყო და ბურღლუმ დაამთავრა.

თავი თანდათან მისივდება და მიძიმდება, ცუდ დღეში ვარ, მაგრამ იმდენი სინდისი მაინცა მაქვს, ამ ოთხეულის არც პროფესია გავამხილო და არც ვინაობა. არაა საჭირო.

— საქართველო მთავორიანი ქვეყანაა. მდინარეებიც ბევრია. ეს ზღვაც მისია. — ჩაბინდულ ზღვას გაუღიმა ბეცმა.

— საძოვრებიც აქვს. მართალია, არ გვეოფნის, მაგრამ ჩვენი ცხვარი უწყინარია, შორ გზასაც ურიგდება და სხვა საძოვრებზე გადაგვყავს.

— უჩაიო ქვეყანა ვერ წარმომიდგენია, ჩვენ ეს სიმდიდრეც ბლომად მოგვეპოვება.

— უჩაიო კი არა, უღვინო უნდა გეთქვა! — ტუქსავს თხისთვალემა ქოჩორას და კვეციუს ფრთხილად ზვევრავს. უნდა გაივოს, ასიამოვნა თუ არა კვეციუს.

— უ-უ-უ-ღვინო, ნო! — ჩვიჩვირი უკანკალებს ბურღლუს და ცივ ოფლს იწმენდს.

— აქეთ რომ მოვდიოდი, გულუ ჭეყიას ეზოში ცხელ წყალს ამოუხეთქია! — იცინის კვეცი.

— მა-ასეთი წყა-ალი ბე-ევრის ო-ჯახ-ში ჩქე-ფეს! — ხვითქი გადმოსდის ბურღლუს შუბლიდან.

— ოუშენებია კაცი, ბორჯომი იქნება.

— ბორჯომი არ უნდა იყოს, მარასამკურნალო წყალი თუა, მართლა დააქცევს გულს ოჯახს.

— ქართული მიწაა, დალოცვილი, ქართულ მიწაზე გასაკვირი არაფერია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, წყალმა კი არა, ერთ დღეს იქნება ოქრომაც იფეთქოს! — ფიქრიანად ამბობს კვეცი.

კვეციუს ნაფიქრალსა და ნააზრევს ამფსონები კვალდაკვალ მიჰყვებიან. სადღეგრძელოებს ერთმანეთს არ აცლიან.

— რადგან ასეა, მაშინ, მოდი, მთავორიან საქართველოს გაუმარჯოს თავისი

საძოვრებითა და ჩაის პლანტაციებით, მინერალური წყლებითა და ზღვით!

— გაუმარჯოს გულუ ჭეჭიას ეზოს და გამარჯე გლეხის საესე ქვევებს!

— უ-უ-მარჯ-ვოს, ჯოს! — კენჭებივით ცვივა ბურღლუს მარცვლები.

კვეცეს სიტყვა და აზრი ყომარბაზის კამათლებივით მოსდის. ეტყობა სიტყვის დიდი მოთამაშეა. ამას თვითონაც გრძნობს.

— ზღვა სულ დაგავიწყდათ, ბატონო კვეცე, ზღვა კი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ... — თხისთვალეზას ქალური ხმა აქვს, სათქმელს აყოვნებს და კვეცეს ეთილისმება, მისი აზრი აინტერესებს.

— ზღვა დიდია. ყოფნა-არყოფნა ჩემი ნამდვილი როლია! — „ყოფნა-არყოფნა“ ფეხზე დგას და ზღვას თითს უქნევს.

თხისთვალეზას თვალეზში ცეცხლი ემატება.

— სავალდებულო არაა, მართლა მსახიობი იყო, ერთ როლს ხომ არ უნდა შეაბერდე. ამინდი და როლი ერთმანეთს უნდა შეუგუო. მრავალფეროვნება ყოველთვის საჭიროა.

— ა-არც შე-ენა-ხარ ნაა-კლე-ეები! — იკინთება ბურღლუ და გამომშრალ ქიქას მარილივით ლოკავს.

— რამ გადაგრაით, კაცო, რას აყოლიხართ უტუ ხალხს, — ჩემი სახელი გამოურია ბეცმა, — ზღვა ბითურია. ყველას ერთნაირად ეთამაშება — დიდსაც და პატარასაც, ჭკვიანსაც და ქაქე-საც. ყველასთან ერთნაირად გულლია და პირქუში.

კვეცე ქორა თვალეზს ეძებს, რომ მომდგარი ცრემლი შეიშროს. კვეცე საკუთარ თვალეზს ეძებს!

— ყოფნა-აღყოფნა, — დუღუნებს ენამოჩლექით ქოჩორა და ისე ირწევვა, ზღვაურმა რომ წამოუქროლოს, ქვიშაზე სარეცხივით დააფენს.

ბურღლუ ორიოდ სიტყვას კიდევ ამოღერდავს და სული სასულეში უბრუნდება.

კვეცე წამოდგა. ზღვისკენ ლასლასით წავიდა.

ნიაგმა შორიდან მუსიკის ხმა მოიტანა.

თხისთვალეზამ „სანსლესკენ“ არეული ნაბიჯებით გასწია.

ქოჩორა: — ამ პატიოსან ბიჭს ის თხისთვალეზა კაცი ჰგონია, — ჩემზე თქვა ქოჩორამ.

ბურღლუ: — ე-ეგონოს, მა-ავას კი არა, ბე-ევრსაც ა-ასე ჰგონია, ნია... — ბურღლუმ ქვიშაში ჩაქრა ფეხი.

— მე მართალი კაცი ვარ და სიმართლეს ვერ დავმაღავ, გემსის, მეგობარო! — გადმომძახა „ყოფნა-არყოფნამ“.

— ის გაქეილი საზღვარგარეთ იმიტომ დადის, კვეცეს ცოლს მოდური საცვლები ჩამოუტანოს ძღვნად. კაცია ახლა ის? — „ყოფნა-არყოფნამ“ უწმარად შეიგინა.

— არ არის კაცი, — ვთქვი მე.

— შენც მართალი ჩანხარ, — დამიამედა „ყოფნა-არყოფნამ“.

— ახლა რას იტყვი, ქოჩორა! — გაკვესა ბურღლუმ.

— კვეცეც კი დოსტია. ყავს ეს გულურა კაბინეტში და თავიდან არ იშორებს. რამე რომ იყოს, პირველი წაბილწავს მის სამარეს. ხომ ხედავ, ახლა ზღვაზედაც ჩამოსდია. ურემს ვერ ენდობი კაცი, ურემს! — მკერდზე ხელს იბაგუნებდა ქოჩორა.

— ურემი კი ა-არა, ბა-აატ-საც... საც... — მთლად გადაფიჩინდა ბურღლუ.

მე ვიღიმი. ხმას არ ვიღებ. ურემს კი მართლა ვერც ერთს ვერ ვანდობ, კაცმა რომ მკითხოს. ნახეს რალა აბუჩად ასაგდები.

თხისთვალეზამ კონიაკი მოიტანა.

საღლეგრძელოები განახლდა.

— ჩვენ აღრე ვწევებით, ამხანაგებო, და გვიან ვდგებით! — თქვა კვეცემ — ამიტომ...

— სჯობია გვიან დაწვევით და აღრე ავდგეთ, ხომ ასეა, კვეცე ბატონო, — თვალეზში შესცივინა ქოჩორამ თამადას.

**მურმან ჟივიანი**  
ზღვა მავშელის თვალით



— ჰოდა, გვიან დაწოლას და ადრე გამოღვიძებას გაუმარჯოს, ამხანაგებო! — რიხით ამბობს კვეცე და თხისთვალებას შუბლზე ლომნის, თავის მხრივ ის გაქეჩილი მეტოქეს კისერზე უხვევა. ბურღლუს გადახოტრილ თავს ქოჩორა დამხობია და ერთი მტლაშამტლუში ისმის. ყველაფერი ერთმანეთში აირია: ოჯახი და სამსახური, თანამდებობა და ვენახი, ბორჯომი და ფეხბურთი, ბრაზილია და ამბროლაური. მთავარე და კალმახი, ყამირი და ბურახი. გახურდა თავი... ყველაფერი თვალწინ დატრიალდა და აზუზუნდა. ზღვა აორთქლდა, ამომშრალი ფსკერი მინაგოს დავსებულ თვალს დაემსგავსა და ტანში გამაჟრიალა.

... ოთხი ქანცვაცლილი მეგობარი წამოდგა. ისინი ტკბილად აგინებდნენ ერთმანეთს, ოღონდ რომელი რომელს, ვერ გავიგე.

ბანცალით წავიდნენ, ხელიხელჩაკიდებულები, პლაჟის კედლებს მიეფარნენ.

მშიერსა და მაძღარს ერთმანეთის არ ესმის.

მთვრალსაც და ფხიზელსაც.

## თ ო ღ ი ბ ე

ყვერსა და აბლაბუდამი დილის ნამით გალუმბული წყაროს მივადექი. წყაროს თხელი ნისლი ასდიოდა.

სახეზე წყალი შევისხურე, გამომაფხიზლა.

ნაღვლისფერი დოქი წყალში ჩავძირე. წყლის ლიკლიკს ჭერ რაკრაკი და მერე ყელამდე ავსებული დოქის ბუყბუყი მოჰყვა.

ბუნება ნელ-ნელა იზმორებოდა და ნამძინარეც თვალებს იფშვნებდა.

ასეთ ცოცხალ დილას ყოველთვის ფეხზე ხედება ცალთვალა. საცაა კარის შეზობელი „სანსლეს“ კარს ფართოდ გააღებს. რიწის ტბაზე საექსკურსიოდ მიმავალი დამსვენებლები დილის მადლს სუფთა ჭაჭის არყით „სანსლეში“

ლოცავენ და მერე ისევ აგრძელებენ გზას.

გზაზე ტოჩი კალიასავით მიხტის. სამზარეულოში ცეცხლი უნდა გაჩაღოს. ტოჩის გზა უღვამას ჭიშკართან იწყება და „სანსლეში“ თავდება, რასაკვირველია, ცხოვრების გზა.

მზარეული ხალაკი, ფამვს ძლივს დაათრევს. ხელში ვეება დანა უჭირავს და სამწვადე ხახვს აქუცმაცებს. წუხანდელი გაუსაღებელი მწვადი ტაფაზე ყრია და შიშხინებს. ხალაკო ხანდახან რაღაცეებს წერს.

ამ კაცმა დრო ვერაფრით გამონახა, რომ ცოცხალი მწერალი ნახოს და ცოცხალმა მწერალმა მანაც გაურკვიოს, თუ რას წერს ხალაკო. თუ არადა, კაცს მოსვენება დაკარგული აქვს, აქეთ აგუგუნებული ღუმელი წვევს და იქით — გულში მომდგარი სათქმელი. ხალაკოს ვერავინ ხედავს „სანსლეში“, მისი ოფლი წყალივით იღვრება და მარჯვენის მადლიც დაუფასებელია. სამაგიეროდ, სამზარეულოს პატარა ჭრილიდან თვითონ ხალაკო ხედავს ყველაფერს, აქედან მის თვალწინ იშლება უსახღვრო პორიზონტი და ოდესმე თავის ნაწერებს ხამამალა წაიკითხავს.

ნისლში გახვეულ მთებს მზერას შევავლებ, მთები სწრაფად მიიწევენ ცისკენ. მთების ახოვნება მშურს. მათი ფუძე ურყევია, მთებისათვის ყველაფერი სულერთია.

ქოხთან მივდებულ ვეება ქვაზე ვჯდები, ქვა მამაჩემის მარჯვენას და ფოლადის ნახახს გაუცვითავს.

ვერ ვიტან, ამ ქვას შევხედავ და მამა მაგონდება, „ასე იცვითება და ილევა კაცის გული, კამეჩის კისერი და აჯაციის ღერძი“ — ხამამალა ვესაუბრები საკუთარ თავს.

მეურამეებს უყვართ საკუთარ თავთან საუბარი. საკუთარ თავთან უფრო გაბედულები, პირდაპირები და გულწრფელები ვართ.

გზაზე მანქანის ხმა გაისმა. მანქანა უთვალავი მიმოდის ამ განიერ გზაზე და ყურადღებას არც კი ვაქცევ. მანქანის გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა. წი-

ნათამ გზაზე ასფალტი არ იყო, საურმე გზაზე ბათუ ბაკურიას ცხენის ფლოქვეზის ტკაბატკუბს ას ვერსზე შევიცნობდი. ვიცოდი, ნაღდად თავმჯდომარე მოაქვნიებდა ღუფმორეულ ულასს.

შოფერმა მანქანა დაამუხრუჭა და ადგილზე გააქვავა.

მანქანიდან ქალიშვილი გადმოვიდა, ხელში ჩემოდანი ეჭირა. მანქანა ისევ ათუხთუხებდა და ასფალტზე გასრიალდა.

უცხო ქალიშვილი ჩემს ჭიშკარს მოადგა. მომესალმა. ეტყობოდა, ნამგზავრი იყო და სახეზე ფერი გაკრთომოდა. ზშირსა და გრძელ წამწამებს აფახულებდა.

ქალიშვილი ეკლესიას ექებდა. ხან ჩემს ქოხს შეპყურებდა, ხან ცალთვალას ვილას და ხანაც მთის ფერდობებზე გაბნეულ დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებს.

— პატივცემულ არდაშელთან მე მივასწავლათ, — ვთქვი მე, ეზოდან გადავიდი, უცნობს ჩემოდანი ჩამოვართვი; შეურმე კაცის ზრდილობა მოგეხსენებათ, ქალიშვილს ტვირთს ხელში როგორ შევატოვებდი. ზრდილობისათვის არაფერს არ ვთაკილობ, ჩემოდანი რა მიგდია, ტომარა რომ იყოს, არც ტომარას აუუქცევ ზურგს. ამიტომ, არცა მწყინს „ეი, მეურმეს“ რომ მეძახიან.

სხვაც რომ არ იყოს, გაუბედავი ვარ, თორემ არც მადა მაკლია და არც გემოვნება. დასწყევლოს ღმერთმა და ეს თოლისკვამი\* გოგონა მგონია გულშიც ჩამივარდა.

ქალიშვილს ჩემოდნიანად წინ გავუძეხე. ქალიშვილი აჩქარებული მომყვებოდა. თითქმის მომღევდა.

ულვამას ოდას რომ ჩავუარეთ, ჭიშკრიდან ულვამაც გადმოვიდა, ერთი ალმაცერად გადმომხედა. ბადე მხრებზე გადაიგდო და უდანაშაულო ძაღლს წიხლი ჩააზილა, მეგრულ-აფხაზურად შეუკურთხა და შიგ ჩემი სახელიც გამოუთრია.

შიშით ულვამასათვის გამარჯობაც არ მითქვამს. ვიცოდი, უკუღმართულ რა-

მეს მეტყოდა, ულვამაც მაინც ვერ მისვენა და ამჯერად „ია და ვარდი“ აფხაზურად მომიფინა: კაბიანს რომ ნახავ, თვალში სინათლე გეკარგება. მეკამეჩე რომ ხარ, ისიც გავიწყდება და საკალმახოსკენ ხლიჩინით გასწია.

ახალი გათენებული იყო და ფიქვანარის ტყეში გრილოდა. ცამდე აწვდილ ფიქვის ტოტებს ნისლი გახლართვოდა. ფიქვანარის ბოლოში ზღვა ხმაურობდა ირგვლივ საამო სურნელი იფრქვეოდა და ქალიშვილი ხარბად სუნთქავდა.

„ეკლესიის ახლომახლო არქეოლოგის მეტი არავინ სახლობს, ეს გოგონა მისი სტუმარია, — ვფიქრობდი მე, — ალბათ დასასვენებლად ჩამოვიდა.“

— მოგწონთ ჩვენი ტყე?

— შესანიშნავი ტყეა, — თქვა ქალიშვილმა და სკვამი თვალებით გზა უფრო დამიბინდა.

— ასეთ ტყეს დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ, — ამაყად ვუთხარი.

— მაინც რატომ?

— ასეთი ჯიშის ტყე გადაშენდა.

— შეიძლება ასეც იყოს, — ღიმილი შემომამფრქვია თოლისკვამმა.

„არქეოლოგის შვილიშვილია, მაგრამ არაფერს არ ვეტყვი. არ ვეტყვი, რომ ბაბუამისმა კინდამ ზღვის ფსკერზე დაიდო სამუდამო ბინა“, — გავიფიქრე.

— აგვისტო ზღვაზე კარგია? — მკითხა თოლისკვამმა.

— აგვისტო არადა, სექტემბერს ზღვაზე არაფერი სჯობს, — მე ზღვა ცამდე ავიყვანე, ერთხანს ცაში ვათამაშე და მერე ისევ თავის ფსკერს დავუბრუნე.

— სამწუხაროა, — თქვა ქალიშვილმა.

— რა სამწუხარო, ზღვა?

— არა, აგვისტოს ბოლოს ისევ უნდა წავიდე.

აგვისტოს ბოლომდე მთელი თვე იყო დარჩენილი და მე გამიხარდა. მიზეზი არც მიკითხავს საკუთარი თავისთვის, მაგრამ მაინც გამიხარდა.

დაბალ სახლს მივადექით, სახლს იქით

\* მგვრ. თვალმშვენიერი



ეკლესია იდგა. ცისკენ აჭრილი ზღვას მღვმარედ გაჰყურებდა.

ქალიშვილი ეკლესიამ მოხიბლა, დარბაზს მიაშურა.

მე ღია ფანჯარაზე მივაკაყუნე. არქეოლოგი შინ არ იყო.

ეკლესიას მხარმარჯვნივ შემოვუარე. მოხუცი სამარხში იდგა. ხელში დოქის ნატეხი ეჭირა და გულდასმით ათვალეობდა.

— სტუმარი გეწვიათ, პატივცემულო არდაშელ, — მივესალმე არქეოლოგს.

— არქეოლოგი შეკრთა.

— სტუმარი?

— ჰო, სტუმარი.

— მარტოა? — პირქუშად იკითხა მოხუცმა.

— მარტოა!

— ჩემი თოლიგე ჩამოსულა, — თქვა მოხუცმა და წარბი გახსნა. სამარხიდან ფაციფუცით ამოვიდა. ხეზე მიკიდულ პირსაბანს მიაშურა, ხელპირი დაიბანა და პირსახოცით შეიმშრალა.

... ბაბუა და შვილიშვილი ალერსით გულს რომ იჯერებდნენ, ალბათ მეც გავახსენდებოდი.

ხეები ვისაფრე და პლაჟისკენ სხვა გზით გავწიე.

ულრუბლო დილა გათენდა.

ულვაშა საკალმახოზე მოსულა.

— დილა მშვიდობისა, ულვაშა, ახლა რომ ღმერთი, ან დიდი კაცი იყო, რას იზამდი, ნატერას ამისრულებდი? — გაეძახი მეთევზეს. ულვაშამ იცის, ის დიდი კაცი ვინცაა და პასუხსაც არ მიგვიანებს.

— მეურმის სახსენებელს მოვსპობდი, ზღვას დავაშრობდი. ამ ქართის ჭაკებს და აჯილღებს უკანალს წყეპლით ავუჭრებლებდი.

— მე? მე რას მიზამდი, ულვაშა?

— შენ და ცალთვალას საკირეში დავწვავდი! — იმუჭრება ულვაშა.

— მე მაინც რას მერჩი, რა დამიშავებია?

— რას და ცალთვალას ამ წუთი-

სოფლად რომ აბოვინებ, — ხლიჩხეშე ულვაშა.

— მაშინ მარტო ტოჩი ყოფილა კაცი. თუ... ტოჩისაც გაუთხრიდი მიწას?

— ტოჩის პირველ კაცად ჩემს გვერდით დავისვამდი, — ულვაშა თანდათან ივიწყებს საჭუთარ თავს და მართლაც რომ ერთი საათით აუსრულდეს ნატერა, ქვეყანას დააქცევს.

— ტოჩის კაცობას ვინ დაგიჯერებს, ულვაშა!

— ვინ დამიჯერებს და მუშტი დე მაუზერი. შე მართლა მეკამეჩე!

— მერედა, ტოჩიაც რომ გივანოს და ფეხი გულზე დაგადგას?

— იმდენი მიხვედრა თუ არა აქვს ტოჩის, რომ ღალატისათვის მაგასაც ოუგებენ ანდერძს, ანაბრე, დამაფურობოს სავლავზე და ისაა, — ეჭვდება ულვაშა.

— ულვაშა არც კუდა ძალს ივიწყებს:

— მიყურე, კარგად მიყურე მაგ დასაესები თვალებით, ჩემზე ადრე წაჩანჩალები სამარეში. შენ კი არა, დრომ მეც წამახდინა.

მერე ისევ გავახსენდები:

— წუხელ უქმური სიზმარი ვნახე, ცუდად წავა შენი ტაროსი, მეურმევ, ვინ ოხრები შემოეჩვია შენს გამოკეტილ ჭიშკარს?

ულვაშას ჩემი არაფერი სჯერა: დედაბერივით ჭირვეულობს და ეჭვიანობს.

— თავი არ დაიღუპო, მეკამეჩე, შენისთანეხი ნასწავლებმა აურეის ჭკუა, — ულვაშა იღრინება და ცალი ხელით სამყაროს არა, მაგრამ იმ ზღვას ემუჭრება. ლუკმაპურს რომ წყალობს.

— ბადეში არ გაემა, ბადე ნამუსიანი კაცის მოგონილი არ არის. გაიღვიძე, სამზეოს თვალეორად გახედე!

— კარგად იყავი, ულვაშავ, კარგად! — ვემშვიდობები.

— შენი ულვაშიც შეგარცხვინე და შენი კაცობაც, წკვარამში წასულხარ. — გზას მილოცავს ულვაშა.

— ხვალ როგორი ამინდი იქნება, ულვაშა? — შორიდან გაეძახი მეთევზეს.

— სულ ნუ გათენებულა, ისე უქნია გამჩენს! შენთვის მაინც სულერთი არაა! — მამხნევეს უღვაშა.

დღეს ხვითოსავით მზე ამოგვირგვინდება, ისეა ცა მოკრიალებული. მზე ხვალაც გადმოხედავს ზღვას, უღვაშას გულის გასახეთქად.

ზღვა ერთფეროვანი და მოსაწყენიაო, არ დაიჭეროთ, გულთან არ გაიკაროთ ეს მონაჭორი: ზღვა არც მოსაწყენია და არც ერთფეროვანი.

ზღვას ერთხანს ვერც მე შეეჩვიეთ. თვალი აქეთ-იქით გამიბრბოდა, დამსვენებლები აღელვებულ ზღვაზე უფრო მე მიფრთხოდნენ. იმდენ შიშველ ქალებსა და ქალიშვილებს ვხედავდი, აბა რა მომივიდოდა.

გამიჭირდა პლაჟზე. მოდის ქორფა და ათქვირტული ქალიშვილი, კაბის კალთას აიკეცავს და იხდის, მე მუხლებზე ვდგები, ის სიფრიფანა კაბას ნელ-ნელა ზევით მიაცურებს, ჭერ მუხლისთავები გამოუჩნდება, მერე თეთრი თქიფები, მე თვალები მიციმციმებს და ფეხზე ვდგები, ტანში ათასი ჭიანჭველა ფუსფუსებს. გულს ბავაბუგი გააქვს. თვალს გავახელ და ისევ ნაირ-ნაირი სურათები ცვლიან ერთმანეთს. კაბას ხან აღმა აფეყები, ხან დაღმა დავყები. მერე ვემხოები თავქვე, არ ვიცი, სად გავიქეცე. სად დავიმალო, თვალი რომელ ერთს მოვარიდო.

„დაიწვი, უტუ?“

„გიწია ცოდვებმა, ჭადარივე!“

„ესენი შენ კი არა, მაცხოვარს აუმღვრევენ გონებას!“

„ზღვაში მაინც გაგრილდი, უჩას შევილო!“ — მათრახილებენ მეურმეები.

გახურდა თავი. ზე ზომ არა ვარ. ბოლოს და ბოლოს მეც კაცი ვარ. ეს ბანჯგვლიანი მამაკაცები მაინც რა თავხედები არიან. უსირცხვილოდ დაყრიან ტანი-სამოსს ქვიშაზე და ზღვისკენ ძლივს მიბაჭბაჭებენ.

კაცი ყველაფერს ეჩვევა და პლაჟის სტუმრებს მეც შევეჩვიე. გავუშინაურდი და გამიშინაურდნენ. ქუჩაში რომ გავივლი, და ტიტველა ხალხს ვერ ვხედავ, მეუტხოვება.

დღეს ეს პლაჟი საცდელ ნაკვეთივით მე მახარია, მაშველი კაცი უხმაუროდ ვფუსფუსებს და ვიღვწი.

...ჭიხტიდან პატარა ბადე და ანკესი გამომამქვს.

ზღვა არ ირწვევა და თვალით ოდნავ შესამჩნევი ნისლი ასდის.

ის იყო ნავი ავხსენი, რომ სიცილი შემომემსმა. შემოვბრუნდი და ვხედავ: თოლიგე მოდის. ასე მგონია, თოლიგე კი არა, სიცოცხლე მოტალღაობს და დიდ სიჩუმეში მისი სიცილი საამოდ იღვრება.

ზღვა მშვიდია. პაწია ზვირთები ნაპირს ლიფსიტბივით ციკქნიან.

ზღვაზე ნაკლებ ეშხიანი არც თოლიგეა: თოლიგეს მაღალი მკერდი, უძირო თვალები და ჩამოქნლი ტანი აქვს.

მე ორივე მიყვარს: ზღვაც და თოლიგეც. გამოსარჩევი მაინც თოლიგეა. თოლიგე ჩემი უთქმელი სიმღერაა, ამოუთავებელი დარღია, ეს დარღი ტკბილია და ჩუქად ვბუტბუტებ: „ეს დარღი ნურასოდეს მომიშალოს“...

ზღვაზე შიშველი ქალების მეტი რა მინახავს, მაგრამ თოლიგე რომ შიშველი ვნახო, შეიძლება შეიძაგდეს.

ამიხდა უღვაშას სიზმარი და თუ ეს სიყვარულია, მაშინ, მართლაც მშვიდობით, ზღვაო.

თოლიგე მიღიმის, თბილსა და ფაფუკ ხელებს ჩემს უხეშ და კოყრიან თათებში მალავს. მე ვხედები, თოლიგე რისთვისაც მიხდის მადლობას.

— ბიჭოს, შენ რაინდიც ყოფილხარ, — მხარზე ხელს მიათუნებს არქეოლოგი, — თუ ქვეყანაზე გაჩნდი, კაცი კაცი უნდა იყო. არა აქვს მნიშვნელობა დროს, არც იმას, შენ მეურმე ხარ თუ დიდი კაცი!

„ო, ხიი, ნავსურისკენ, უტუ!“ — მიწრუბუტუნებს გვადა.

„საურმე გზას არ აცდევ“, — ჩურჩულებს გურხა.

„რატომ მეუბნები ასე, გურხა?“

„გატყობ, თავს კარგს არ უმზადებ.“

**მურმან ჭოიბავა**

**ზღვა მავშალოს თვალით**



„უფლება არა მაქვს თუ...“  
 „მე ასე მითქვამს, ზღვამ თვალი არ ავიჭრელოს!“

„რა იყო, ბიჭო, რა მოხდა!“  
 „უღვაშა უკუღმართი და ბადე მაინც გაიხსენე, მერე არ ინანო“...

მეურმეები ნისლივით ორთქლდებიან. თოლიგე დგას თეთრი, შარიშურა კაბით. ამ თოლისკვამის მოწყენა ვერც კი წარმომიდგენია.

სტუმრებს ნავში ვებატიყები.  
 — ჩემთვის ზღვა გათავდა. ზღვა თქვენია, ახალგაზრდებო! — ამბობს არქეოლოგი და შვილიშვილს ურჩევს ნავით ზღვაზე გაისვირნოს.

თოლიგეს ცურვა არ სცოდნია. მიხარია, თოლიგემ ცურვა რომ არ იცის, მიზეზს არც ვკითხვლობ.

„ნეტავი შენ გაგიტაცებდეს ზღვა და მერე მე ვიცი და ჩემმა მარჯვენამ, თოლიგე“, — ვნატრობ გულში.

თოლიგე ნავში ფრთხილად ჯდება. ნავი წონასწორობას კარგავს. აქეთ-იქით ირწყევა. თოლიგე კივის და შველას ითხოვს.

თოლიგე ახლა ფსკერს ჩასცქერის და ქრელ კენჭებს ითვლის.

— ფრთხილად, შვილო, ზღვამ თვალი არ მოგჭრას, — აფრთხილებს არქეოლოგი თოლიგეს და მარჯვენას უქნევს.

ზღვამ მართლა იცის თვალის მოჭრა. ნეტავ თოლიგესაც აუჭრელებდეს თვალებს!

ზღვას ჩემი არ ესმის. ზღვა თვითონ ჰგავს უკიდევანო ჯადოსნურ ბადეს და ყოველთვის საშიშია, წყნარია თუ მღელვარე.

ერთ დროს ყველაფერი დაწყნარდება; შრიალა ტყე და ბორიო, მთები და გეიმეაი მდინარეები, აზვირთებული ზღვა და თავაწყვეტილი ულაყი, მაგრამ ჩემს გულს რა დააწყნარებს და რა დაამშვიდებს?

თოლიგე კიჩოზე ზის. ნიავი უჩინარ ფრთებს შლის და ქალიშვილის თხელ კაბას ეთამაშება. კაბის კალთებს უფრიალებს და ბუნჩულა მუხლისთავები თოვლისფრად ანათებენ.

მკლავებში ბზიფი დაწყვილდება, და-

იგრილებს და ჩემი ნავი ლამისკარგად რინდეს. ვაი, ჩემს დღეს მაშინ, ყველა ავადმყოფობა და ყველა სიხარული მაშინ გამიხსენდება და მინდა ეს წუთი გაგრძელდეს და თოლიგესთან ერთად ცისკიდემდე ვიარო.

ნაპირს გავშორდით. არქეოლოგი წერტილივით მოჩანს.

თოლიგეს ტუჩებზე შიშნარევმა ღიმილმა გადაურბინა.

— დავბრუნდეთ, უტუ, ძალიან შორს წავედით.

— შუაგულ ზღვაში უფრო კარგიაო...

— როგორ, არც შენ იცნობ ზღვას?

— ზღვის შუაგულს—არა.

როგორ უხდება თოლიგეს შიში.

ნავს ვაჩერებ და თოლიგეს ანკეის ვთავაზობ.

— ოქროს თევზი თუ ამოყვა ანკეის, ჩაუთქვი და რასაც ინატრებ, აგისრულდება. ისე, შუაგული ზღვა საშიშია.

თოლიგე ანკეისს ტარს მართმევს, გარშემო თევზები დასრიალებენ.

— ნეტა ოქროს თევზს დავიჭერდე!

— სიცილი და ხმაური არ შეიძლება, თევზი დაფრთხება, თევზი ხედავს, თევზს ყველაფერი ესმის, ოღონდ ლაპარაკი არ შეუძლია.

— ლაპარაკი?

— ჰო, ლაპარაკი...

— პირი წყლითა აქვთ სავსე საცოდავებს, — თქვა თოლიგემ და ახლა სულ სხვა ღიმილით შემომანათა თვალები.

— უტუ, ცურვა უნდა მასწავლო.

— გასწავლი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მანამ ცურვას კარგად არ ისწავლი, ზღვას არ გაუთამამდე.

— ისეთი ცურვა უნდა ვისწავლო, შუაგულ ზღვაში გავიდო.

— შუაგულ ზღვაში?

— ჰო, შუაგულ ზღვაში, იქ უფრო საინტერესოა, — ისე გადაწყვეტილად მეუბნება, თითქო ხვალ-ზეგ მართლა აპირებდეს შუაგულ ზღვაში შესვლას.

მე ერთი რამე მაძინევენს, რომ სიყვარულის უფლება მეცა მაქვს, სიყვარულის აკრძალვა არავის არ შეუძლია, არ

გავაბელ, გულში ჩავიძალავ და ვინ რას ვამიგებს.

ახლა შენი უქმური სიზმარი, სულ-წაწყმედილო უღვაშა. ისევ ნაპირისკენ ვბრუნდებით.

თოლიგეს ცურვა უნდა ვასწავლო.

— მეზობლები ვართ. უტუ, ჩვენთან ზშირად იარე, თორემ... — თითს მიქნევს არქეოლოგი. მე ვწითლდები. მგონია, არქეოლოგმა ჩემს გულში ჩამოიხედა და ყველაფერი ამოიკითხა, — ოღონდ წიგნს უნდა მოჰკიდო ხელი. წიგნი არ უნდა დაივიწყო.

— ავაშენა ღმერთმა! — უხმოდ გავ-ძახი ზღვას.

სტუმრები პლაჟს სტოვებენ.

გარშემო სიცარიელე, სიცივე და მოწყენა რჩება. გულში — უსამველო ფუტურო.

ოცნება ღმერთმა ნუ მომიშალოს, ჩე-მი იმედი და ნუგეში ოცნება და ნიაგია: ნიაგი ოფლიან მკერდს მიგრბილებს. იმედი ჯან-ღონეს მითაქეცებს!

ოცნება და იმედი ერთია!

მეც შორეული იმედით ვხარობ და ამ იმედს თოლიგე მინდა ერქვას.

მიხარია, ამ წუთისოფლიდან უსიყვარულოდ რომ არ მივდივარ.

პლაჟზე კანტიკუნტად ისმის: „ერთი — ორი — სამი!“, „ერთი — ორი — სამი!“ , „ერთი — ორი — სამი!“. დამსვენებლები ზღვისპირას ჩამწკრივებულან და ვარჯიშობენ. სიხარულით დარეტიანებულნი, უღვაშასკენ გავრბივარ და მკვირი:

— ახლა ნამდვილად ღმერთიცა ხარ და ის დიდი კაციც, უღვაშა!

— მე ერთიც მეყოფა, მარა, შენ რა უქმური შეგეყარა ამ უთენია, შე გლა-ხა.

— ბედნიერი ვარ, უღვაშა, ბედნიე-რი!

უღვაშა იჭვნეულად მათვალეირებს. ამ წუთას არც ღმერთია და არც დიდი კაცი. უღვაშა ისევ ის სულწაწყმედილო უღვაშა ხდება.

— დაგიძახეს, მეურმევ?

— ვინ, ვინ დამიძახა, უღვაშა, ბაღის მიგებ?

— ჩემი ცოდვით სავსე დამწვარმა ანგელოზებმა დაგიძახეს?

უღვაშას სიტყვებზე გული მეკუმ-შება.

— ღმერთადაც გავხადე და დევა-დაც... ერთხელ მაინც თქვი კაცური სიტყვა, ერთხელ მაინც დამამიდე, უღვაშა ბიძია!

— ვაი შენს პატრონს, ვაი, ჩემს გე-რას! — კუდა ძაღლს გადახედა უღვა-შამ და ხელები გასასვასავა.

მზე მალლა დგას მთაზე და ჩახჩახებს. ზღვისპირი გადაჭრელებულია. თავზე ჭილოფის ქუდს ვიხურავ, სასტვენს მკერდზე ვიკიდებ და ჩემი სამუშაო დღე იწყება.

დღეს ხეითოსავით მზე ამოვიდა და ეს მზეც ჩემია.

● ზანტად მოგორავენ აქოჩრილი ზვირ-თები, შუთილითა და შრიალით ეფინე-ბიან ნაპირს და იმსხვრევიან.

ზღვაზე ტევა არ არის. დამსვენებელ-თა რიცხვი დღითიღღე მატულობს.

პლაჟი ერთ უზარმაზარ არსებას წა-გავს, იგი შორიდან ოდნავ მოძრაობს და სუნთქავს.

ერთი რომ წიგნს ჩასცქერის, მეათე მზეს მიფიცებია, გულადმა გაშხლარ-თულა, მეოცეს ცხვირზე თეთრი ქა-ლალდი მიუწებებია და პაპანაქებისაგან მხოლოდ ცხვირს იჩრდილავს.

პლაჟზე ტევა არ არის. აბა სცადოს და რომელიმე შორს გასცუროს, ან მთვრალმა შებედოს წყალს? ერთი გა-ფრთხილება და მთელი ეს პლაჟი მხარ-ში ამომიდგება. მერე რა ხალხი: ექიმი და იყინერი, გეოლოგი, მფრინავი და დირექტორი, მოსამართლე და პროფე-სორი.

ზღვა საერთოა. ზღვა აკვარიუმი არ არის: ყვინთე და ყვინთე, ვერც კიდეს გაწვდები და ვერც განს. და შუაგულ

**მუხრან ჟიონავა**  
ზღვა მავშლის თვალით

ზღვაშიაც ინებებრე, რამდენიც გენებოს. დასაღვეად რომ ყანწით და ორშიმოთი მიდგე, ვერაფერს დააკლებ, მლაშეა და გულისამრევი.

თავად ცალთვალა მინაგო ზღვასაც საეჭვოდ უტრიალებს. ერთი სული აქვს, რამე მოუხერხოს, „დასაქმოს“, დაიყოლიოს და სასარგებლო გამოსტაცოს. მართალია, ზღვის საუკეთესო ჯიშის თევზები „სანსლეს“ ტაფაზე დაფავენ სულს, მაგრამ ცალთვალამ ისიც იცის, რომ ზღვის ფსკერზე აურაცხელი განძია. იმ აურაცხელი განძის ციებ-ცხელებას მინაგო ძალიან განიცდის და ნაპირზე წრიალებს.

— ზღვა სიმდიდრეა, ზღვა სიმდიდრეა! — ხაფი ხმით გასძახის მინაგო უციდგანო სივრცეს და მჯილს მკერდზე იხაფუნებს. უღვაშა საკლამახოდან უთვალთვალეებს დახლიდარს:

— „სანსლე“ გეყოფა სასანსლაგად, შე ცალთვალა ტურავ, — უღვაშას „ლოცვა-კურთხევა“ ზღვაურს მიაქვს და ქოჩორა ზვირთებში ინთქება.

ზღვაზე ათასნაირ დამსვენებელს ვხედავ: ლამაზებსა და მახინჯებს, ტანადებს და დაგვაჯულებს, ქოჩორიანებსა და ქოსებს, ჭკვიანებსა და შერეკილებს.

თითქოს შორეულ ნაცნობებსაც ხელმეორედ ვხვდები, ხელახლა ვეცნობი და მოგონებებში ძველი სურათები ცოცხლებიან.

აგერ, ქოლგასთან რომ ღიბიანი კაცი წევს, სუფრასთან ნებაზე არ გაიშვება. მიუშვებ და კაი მოზრდილ ზაქს მარტო შეგეჭამს, ძვლებიანად დაღრღნის და კმაყოფილებით ერთხელაც არ ჩავიღიმებს.

იმ მურემას რომ შევყურებ, მეჯოგე ბარდლა არქანიას ოჯახი მაგონდება. ბარდლას ბადიშის ქორწილში ჩემი ყურადღება ერთმა სტუმარმა მიიპყრო, ზედმიწევნით ჰვავდა მურემას, ახლა აგერ რომ გამხლართულა. ის კაცი რაიონიდან ეწვია ბარდლას. ასე დედამობილა კი არ ყოფილა, ტანზე რიგიანად ეცვა, ხელში გაბერილი პორტფელი ეჭირა

და უქულოდ იყო. იმ კაცზე უღვაშა ამბობდა, პირვაფი კი არა, პირიანად შავიაო.

მურემა მასპინძლის ეზო-გარემოს დიდი მოთმინებით ათვალეირებდა. ბანჯგვლიანი ხელები ზურგზე ჰქონდა შემოწყობილი და თვალებს ახლად ჩაყრილ ნერგებს უბრიალებდა. ყველას და ყველაფერს სიბრალულთი შეჰყურებდა.

დიდი კაცი დაფანტულ შეკითხვებს იძლეოდა და პასუხებსაც უგულოდ ისმენდა. უფრო ხშირად სევას გაჰყურებდა. ოხშივრიან ქვაბებს გულდასმით აკვირდებოდა... ჩეჩმას ეძებდა.

ზომიერება, თავშეკავება, დაკვირვება თითქოს სულ სხვადასხვაა, მაგრამ ყველაფერი ეს კაცურ კაცობას, ადათს, წესსა და რიგს ემსახურება.

სუფრამ დილაძე გასტანა და მასპინძლის სიხარულის მოწმე მეც გავხდი.

ბარდლა არქანია მეჯოგეა. ოთხმოცს რახანია გადააბიჯა. ტყიდან ჩონგურითა და სალამურით თუ გამოიტყუებ. ქუჩაში ცხენით თვალახვეული დაჰყავთ, რომ სადმე მანქანას ან ნახევრადტიტველ მოაგარაკეს არ დაეტაცოს. მთელი სიცოცხლე ტყეში, ჯოგის მწყემსვაში უტარებია და ახლა თვითონ გამხლარა საპატრონო.

...სუფრა რომ იშლებოდა, ბარდლა არქანიამ ახლო და ხანდო ნათესავ-მეზობლებს სამზადთან მოგვიყარა თავი და თავისი სიხარული ხმამალა გავგვიხარა: — ასე დაიტყვის ჩემი ჭერი და სამწყსო, — ქული მიწაზე დაანარცხა მეჯოგემ, — ჯოგო კვარაცხელიას ერთი მოზრდილი ხბო მარტო თუ არ შეეჭამოს, მარა, ეს წვერ-უღვაშა შემიტყვევს, ასეთი მჭამელი თუ ჩემს სიცოცხლეში მენახოს. დაილოცოს, დმერთო, შენი დიდებული სახელი! — პირჯვარი გადაიწერა ბარდლამ.

სწორედ ის უცნობი გამახსენა ახლა, აი, ქოლგასთან რომ ხვრინავს, იმ მურეშამ.

იმ მურემას გვერდით რომ კაფანდარა უზის, ის ახლა უნდა იწვეს და მზის აბაზანებს ღებულობდეს, მაგრამ რა და-



ასვენებს. ასეთ კაცს სუფრაზე „ჩქარს“ ეტყვიან. მუდამ ჩქარობს, პირს ციყვივით არ აჩერებს. სუფრას ხარბი თვალე-ბით ათასჯერ მინჯ მოირობენს, რაღაცას ეძებს, უნდა არა მარტო კუჭი, არამედ სული და გული ამოივსოს, გაძღეს, გაი-რინდოს და ამქვეყნის ავ-კარგს დამშვი-დებულმა მიაყურალოს. მისი ტკბილ-მწარე ივემოს.

„ნამეტანი არასოდეს არ უნდა გაძღე, თორემ მუხლებში ნესტი ჩავიდგება, ლუკმის საშოვნელად იოლ გზას დაად-გები. იმდენი უნდა ჭამო, მიწის ყადრი არ დაკარგო და ხვალ დღევანდელზე მეტი ჯაფა გასწიო“. ასე გვარიგებდა ბი-ძია კონდრა და მეურმე კაცი განა ტყუ-ილს იკადრებს? ნაგში ვზივარ და ჩემს „ნაკვეთს“ ვდარაჯობ. ნელა მივაპობ ზვირთებს ნიჩბებით და გულში სიმ-ღერას ვლიდინებ. მაშველს ზღვაზე დიდი სიფრთხილე შართებს. ასი თვა-ლი უნდა იქონიო და ასი ყური გა-მოსხა. ზღვა მიწა არ არის, რომ ხიფათს თავი დააღწიო, ტყეში ან მთებში გაუ-ჩინარდე.

ზღვაზე ყურყუმელოაობის თამაში იცი-ან. ყურყუმელოაობის თამაში ხანდახან ცუდად მთავრდება. მით უმეტეს, თუ ერთს დაადგეს თვალი. მოგვესვიან და საშველს არ გაძღევენ, ხან ერთი დაგა-ჭერს თავზე ხელს და ფეხს ფსკერზე და-გაკვრევენებს, ხან მგორე ჩაგიყვინთავს და ისევ ფსკერისკენ გეზიდება. ამოყვინ-თვას, ჰაერის ჩასუნთქვასაც ვერ ასწრებ ზეირიანად და ახლა მესამე დავითრევეს. და ეს ყველაფერი სიცილ-ხორხოცში ხდება. იცინიან და ამ სიცილსა და გარ-თობაში ლამისაა კაცი დავახრჩონ. მა-რილიანი წყლით გაბჭრილი ყვირი, მაგ-რამ შენი არავის ესმის და არ გეშვე-ბიან.

არ ვარგა კაცის ამოჩემება. ხმელეთ-ზე ხომ არ დგახარ, რომ შენი ხვეწნა-მუდარა ვაიგონონ, გითანაგრძნონ და გა-დასარჩენად მარჯვენა გამოგიწოდონ.

თუმცა კაცის ამოჩემება არც ხმელეთ-ზე ვარგა!

ამიტომ ვარ ფრთხილად. დაიხრჩვევა კაცი, დაიკარგება უკვალოდ და მერე პა-სუხი მაშველმა უნდა აგოს.

მზე როცა შუა ცაზე ავიზგიზდება, მაშინ მეც ვტოვებ ნავს, ჩემი ჯერიც დგება და „სოკოს“ მივაშურებ. ჩრდილ-ში ვასვენებ ნიჩბებით დაკოჭრებულ ხე-ლებს და მშით გაბრუებულ თავს.

პლაჟი მშით გადარუჯული ადამიანე-ბითაა გადაშავებული, ახლადმოსულებს სხეული შემწვარი კიბოებივით უღუთ.

ზღვა და მზე მალე აშავენებს ქალსაც და კაცსაც.

არის სხვანაირი სიშავეც, რომელთაც დამსვენებლები ხუმრობით „პირშავე-ბად“ და „გულშავებად“ ნათლავენ.

ზღვა ჭრელია, ზღვაზე მინდობა და ნა-უტბადევად ვინმესთან სამუდამოდ ბე-დის დაკავშირება საორჭოფო და სახი-ფათოა. მერე სინანული და ცრემლი გვიანია. ბედის საკითხშიც სიღინჯით ზღვას უნდა მიბაძო.

ზღვაში ბევრი მტაცებელი ბინაღ-რობს.

ზღვაში მეღუზაც ბევრია...

მედღუზები უფრო ნაპირს ეტანებიან, ტალღები მათ ნაპირისკენ მიერეკებიან, ხან ქვიშაზე გამორიყავენ და ხანაც ახ-ლომახლო, სამუხლე წყალში თიმთიმე-ბენ.

მედღუზებს არც თვალი აქვთ და არც ენა, არც გული და არც სმენა. მეღუზა უსულთა და უგულო, დონდლოა და ცი-ვი. მეღუზას მხოლოდ ერთი თვისება აქვს — დასუსხოს ყველა. მეღუზა ვერ არჩევს შემთხვევით შეეხო მას ვინმე თუ განზრახ. მისთვის სულერთია: გინდ ხე-ლისგულზე დაისვი, გინდ უბეში ჩაისვი.

ხმელეთზეც არიან მეღუზები. ეს ერთ-მა პოეტმა გამანდო, მერე და იცი თ ვინ არის პოეტი, რა კაცია? პოეტი მომღე-რალია, ისეთი კი არა, შენ რომ სალაგა-შე პირის დაღჩენა იცი, ჩემო გვადა, პო-ეტი სულს უმღერის, სული შენცა გაქვს, გურხა, თემრა შამბასაც, თითქმის ყვე-

**მუზიან ქონივას**  
ზღვა მავშილის თვალით





ლას, როდონდ პოეტი ფაქიზად და ნაზად უმღერის, მაფშალისა ხმით...

ჰოდა, პოეტმა მითხრა, მედღეუბნი ხმელეთზედაც არიანო. განსხვავება იმაშია თურმე, რომ ის „მედღეუბნი“ თვალთა და ენით ისუსხებიან, გულსა და სულს უსუსხავენ ხალხს.

...ტანამხვართული ლამაზმანები კობტად მიათამაშებენ თქოებს, დაკუნძებული მურეშა უწამწამო თვალებს აბრიალებს და ამვლეღ-ჩამვლეღს დასდევს.

არ დაიჯეროთ, მხოლოდ ზღვა და მისი ლიეღივა ტალღები იყოს მკურნალი. თქვენს ჯილაგს ენდეთ. ზღვაზე მოთაფლული ენითა და სანახაოებებით უფრო მკურნალობენ, ამაზე მეტი ზღვაზე რა მინახავს და რა განმიცდია.

## მეურჩეები

ზღვა დღესაც ჭირვეულობს და ბუხუნებს.

ასეთ ამინდში მოზანავენიც იშვიათად გამოჩნდებიან. ისინი დასასვენებელი სახლის განიერ აივნებზე სხედან და მოწყენილები ზღვის მწუხარებას იზიარებენ.

არქეოლოგი გამიშინაურდა, ხშირად მოდის ჩემთან. მუდამ ქვეყნის ავ-კარგზე მესაუბრება. დაბეჯითებით შთამაგონებს, რომ სწავლა და წიგნი კაცისთვის ისეთივეა, რაც მრუმე ღამეში გზის მაჩვენებელი შუქურა გემისათვის.

ბოლოს სამარხებს უბრუნდება და, ვინ იცის, მერამდენედ მიყვება ერთსა და იმავეს.

ასეა ეკლესიაშიც. ეკლესიის დარბაზში ბევრი ტურისტი იყრის თავს. სიხარულით თვალგანთებული არქეოლოგი თავმოყვონდ და ამაყად დააბიჯებს. ისტორია, სამარხები და სიძველეები იმ ზომამდე უყვარს და ისეა გატაცებული, საკმარისია, ერთი სიტყვა წამოგცდეს და მერე აღარ მოგეშვება. ენაშიანი საუბრით დაგატყვევებს, გარდასულის

მტვრითა და ბნელით მოცულ უღებს ნაბიჯ-ნაბიჯ შემოგატარებს.

მეც იმდენი მეჩიჩინა, ისტორია მართლა შემაყვარა.

ხანდახან მოხუცის ნაამბობი საღერდელს ამიშლის, წავალ, უღვაშას მივადგები, მინდა გული გადავუშალო, მაგრამ უღვაშასათვის ისტორია ის არის, რასაც საკუთარი თვალთ ხედავს და უსმენს. ძველისა და გარდასულის არაფერი სწამს, (გულნაწყენია!) ყველას მეზღაპრეს ეძახის, მისთვის ისტორია — საესე ბადეა.

უღვაშას ტოჩისთან გულის გადაყოლება ბევრად ურჩევნია, ვინემ ჭკვიანთან საუბარი.

ტოჩის მთვარე იშვიათად თუ ექნება ნანახი. საზიარო არც მზესთან აქვს, დათობას მზის ამოსვლამდე ასწრებს და ძილად მიგდებსაც — მთვარის ამოსვლამდე. რა ქნას, მე შენ გეტყვი და, უღვაშა ურჩევს, კაცურ გზას დაადგეს.

კიდევ კარგა ხანს მატარა გზებზე და გზაჯვარედინებზე არქეოლოგმა: დამღალა და თვითონაც დაიღალა. მერე წამოდგა და ფარფატით ეკლესიის გზას გაუღდა.

„სანსლეს“ აივნიდან სიმღერა მოისმა. „სანსლეს“ აივნიდან ხშირად მოისმის სიმღერა.

სიმღერა მეცნურა, მეურმეების ტყბილმა „სი ქოულ ბატამ“ შიგ გულში დამირბინა.

გურხა იწყებდა და თავისი კრიალა ხმით მაფშალიებს ეჯობებოდა. მისი ხმა პლაჟამდე მოჰქონდა ნიაგს.

მერამდენე წელია მეურმეები ფსოუს არ გაჰკარებინან. თითქო პირი შეკრეს და ძველ ფსოუში ერთხელაც არ გამოჩენილან. მათთან ერთად პური არ გამოიტენია. გულახდილი მასლაათით ის ჩვენი საურმე გზები და ბილიკები არ დაგვივლია.

სტუმრებს დახვედრა უნდოდა... გამასპინძლება.



ისევ უღვაშას მივადექი.  
 უღვაშამ დიდხანს იქეჟა ჯიბეები და  
 მანამ ფულს დააძვრენდა, „ლოცვა-კურ-  
 თხევით“ ცამდე ამიყვანა.

— გმადლობთ, უღვაშა, ღმერთი გა-  
 დაგიხდის ყველა სიკეთეს!

— შენი მადლობაც შევარცხვინე და  
 შენი კაცობაც! — დამაიმედა თავისებუ-  
 რად და მერე ბადის მომგონის „ქება-  
 დიღებას“ მოჰყვა.

„სანსლეს“ აივანს მივადექი.  
 აივანზე თემრა შამბამ მკიდა თვალი.  
 სტუმართმოყვარე აფხაზი მკვირცხლად  
 ფეხზე წამოიჭრა და თვალები საცრის-  
 ოდენა გაუხდა.

— არავაი\*, ჯიმა უტუ! — სიყვარუ-  
 ლით შესძახა თემრამ.

სუფრა ახოვანმა მეურმეებმა დაფა-  
 რეს, დინჯად წამოიმართნენ, არც ერთი  
 მათგანი არ აჩქარებულა. ყალბი ღიმი-  
 ლი სახეებზე არ ათამაშებიათ. თვალები  
 არ დაუცეცებიათ.

მეურმეები სულ სხვა ყაიდის ხალხია,  
 მათ არაფერი უყვირთ, არც დიდი კაცო-  
 ბა და არც პატარა კაცობა, დინჯები  
 არიან. მძიმედ მომიახლოვდნენ, რიგრი-  
 გად მხარზე ხელი დამკრეს.

ხელისგულები მოგისინჯეს. ამხედ-  
 დამხედეს და დასხდნენ.

— გამარჯობათ, მეურმეებო! — ხმა  
 რიხიანი მეჩვენა.

— ღმერთმა გზა მოგიმართოს! — ყვე-  
 ლას მაგივრად ჩაიდუღუნა კონდრა ბი-  
 ძიამ.

მეურმეებს სუფრა იშვიათი ჰქონ-  
 დათ.

— აბა, ერთი ჭიქა დაგვილიე და  
 „საურმე გზაზე“ გამოდი, — ბოთლი ჭი-  
 ქაში ჩააყუდა გურხამ და თვალი ამარი-  
 და.

„საურმე გზა“ ჩვენი საყვარელი გამო-  
 თქმაა, „საურმე გზაში“ ჩვენ კაცურ კა-  
 ცობას, მართალ გზას და ჭკუა-მოხერ-  
 ხებას ვგულისხმობთ.

სადღეგრძელო შემეიყოვნდა. ბოლოს,

როგორც იქნა, რაღაც მიეკიბ-მოეკიბე.  
 — ვიცოცხლოთ, მეზობლებო, პურ-  
 მარლი გემრიელად გვეჭამოს და ერთ-  
 მანეთი არასოდეს დაგვეჭამოს. ღმერთ-  
 მა მადლიანი ხელი და ნუგეშის თვალი  
 ნუ მოგვაკლოს! — ვთქვი მე და ჭიქა  
 დავეცალე.

— ღმერთი რახანია უღვაშამ ვადამა-  
 ვიწყა, მეურმევე, ახლა საკუთარი მარჯვე-  
 ნა დამრჩა და სანამ ჩემი ურემი მეყო-  
 ლება, არც ოჯახს ვაფუქირებ და არც  
 სოფელს, არც შორეულსა და არც ახ-  
 ლობელს, — სცილით თქვა გვადამ.

მაჯის მკითხავეები არიან მეურმეები,  
 ჯერ შენ დაგაცლევინებენ გულა-ნაბაღს,  
 ღიმილით გისმენენ, ერთმანეთს მალუ-  
 ლად ზვერავენ, თუ სადმე ფეხი გალა-  
 გიცდა და საფრთხე მოგელის, ხმას მა-  
 შინ გაიღებენ, „ო-ხი, ორეს!“ დავიწრუ-  
 წუნებენ და ისევ ხელისგულივით გზაზე  
 დაგაყენებენ.

— ისე, კაი გვარიანი შორეული მე-  
 ზობლები გავხდით, გზამ დაგვაშორი-  
 შორა! — თქვა გურხამ და სუფრას ცე-  
 რად გახედა.

— მეზობელი, თუ მიწა და ურემი  
 უყვარს, რაგინდ დასაკარგავში იყოს,  
 მაინც ნანატრი კაცია, — ზღვას ვასძახა  
 ჩვენმა წინამძღოლმა და პირველ მეურ-  
 მედ აღიარებულმა კონდრა ბიძიამ.

კონდრა შარუხია ძველი მეურმეა. მი-  
 სი ღიმილი ბევრს არ ახსოვს ფსოლში.  
 სულ მოღუშული დადის. ახოვანი კაცია.  
 სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, სამივე ფრონტ-  
 ზე დაედუბა. მეურმის ხელისგულებს  
 დახედავ და მერე არც თავმჯდომარის  
 გამოკითხვაა საჭირო და არც ბრიგადი-  
 რის. დამაშრული ხელისგულები სათქ-  
 მელს თვითონ ამბობენ.

პირველი გამოცდა კონდრა ბიძიას ჩა-  
 ვაბარე. გზა კალდახვარისკენ გვედო. კა-  
 მეჩები გზის კიდეს ისე ჩასდევდნენ, მე-  
 შინოდა, ბორბალი თხრილში არ ჩაცუ-  
 რებულეყო.

„ო, ხი, ჯარგა, ცოტა მარჯვნივ! — შე-

\* აფხაზ — მოლი აქ.

**მურმან ჟიბიას**  
 ზღვა მავშელის თვალით



ვუძახე ჭარვას და სახრე ვუთავაზე. ჭარვამ ქედი ოდნავ აიზნიქა, მარჯვნივ გადაინაცვლა, მცირე ხანს ასე იარა და ისევე გზის კიდეს გაეკრა. მაშინ არც ჭარვა დავინდე და არც ბუსკა, სახრე ზედიზედ გადავუნთე, იწყინეს პირუტყვებმა და ურემი ნაფოტივით გაიტაცეს. ჭალს ორივე ხელით ჩავეკიდე.

გაგიჟებულ კამეჩებს კონდრა ბიძია გადაუდგა.

„კამეჩებს რომ ენა არა აქვთ, მუნჯები ხომ არ გგონია? კამეჩებს ყველაფერი ესმით, ეს გზაც კარგად იციან, ნებაზე უნდა მიუშვა. არც თხრილში გადაგჩეხვენ და არც ხევში. სახრეს რომ ხელში ათამაშებ, უნდა იცოდე, ვის და როდის უნდა გადაუჭიროო, გესმის? კამეჩები მეტყველები არიან.“ უფროსი კაცის სიტყვები გულში ჩავიმარხე და არასოდეს არ დამავიწყდება.

ახლა ჩემს ჭილაგებთან ვიყავი და თავი მაინც მემარტოებოდა.

— რა მოგივლდა, ჯიმა უტუ, წელგამართული ბიჭი იყავი, შენს ტანადობას ბევრი შენატროდა, — შემანჯღრია ლადიმერა ხვიბლიანმა.

— ზღვის ჰავა არ მოუხდა ალბათ, გამკრა გურხამ.

— ჰო, იქნებ ზღვამ დაცადა, მაღალ სახლებს ჩრდილი დიდი აქვთ, ჩრდილმა გაყვითლება იცის, — დაუმოწმა გვადამ.

— ქალაქში მეტი მორიდება მართებს მეურმეს, აქ სხვა ხალხია, — ეპკვი ვერ დაფარა ბიძია კონდრამ და მეზობელ სუფრებს გადახედა. სუფრები ცარიელი იყო.

— გაყევილს გატეხილი სჯობია, წიე, — სუფრის გასაგონად თქვა კონდრა ბიძიამ. მეურმეები თითქო წინამძღოლის ნიშანს ელოდნენ, თითქო მერეხი წამოვიდა და აივნის კიდესთან მიიმწყვდია.

— სიძეკაცი ისე არ უნდა შერცხვე, ცოლოურს ეწვიო და სიმამრმა ქათამი მაინც არ დაგიკლას, — სულის ამოთქმა არ მაცალა ლადიმერა ხვიბლიანმა.

„სანსლეს“ კედლებს მიღმა ზღვა ხმა-

ურობდა. მარჯვნივ პლაჟი ხელისგულკით მოჩანდა.

— მეურმევე, რომ იცოდე, რა მიწაა ბზიფის ხეობაში! გადაირევი! — ქაღაგებდა გვადა და საკმაოდ მოზრდილ ცხვირს გამხმარი თითებით ისრესდა.

გვადა ალაღმართალი მეურმე იყო. საკუთარი გულწრფელობა ისე ახარებდა, თითქო ფრთები გამოესხათ. სიმართლეს იტყოდა და უსათუოდ ცხვირზე უნდა წაეველო ხელი.

— მიწა კი არა, მისწრებაა, ნამდვილი მისწრება, — კვერი დაუკრა გურხამ.

— ბურჩხად ამოდის მარცვალი, ბზიფს შლამი ბლომად ჩამოაქვს, შლამი კი არა, მალამოა, — აროხროხდა სევანი ლადიმერა.

— ასეა, მართალი კაცი ხარ, ხენწიფე, — დაუმატა ბიძია კონდრამ.

— სტუმრად მაინც გვეწვიე, ჯიმა უტუ, მობრძანდი და საკუთარი თვალით ნახე! — მეპატიებოდა თემრა.

— მერე რა ხეხილის ბაღები დაგხვდება! — თითებს იფშენებდა გურხა სიამოვნებისაგან, — კოლმეურნეობა ფსოუშიც იყო, მისი წვერი შენც იყავი. ფსოუს დობილოები და ფართობები მაშინ საცდელ ნაკვეთს ჰგავდა. ხელმძღვანელობა ხშირად იცვლებოდა. მოვიდოდა ერთი და იტყოდა: მოდით, წელს ამ ნაკვეთზე პამიდორი ვცადოთო, მომავალ წელს — ვენახი, მერე — თამბაქოო, ამბობდნენ მეორენი და მესამენი. ის დრო წავიდა, ახალსოფელში ახლა ასე არ არის! — მარწმუნებდა გურხა.

მაეჭვებდა მეურმეების ნათქვამი. ახალსოფლის შეფასებაში ცოტას საკუთარი ქისიდანაც უმატებდნენ.

— აბა ფსოუს მიწას ბზიფისამ აჯობა? — ეპკვით ჩავეკითხე ბიძია კონდრას.

კონდრა ბიძიას რჩევა-დარიგება ჩვენთვის კვესი და აბედი იყო. მოხუც მეურმეს ჩემი შეკითხვა არ ეხამუშა. უნდობლობაში ჩამომართვა, ასეთი უმარილო სიტყვა ეძვირა და პასუხი არ დამიგვიანა.

— არა, მიწა ყველგან კარგია, ოღონდ დამუშავება უნდა.

კონდრა ბიძიას პასუხზე მეურმეებს თვალები შუქით აევსოთ, გვადა სიხარულს ვერ მალავდა და გრძელ ცხვირს ღონივრად ისრესდა. თითქო მეუბნებოდნენ: ხომ მიიღე საკადრისი პასუხიო.

— შენ რას შერებდი, მეურმე, როგორი ტაროსი და შემოდგომა გიჩანს, — თითქო პირველად მხედავდა, ისე ჩამათვალეირა კონდრა შარუხიამ.

— ჩემი შემოდგომა ესაა, ბიძია კონდრა, — ხელი გავიშვირე ზღვისკენ და იმ ხელს ყველაზე გაოცებით ლაღიმერა ხეიბლიანის ბრიალა თვალები გაჰყვა.

— ვეპ! — წამოცდა გვადას და ცხვირს ხელი შეუშვა.

გურხამ უმიზეზოდ ჭიქა წააქცია. აფხაზი თემრა შამბა სკამზე აწრიალდა.

გურხამ მოზრდილი ჭიქა რიგგარეშე გადაკრა და დუხო უმიზეზოდ დატუქსა.

ყველაზე ბოლოს აუჩქარებელმა კონდრა შარუხიამ გააყოლა მზერა ჩემს მარჯვენას. ხელი მოიჩრდილა, ზღვას ეჭვით გახედა და ბურჩხად მიყრილ უღვაშებში ცისკრის მურუქი ჩაუდგა.

სიჩუმე კონდრა ბიძიამ დაარღვია:

— თევზაობით თავს ვერ ირჩენ, ბიძია, უღვაშა მყარალს არ აჰყვე, ფსოუ ნახევრად უღვაშამ დააქცია. მოეშვი, თორემ თოკს მალე მოინატრებ. თევზაობით თავის რჩენა, რა უჩას შვილის საქმეა. არც ტოჩის მიენდო, ტანდაბალი კაცია, მიწასთან ახლოა და ეშმაკია. რამე კაცურ ხელობას მაინც მოეკიდე! — დუდუნებდა კონდრას ბიძია და ღვინომორეულ თვალებს უღონოდ ბლიტავდა. ლაღიმერა ხეიბლიანს მოთმინების ფიალა აევსო, თეთრ კბილებს აელვებდა.

— არა, კონდრა ბიძია, თევზაობასთან რა ხელი მაქვს, მე მწველი ვარ. იმ პლაეს რომ უყურებ, მე მბარია, — ვთქვი, მაგრამ დიდი ყურადღება არავის მოუქცევია.

პირიქით, ლაღიმერა ხეიბლიანმა უნ-

დოდ შემომხედა. წარბი შეიკრა და აროხროხდა:

— ზამთარი რომ დავიდგება, მერე ვის დაულარაჯდები, უტუ. ვინმეს რომ ძალით გაუბედო ზღვაში გადაგდება, გაგაციმბირებენ. რავე, აქ ყველა თავის დასასრჩობად ჩამოდის თუ? — თქვა ლაღიმერამ და ნიჩბის სიფართე ხელეში ისევ დაუშინა ნიკაპამდე წამოსულ მუხლისთავეს.

— უღვაშას ზღვა არ მიიღებს, ათასჯერაა დამხრჩვალნი და საფლავწაბილწული. მაინც არ იქნა მისი საშველი. არ იქნა და არ მომორდა ფსოუს. შენც გამოგება პალოზე. ისე, იოლ გზას კი დადგომიხარ, წიე! — კონდრა ბიძიას ეჭვი გაულრმავდა და ბლიტა თვალებით შემომცინა.

მეურმეებმა ყველა გზა და ბილიკი მომიჭრეს. ნედლი სახრე ნებაზე მიუშვეს, ზურგი და გული ამიჭრელეს, შემარცხვინეს და თავსლავი გადამასხეს.

დუხოს ცივად გავძახე.

— ბატონო! — გაისმა იქეე, დახლთან და დუხოს მოტვლებილი თავი გამხმარ მუხლებს გაუსწორდა.

— ღვინო, თვითონ ბატონო! — თვალეში დაგუბრიალე ქლესა დუხოს და ისიც ნიავივით გაქრა.

მეურმეები „საურმე გზას“ არ ეშვებოდნენ.

— არა, იქნებ აქ უფრო სარფიან რამეს წააწყდი, უტუ, — არ მეშვებოდა გვადა.

— ბზიფი შორია. ჭრელჭრულა ხალხით მოფენილ ქართას რა სჯობია, მეურმე კაცის თვალის გასახარადა ზედგამოჭრილი! — ხითხითებდა თემრა შამბა.

გურხას ცრემლი სდიოდა და რიგგარეშე ჭიქას მესამედ ეპოტინებოდა.

ლაღიმერა ხეიბლიანი პირს ცხენივით აღებდა და ისე როხროხობდა, იქვე მდგარ დუხოს სვანის კბილების დანახვაზე შეციებულოვით აძაგაძაგებდა.

**მუხანა კოჩიავა**  
ზღვა მავშვილის თვალით



— ტიტველა ქალების თვალთვალი რა ვაუკაცის საკადრისია! — საკუთარ თავს ტუქსავდა კონდრა შარუხია და მზერას მაინც ზღვისკენ აპარებდა.

გული დამისტიყვეს მეურმეებმა, ახლა ამ გულს გამოდარება მოუხდებოდა, თორემ მეტს ველარ გაუძლებდა.

საესე ჭიქები ღუხოს გაღავულოცე: — ღუხო ბატონო, დალიე, ამ ჭიქით ჩვენ გვადღეგრძელებ, მეორე ჭიქით — მინაგო.

ღუხო მოიკუნტა, ენა დაება.

— თუ არ დაგიღევია, ზღვაში ჩაგიყვან და ხარებავას გულდასავით ვაგებე-  
ნავ. ეს ზღვა მაინც ჩემია, მუქითა და ყველას გვეყოფა.

— მო-ომკალი და ისაა, უტუ ბატონო, — ამოიკენესა ღუხომ და ხელები გაასავსავა.

— ცალთვალას ძაღლი ხარ, მინდა გაგიმასპინძლდე, თუ არადა, ზღვას მაინც ვერ გაექცევი, ეს ზღვა მაინც ჩემია, ჩემი! — ვემუქრებოდი ღუხოს. ღუხოს ჩემი ყოველთვის შურდა. ჩუმად „სანსლეში“ ხმას მიგრცელებდა, თითქო მე ზღვაში გადარჩენილს ფულს ეთხოვდი. მელაძუა იყო და გაიძვერა. ნაღვინეგზე ღუხოს გაბრტყელება მომინდა.

მეურმეებმა იცოდნენ, რა ხისგან ვიყავი გამოთლილი.

— ცოდვაა ეს მგლის შესაქმელი, შევიბრალოთ! — შემომევედრა თემრა შამბა.

— აბატიე, თუ რამეში შეცდა! — სასაუზმის იატაკს დასძახა კონდრა ბიძიამ.

— ჩვენ გვაჩუქე მისი დამთხვეული ცხვირ-პირი, — ითხოვა ახმასხა ლადიმერამ.

...ტკბილმა „სი ქოულ ბატამ“ გაჰკვეთს სივრცე.

ტკბილი სიმღერა მოეფინა ზღვასა და დაბინდულ მთებს. ასეთი ტკბილი სიმღერით ბევრჯერ გვივლია ბზიდისა და ადღერის გზებზე. ოღონდ დაბალ, ჩაგმანულ ხმაზე, თითქმის გულში ჩავგვიმარტყლავს ეს სათუთი სიმღერა.

ვინ იცის, რა სიმღერა არ მომსმენია, რა სიმღერას არ ვუსმენ.

მეურმის „სი ქოულ ბატას“ მაინც ვერაფერი შეედრება. ჩვენი სევდა და ნაღველია ჩაგუბებული ამ გრძელ ამობზვრაში:

რინაშ ნება ქორდასუნო,  
ქიანა მუში მაფართარე!

მეურმეებმა გურხას კრიალა ხმას ხვავიანი ბანი შეაშველეს და ცამდე აიტანეს.

ვებრალებოდი მეურმეებს. კი არ მღეროდნენ, ჭირისუფლებივით დაეკრიფათ ხელები და თითქო მე დამტიროდნენ.

ჩემი მხრით, მეც ვებრალებოდა ისინი: დღეს თუ ხვალ მათი გზაც გათავდებოდა.

კონდრა ბიძია მითუთქავდა გულდგიძლს. მხოლოდ ის ვერ გადაიტანდა საურმე გზის დასასრულს და უურმობას, მწყერივით დაღევდა სულს გზასა და კამეჩებს შერზილი.

იმ დღეს კი თითქო ცხადად ვხვალვდი.

სუფრიდან წამოვიშალეთ და აივანი დავტოვეთ.

თავნაფერებმა პლაჟის სტუმრებმა სათუთი ჭამა იციან, ოღონდ ხელით არ კადრულობენ, მეურმე კი ქოთნის ლობიოს რომ მოდგება და ჯამში ლუქმას ამოავლებს, ასე მგონია, სიცოცხლის წვეწას ივლებს პირში.

გზის გასაყარზე გამოვედი.

მე ქალაქისაკენ მედო გზა, მეურმეებს — ახალსოფლისკენ.

შუა გზაზე დიდხანს ვიდექი და მიძიდე მიმავალ მეურმეებს ვუსმენდი.

— რას იზამ, ქალაქი ირჩია უტუმ და დაუმშვენებია კიდეც.

— სულ გამოცვლილა, — ამბობდა თემრა შამბა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს. აბა ყოველთვის კამეჩის კუდს ხომ ვერ უყურებდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს! — რობრობებდა ლადიმერა ხვიბლიანი.



— კამეჩს აუგად ნუ იხსენიებ, ღმერთი გიწყენს, ლადიმერა! — ცას გასძახოდა კონდრა შარუხია და სვანს მამა-შვილურად არიგებდა.

თემრა შამბა აფხაზურს ვაპკიოდა. გვალა თავისთვის დულუნებდა.

გურხას ენაც ეშლებოდა და ფეხიც. მერე გზა ჩაეკეტეს მეურმეებმა, ხელი ხელს გადასდეს და ისევ „სი ქოულ ბატა“ წამოიწყეს.

ჩემი გული თან წაიდეს და შუაგზაზე ლეში დამტოვეს.

ზღვისპირას დავჯექი. ჩაბნელებული ზღვა ოდნავ ირწყოდა და ზვირთები შრიალებდა. ზღვის ზედაპირზე არქეოლოგის სახე გამოინაკეთა, წყალში წელამდე ამომართულიყო, მოხუცს ქორა თვალზე მივაპყარი: მერე ერთის ნაცვლად, რამდენიმე მოხუცი გამოიკვეთა, ერთმანეთს ტყუპებივით ჰგავდნენ, წყალში ტიტივებდნენ და ჩემს საშველად მოიწვედნენ, მამხნელებდნენ.

„ამაოდ მეტყუტურებით, ბებრებო, ჩემგან აწი არაფერი გამოვა. არც თქვენი ა-ნი მინდა და არც ბ-ანი, არც მცხეთა და არც გელათი, არც საბა და არც თამარი... ჩემი მოდგმა უნაყოფო თესლივით დააპნია გამჩენმა. თქვენი დღეებიც დათვლილია, მეურმეებო... წახვედით და გულიც წაიღეთ. ძმებო“... — ვლულულულებდი გაუგებარს და ზღვაზე გაუჩინარებულ მეურმეებს ამაოდ ვეძებდი.

## მისაში სიმატილა გარხია

ზღვა გახელბულია. ღმუის და იფოფრება.

ავდარი კი თავისას არ იშლის, ცრუობს და ორაპრობს.

ქოხში სანაქებო თოფი მიკილია ივანე კორშუნოვის ნაჩუქარი. დათვის ქურქი და თბილბეწვიანი ჩექმებიც მან გამომიგზავნა.

კორშუნოვი შარშან კამჩატკიდან ჩამოვიდა დასასვენებლად. ხომ იცით,

ჩვენთან იანვარი როგორია? ხანდახან მზე ისე დააცხუნებს, ბანაობა მრგინდება.

იმ დღეს მზიანი ამინდი არ იყო და ციოდა, ამგვარ სიცივეში ჩვენ ჭაჭის არყით ვმკურნალობთ.

კორშუნოვმა ატალღებული ზღვა და სიცივე არაფრად ჩააგდო. ზღვაში შეცურა და კარგა ხანს ინებვიერებდა, დაქრილ მუხლს რომ არ გაეხსენებინა. მთავარი ძარღვი გაესკვნა. ნაპირიდან შორს იყო და მაშველს მოუხმო.

— ამას რას ვხედავ! — ნაპირზე წრიალებდა ტოჩი და თვალს არ უჯერებდა! — ვადაირევა, ბატონო, კაცი, აბა, რა. ძვალს რა გოუთბობს იმ უბედურს აწი, ა? — წუხდა და სიცივით აძაგაძაგებული თავის კბილებს აკაწყაწებდა.

ტოჩიმ ქონი და არაყი მომირბენინა. ტანი ქონი დავიზილე, ბოთლი მთვინე ყულე და არაყიც ვადავკარი. ძვლები გამითბა, გაეხუროდი. ზღვაში შევცურე და კორშუნოვი ნაპირზე გამოვიყვანე. ვივაქცავე და ნავით ზღვაში შესვლა ვიჩოთიერე.

მე და კორშუნოვი ზღვამ დაგვამეგობრა და ვერაფერი ვერ გავგთიშავს. თვე არ გავა, არ გამიხსენოს.

მე, უტუ ჩალიგავას, თუ მომესურვება, ავდგები და ივანს კამჩატკაზე ვეწვევი, ამურის პირასაც თამამად შემიძლია დავესახლდე. უარს არავინ მაკადრებს და პირქუშად არავინ დამიხედება. ასე არაა საქმე. სამაგიეროდ, ციმბირელი იქნება ის თუ კამჩატკელი, სულერთია, ერთ მშვენიერ დღეს კარზე მომადგება. ავდგები და სამოსახლოს თვითონვე მივეუზმომა.

თოფმა კორშუნოვი მომაგონა.

გულის გადასაყოლებლად მახლობელ მთას მივაშურე. ბილიკები თანდათან მალლა მიტყუებენ. ვშორდები პლასს. მინდა საკუთარ თავთან საუბრით ვავძლე. ეს მთაც ხომ ჩემია, სად-

**მურმანე კოიავა**  
ზღვა მაშვილის თვალთ



მე, ხის ძირას მივჯდები და თოლივეს გვერდში მოვისვამ.

ოცნება ხომ მეურმის მოგონილია და ისეთ რამეებს ვეტყვი, სირცხვილით დაიწვას. გავანდობ გულის ხეაშიადს, არაფერს არ დავემალავ.

ბილიკი გათავდა. მთიდან ხელისგულისვით გაშოჩნდა ზღვა.

ფიქვნარში მდგარი ეკლესიაც განათდა.

ომამდე, ეკლესიის ახლომახლო არქეოლოგთა ექსპედიციამ გათხრებს აწარმოებდა.

...ექსპედიციას ომმა შეუშალა ხელი. ეკლესიის ჯიხურში ახლაც ყრია ქანგძოდებული წერაქვები და ნიჩბები.

არქეოლოგი ახლა ეკლესიის მეთვალყურეა და სამარხიც არ ავიწყდება, ექსპედიციას დღე-დღეზე მოელის, სამარხს ჩაათვალიერებს და ჭირვეულობს:

— არქეოლოგთა ხვედრი ასეთია. საქმე მუდამ ბეჭდებთან, ჩონჩხებთან და დოქებთან გვაქვს. ჩვენ ისინი გვასულდგმულებენ, იმათთან ვფუსფუსებთ, იქიდან ვკითხულობთ, ვინ იყავი შენ, ვინა ხარ და რა იქნები ათასი წლის შემდეგ.

„რა გელიმება, ათასი წლის წინანდლისა გვეჭვება?“

„ათასი წლის წინანდელმა თუ ასე დაგაეჭვა, შენი ამბავი რომ ვიცი, არც ათასი წლის მერმინდელზედაც იტყვი სასიკეთოს.“

„მიწაში ბევრი სიმართლე მარხია!..“

„დომე გტყვი იყო და მიწამ მიიმადლა!“...

„მეურმე კიწი ლომიას მიწამ გადაუხსნა გული!“

„მიწაში ბევრი სიმართლე მარხია.“

„ულვაშასაც მიწა მიიღებს!“

„მიწა, მიწა, მიწა!“

„მიწა ცალთვალასაც ჩაიკრავს!“

ეს პატარა კაციც ათასი წლის ჩონჩხს ლასტირის. სჯერა, რომ მისი ოფლი ამოოდ არ დაიღვრება. არქეოლოგი

მკლავებს შლის, ზღვას გასცქერის სივრცის უსასრულობა ამხნევეს და აცოცხლებს.

— თუ ხელი გინდა მოიმართო, ძებნაც არ უნდა დაიზარო, აქეთ მხოლოდ სიკვდილმა იცის მოსვლა. — მეუბნება არქეოლოგი და სამარხს ჩაპყურებს.

ჩემს თავში ათასი აზრი, ეჭვი, კითხვა და პასუხი ირევა და ფუსფუსებს, ხან ერთი დამაეჭვებს და ხან მეორე:

„იქნებ ოქროს ეძებს და თვალი უნდა ამიხვიოს?“

„მიწაზე ვერ გიპოვნი ვერაფერი და მიწის გულში რას უნდა წააწყდე!“

„სამარხიც ზღვაა, სამარხიც ზღვას ჰგავს!“

დავიღალე. მონადირე რომ ვიყო, ჯანაბას, არ ვიღარდებდი, ისეთ ტყუილს მოვიგონებ, ულვაშასაც დავაეჭვებ. ტყუილი ხომ მონადირის მოგონილია?

მზემ ოდნავ გამოანათა. ზღვა ფოლადივით დუღდა. ზღვის ღმუილი ზღვაურს ზულ ახლოს მოჰქონდა. ტყე იმ-მუშნებოდა, შრიალებდა.

ვერაფერი ვერ ვინადირე; ჯაგნარებიდან მელია გამოცუნცულდა და წუთისოფელს გამოვასალე.

მელია მძულს. მახსოვს, ზამთრის დამეში სუსხიანი ქარი დაუბერავდა. მე-ლიები და ტურები მთიდან დაეშვებოდნენ. საქათმეების ახლო გულშემზარავ კვილს ატეხდნენ, ძაღლების ყეფასა და წკაცწკაცში მგლის ყმუილიც გამოერეოდა. გარეწრები საქათმეებს უთვალთვალეზდნენ. საქათმეები კი ბევრი იყო მაშინ ფსოუში. მარტო მამლებს ყვივილი გაამხნევებდა გვიან მგზარეს.

საბანში მოკუნტული, სუნთქვას ვიპარავდი, ძილგამფრთხალი ნადირთა კვილსა და ყმუილს ვუსმენდი, ხმა გაბმულ ზღვაურს ხან სულ ახლო მოჰქონდა და ხანაც შორეთისაკენ მიაქანებდა.

როგორ მინდოდა ჩავგორებულოყავი მამის ლოგინში და მკერდში ჩავკვროდი. მამაჩემი ისეთი კაცი იყო, მშიშარას ვერ იტანდა. შიშს ვერ ვუმხედრი

და ძილი მხოლოდ გათენებისას მომტაცებდა თავს.

ახლა ფსოუ აღარ არის. ფსოუს ნამოსახლარები ქალაქს წაემატა, წაიშალა და ქალაქში გაითქვიფდა. აღარც ქათმებია და არც თავმომწონე მამლები. მარტო ვერც ქათმებს დაიკავებ და ვერც მამლებს, უერთმანეთოდ ცოდვები არიან, სხვაც რომ არ იყოს, მათი უდროო ყვივლი დამსვენებლებს ძილს უფრთხობს. საკურორტო ზონაში ფრთოსნების ყოლა აკრძალულია ამიტომ ტურები და მეღიები ქალაქში შემოპარვას ვერ ბედავენ, მეღიები რაა, ვერც მგლები უთამამდებიან საკუთარ თავს. ის დრო წავიდა, ერთი სცადონ და ჩამობედონ, ისეთ დღეს დავაყრით, მთაც დაავიწყდეთ და თავიც.

...მელია ჯავთან მივაგდე.

ირგვლივ ქარი დათარეშობდა.

ტყეში სიბნელემ ერთბაშად იმატა. მთებზე შეფენილ ბზას, გარეულ ოხილს, თელას, კობიტსა და მუხას მუქი ქულაჯები დაშვენდა.

ახლოს მხრებში წახრილმა ჯახველმა გაიზმორა.

„მე მეურმე ვარ, ეს — მელია. საკბილოს მაინც წაეწყდომოდი“. ნანადირევს ფეხი წავაკარი. მელია პირაღმა გადაბრუნდა. მთვარე მალალ ხეებში გაჩხირულიყო და მკრთალ შუქზე მელია მოწკრეული თვალეებით და დაკრეჭილი კბილებით შემომამჩერდა.

„მელიას რომ აჯობე, ვაჟაკობაც ისაა“, არ მეშვებოდა ბოკო, პირაღმა დაგდებული მელია თითქოს შეინძრა. თვალეებში შუქი ჩაუდგა.

მთვარე ხეებში ჩაიმალა და ირგვლივ ჩამობნელდა, ახლა მართლა ვიგრძენი შიში. მომეჩვენა, თითქო მელიას ღიად დარჩენილი თვალეები ფოსფორულ შადრევანს აფრქვევდნენ. წვრილი შადრევანი იზრდებოდა და ცისკენ კანკალით მიიწევდა.

„მელიასი გეშინია?“

„არა!“ შევბედე ბოკოს.

„არც ზღვის?“

„არა!“

„თოლიგესი?“

„არც თოლიგესი!“

„ვერ დავიჯერებ. თოლიგე, აქ მოდი!“ — ჯახველს გასძახა ბოკომ.

თოლიგეს სიცილი ტყეში გაიბნა. თოლიგე ხეს მოშორდა. ფოთლებით მოხატული კაბა ეცვა. ბილიკს თავქვე მოყვებოდა. მოდიოდა ლაღად, მსუბუქად და ტანს კოხტად მოათამაშებდა.

„უტუ ხარ, ბიჭო!“ გაოცებით გადმომხედა თოლისკვამმა და შორიახლო შეჩერდა.

მელიას თვალეები ფოსფორულ შადრევანს აფრქვევდა. შადრევანი იზრდებოდა და ცისკენ კანკალით მიიწევდა.

„ამ მთებში ბევრი ბილიკია, უტუ!“ სიბრალულთ გამიღიმა ბოკომ.

„ნაბიჯ-ნაბიჯ მაქვს დავლილი. ყველა ვიცი“.

„მერე რა, მაინც ვერ დაწყვილდებით, მეუბრემე, სიზმარს ეთამაშები“.

„მე ჩემი ბილიკი ვიცი. ვიცი, ვისაც უნდა დავეწყვილო!“

„თავს იტყუებ. მეუბრემე ტყუილი არ ეკადრება. გულში კარგად ჩაიხედე და არ დაიციყო, რომ მელია შენ წინ გდია!“ ბუჩქებში მიმალული ბოკო ღვარძლიანად ხითხითებდა.

„მე ჩემი ბილიკი ვიცი, მაგრამ...“

„გამოიღვიძე, ბიჭო, დროა, გამოიღვიძე!“ ბოკომ თოლიგეს ხელი ჩაჰკიდა და ტყეში გაუჩინარდა.

„რატომ მაინც და მაინც ბოკო მომეჩვენა?“ გავიფიქრე გულში.

მელიის ლეშს ფეხი ვკარი და უფრო შორს გადავაგდე, ჯავს გამოედო და კისერი ჩემკენ მოიღრცა. მელია კბილდაკრეჭილი შემომყურებდა და იცინოდა.

თოფი მხარზე დავავიციდე. ძუნძულთ ბილიკს თავქვე დავადექი.

შურმან ქოიავა

ზღვა მავთლის თვალთ



არქეოლოგი ფიჭვის ძირას, მრგვალ მაგიდასთან იჯდა. მხარზე თოფი რომ დამინახა, ეუცხოვა.

— დათვი თუ ბუღობს ამ მთებში?

— როგორ არა, ოღონდ...

--- ზამთარში დათვზე წავიდეთ სა-  
ნადიროდ. ნადირობა სიცოცხლეა.

— ვცადოთ. ჭერ დათვზე არ მინა-  
დირნია.

— კონსულტაცია ჩემზე იყოს, მიზან-  
ში ამოღება — შენი.

მთვარე ახლა ფიჭვნარს დანათოდა.

თოფი ხესთან მივაყუდე და მრგვალ მაგიდას მივუჯექი.

— მოდი, ტყეს მივაყურადოთ, უტუ,

— მითხრა არქეოლოგმა, — თოლიგე ქა-  
ლაქში წავიდა. „მერცხალი“ აქედან  
შორსაა?

— ქალაქის ბოლოშია.

— ამხანაგის დეპეშა მიიღო. თბილი-  
სიდან დასასვენებლად ჩამოსულა.

არქეოლოგისათვის არ მიკითხავს, სად იყო თოლიგე. არც მისი სახელი მისე-  
ნებია, მოხუცმა მიწის გულში იცოდა  
რა იღო და ჩემს გულშიაც ჩამოიხედა.

ტყე შრიალებდა. ზღვაური უბერავ-  
და. ხის ტოტები ნელა, მაგრამ დაბეჯი-  
თებით მალლა და მალლა მიიწვედნენ.

ტყეს მც და არქეოლოგი სხვადასხვა  
ენაზე ვკითხულობდით.

— ტყეში თავისუფლებაა, ჰაერი და  
სიმშვიდე, — ლაპარაკობდა მოხუცი, —  
იყვირე, ცა და მიწა შესძარი, ამავე და  
ხოტბა შეასხი, ხეები გისმენენ და სდუ-  
მან. კენწეროებს ოდნავ არხევენ. ვერ  
გაიგებ, გეთანხმებიან თუ არა. ისე კი...  
სულ ერთია, მაინც სდუმან.

ტყე შრიალებდა და ზღვა ყრულ  
ბუბუნებდა.

— ტყის სიჩუმე სხვაა. ტყის სიჩუმე-  
ში უფრო მშვიდად ხარ, ისე ვერსად  
ვერ მოისვენებ, როგორც ტყეში. სა-  
მარხებს რომ არ გადავყოლოდი, მე-  
ტყეეობის გარდა, არაფერს ვინატრებ-  
დი. ეს ნატვრა სიბერეში მაინც ამის-  
რულდა.

ტყემ არქეოლოგს ზოობარკი მო-  
გონა. ზოობარკი მე არ მინახავს.

ზოობარკში ათასი ჯურის მხეცი და  
ფრინველია: ლომები, ვეფხვები, ზალე-  
ბიანი აფთრები და ბოლისფერი ჯიქები,  
ინდოეთის ბატები და ცეცხლისფერი  
ხოხბები. ზანტი აქლემები, მარტორქე-  
ბი და გამოლენჩებული ბეჰემოთები.

ისტორიას და სამარხებს თურმე  
გრძელი ლაპარაკი უყვარს!

— ლომი წიგნში ან კინოში მაინც ხომ  
გყავს ნანახი?

— კინოში კი, ბევრჯერ.

--- დარდიანია, ბიჭო, ლომი. იმხელა  
სევდა, კამეჩის მერე, არც ერთ ნადირს  
არა აქვს თვალბეში ჩაღვრილი. შეგე-  
ბრალემა, ვეება ტოტებზე ისე ნა-  
ღვლიანად დაიდებს თავს. ვეფხვი ავია,  
მაგრამ რკინის ღობეს ამაოდ აწყდება.  
ზაჯნაჯა დათვები კი არაფრისმთქმელი  
თვალებით ერთ წერტილს შეჰყურე-  
ბენ. მაიმუნი ვერ ისვენებს. მნახვე-  
ლებს ენას უყოფს, ტყეეობის დარდს  
არ იმჩნევს, ბადეს აქეთ-იქით აწყდება,  
ფიქრს რომ ძირამდე ჩაჰყვე, ადამია-  
ნებს დაგციინისო, ასეთი აზრი დაგება-  
დება!

— კინოში მინახავს ლომები და ვე-  
ფხვები... — ისევ ჩემსას ვიმეორებ მე.

— მზეს მაინც შეჰხარიან. სიხარულს  
შემეზარავე ბუხუნით გამოხატავენ, —  
მარწმუნებს მოხუცი.

კიდევ დიდხანს მესაუბრა არქეო-  
ლოგი და ცხოველთა სამყარო გამაც-  
ნო.

არქეოლოგის ნათქვამს ვიმეორებ:  
მხეცების სამყაროს ყველა უნდა იც-  
ნობდეს. ცოდნა ცუდი არ არის, სწავ-  
ლა სიკვდილამდეაო, ნათქვამია. ლომე-  
ბი და ვეფხვები ადამიანმა ყურმოჭრილ  
მონებად აქცია. მათრახის ერთი შემარ-  
თვა და საზარელი მხეცები კუდს კატე-  
ბივით შეიკეცავენ. თვინიერნი და გამ-  
გონნი ხდებიან!

განა ვერ მიფხვდი, არქეოლოგს ეს  
გრძელი სიტყვა რისთვის დაჭირდა?

არა, თქვენ არ იცით. ტყუილა იღიმე-



ბი, გვადა. არც შენი მჭერა, ჩემო გურ-  
ხა, ლადიმერაც კაი ეშმაკია და თემ-  
რაც... არქეოლოგი მე ჩამცქერის გულ-  
ში და ზედავს, რომ ღონიერი მარჯვე-  
ნის მოვალეობას ტკბილი ენით ასრუ-  
ლებს, აკვნიდან აყოლილ არტახებს  
თანდათან მიხსნის და მათავისუფლებს.

მიმიხვდით, მეურმეები? ლომი რომ  
ადამიანის გამგონე და მორჩილი გახდე-  
ბა, მაშინ შენ რა უნდა ქნა, გურხა,  
ქვეიანი კაცის დარიგებას არ უნდა მო-  
უსმინო? მისი ყოველი სიტყვა ცხვირ-  
სახოცში არ უნდა გამოინასკვო?

არქეოლოგმა იცის, რომ ჩემთვის  
წიგნი გალიაა, არტახებო და შორი-  
დან მივლის.

ასეა, ჩემი პლაჟიც პატარა გალიაა.  
დამსვენებლები ზღვისპირას ფუსფუ-  
სებენ, ზღვის დიდი რიდი, პატივისცემა  
და შიში აქვთ.

ზღვა ლომი არ არის, გალიაში დაამ-  
წყვდიო.

ვდგები. არქეოლოგს ვემშვიდობები.  
მივდივარ და მეურმის თავში თანდათან  
ნათლდება.

ხვალ ზღვა დაწყნარდება. ზღვაური  
ჩაღდება.

### შკითხილად, მოგზაურობო...

შემოდგომა კარზეა მომდგარი. ცოტა  
ხანიც და ბუნება უცებ გამოიცივლის  
სამოსელს.

ზღვა გადასხვაფერდება. გადასხვა-  
ფერდება ჩემი გულიცა და ხასიათიც.

ზღვას დღეს მინც წაეკიდა ცეცხლი.  
ისეთი ცხელი ბორიო ამოდის ზღვი-  
დან, სუნთქვა ჭირს.

დამსვენებელთა ყურადღებას უჩვეუ-  
ლო სურათი იპყრობს.

სინამდვილეში ეს სურათი არაა:  
პლაჟს ჩოხოსანი მოხუცი უახლოვდება.  
ჩოხოსანი მხრებში გამართულა, ხანჯ-  
ლის ტარზე ხელები ჩამოუდვია. ახო-  
ვანი და ტანაღია. მხრებზე ნაბადი მო-

უგდია, თავი ყაბალახით წაუტარავს  
ასე იწვის მზეში.

პლაჟი გარინდულა და მოხუცს  
თვალს არ ამორებს.

პლაჟზე არავინ იცის, ვინ არის ეს  
მოხუცი.

სამაგიეროდ მე ვიცი და მთელმა სა-  
აფხაზომ იცის, ვინც არის რიხი ჩაჩბა-  
რიხი ჩაჩბა ამოდებული ლეკური  
იყო, ვინ იცის, რამდენ მზეთუნახავს  
უნატრია მისი განიერი მკერდი და  
ძლიერი მკლავები. რამდენჯერ მოუგელ-  
ვებია თავისი გადარეული თეთრონი და  
აზვირთებულ ზღვისთვის დამცინავად  
დაუჭყვივლია და ზღვა გაუმხნევებია.

რიხი ჩაჩბა საქვეყნო თამადა, უბად-  
ლო მსროლელი და მოჭირითე იყო,  
ირმის ძუძუწაწოვი და ვეფხვის ნაწრ-  
თობი.

ახლა პლაჟი დამცინავი ღიმილით შე-  
კურხება ნაბდოსანს, მაგრამ რიხი ჩა-  
ჩბას გულში ისევ ანთია ამაყი ცეცხლი.  
რიხი ჩაჩბა ნაბადსა და ჩოხა-ახალუხს  
ქვიშაზე არ დაყრის და ამ უტუ ხალხს  
არ გაუშიშვლდება. მისი თვალები გა-  
ურბის ქალების ურცხვ მხერას. რიხი  
ჩაჩბა ეძებს ღმერთს, მაგრამ ღმერთი  
ზღვაშია დამღრჩვალი. ზღვამ არ გამო-  
რიყა დაღუპული ღმერთი ნაპირზე და  
სამუდამოდ ბინა ფსკერზე დაუდო. რი-  
ხი ჩაჩბა ლეგენდა იყო, ლეგენდასავით  
ჩაქრა და ჩაიფერფლა. თვალები დაეშ-  
რიტა, მუხლები მოუდუნდა, მკლავები  
ჩამოუქცნა და ხანჯალს ეანგი ჭამს.

— რა ლამაზი ქვეყანა დაქვეულა,  
წიე! — ზღვის გასაგონად ამბობს მო-  
ხუცი და წელგამართული მიდის.

ქვიშაზე წამოწოლილი ქალ-ვაჟები  
უდარდელად იცინიან, იცინიან ბან-  
ჯველიანი მამაკაცები და კანჭებჩამომ-  
ქცნარი შინაბერები, რომელთაც ზღვა,  
პაერი და ჭორი აცოცხლებთ.

ვინ იცის, დრო რამდენს მოხრის  
მხრებში, რამდენს აიგდებს სასაცილოდ  
და ზღვის წინაშე წამოაჩოქებს.

**მურომან ჟივიავა**  
ზღვა მავაზლის თვალით

მობანაგენი ფსკერზე ჭრელ კენჭებს ნატკრისთვალის დამკვრებს.

წყალში თვალი უნდა გაახილო. თვალი თუ არ გაახილე, ეს იგივეა, ბაღში თვალდახუჭულმა იარო და ხელები აქეთ-იქით აფათურო.

ფსკერი ნიორფერი კენჭებითაა მოჩითული.

ჭრელი კენჭები მაცთურები არიან, გავიწყებენ დროსა და ასაკს. ეძებ და ეძებ ჭრელაჭრულა ქვეებს, ერთობი.

ერთი უშველებელი მამაკაცი საცურაო ლეიბზე წამოწოლილა და ტახივით ფშვინავს. ფსკერზე კი არა, წყლის ზედაპირზე უჭირს, ჰაერი არ ყოფნის.

ჰაერი კი პური არ არის, რომ ფულით შეიძინო.

პლაჟზე ცხარე კამათი დღესაც გრძელდება. ვინ მზეს იცავს და ვინ ზღვას. აქ ექიმის გარდა, ყველა გაწამაწამა და საკუთარ აზრს ხმამაღლა გამოთქვამს.

პირადად ექიმი, სწვებით ნახევრად-შოშველია და მის შეხედულებებს არავითარი ფასი და წონა არა აქვს.

დამსვენებლები ხშირად ახსენებენ წნევას, ინფარქტს და სიდერს. სიმსივნე ორნაირი ყოფილა: ავთვისებიანი და კეთილი. უკანასკნელი უფრო მეტი სიმპათიით სარგებლობს.

მედიცინა იბრძვის სიმსივნის წინააღმდეგ. მეცნიერების ერთი ნაწილი ატომის გაუმჯობესებაზე იკლავს თავს. ეს ჯიბრი კარგია და ნაყოფისგამომღები. ოლონდ რამდენ ხანს გასტანს, არავინ იცის.

წნევისაგან განკურნვა, ხშირ შემთხვევაში თურმე ზღვას შეუძლია.

ზღვას და სიმშვიდეს.

— ზღვა არის და არის, ბატონო, ინებე და დატკბე, მაგრამ სიმშვიდე? სიმშვიდეს თვალთ ვერ გამოიცნობ, ხელის შეხებაც შეუძლებელია. რა ვიცი, შენ ამ წუთას გულში რა ცეცხლი გინთია! — მრავალმნიშვნელოვნად ამბობს ცხვირბაჭუა მამაკაცი და უცნობ ქერა ქალს თვალეში საეჭვოდ ჩაპყურებს. —

ესე იგი, ზღვა არის და სიმშვიდე არა! — ეპვს ეპკითვე პასუხობს ქალი.

— ასე გამოდის. თუ სიმართლეს კვალდაკვალ და ბოლომდე გავყვებით, მაშინ ზღვაც უნდა გავაშიშვლოთ. სათქმელი პირდაპირ ვუთხრათ: ზღვარომ ზღვაა, სიმშვიდე არც ზღვასა აქვს!

— მაშასადამე, ზღვაც წნევიანი ყოფილა! — განხარებული წამოიძახებს კუშტი სახის კაცი და კეფას ისინჯავს, რადგან წნევამ კეფიდან იცის შემოვლა. კეფიდან ტვინამდე არც ისე დიდი აღმართია და სწორედ ესაა საშიში.

— ექიმის ენით — ჰიპერტონიკი! — შვეებით ასკვნის მოხუცი და ჭილის ქუდს იხდის.

ექიმი სათვალეს იხსნის და პირსახოცის კილით წმენდს.

— გულით დაავადებულმა შორს არ უნდა შესცუროს, საშიშია. გულით დაავადებულს დიაგნოზს თვითონ ზღვა უსვამს. ყელამდე რომ წყალი მოადგება, სუნთქვა უჭირს... — მორიდებით ჩაურთავს ექიმი და სათვალეს ისევ ცხვირზე ჩამოიდებს.

ამგვარი კამათი და დასკვნები ბევრჯერ მომისმენია.

ჩვენთვის, მეურმეებო, ეს სასაცილოცაა, წნევა და ინფარქტი ჩვენ არასოდეს არ გავგივია. არც ავ და კეთილთვისებიან სიმსივნეზე ჩავფიქრებულვართ. ისე, ღმერთმა დაგვიფაროს, და სიმსივნე მაინც სიმსივნეა, გინდ ეს ერქვას და გინდ ის.

ექიმის რიდი და პატივისცემა ყოველთვის გვექონდა. სანდრო ფერშალი რომ ჭიშკარს მოადგებოდა, რაგინდ ავადმყოფი ყოფილიყო, ფეხზე წამოდგებოდა და ლოსლასით ფერშალს თვითონ შეეგებებოდა. ექიმი კი... ექიმი ისე ამხნევებს ლოგინად ჩავარდნილს, როგორც ომახიანი შეძახილი ზღვაში განწირულს. ხანდახან აშინებს კიდევ.

შიში საჭიროა. შიშით ენადაბორკილს ისევ შიში უხსნის ენას.

კაცმა ყველაფერი გულთან ახლო არ უნდა მიიტანო. პატარაა ეს ოხერი გული და ერთ მშვენიერ დღეს ხელში თებერვლის თოვლივით შემოგადნება.

ჩემი პლაჟი სახელდახელოა. ალბათ სულ მალე გაფართოვდება და ისეთივე გახდება, როგორც შუა ქალაქში პლაჟი მეგულებო.

დიდი პლაჟი ჩვენს ქალაქში ერთადერთია.

იქ, რადიოცაა და თეთრხალათიანი ექიმებიც. მათი რჩევა-დარიგება ყოველ საათში ვაისმის. ექიმი დარდიანს ახალისებს, წაბორძიკებულს წელში მართავს, აჯანსაღებს და ისევე ფართო გზას უბრუნებს.

არის შემთხვევა, ექიმს შეიძლება შემოაკედეს კაცი. განა განზრახ, — არა! ამიტომ ასეთი ექიმი არ ისჯება, არც შეიძლება დაისაჯოს, უნდოდა სიცოცხლეს გადაერჩინა და არ გამოუვიდა, რა ქნას, რა მისი ბრალია!

კერამ შემთხვევით, გრძელცხვირა ქსენოს თავში რიყის ქვა მოარტყა. ქსენო აღვილზევე მოკვდა. კერას, მართალია, ქსენოს განზრახ მკვლელობა გულში სრულებით არ ედო, მაგრამ ძიება იჭვების გზას დაადგა და იჭვი გაიზარდა, გადიდდა და იქამდე გაიბერა, კერას დასჯა თითქმის მთელმა ფსოუმ მოითხოვა.

ქსენო დაასაფლავეს, კერა გადაასახლეს და ფსოუც დაამშვიდეს.

მზემ ძალზე დააცხუნა.

ახმახი კაცი ლეიბიანად ნაპირზე ამობობდა, ისე ფრთხილად ადგამს ნაბიჯს, თითქო ფეხქვეშ მიწა ერყყოდეს.

ნაპირზე ბავშვები სველი ქვიშისაგან „კოშკებს“ და „სასახლეებს“ აგებენ. გარშემო ქრიამულია. პაწია ზვირთები „კოშკს“ „ბალავარს“ ნელ-ნელა აცლიან.

ახმახი კაცი სხვათაშორის დახედავს ბავშვების ნახელავს და ელიძება. მის ღიმილს ბარე ორიოდ ვინმე თუ მიხვდება, ასეთი ღიმილი ცალთვალა მინაგომ იცის, როცა ჩემს ღობეს მოადგება.

რას იზამ, ბოლოს და ბოლოს მილსაც უნდა შეეგუო.

ახმახმა პიეჟამში გაუყარა ცალი ფეხი, შეისვენა. მეორე ტოტში ფეხის გაყრა ვერაფრით ვერ მოახერხა და წაიქცა. დაყირავდა, როგორც ქვიშის კომპი.

ირველივე ჩუმად ხითხითებენ...

ახმახი დუდღუნებს, იზღვირება და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ვიღაც თავგასულს პიეჟამს ცალი ტოტი მარად გამოუნასკევებს და დაუსვენებია. განასკვული და ისიც სველი ტოტის გახსნა, არც ისე იოლია, ვიღაც იცინის, თავს ვერ იკავებს. ვიღაცა „სუხარს“ ასხენებს. ვინ იცის, იქნებ იმ ახმახს ბექის თლაში დასთენებია, და ახლა „სუხარი“ მისთვის რა სახსენებელია და საკადრისი!

შეიძლება „სუხარიც“ მოენატროს ან მოანატრონ ერთ დროს, მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა!

„ქოლგას“ წარმოსადეგი ტანის დედაკაცი უახლოვდება, ქალს ფეხებწინ ძალდი მოუთამაშებს, ძალდი კუდბამბურაა, გრძელბეწვიანი, მოვლილია და კობტა. ძალდი უცხო ჯიშისაა. ძალღმა შეიყვება, შეიკუნტრუშა და ქვიშაში გაგორდა.

ქალმა ძალდი დატუქსა. ცხოველმა იგრძნო პატრონის გულისწყრომა, აწყმუტუნდა და მიელაქუცა.

ახმახი კაცი ყველას ავიწყდება და ახლა ჯიშის ძალდის გარშემო იმართება აზრთა სხვადასხვაობა.

— შეხედეთ, შეხედეთ რა ლამაზია, სუფთა და ცოცხალი, ჩვენებურს არ ჰგავს, ჰკვიანია! — ამბობს ცხვირაპაჭუა და ქერა ქალს საეჭვო მზერას არ ამორებს.

— დედისერთასავით გამგონე ჩანს, — ინაზება ქერა ქალი და ცხვირაპაჭუას თვალებს გაურბის.

**მუხრან ჟივია**  
ზღვა მავშელის თვალით



— ვინ იცის, შეიძლება დედისერთა-  
ცაა...

— ძალი ძალღია, შე კაცო, — ექო-  
მაგება საერთოდ ძაღლებს ჭილის-  
ქუდიანი მოხუცი და უქმყოფილოდ  
ბუზღუნებს.

— ვერ დაგეთანხმებით, ბატონო,  
ჯოგის ძალი სულ სხვაა და ქალაქი-  
სა — სხვა, ამას ბეჭედი არ უნდა.

— ყოველ შემთხვევაში „ორატორუ-  
ლი ნიჭი“ არც ერთს არა აქვს, ინსტინქ-  
ტით კი ტყულები არიან. დიახ, ინსტინქ-  
ტით! — არ თმობს მოხუცი და თმაგა-  
ჩეჩილს თვითონაც ჯოგის ნავაზივით  
უღრენს.

— ჯოგის ნავაზი რომ ქალაქში შემო-  
ვარდება, ხაფი ხმით ქუჩებს აიკლებს,  
ერთიანად ტალახშია ამოგანგლული,  
უხეშია, უცხო გარემოს შიშითა და იქ-  
ვით უმზერს, ქალაქში გაზრდილი ძალ-  
ლი სუფთაა, მორცხვი, ალერსიანი და  
თავაზიანიც კი... — თვალეზი გამომწვე-  
ვად უციმციმებს უცხო ჯიშისა და  
ქკვიანი ძაღლის ქომავს.

— სამაგიეროდ, ჯოგის ძალი გულა-  
ღია, კაცის მარჯვენაა. პირუტყვის ერთ-  
გული დარაჯია, მზადაა საკუთარი სი-  
ცოცხლე გასწიროს და მგელს შეეტო-  
ტოს... სანდოა, პატრონის წინაშე სუ-  
ლით სპეტაკია და სუფთა, არც აბაზანა  
უნდა და არც თბილად შეფუთვან. ზამ-  
თარ-ზაფხულსაც ერთნაირი მოთმინე-  
ბით იტანს. არც ექიმის კონსულტაციებს  
საჭიროებს და არც სასწრაფო დახმა-  
რებას. მეტი რა გინდა, შე კაცო! —  
ცხარობს ჭილისქუდიანი მოხუცი.

ექიმის ხსენებაზე, იქვე წამოწოლილი  
ექიმი (მე ვიცი, რომ ის ექიმია) წამოჯ-  
დება, თითქო ჭინჭრით დასუსტესო და  
სათვალეს გულდაგულ აპირალებს.

— სიკვდილს ბევრი სახელი აქვს:  
კიბო, ციროზი, ასტმა და სხვა... ძალი  
ალერსიანია, მედიცინას ხელთა აქვს  
უტყუარი და უამრავი ფაქტი, რომ ცი-  
როზი მეტად მძიმე დაავადებაა, მონა-  
ღირეები უფრო ხშირად ციროზით  
იღუპებიან...

— უფრო გასაგებად და მოკლედ

ვერ იტყვი, შე კაცო?! — იბუტება  
ლისქუდიანი მოხუცი.

ექიმსაც სხვა რა გზა აქვს, დუმილს  
ირჩევს, ცალი ყბა ნერვიულად უცახ-  
ცახებს.

დავა გრძელდება. ისე იზრდება, რომ  
ადვილი შესაძლებელია მუშტი-კრივშიც  
გადავიდეს. მოკამათეები და მსმენლე-  
ბი ორ ჭგუფად ვიყოფით.

მიხარია, რომ ჯოგის ძაღლს მეტი ქო-  
მაგი ჰყავს და მოხუციც უფრო რიგია-  
ნად გამოიყურება.

— ქალაქის ძალი სუფთაა, სასადი-  
ლო ოთახში მარტო რომ დატოვო, ისე  
გავითენებს, ლუქმას პირს არ დააკა-  
რებს. ზრდილია, თავშეკავებული და  
წარმოიდგინეთ, დარბაისელიც, — ერთ  
ადგილს ტკეპნის ცხვირპაჭუა და საეჭ-  
ვო დიღინით ქერა ქალს ათვლიერებს.  
ეტყობა, ქერა ქალი მორცხვია და გა-  
მოუტდელი. თმაგაჩეჩილი ტოკავს და  
ცქმუტავს.

— ნათელი ოთახები არც ჯოგის  
ძაღლს აწყენს, შეაჩვიე და კაი სადღე-  
გრძელოსაც გეტყვის სუფრაზე. გინდა,  
დაგლურსაც ჩამოუვლის და მოძახილ-  
საც წამოგოწყებს. არც ახლა გაჩერდე-  
ბი? მოკეტე, თორემ ამივარდა ზღვა  
თავში!

— ესე იგი წნევა, არა?

— ჰო, მე არ მეცინება!

გაწიწმატებული მოხუცის სიტყვებ-  
ზე გულიანად ვიცინით.

ვიცინით ყველანი და ექიმიც იცინის!

ხუმრობა იქით იყოს და ძალი მართ-  
ლაც საყვარელი არსებაა, სიყვარულმა  
აღელვება იცის, დარდი და სიხარული  
იცის. ნამეტანი დარდი, ასე ვთქვათ,  
ხშირი კონტაქტი დარდთან და სიხა-  
რულთან საშიშია. საშიშია და მაღალი  
წნევით იმუქრება.

ვიღაც ენაკვიმატი კატას ახსენებს.

კატის ხსენებაზე მოხუცი დგება. პი-  
უამას იცვამს და პლაჟს სასწრაფოდ ტო-  
ვებს.

ქერა ქალს ეღიმება, ტანს ოსტატუ-  
რად მიათამაშებს და ზღვაში შედის.

ნავით დავსერიწობ პლატის ერთი კი-  
ლიდან მეორემდე.

ცხელა. ჭილოფის ქული ვერაფერს  
შეშვლის. ნავიდან ზღვაში გადავმეშვე-  
ბი, ცოტათი გავგრილდები და ისევ ნიშ-  
ბებს მივუჭდები.

ტივტივას ახლო, ლეიბებზე ქალი და  
კაცი წევს. ორივეს შავი სათვალე უკე-  
თია.

პლაჟმა, ცალთვალა მინაგოსი არ იყოს,  
ყურები მეც დამიგრძელა, კაია, როცა  
სხვის ავ-კარგს ჩუმად უსმენ. აკრძალუ-  
ლი ხილი ტკბილიაო და თუ საიდუმლო  
რამეა, სულ ჭკუაზე იშლები, ცახცახი  
აგიტანს, ვინდა როგორმე იმ საიდუმ-  
ლოს ჩაწვდე, მაშინ გავიწყდება, ქალებ-  
მა რომ დაყვედრება იციან, მამაკაცები  
უფრო ჭორიკნები ხართო და ვინდა  
ყველაფერი გაიგო, გაიგებ და მორჩე-  
ნილი ხარ.

არ მომიწონებ ამგვარ კაცობას, ბი-  
ძია კონდრა, მაგრამ რა ვქნა, ხანდახან  
ამხელა ზღვაც იმიტომ ირინდება, რომ  
ხმელის იღვმალს ჩაწვდეს, სასურველს  
ვერ მიადწევს და მერე ბორგვას მოყვე-  
ბა, ჭკუას კარგავს, ჰოდა, ვერც მე შე-  
ვიკავე, ბიძია კონდრა, თავი. თავის ჩა-  
მოხრჩობა ძნელი არაა, მაგრამ მოთოკ-  
ვაა ძნელი.

შავსათვალნიანი მამაკაცი უძრავად  
წევს და იცოხნება. რა უდევს ასეთი  
პირში, ვერ გამიგია, ღეჭავს და ღეჭავს,  
ყბებს არ ასვენებს. ხანდახან ლასტზე  
გარჩენილი მამალივით იფხორება.

— ციციო, პარიზი გახსოვს?

— კი. პარიზი მაგონდება, — პასუ-  
ხობს ციციო. ციციო პატარა გაფარჩხულ  
ტიკინას ჰგავს, მაგრამ ასაკით არც ისე  
ბავშვი ჩანს.

— ხაჭაჭური?

— ხაჭაჭურიც მახსოვს! — ტიკტი-  
კებს ციციო და ლეიბზე გულადმა გამხ-  
ლართული მოკლე ხელებს წყალში  
აპარტყუნებს.

— ამხნის კაცი ვარ და მაგისტანა რა-  
მე ჩემს სიცოცხლეში არ მიგემნია!

— მჭადის გემო დაკარგდა, თუ დაკ-  
ვირდი.

— რა ვიცი, გადასარევი კი იყო  
და... — მინც თავისას იმეორებს „მამა-  
ლი“ და ლამისაა „ლასტიდან“ ზღვაში  
ჩაცურდეს.

— სად პარიზი და სად ჩვენ, ბუხუ,  
ამას რა ფილოსოფია უნდა, — ხითხი-  
თებს ტიკინა.

— მართალი ხარ, ციციო. ისე, ჩვენი  
სიბინდი, ისიც ყვითელი, მსოფლიოშია  
განთქმული. მარა, ყველაფერს ხელი  
უნდა და შემზადება. ყველას ერთნაირი  
ხელი არ გამოუდის.

მე ბრაზით გულზე ვსკდები. „ერთი  
დეიდა ელოს კეცზე გამომცხვარი ჭვიშ-  
ტარი გავემათ და მერე სულ არ ახსე-  
ნებთ პარიზია თუ რაღაცა“. მინდა ამ  
ოხრებს ხმამალა გავძახო, მაგრამ მე-  
ურმის თავდაჭერილობა უფლებას არ  
მამძღვეს. ისე, ჩვენში რომ ხაჭაჭური  
იციან, ამას თქმა არ უნდა.

ჩვენებური ხაჭაჭური, მტერი რომ  
მტერია, იმასაც შემოგარიგებს.

— დაკვირვებული ქალი ხარ და  
უცხოეთში მთებიც სხვანაირი არ გეჩ-  
ვენა? ამან გამაგიჟა კაცი.

— მთები არც ჩვენშია ურიგო, დაუ-  
ფიქრდი, ბუხუ, — არ დაეთანხმა ციციო  
მეუღლეს.

— ახლა ქალებზედაც არ მითხრა მას-  
თე. რა ტანადები არიან ის მამაძაღლები.  
ერთი „ქმოუს“ შეძახება და ასაფრენად  
გამლიან ფრთებს. დაუდგა სიბერეს  
თვალები, თორე მე სარაიონო კაცი  
ვარ... — ახვივინდა „ლასტზე გარჩენი-  
ლი მამალი“ და ლეიბის გარდიგარდმო  
ფრთები ააფათქუნა.

— ხვდაგი ხარ, ბუხუტი, წუწკი; შე-  
ნი აშბავი რომ ვიცი, არც აქაურ ქალებ-  
ზე იტყვი უარს, — ლეიბზე წამოიწია  
ტიკინასავით გაფარჩხული ციციო და სა-  
ხე წამოენთო.

ციციოზე პატარა ქალი ითქმის, მაგრამ  
სადედამთილოდ დაღესილი კლანჭები-

**მურმან კოიავა**  
ზღვა მავშელის თვალით

დან დასხლტომა ბუხუს გაუჭირდება. მიწა რომ იყოს, კიდევ ჰო, ზღვაზე კი ცოლ-ქმარს რა გააშველებს, მითუმეტეს თუ ცურვა არც ერთმა არ იცის. თქმა არ უნდა, უნდა დავემშვიდობო პლაჟს. ორივე კისერზე ჩამომეკიდება, ხელფეხს შემეპირავს და მშვიდობით, უტუ ჩალიგავა სამუდამოდ დაიდებს ფსკერზე უნიშნო სამარეს. მე შენ გეტყვი და უღვაშა დაგაყრის ცხარე ცრემლს.

— ვერ გამიგე, ჩემო ციცი, მე კოსმეტეიკას ვგულისხმობ, — მოლბა აფხორილი მამალი და ქალისაკენ ლეიბი გააცურა.

— კოსმეტეიკა, პარიზი, ქალები... სწორედ მაგისტანებმა ამოხადა სული შენს დამთხვეულ მშობლებს, — გაკაპასდა ციცი.

— შეხედე, ციცი, თევზებს შეხედე, რა გამოთავყანებული გამოხედვა აქვთ! — ლეიბიდან ოდნავ გადმოიხარა ქმარი და გაალმასებულ მეუღლეს სიტყვა ბანზე აუგდო.

— უსაშველო ღუმილი ადამიანსაც აყეყჩებს. შენს ხელში ჩავარდნამდე თამარ დედოფალი ვიყავი. ახლა მისი ჩრდილიც არა ვარ. ახია ჩემზე, რომ პარიზსა და რომშიც არ ამცდა ნერვების დაწყვეტა! რა მეპარიზებოდა, რა მერომებოდა და მერე ვისთან... ვისთან... — აქვითინდა ქალი და მარილიანი წყალი სახეზე შეისხა.

— ახლა, შუაგულ ზღვაშიც შემომიტყუე, რა ვიცი, რას მიპირებ, შენგან ყველაფერია მოსალოდნელი. ფული არა გაქვს თუ მოხერხება! — სლუკუნებდა ქალი.

სიცილი ამივარდა. ვიცინოდი ჩემთვის ჩუხად. ტიკინასავით გაფარჩხული ციცი რას მომატყუებს. თამარ დედოფალს მეც კარგა გვარიანად ვიცნობ. საქართველოს ისტორია თითქმის ზეპირად ვიცი.

არქეოლოგი ამის მეტს რას ჩამჩიჩინებს და მასწავლის. არქეოლოგი რომ თამარ დედოფალზე მელაპარაკა, პირი ღია დამრჩა. ასე პირღია მივადექი საკალმანოს, უღვაშს ჯერ „საურამე

გზას“ აცდენილი ვეგონე, მოფერებდა დამიწყო. შეეშინდა, ფეხი არ მკრას და ზღვაში არ გადამაგდოსო. მერე არქეოლოგის მონაყოლი ისტორია რომ წამოვუწყე, ყბა კინადამ განზე მომიქცია: „აქედან დამეკარგე, შე მართლა მეკამეჩე, საჩინია ტყაჩუ არ იცი როდის ჩაძაღლდა, ის არ გახსოვს და ათასი წლის ზღაპარს მიყვები, გადაგრევეს ის როკაბი ვიღაცა“.

...„მამაღლა“ ფრთების ნელი მოსმით ლეიბი მეუღლის ახლოს მიაცურა. დაბალი ხმით დაუწყო და მერე ჩურჩულზე გადავიდა. დაუყვავა, მიუალერსა. რალაც შეპირდა და მერე ლეიბები ნაპირისკენ გააცურეს.

მე ზრდილობა და პატიოსნება ქოხიდან გამომყვა, ყველაფერს ვერ ვიტყვი, რამდენი რამ ილაყბა იმ ხალხმა, მაგრამ ზღვაზე ვარ და ისევ თევზებს ვუთამამლები.

თევზები ყეყჩები არიან. უძრავი თვალები აქვთ. მაინც ვერაფერს გამიბედავენ, რომც გაბედონ, პირი ხომ წყლითა აქვთ სასვე?

ძველად თურმე მეურმეებიც თევზების დღეში ყოფილან, ხმამაღლა ვერაფერს იტყოდნენ. დღეს ასე არ არის. სალაპარაკო თუ გაქვს, გამოდი და ილაპარაკე, ოღონდ დაკვირვებულად, მოზომილად. შოლტს არავინ ვითავაზებს და ენას ძირში არავინ მოგაჭრის. ისე, ენა იმიტომ კი არა აქვს კაცს, რაც პირზე მოადგება, ყველაფერი თქვას. თევზები კი თევზებად დარჩნენ.

მიყვარს ჩემი მთები, მთებს შეფენილი მუხა, ბზა და წიფელა, ჟღერტულა წყაროები და მკავე წყლებთან გარინდული ჯიხვები. ჩემი მოკვანწული ურემი, თვალცრემლიანი ჯარგა და ბუსკა, „სი ქოულ ბატა“ და კონდრა ბიძიას ბრძნული დუღუნე. მისი ღიმილი და კაიკაცობა.

ეს სიყვარული ჩემთვის არავის უსწავლებია, ეს სიყვარული, არც კი მახსოვს, როდის შემოიჭრა ჩემს სისხლხორცში და ის კი ვიცი, სამუდამო ფუძე რომ გულში უდევს.

დან დასხლტომა ბუხუს გაუჭირდება. მიწა რომ იყოს, კიდევ ჰო, ზღვაზე კი ცოლ-ქმარს რა გააშველებს, მითუმეტეს თუ ცურვა არც ერთმა არ იცის. თქმა არ უნდა, უნდა დავემშვიდობო პლაცს. ორივე კისერზე ჩამომეკიდება, ხელ-ფეხს შემეიკრავს და მშვიდობით, უტუ ჩალიგავა სამუდამოდ დაიდებს ფსკერზე უნიშნო სამარეს. მე შენ გეტყვი და უღვაშა დაგაყრის ცხარე ცრემლს.

— ვერ გამიგე, ჩემო ციცი, მე კოსმეტეიკას ვგულისხმობ, — მოლბა აფხორილი მამალი და ქალისაყენ ლეიბი გააცურა.

— კოსმეტეიკა, პარიზი, ქალები... სწორედ მაგისტანტებმა ამოხადა სული შენს დამთხვეულ მშობლებს, — გაკაპასდა ციცი.

— შეხედე, ციცი, თევზებს შეხედე, რა გამოთავყანებული გამოხედვა აქვთ! — ლეიბიდან ოდნავ გადმოიხარა ქმარი და გაალმასებულ მეუღლეს სიტყვა ბანზე აუგდო.

— უსაშველო ღუმელი ადამიანსაც აყეყჩეებს. შენს ხელში ჩავარდნამდე თამარ დედოფალი ვიყავი. ახლა მისი ჩრდილიც არა ვარ. ახია ჩემზე, რომ პარიზსა და რომშიც არ ამცდა ნერვების დაწყვეტა! რა მეპარიზებოდა, რა მერომებოდა და მერე ვისთან... ვისთან... — აქეთინდა ქალი და მარილიანი წყალი სახეზე შეისხა.

— ახლა, შუაგულ ზღვაშიც შემომიტყუე, რა ვიცი, რას მიპირებ, შენგან ყველაფერია მოსალოდნელი. ფული არა გაქვს თუ მოხერხება! — სლუკუნებდა ქალი.

სიცილი ამივარდა. ვიცინოდი ჩემთვის ჩუქად. ტიკინასავით გაფარჩხულო ციცი რას მომატყუებს. თამარ დედოფალს მეც კარგა გვარიანად ვიცნობ. საქართველოს ისტორია თითქმის ზებირად ვიცი.

არქეოლოგი ამის მეტს რას ჩამჩიონებს და მასწავლის. არქეოლოგი რომ თამარ დედოფალზე მელაპარაკა, პირი ღია დამრჩა. ასე პირღია მივადექი საკალმახოს, უღვაშას ჯერ „საურმე

გზას“ აცდენილი ვეგონე, მოფერება დამიწყო. შეეშინდა, ფეხი არ მკრას და ზღვაში არ ვადამაგდოსო. მერე არქეოლოგის მონაყოლი ისტორია რომ წამოვუწყე, ყბა კინადამ განზე მომიქცია: „აქედან დამეკარგე, შე მართლა მეკამეჩეე, საჩინია ტყაჩუ არ იცი როდის ჩაძალდა, ის არ გახსოვს და ათასი წლის ზღაპარს მიყვები, გადაგრევეს ის როკაპი ვიღაცა“.

...„მამალმა“ ფრთების ნელი მოსმით ლეიბი მეუღლის ახლოს მიაცურა. დაბალი ხმით დაუწყო და მერე ჩურჩულზე გადავიდა. დაუყვავა, მიულერისა. რალაც შეპირდა და მერე ლეიბები ნაპირისკენ გააცურეს.

მე ზრდილობა და პატიოსნება ქოხიდან გამომყვა, ყველაფერს ვერ ვიტყვი, რამდენი რამ ილაყბა იმ ხალხმა, მაგრამ ზღვაზე ვარ და ისევე თევზებს ვუთამამლები.

თევზები ყეყჩეები არიან. უძრავი თვალები აქვთ. მაინც ვერაფერს გამიბედავენ, რომც გაბედონ, პირი ხომ წყლითა აქვთ სასე?

ძველად თურმე მეტრამეებიც თევზების დღეში ყოფილან, ხმამაღლა ვერაფერს იტყოდნენ. დღეს ასე არ არის. სალაპარაკო თუ გაქვს, გამოდი და ილაპარაკე, ოღონდ დაკვირვებულად, მოზომილად. შოლტს არავინ გითავაზებს და ენას ძირში არავინ მოგაჭრის. ისე, ენა იმიტომ კი არა აქვს კაცს, რაც პირზე მოადგება, ყველაფერი თქვას. თევზები კი თევზებად დარჩნენ.

მიყვარს ჩემი მთები, მთებს შეფენილი მუხა, ბზა და წიფელა, ქღურტულა წყაროები და მეყვე წყლებთან გარინდული ჯიხვები. ჩემი მოკვანწული ურემი, თვალცრემლიანი ჯარგა და ბუსკა, „სი ქოულ ბატა“ და კონდრა ბიძიას ბრძნული დუღუნი. მისი ღიმილი და კაცობა.

ეს სიყვარული ჩემთვის არავის უსწავლებია, ეს სიყვარული, არც კი მახსოვს, როდის შემოიჭრა ჩემს სისხლხორცში და ის კი ვიცი, სამუდამო ფუძე რომ გულში უდევს.





არაფერია, რადგან ჯერ ერთი: ივლიტას პარკეტანი იატაკი არ ჰქონია, მეორე — შესაძლებელია, არც უნახავს და მესამე — მისი ფეხისგულები საურმე გზაზე დახეთქილი.

მე რომ პირველად რესტორან „გაგრიფში“ შევედი, პარკეტზე ფეხი დამიციურდა და ვინ იცის, რომელ სუფრასთან ამოვყვინთე. მართალია, ვინც გონს მომიყვანა, ხმამაღლა არ გაუცინია, მაგრამ თვალეში შევატყვე, ერთი გადახარხარება ყველაფერს ერთია. უნახავმა რა ნახაო, ისე მომივიდა. ივლიტასაც ასე დაემართა გუშინ და ეს სასაცილო სრულებით არ არის. წინდახედულმა შეიღმა, ყოველ შემთხვევისათვის, თავი დაიზღვევა და ქალაქის ქორიკანებს საჭიროაო არ მისცა. მომხდარი ამბავი ოთხკედელშუა ჩაყლა. თუმცა საიდუმლო არც ოთხკედელშუა იმალება.



არქეოლოგი ხშირად ჩამჩინებს: საქართველოს ბედ-იღბალი ყოველთვის აივანზე წყდებოდაო. ახლა აივანიან ოდები იშვიათია. აივანი ცალთვალამაც მოშალა და სამშობლოს მომავალზე არა, მაგრამ საკუთარი ოჯახის ბედნიერებაზე ნამდვილად ფიქრობს.

მახსოვს, მეურმეები რომ წელიწადში ერთხელ სუფრას შემოუსხდებოდნენ, მათი გულლია საუბარი და სიმღერა ბზიფს გაღმა ისმოდა.

ცალთვალა მინავოს სუფრა ჩაკეტილია. კარი — დაგმანული და ოთახი დაბინდული, სიმღერა გულში დაგუბებული და დახშული. ჩიტის რძე რომ ჩიტის რძეა, ისიც არ აკლია სუფრას, მაგრამ ნაჭეიფრები მინავოს ოჯახს ისე ტოვებენ, თითქო მთელი კვირის ნამარხულევი იყვნენ.

რა ხალხი იყრის თავს მინავოს ოჯახში, ვერ გეტყვით, ჩემი თქმა რად გინდათ, როცა თვითელმა თქვენგანმა უკეთ იცით?

აკი ვთქვი, მეურმეს არ უყვარს ხვეული გზით სიარული-მეთქი. მეურმეები

არც მოშაინებით არიან განებობილი.

მინავო ხვეული გზით დადის და მოშაინებით სულდგმულობს.

...ხეები ამოვძირკვე. ქოხს აბლაბულა ჩამოვავშორე. ჩემი „სასახლე“ განათოდა და ცალთვალა მინავოს ვილას პატარალივით ამოუდგა.

ფანჯრიდან ახლა ბოკოც გადმომყურებდა.

დაკვირვებული ვარ და, ვინ იცის, მერამდენედ მიტყვამს, როცა კაცი ზემოდან დაგცქერის, ჩია ეჩვენები. მალლიდან კაცი ყოველთვის დაბალი ჩანს.

ცალთვალა მინავომ ურემი დაგმო. საკუთარ ცოლ-შვილს ფსოუც მალე გადაავიწყა. ფსოუც გადაავიწყა, ქოხიცა და თოხიც.

მინავო ღრდნის და მუსრს ავლებს ყველაფერს, რაზედაც ხელი, მოხერხება და ბასრი კბილები მიუწვდება.

მე კი სამი რამე მწამს და ვერავინ გადამაჯერებს:

პირველი — სიბერე ბოლომდე ტყბილი უნდა მქონდეს!

მეორე — ჩემმა მარჯვენამ უნდა მარჩინოს!

მესამე — აუცილებლად მოვკვდები!

მინავო სპობს და ანადგურებს შეწამულულ ბად-ვენახებს. გვიღრმავებს ეკვს და ხვალინდელის რწმენას გვირყევს. არ ინდობს არავის, მალალ ღობეს ავლებს საკუთარ კარ-მიდამოს და მეზობლებს სამუდამოდ გვთიშავს.

გლგხაკს ისევ მოუწევს ხმის ამაღლება და ყოფილ მეურმესთვის გუშინდელი დღის შეხსენება, რადგან მინავოსნაირნი ერთეულები არ არიან! ყოფა უნდა ვუტიროთ, სხვანაირად არ გამოვა!

მეურმე კაცის მეგზური ოცნებაა!

რომ იცოდეთ, ურმის კოფოზე მჯდარს, რამდენი „სასახლისთვის“ ჩამიყრია საფუძველი, ჩემი ეზო პრინციპალივით მომიჭარავს. რამდენი პატარაალი შემოგოგმანებულა ბაღში და რამდენი ბიჭი შემძენია?



ნამეტანი ფიქრი არ ვარგა, ნამეტანი, საერთოდ, არაფერი არ ვარგა, ისე გამიტაცა ოცნებამ, ვერც კი ვავიგე თოხზე დაყრდნობილმა, სტუმრები ჩემს ქიშკარს როგორ მოადგნენ.

არქეოლოგი ღიმილით მომიახლოვდა. თოლიგეც გვერდით მოყვებოდა. სტუმრებს ცალი თვალი მეზობლის სახლისკენ გაუბრუნდა და მე ვპატარავდები, ქოხს ვემსგავსები, ოდნავ გვერდზე გადახრილს და დაფეხვილს.

სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ქოხთან მივდებულ ქვას მკლავები მოვხვიე და პაერში ავიტაცე, ეს ქვა ამოჩემებულნი მაქვს და ვერაფერი მომიხერხებია. მისი მოშორება ყოველთვის მავიწყდება.

— რად გინდა ეს ქვა, სად მიგაქვს?  
— მეუბნება არქეოლოგი.

— წყალში უნდა გადავუძახო!

— ქვამ რა დაგიშვა, ბიჭო! — ახლა თოლიგე გადამელობა წინ, ქვას მდინარისპირად ფრთხილად ვდებ. „ქვამ რა დაგიშვა, ბიჭო“, თვლებში შემომციხის თვითონ უღმერთო თოლიგე.

— ეგდოს ლაფაროსთან, ჭამა არ უნდა და სძმა, — ამბობს არქეოლოგი. არქეოლოგს უყვარს ქვები. სადაც ლოდს წააწყდება, სათვალეს შეისწორებს და გარშემო ფრთხილად უვლის. თუ ძალა ეყო, გადმოაბრუნებს, აკვირდება, ქვაში რაღაცას ეძებს. ყოველი ქვა მეტყველი და საიდუმლოებით მოცული ჰგონია.

ქვებით, ძვლებით, დოქებით, ხანჯლებით, ციხეებით და კლდეზე მიმჭრალი წარწერებით ცოცხლობს და ამით იხანგრძლივებს დარჩენილ დღეებს.

— გაიცვითა. დაილია, აყაციის ღერძივითა, თავი მომაბეზრა... — ვამბობ მე.

თოლიგე აკისკისდა. მისი ტპარცალი ზღვის ნელთბილ ტალღებით სხეულში მივლის.

— უსაშველო ფიქრმა დალექვა იცის ფსკერზე, ასე რომ...

— არ დაიჯერო, უტუ, ფიქრი და

ისიც ღრმა, კარგია! — ჩემს მაგივრად პასუხობს თოლიგე და ისე შემომწყურებს, ისე ყურადღებით, თითქო პირველად მხედავდეს. „ალბათ ფიქრი და ოცნება თოლიგესაც უყვარს. ეს თუ ასეა, ჩემოდენი ფიქრი და ოცნება ამ ქვეყანაზე არავის არ ექნება. ჩემი ფიქრი ურემს თავამდე გაავსებს, ოცნებისთვის ვარ გაჩენილი!“

მოხუცი ეზოს გულდასმით ათვალიერებდა.

— შენ რა ყოფილხარ, კაცო, ერთდღეში ეზო ასე როგორ დაამშვენე, აქამდე სად იყავი?

— მიწა იყოს და მიწის მეტი რა მისწავლია. ვიორტოვე, ერთხანს ფსოულელებს მინდოდა ვაყოლოდი. გული ავიცრუე, დამავციანდა.

— დაგავციანდა?! შენ რომ ამას ამბობ, მე რა უნდა ვთქვა, ბიჭო, სიკვდილი რომ ხელკავით დამყვება... შიში არ გაივლო, თორემ დაგლახადები და ჭიათურის მარგანეციც ვერ გაგმართავს. მუხლში, ვერ გაგაფოლადებს, — გამამხნევა მოხუცმა.

ნელ-ნელა წყაროს მივადექით. ანკარა წყაროს დანახვამ ქალიშვილი სულადარია. თვითონაც წყაროსაკვით აქლურტულდა, მერცხლის ენა გამოიბა.

წყაროს თვალი ემატა. თეთრი შუქი გადაიკრა.

ცალთვალა მინაგო კი არა, მთელი ქალაქი რომ ამიმხედრდეს, დღეიდან ამ წყაროს არავის დაუთმობ, თვალსაც არ დავაკარებინებ.

თოლიგეს წყარო მოსწონდა, ჩემთვის მთავარი ის იყო, თოლიგეს წყარო ხიბლავდა!

სახიარო ღობეს გამოვყევით. ეს წუთი საუკუნედ გაიჭიმა. მეზობლის ვილა ცამდე ამაღლდა. ბალი კიდევ უფრო დამშვენდა. მე ჩემი „მეგზური“ მოვიშველიე. ოცნებით ურემის კოფოს და-

**მურმან ჟივია**  
ზღვა მავშელის თვალით



ვაფრინდი და იცით, მეურმეებო? ერთი ლამაზი „სასახლე“ ისევ ამოვიყვანე და ბაღში ეს უღმერთო თოლიგე მხარში ამოვიყენე.

ფანჯრიდან ჯერ დედამ გადმოყო თავი და მერე შევიღმა. ბოკოს დანახვაზე ლობეს ზურგი შევაქციე.

სტუმრები ლობეს არ შორდებოდნენ.

ბოკომ თვალი მაშინვე გვიკიდა.

— ესაა შენი მეზობლობა, უტუ, შენი სტუმარი ჩემი სტუმარაც უნდა იყოს. ასე ყოფილან ჩვენი მამა-პაპები.

ბოკო ფანჯარას მოშორდა. ბოკო მიანგოს შეილი იყო და სიტყვის სასესხებლად მამასთან „სანსლეში“ არ გადავიდოდა.

ბოკო შესახედავად თვალადი ბიჭი იყო, თანაც სტუდენტი.

ბოკო ლობესთან მოდგა, შინ შეგვიბატოქა, სტუმრებს თვითონვე გამოეცნაურა და გაიცინა. ბოკო აბა რისი დობტური იქნებოდა, საკუთარი თავისთვის ვერ მოველო. მთელი დღის სათქმელი ხუთ წუთში თქვა. არქეოლოგს გრძელი საუბარი უყვარდა. სიტყვაძვირი არც ბოკო იყო. ლობეს შეუმჩნევლად ჩამოვშორდი. ქონს შემოვუარე და ისევ თონს მოვიკიდე ხელი..

სტუმრები ბოკოს შევატოვე.

ხასიათი ამიშავდა, დარდმა უცებ დამრია ხელი. მეურმეს არც ჭკუა აკლია და არც გონება. თვალიც კარგად უჭრის და ყურიც. მეურმე ყველაფერს ხედება და ხედავს.

ასე როდია ზღვაზე: კაცი ამხელა სიგრცეს ხედავს, სამწუხაროდ, იმას კი ვერ ხედება, რომ ზღვასაც აქვს თავისი საზღვარი, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა და მის იქით გასვლა დამლუბველია.

საკუთარ გულს რა დავამალე და თოლიგე მიყვარს. მიყვარს, მაგრამ თავს უფლებას არ მივცემ ამ კალმახა ცირას სიყვარული გავუმხილო.

თოხი ისე მიძაგრად მოვიქნე, ტარი ხელში ამიჩატდა, თოხისპირმა ბალახში გაიღლა.

იქ, ლობესთან ბოკო სტუმრებს ეპატიებოდა.

თოხის ტარი განზე გადავისროლე. მდინარისპირად მივდებულ ქვას მივადექი. ახლა ამ გულს ერთი რამ შემისუსუბუქებდა: ქვა პირდაპირ მდინარეში გადამეგდო.

ქვა გულს მაგონებდა, აკაციის ღერძს, რომელიც ქვასავით იცვითება და ილევა.

ბალახში ჩამალულ ქვას დავეწვდი, ავიტაცე და სწრაფად მდინარეში გადავუშვი. შუბლზე მომდგარი ოფლი შევიშრალე. ჩემი საქციელი მაკვირვებდა და მაინც მომწონდა.

მაღე თოლიგე გამოჩნდა. თოლიგე მარტო იყო. მარტო იყო და გამიხარდა.

— მაინც შენი გიქნია, ქვა მოგიშორებია.

— დალეული იყო, მაგისთანა ქვების მეტი რა ყრია ბზიფის რიყეზე.

— ფიქრის მოშორებაც ასე იოლი რომ იყოს, კარგია, — თოლიგემ მდინარის ფსკერს ჩახედა და გამიღიმა.

თოლიგე მდინარის ფსკერს ჩასცქეროდა. ასე ჩასცქეროდა ალბათ ჩემს გულსაც. ყვლაფერს ხედავდა. გარკვევით და ცხადად ხედავდა, მაგრამ განგებ კეკლუცობდა, განგებ არაფერს იმჩნევდა. გარეგნულად ისეთივე ხალისიანი, თამამი და პირდაპირი რჩებოდა.

სხვანაირად არ გამიგოთ და ამნაირ ქალიშვილებს მეორე გულიცა აქვთ. არა, ორგულეები როდი არიან, მაგრამ მეორე გული მაინც აქვთ. მეორე გული მღერის, თევზივით აწყდება ზვირთებს და გამარჯვებული ამაყად და თავდაფიწყებით უვლის კამარას. აი, სწორედ იმ გულს მიმაღავდა თოლიგე და არც მიმაღავდა.

ქალიშვილი რომ გულში ჩახედავს და მეორე გულის სიმღერას გაგაგონებს, ყველაფერი მორჩენილია. უღელში შებმულ ჯარგას უნდა ამოუდგე და ქაპანი მასთან ერთად უნდა გასწიო.

— უტუ, ზვალ ღელვა იქნება?

— ჭალიკონი? — მეუცნაურა თოლი-  
გეს კითხვა.

— არა, ღელვა.

— ჭალიკონი ღელვა.

— შენმა მეზობელმა იწინასწარმეტყ-  
ველა, ხვალ ღელვა იქნებაო, — „შენ-  
მა“ სხვანაირად თქვა თოლიგემ, თითქო  
რაღაც მაგრძნობინა.

ესა ავხედე, ცის კიდე კიდე უფრო  
ჩამუქებულიყო. ზღვას მოშავო ფერი  
ედებოდა, ხანდახან ზვირთი თეთრად  
იქორებოდა და ხანაც თევზივით  
ელავდა.

— ჰო, შეიძლება იყოს, ღელვა ხში-  
რია ზღვაზე.

ჭალიკონის მოახლოება რომ წინა  
დღით თქვა, ეს ჩვენთვის წინასწარ-  
მეტყველება არაა. მამველი ვარსკვლა-  
ვებს წაიკითხავს და ხვალინდელ ამინდს  
შეუმეტდარად გეტყვის. მეზღვაურებიც  
ასე არიან, შტორმის მოახლოებას წი-  
ნასწარ ვკარგუნ.

## ზღვაური ანუ შალიკონი

ზღვაური უეცრად ამოვარდა. დამს-  
ვენებლებს ბანაობა დაათმობინა და ნა-  
პირზე გამოჰფინა. ზღვა აიჭორა.

ზღვისპირელებს უყვართ მაგარ ღელ-  
ვაში მკლავს გამოცდა. არცაა გასაკვი-  
რი, ჩვენ, ფსოუელებს, ზღვაში არ გვე-  
დო სამუდამო ბინა, თორემ საუკეთესო  
წლები მის ტალღებში გვიტარებია.

ჭალიკონი ძლიერდება და ზორბა-ზო-  
რბა ზვირთებს ნაპირს „ნობათად“ უგ-  
ზავნის.

დამსვენებელთა შორის არაინა გა-  
მოჩნდა ისეთი, გახელებულ სტიქიას  
რომ „გახუმრებოდა“.

სამაგიეროდ, ცნობისმოყვარე უპარა-  
ვია. ისინი თვალის გასახარად გამოსუ-  
ლან და ვიცი, ერთი იდუმალი სურვილი  
აქვთ, ის თავზეხელაღებული გაამხნე-  
ვონ, ვინც ზღვას შეებრძოლება.

ნავი უსაშველოდ ირწყევა, მოვარდ-

ნილ ტალღებს გაუხედნავი კვიცივი  
უფრთხის და „ლაგმის“ აწყვეტას ლა-  
მობს.

ჭალიკონი გრიანებს და ტალღები  
ივრავნებია, დინჯად მოიწვევენ ნაპი-  
რისაკენ და გრუბუნითა და ზათქით  
იმსხვრევიან. წამით ნაპირზე თეთრ არ-  
შიას ტოვებენ და ისევ და ისევ აწყდე-  
ბიან ნაპირს.

ღღეს პლაჟზე თოლიგე მოვიდა. გო-  
ცებისაგან თვალეები დაფართოებია, ფო-  
ლადისფერ ტალღებს შიშითა და სიხა-  
რულათ ითვლოს. ზღვაური თოლიგეს  
ჭრელ კაბას უფრიალებს და თეთრ მუხ-  
ლისთავებს მალულ მზერას ვარიღებ.

დათქმულივით, ბოკოც გამოჩნდა.  
ადრე ერთხელაც არ მინახავს პლაჟზე  
მოსულიყო. მისი ნახვა არ მესიამოვნა.

ბოკომ აუჩქარებლად ტანთ გაიხადა,  
თავზე რეზინის ქული მოივრგო, თოლი-  
გეს გვერდით დაჯდა და თითქოს კარგა  
ხნის წინათ გაწყვეტილი საუბარი გა-  
აგრძელა:

— თქვენ წინასწარმეტყველი ყო-  
ფილხართ. შესანიშნავი მკურნალიც იქ-  
ნებით, ასეთი ზღვა ჯერ არ მინახავს.  
საიდან მიხვდით, რომ ღღეს ზღვაური  
იქნებოდა?

— მე არაფერში არ ვცდები, ჩემი  
დიაგნოზი ყოველთვის უტყუარია და  
ნაღდი. ის კი არა, ისიც ვიცი, ვის გულ-  
ში რა ჭალიკონი ბობოქრობს!

— ნუ მიწყენთ და ცოტას ხომ არ  
აჭარბებთ?

— არავითარ შემთხვევაში.

ბოკო რომ ყოყოჩი და ტრაბახა იყო,  
ეს მთელმა ფსოუმ იცოდა. გარდა შე-  
სახედლობისა და განათლებისა, ზურ-  
გიც მაგარი ჰქონდა და მკერდიც — ბო-  
კო დედისებრთა იყო და ფულიანი. ულ-  
ვაშა კი ასე ამბობს, კი არ ამბობს, სა-  
ჯაროდ აცხადებს: ფული ბლომად მომ-  
ცა და პირველ სუფრას ღმერთს გაუშ-  
ლიო. ვასმევ, ვაჰმევ, ზედ ვაეკვებ და  
მერე ეშმაკისთვისაც მოვიცილიო!

### მუშავეს კვირავა

ზღვა მავშელის თვალით

მოდით და გაიგეთ, რომელია მართალი: ბოკო, ულვაშა, ღმერთი თუ ფული?

— ახლა, გზა დამილოცეთ, — თქვა ბოკომ.

— როგორ, ასეთ ზღვაურში წყალში აპირებთ ჩასვლას?

ბოკომ პლაჟის კედლებს მიღმა, გორაკზე მდგარ დამსვენებლებს გადახედა და ტუჩებში ჩაიღიმა.

...ბოკო ოსტატურად ებრძოდა ზღვას. მოხერხებულად უსხლტებოდა მთასავით ავარდნილ ტალღებს და, გამარჯვებული და უვნებელი, ისევ ზედაპირზე ტივტივებდა.

დამსვენებლები გაფითრებულიყვნენ, შიშს და აღტაცებას აშკარად ვეღარ მალავდნენ, უზარმაზარი ტალღის წამოსვლაზე ბოკოს ერთხმად აფრთხილებდნენ და ისიც ზვირთებში თავისუფლად ნებიურობდა.

„ზღვა სცენაა... სცენა ყოფილა. კუქუხიების ნამოსახლარზე რომ საესტრადო სცენაა, ისეთი. მომღერალსაც ტაშით აჯილდოებენ და ზღვასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულსაც. უკანასკნელს უფრო მეტი მყურებელი და მომწონებელი ჰყოლია“.

თოლიგე მუხლებზე წამოჩოქილიყო და ზვირთების მიღმა ჩანთქმულ ბოკოს ეძებდა.

ბოკო მაღალ ტალღას ქეჩოზე მოექცა, ქალიშვილმა მაღულად გადმომხედა და იმ მაღულმა გამოხედვამ „ვილაცასთან“ საბრძოლველად გამოიჩივია.

ბოკო ისევ აიტაცა მაღალმა ტალღამ და ზღვაურმა მისი ხმა პლაჟის კედლებთან მოიტანა.

- მეზო-ბე-ლო, ჩა-მო-დიი!
- ქარის ზუზუნში დამსვენებელთა ჩურჩულმა ჩემამდეც მოაღწია:
- მაშველი კია, მარა...
- ვერ გაბედავს.
- იქნებ წყნარ ზღვასაა შეჩვეული,
- მსუსხავდა მესამე.

— კაცი არ დაღუბოთ, — გულმოდგინებით, განგებ გაიძახოდა მეზუთე

— სირცხვილია, — და რა იყო ის „სირცხვილი“, მაინც არ ამბობდა ვილაცა.

თოლიგე თვალს არ მავსორებდა, ხან ზღვას გაპყურებდა და ხანაც მე. ბოკო უკვე გამარჯვებული იყო ზღვასთან და ქალიშვილსაც გულში შემჯდარი ინტერესი თუ ხალისი განელებოდა. მისი თვალეები უჩვეულოდ გიზგიზებდა და „ვილაცასთან“ საბრძოლველად მიწვევდა.

ქალიშვილმა იმ მეორე გულით ჩამხედა გულში და მამინ მართლა გადავირიე.

„უტუს საფლავი ჯიშინი ფეხებით დაეტკვნოთ, თუ ლაჩრულ სახელს სიკვდილი არ ამჯობინოს, ულვაში და კაცური კაცობა შეარცხვინოს“.

ახლა, ზღვას კი არა, სიკვდილს ხელდახელ გადავუდგები!

ზღვისკენ მივიწვედი.

„ბოკო ჯიბრში მიწვევს. ბოკო მე მარტო არ მიწვევს ჯიბრში, ზღვა დღეს საშიშია... ბოკო თავს ისე არ გაწირავს, გულში რომ...“ ექვმა ნაბიჯი შემანელებინა.

ბოკომ ერთხელ კიდევ მიყვილა და აშკარად გამოიჩივია.

„ახლავარდობა სისულელეა, მუდამ ზღვაური უქრის თავში!“ — მეღუღუნება კონდრა ბიძია.

„ზღვა დაგცინის... ბოკოც... თოლიგეც“.

„ხერხი ნებაზე უნდა მიუშვა“...

ჩურჩულით მარიგებდნენ მეურმეები: გვადა და გურხა, თემრა, ლადიმერა და კონდრა ბიძია.

ეს ჩურჩული მამხნევეს. ზღვის კანონი არც ბოკოს დავიწყებია. ზღვა ყველაფერს ნაპირზე აბრუნებს: ჩვარსაც და განძსაც, ცოცხალსაც და ლეშსაც, ათიათასჯერ მაქვს ეს სიბრძნე გაგონილი. ახლა მე მირჩევენია ქალიკონმა ჩვარივით გამომრიყოს, ოღონდ სირცხვილი არ ეჭამო და მაშველის სახელს ჩრდილი არ მივაყენო.

ნაპირზე დამსხვრეულმა ტალღამ ტანში ყრუოლად დამიარა.

ნაბიჯი მოვზომე და უზარმაზარ ტალღას ქვემოდან ამოვევლე.

მერე წამოვიდნენ ვეებერთელა ზვირთები და იმდენი ოფლი მადინეს, სიქა გამაცალეს.

...ეს იყო ნამდვილი შეჯიბრი. შეჯიბრი კი არა, ფარული ჯიბრი. იღუმნალი და გამარჯვების რწმენით ანთებული.

ბოკომ ამდენ ხალხში გამომიწვია. საკუთარი სახელი, სიმდიდრე, კაცობა და განათლება სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შეაგდო და სხვა რა გზა მქონდა, მეც წარბმუფხრელად გავყევი.

ეს შეჯიბრი არ გავდა ჯარობაზე გამართულ ჭიდაობას, არც თარჩიას. გარდა თვალისა, მუხლისა და მკლავისა, აქ სხვა გამოცდაც იყო.

იმ გამოცდის იღუმნალი გასაღები ბოკოსა და ჩემს გულში იდო.

...ჩვენ ორიოდე მკლავის გამლაზე ვცურავდით და ფარული, უთქმელი და გაუმხელელი ქინით გადარეულები, შეშლილ ჭალიკონს ვებრძოდით. ვებრძოდით შეშლილ ზღვას და ერთი ნატვრა გვაძობდა: ერთ-ერთი ჩვენგანი დამარცხებულიყო. ნაპირზე გამარჯვებით გამოსულს, თოლიგეს მოდიმარე თვალეზი დახვედროდა.

ჩვენ ხმას არ ვცემდით ერთმანეთს. ყოველი ტალღა ჩვენი მტერი იყო და ერთნაირ ხიფათს გვიმზადებდა. თავისი სამართალი ზღვასაც ჰქონია: ზღვასთან უძღურია მუდარა და ხვეწნა, ფული და ღმერთი, ალერსი და მოთაფლული ენა. ზღვა პირწმინდად უსწორდება ყველას, ვინც მასთან ბრძოლას გაბედავს.

„მაღლობელი ვარ, ზღვაო, მაღლო...“ მეტის თქმა ვერ მოვასწარი, მლაშე წყალმა პირი იმ წამსვე ამიესო და ენა მომაკეტინა, ბოკომ თვალი მკიდა:

— რაქ ხომ არ გგონია, ბიჭო, პირი რომ დააღე, ამხელა ზღვას შენ გადაყლაპავ?

ბოკო იღიმებოდა, გამოუცდელს ეპატიება, მაგრამ გამოცდილმა წყალი არ

უნდა გადაყლაპოს. ბოკოს ხუმრობა არ მწყენია, ზღვაზე ასე ვიცი.

ზღვა გრიალებდა.

ჩამავალ მზის სხივზე ცეცხლისფერ ღრუბლებს ჭალიკონი მთებისკენ მიაქანებდა.

ბოკო ნაპირმა გაიტყუა. ნაპირმა კი არა, თოლიგემ. ისე გაიტაცა, ველარც კი შეამჩნია, თუ როგორ წამოეპარა ფოლადისფერი, კრიალა ტალღა, წამიც და ბოკო ფაკერის „სიტკბოს“ იგემებდა. გულმა არ მომიტოვია და ხმამაღლა შევეუძახე, ბოკომ დროზე იმარჯვა.

პირი ნაპირისაკენ ვიბრუნე.

ნაპირზე ცალთვალა მინაგო წრიოვლებდა. ჩანდა, ჰკუდიან იზღებოდა, მარჯვენას გამალეებით იქნევდა და მე მიყვიროდა, მუშტებს მიღერებდა.

„სანსლედან“ უღვაშა და ტოჩიც გამოსულიყვენ და მინაგოს გულის გასახეთქად ბოკოს ამხნევებდნენ.

ბოკო მამის მუქარას ყურადღებას არ აქცევდა, ზღვას ეთამაშებოდა. დელფინივით ყირაზე გადადიოდა და დუქმორეულ ულაყვივით ფრთხინივდა.

თოლიგე ფეხზე წამომდგარიყო და ზღვისკენ გამოშვებული ხელი გაშეშებოდა.

„ნეტავ ვის ვევედრება თოლიგე ნაპირზე გამოსვლას?“

— ბოკო, გვეყოფა, ნაპირზე გავსლა გაგვიჭირდება, — გადავძახე კარის მეზობელს.

— შენ გადი. დაისვენე და მერე ვახშამი ნავიდან მაინც მომაწოდე, — მიყვილა ბოკომ და სველ სახეზე ღიმილი გაესარკა.

„ნეტავ, ვის ვევედრება თოლიგე ნაპირზე გამოსვლას, მე თუ...“ მეტის გაფიქრება ვერ მოვასწარი და „უუუუ... რადღებოდ“ მიტოვებულმა ტალღამ იწუთასვე ჰაერში ნაფოტივით ამიტაცა. ამაყირავა, და თვალის დახამხამებამი ფსკერისაკენ დამითრია. უსამველოდ დამგრიხა და ქვიშასა და ხრეშში დიდხანს მატრიალა.

---

მუხრან მოიავა  
ზღვა მავთელის თვალით

„წავაგე, მეზობელმა არ დამინდო და წავაგე... წავაგე“. მწარე ღიმილივით ჩამყვა ეს აზრი.

წყალქვეშ თითქო მთელი საათი დავყავი.

თოლიგეს ნათელი სახე ფსკერზედაც ჩამყვა. გულისნადების განდობა წყალქვეშაც ვერ შეგებდე. თევზის ენა თევზებს ესმით. თევზები უხმოდ გამოხატავენ თავიანთ გულისხმას. ამ ცივისისხლიანებსაც თავიანთი ენა აქვთ. წყლისქვეშ კაცი უძლურია, არ შეგიძლია თქვა ის, რაც გაწუხებს და გაზარებს. ჩემნაირი კაცი წყლის ქვეშაც მუნჯზე უარეს დღეში ყოფილა.

როგორც იქნა, ფეხზე დავდექი. უღონოდ ნაპირისაკენ წამოვლასლასდი. სახე მეწვოდა. შუბლიდან თბილი სისხლი სახეზე ჩამომდიოდა.

სანახაობა თუ შეჯიბრი დამთავრდა. ქალიკონთან ჭიდილს უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ბოკომ ცოტა ხანს კიდევ ინებივრა ტალღებში და დამცინავი ღიმილით ნაპირზე გამოვიდა.

დამსვენებლები ტაშით და შეძახილებით შეხვდნენ.

თოლიგეს გამოხედვაშიც დავიჭირე ღიმილი, მაგრამ არა დამცინავი, უფრო სიბრალოლის.

სიბრალოლის ღიმილი კი ქოთნის პიპილივით მწარეა.

## ი ს მ

ყველა დღე ერთნაირი როდია: ერთს რომ სიხარული მოაქვს, მეორე — დარდით გავსებს. დღეს რომ მზე ამოჩახჩახლებდა, ხვალ ცა ღრუბლებით აიძვრევა.

ეს დღე ჩემთვის უქემურად გათენდა და უქემურად დაღამდა: კარის მეზობელთან ორთაბრძოლაში დავმარცხდი. ბოკომაც მაჯობა და ქალიკონმაც.

ვერსად ვერ მოვისვენე. ფეხებმა ისევ ცალთვალა მინაგოს „სანსლეს“ მიმაყენეს.

სუფრას ის იყო მიუფეკეტი და ახვანთი იონა გამოჩნდა. იონა მოხუცია, ფეხზე ძლივს დგას. მარტოხელა კაცია, ყრუმუნჯი. ქვეყანაზე სალაპარაკო გამოვლია და დამუნჯდა, მოსასმენმა თავი მოაბეზრა და დაყრუვდა. როცა უნდა, ლაპარაკი შეუძლია და მოსმენაც. „იმ ნაღდი ქვეყნის“ მეგზურობა ბამბუკის ტარდალეულ ჯოხისათვის მიუხდევია. იონა უქნარა იყო და ზარმაცი. დრომ მაინც მოტეხა და დააბერა, აქამდე ლუკმაბურს ფსოთ წყალობდა.

ქალქში იონას უფრო აფასებენ. ამიტომ იონა განსაკუთრებით „სანსლეს“ მუშტრებს დაუყრუვდა და დაუმუნჯდა. დაბატიყებენ, დასაჩუქრებენ და მადლობას მხოლოდ თავის კანტურით უხდის. ხმამაღლა რომ „მადლობა“ თქვას, იონამ იცის, მეორედ ზედ არავინ შეხედავს: ერთი ხურდას წყალობს, მეორე ხელში ქაღალდის ფულს აჩეჩებს. დიდის მომცემს დიდი მადლობა უნდა, პატარასას — პატარა. ხელგაწვდილმა კაცმა ამიტომ დუმილი უნდა ირჩიოს, ასე სჯობია.

იონა „სანსლესი“ სამჯერ მოდის: სასაუზმოდ, სასადილოდ და სავენშომოდ.

ცალთვალას იონა თვალად არ ენახვება, მაგრამ რა ქნას, იონას ბევრი ქომაგი ჰყავს, უცნობი და ნაცნობი, ყველა იონას იცავს და დახლიდარიც ვერაფერს უბედავს.

იონა ჯოხის კაკუნით დახლს მიუახლოვდება, სველი თვალებით დახლიდარს შეჰყურებს და ჯოხს მუდამ ერთ წერტილზე უაკუნებს: „აი, ეს მიწა გავგასწორებს ყველას, ეს მიწა!“ იონას მტყველი გამოხედვა დახლიდარს თავზე მერეხივით ატყდება. იონა კი ისევ უდარდელად სინჯავს „ფსკერის სიღრმე-სიგანეს“ და ჯოხს თავისებურად აქედრებს: „ყველას ეს გავგასწორებს, ეს!“

იონა ბრმაა. სინათლე აკლია, მაგრამ ჭკუა კი არა. ბუნდოვანდ ხედავს კიდეც. ეს მინაგომაც იცის და გული ბოლოში ესება.

ჭიქა ღვინო გადაკვარი და იქვე მდგარ ტოჩის პაწია სახე დაემანჭა.

— ტოჩი, როგორა ხარ წუხანდელი ნაქეიფარი? — ვუღიმი ტოჩის.

— ხენწიფის ძაღლივით, გოლუაფირო, — იჭყანება ტოჩი.

— მოდი, ტოჩი, დღეს ჩემი სტუმარი ხარ, — მოვიბატიყე ტოჩი და გვერდით მოვისვი.

ტოჩიმ ბოროტება, შური და ღვარძლი არ იცის რაა, ტოჩიმ არ იცის, რომ არსებობს შური და ფარული ჭიდილი თვის ძმებს შორისაც. ტოჩის ჭკუა არა აქვს. ჭკუა რომ ჰქონდეს, შეიძლება გაბოროტდეს. თავისი ცალი გამონახოს და უმუხთლოს.

ტოჩი იმითაა ბედნიერი, რომ ეს სიცოცხლე მისთვის ცხადი და ახდენილი სიზმარია.

ტოჩი ღვინოსა და არაყს არ არჩევს. მისთვის სულერთია, ოღონდ სტომაქი ამოივსოს და მორჩა.

— უღვაშა აგერ, რადიო რომ ჰკიღია, იქაა ჩამოსაკონწილებელი.

— მარტო უღვაშა ბიძია?!

— აი, ისიც, — ცალთვალასკენ ვუთითებ ტოჩის.

— ვაშინერს\*, ჯიმა უტუ, ვაშინერს...

— ტიტველა თავზე ხელს ისვამს შეშინებული ტოჩი და თავზე დარანა ეკიდება.

მეორე ჭიქა რომ დავცალე, ტოჩის თვალები აუციმციმდა, თვითონაც დაღლია ღვინო.

კარგა ხანს წრუბა კათხასავით დიდი შუშა, გაათავა და თვითონაც გათავდა. თავი წაქინძა და ცხვირი ხარჩოთი სავსე თეფშში ჩაყო.

იონას დამკნარი ტუჩები აუციმციმდა. ღიმილი უნდოდა და არ გამოსდიოდა. ადგა. ჯოხის კაკუნით მეც გამაფრთხილა: „ეს მიწა ყველას გაგვასწორებსო“ და წავიდა.

ტოჩი ფრთხვინავდა, ხარჩოთი სავსე თეფში პატარა ბუმტულეებს ისროდა.

— რაა, ბიჭო, ეს, ამას კაცი იკადრებს?! — თავზე დამადგა გაფთობებული ცალთვალა და დუხო ოფიციანტს

გასძახა, ტოჩი საჩქაროდ აივნიდან გავიდა, უფრო სწორად, გაეტანა.

— ეს ტოჩი გახლავთ. მე უტუ ჩალიგავა ვარ, მიცნობდეთ.

— უტუ ჩალიგავა, თორე...

— თორე რა!

ცალთვალამ ღვედევით მოქნილი თითები მხრებზე დამილაგა და ის ცალი თვალი შიგ გულში გამიტარა:

— მაშველი კი ხარ, ბიძია, მარა, კიდე ბევრი უნდა იმეცადინო, ზღვას რომ გაუმკლავდე, — ყურში გესლივით ჩამიღვარა დახლიდარმა და პირი ზღვისკენ მიიქცია. მივხვდი, „იმ ზღვაში“ რასაც ვარაუდობდა დახლიდარი.

— გავიწაფები. დარდს ჩემზე ნუ მოიპატებ.

— დარდი რა კაცის საქმეა, დარდი გულის ქანგია, ბიჭო.

დახლიდარს ანგარიში გავუსწორე.

— კი ნუ გეწყინება, ჩემო უტუ, და შენ სხვა ხარ, ბიჭო, ჩემი ბოკო — სხვა.

— მერე?

— ბოკო ეგერ, უცხო სტუმრებთან ზის და ნუ დაენახვები.

— რომ დავენახვო, ვითომ რა?

— არა, ისე, თვალში არ მოგვივა. მაისის ვარდად არც შენ აუშუქდები იმას...

— მამაჩემი პატეისცემა, თორემ ამ „სანსლეს“ სულ დაგიღეწავ, არ მეშინია. მე მეტს მომიხჯიან დანაშაულისათვის, მაგრამ მაინც არ მეშინია. ზღვა უპატრონოდ არ დარჩება. ჩემნაირი აკვნის ბლარტები კიდევ არიან.

ცალთვალა მინავო გაინაბა, გაშრა. ხმა არ გაუღია, წყენა ვერ დამალა და დახლში ბუზღუნით შევარდა.

ჭადრის ძირას, მწვანე შუქი სუფრას ბაცად ანათებდა. ჭადარს ჩაეღურე და ნაცნობმა ხმამ შემაჩერა.

● — მეგობრებო, ჩემი ძმაკაცი გახლავთ, კარის მეზობელი, უტუ ჩალიგავა, — თქვა ბოკომ და სუფრას ჩემი თავი წარუდგინა.

---

მეგრან კოიბაძე  
ზღვა მავთელის თვალით

\* არა ეგებოს.





— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — თქვეს სტუმრებმა.

სუფრას ბოკო თამადაობდა.

ბაღიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ქალი მღეროდა. ქალს ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა. ხმის ჩახლეჩა აწწლის არაყმა იცის. ის ქალი შეიძლება მსმელი არ არის, მაგრამ ხმას ხშირი სიმღერაც კარგავს და კონიაიც, ის ქალი კი მაისიდან ოქტომბრის დამღვეამდე ერთსა და იმავე სიმღერას მღერის და აბა რა მოუვა.

ორიოდე ჭიქის მერე მასპინძლებმა სულ მიმივიწყეს.

სტუმრებმა სიმღერა წამოიწყეს. მღეროდნენ დაბალ ხმაზე, ტკბილად და სულში ჩამწვდომად. ასეთი ტკბილი სიმღერა ტოჩისაც გამოაფხიზლებდა და სულწაწყმედილ უღვაშას ანგელოსად მოაქცევდა.

ჩვენს „სი ქოულ ბატას“ მაინც ვერ სჯობდა.

ბოკომ ჭიქას ხელი მოჰკიდა:

— მერედა, იცით, ვინ არის ეს კაცი, მეგობრებო? — იკითხა ბოკომ და როცა პასუხი ვერავისგან ვერ მიიღო, თვითონვე გააგრძელა: — ეს კაცი ჩემი ძმაა, მე მან სიცოცხლე მაჩუქა, სიცოცხლე!

— სიცოცხლე? — ამოისლოკინა შავტუხამ.

— მა-ააჰ! ზღვას გამომტაცა, კაცი-შვილი ვერ მიპოვიდა, თევზების კერძი გავხდებოდი. უტუმ მიშველა, უტუმ ნამდვილი ზღვის ლომია, ზღვის მგელი... ზვიგენია... ბევრს აჩუქა სიცოცხლე, სამაგიეროდ გადაარჩინილებ-მაც დაუფასეს... ა, ზვიშტი! — თითები პირთან მიმიტანა ბოკომ.

ბოკო აჭარბებდა. ტყუოდა. ერთხელ იყო და ლელვამ მოქანცა. ნაპირზე გამოსვლა გაუჭირდა, გამოვიდოდა, მაგრამ ვითომ ვიხრჩევბიო და თავი გამომაყვანიდა. ბოკო იმ ამბავს აზვიადებდა. ჭალიკონი ჯერაც არ იყო კარგად ჩამდგარი და ბოკოც სხვა ჭალიკონს უმიზნებდა.

დაბალი ტანის შავტუხა სუფრას გულდაგულ მოადგა:

— ზღვა, ჩემო კარგო, დიდია, ვერაფერია რომ ზღვას გამოსტაცო, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე აღმოაჩინო, ახალი სამყარო აღმოაჩინო. ამერიკა პირველად კოო... ფუჰ, ენაზე მადგას და...

— კოლია ფაჩულიამ, — მიემშველა ბოკო.

— არა, კაცო, ხუმრობას თავი დაანებე, აი, რაჭველები რომ დახვდნენ...

— ქრისტეფორე. მოკლედ, სიტყვა ისედაც გაგიგრძელდა, ვგარი არაა საჭირო, — ცივად და ხმამაღლა თქვა აქამდე უსიტყვოდ მჯდარმა ჭრელხალთიანმა და ჭიქას წეროსავით დახედა.

შავტუხამ რალაც მიკიბ-მოკიბა და ისევ ბოკომ წამოიწყო.

— მერე რა, რომ მეურმეა! ეს ქვეყანა მეურმეების იყო და ახლაც იმათია! — ბოკო გულის კუნჭულში მიმეტებდა და ვერც მიმეტებდა.

— მეურმე? — ამოისლოკინა შავტუხამ და ჩემს მარჯვენას დაუწყო ძებნა.

— მერე რა, რომ მეურმეა! — გამამხნევა ჭრელხალთიანმა, — ჭიქა კი მაინც თავისას მოითხოვს.

მეზობელ სუფრასთან ვილაც ქალიშვილს გაეცინა.

მეურმეობას არასოდეს ვითაკილებ, მაგრამ მეურმის ასე უადგილოდ ხსენებამ, ბოკოსა და მისი მეგობრების საეჭვო გამხსნევებამ დარანა წამიკიდა.

— ჰო, მეურმეა, მეურმე იყო, მაგრამ რითი ჩამოგვივარდება ჩვენ, არჩვენებში ხმის უფლება არა აქვს თუ... — ვითომ იხუმრა ბოკომ და სიცილში მეზობელ სუფრასთან მჯდარი ქალიშვილი წაეშველა, მისმა სიცილმა ჩემი კაცობა სულ მოსპო და გაათახსირა.

„უტუ, შენ კაცი არა ხარ!“

„რატომ, განა მეურმე კაცი არ არის?“

„ეს შენთვის არავის არ უთქვამს, მარა კაცი მაინც არა ხარ!“

„აბა, ვინ ვარ? მითხარით, რა ვქნა, რა გზას დავადგე?“

„აქაურობას გაეცალე, ფსოუ დიდია!“

„რა გზას დავადგე მაინც?“

„საურმე გზას, ჩვენს გზას... გზას...  
გზას...!“

დამძიმებული თავი წამოვწიე.  
მეურმეების მადლობელი ვარ, ძმას  
რომ არც ჭირში იგიწყებენ და არც გან-  
საცდელში.

აზრი და გონი ხელახლა მოვიკრიფე.  
— მამაჩემიც მეურმე იყო, ბოკო, მა-  
შაშენიც მინახავს ურმის კოფოზე, მე  
მამის გზა ვირჩიე.

— მე კი მამაჩემს ვენაცვალე, შენ  
როგორ ფიქრობ, მეურმევე, განა მინა-  
გო ბეჭიამ არ იცის, რომ ეს ქვეყანა  
არავის შერჩენია? ახლა ჰიპერტონიის  
დროა, უცებ მიგაძინებს ის დალოცვი-  
ლი. ჰიპერტონია გაგიგონია, კარის მე-  
ზობელო?

ბოკოს თანამესუფრეებმა ხარხარით  
იქაურობა აიკლეს.

ჩემმა მარჯვენამ სუფრისკენ თავის-  
თავად გაიწია და სუფრის წვეგრებს ხარ-  
ხარი და სიცილი შეაწყვეტინა.

— დარდიანი მეჩვენები, ბიჭო, გულ-  
ში ხომ ვინმე არ ჩავგარდნია, ქორწილი  
არ გამომაპარო, სანაქებო მაყარი ვიქ-  
ნები. დროა, ოჯახს მოეკიდო. ზღვიდან  
ზეირი კოლუმბს არ უნახავს. ზღვის  
იმედით ჩემი მტერი დარჩენილა!

— ჰო, კოლუმბი, კოლუმბი, გადაშენ-  
და მაგისი გვარი! — ბუტბუტებდა შავ-  
ტუხა თავისთვის.

— ქიციც ვიცი და ქიცმაცუნიც, მე-  
ურმევე. ეს საკენჯი ტოჩის დაუყარე, —  
თითი ღიმილით დამიქნია შემთვრალმა  
ბოკომ.

ერთი სიცოცხლე კიდევ გავათავე.  
ჰაი, დედასა, ბოკო, ახლა ზღვისპი-  
რას მომცა შენი თავი და... არა, ცუხის  
სახელს ვერ დავიდებ. ცამდე მართალიც  
რომ ვიყო, ბრალი მაინც მეურმეს დაე-  
დება.

— ნუ ინახები, თორემ მე თვითონ  
ვიტყვი ახლა, — თვალეზი წამოენთო  
ბოკოს.

— სუფრაზე ქალს ნუ მიხსენებ! —  
ჩავიხრიალე ყელში და ბოკო მოეშვა,  
მიხვდა, საცალფეხო ბილიკით მიდიოდა

და კიბოსავით ისევ ნაგზურისკენ დაი-  
ხია.

— მე კი ლამაზებით ვცოცხლობ. აღ-  
მართზე იმათი კაბის შრიალს და ჯიში-  
ანი ტანის რჩევას ავყავარ და დაღმარ-  
თზედაც იმათ მოვყვები. შენ კი... ქალს  
ნუ მიხსენებო, სალოცავები მოსპეს, და  
აბა, სად ვილოცო? მეურმეებს გაუ-  
მარჯოს, მეურმეებს!

ჰაერი დამძიმდა. ცოტა ხანიც და მე-  
რეხიც წამოვიდოდა, მაგრამ ისევ მე-  
ურმეებს ვეცი პატივი.

მეურმე ურემს გეხე,  
ხეს უკებუ ჭინი გინძე-ე-ე...

წამოიწყო ბოკომ და ამფსონებიც  
აპყვენენ. ტკბილად მღეროდნენ, ტკბი-  
ლი ხმა ჰქონდათ, ოღონდ თვალეზში  
ღმილი ენთოთ, დამცინავი ღმილი.

ზღვაური ზოგჯერ ისევ ამოვარდებო-  
და, წამოიზუზუნებდა და ჭადრებს აშ-  
რიალებდა.

ბოკოს სუფრას გავეპარე.

●  
ტოჩი ტახტზე ტანგაუხდელი ეგდო.  
ამ საცოდავისათვის არც ჰაერი იყო თი-  
თქო სამყოფი. ძლივს სვლებდა პაწია  
პირით ჰაერს.

ორიოდე ჭიქა ულვაშასაც გადაეკრა  
და ჩემს დანახვაზე ენა გაითოხარკია.

— უბატრონო მკვდარია, იტირე, მე-  
კამჩევე. ეს დღეებია, არც შენ ვაღგია  
კარგი დღე. ვათვალუღივით დაბორია-  
ლობ. აჯილდებმა და კვიცებმა გადა-  
გრეის, ხომ? გადაირევი, აბა, რა იქნე-  
ბა! მარჯა, — შემართულ მუშტს ვერ  
ინერებდა ულვაშა, — ბიჭები შელაშე-  
ბულზე, მდინარესთან ცირებს თვალს  
რომ შევავლებდით, თავი ზღაპარში  
გვეგონა.

ულვაშა ხითხითებდა, იჭაჭებოდა და  
ხლიჩინებდა. ჭრუტა თვალეზით ტოჩის  
ისე დასცქეროდა, თითქო პირველად ხე-  
დავსო.

— არა, დასაბმელ ნადირს არ ჰვავს?

მუარაან მოიაზა  
ზღვა მავაველის თვალით



რომ აიწყვიტოს, მთელ ქვეყანას დააქცევს, მარჯა, მთელ ქვეყანას!

ულვაშას ხელს მე და ტოჩი ვუმართავდით. ტოჩი ნამდვილი ტაშიტოჩი იყო და რასაც იშოვიდა, ულვაშასთან მიჰქონდა, ან ჰიქა ღვინოში გამოუყვანდა წირვას. ულვაშა კი რისი ულვაშა იყო; ქვეყანას არ ინდობდა და ტოჩის დაინდობდა!

— დაუჯანსიხარ, ბიჭო, მეზობელს, — ამოიხირა ულვაშამ და მეტი არაფერი მითხრა. თითქო ყურმოკრული ამბავი გადნომივლო.

— მჯობნის მჯობნი არ დაილევა, ულვაშა!

--- ქალმა არ ვაჯობოს და კაცს რაღაცას მოუხერხებ, ქალი კი აპა-პა, თუ კისერზე მოგაჯდა, შამათავს ცხენიც ვერ ჩამოაგდებს.

ულვაშამ ხელი ჩაიქნია და ოდის კიბეზე მდგარს, კარი ცხვირწინ მომიკეტა. იცოდა, კიდევ მეტყოდა მწარეს, თავს ვერ შეიკავებდა და კარი მიმიხურა.



ფიჭვნარის ტყეში თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი.

ზღვა დიდი ხნის დანაბამ ჯოგის ძაღლივით წამოიბუხუნებდა. მაღალი ფიჭვები ოდნავ ირწეოდნენ და ჰრიალებდნენ.

შავად აზვინულ ეკლესიას შორიდან შემოვლურად და დაბალ სახლს მივადექი, სახლში სინათლე ენთო.

ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფიჭვის ჩრდილები უხვოდ დაბობდავდნენ და ნელინელ ირხეოდნენ.

ფეხას წვერებზე შევდექი და ფანჯარაში შევიხედე.

არქეოლოგი მაგიდას უჯდა და წიგნს კითხულობდა. ხანდახან რული მოერეოდა, თავი დაუმიმდებოდა და გაშლილ წიგნში ჩარგავდა. ელდანაცემით ისევ წამოწედა თავს და წიგნს მაინც არ ეშვებოდა.

სახლს მარცხნივ შემოვლურად.

ეკლესიის მთავარი კარი ღია იყო,

ოდნავ გამოღებული. ათანასე ყრუებული ეკლესიის კარებს კეტავდა.

ფიჭვნარის კენწეროები განათდა. მთვარე ამოვიდა და ფიჭვებს ვერცხლი გადააყარა.

ეკლესიის კარებთან გავჩერდი. ყრუ გუგუნი მომესმა.

გუგუნი ისევ განმეორდა. არა, ეს არც ზღვაური იყო და არც გუგუნი.

ეკლესიის გუმბათი ამაზრუნენ ექოს გამოსცემდა.

„თოლიგე!“

— თო-ლი-გე! — დაიბუხუნა ვილაცამ, ვილაცამ კი არა, ბოკომ.

თოლიგეს სახელის გამოთქმაში მთელი ეკლესია აქსოვდა სითბოს, სიცივეს, იმედსა და ნუგეშს, მუდარასა და ბრძანებას. თითქო თვით ეკლესიას გადმოსდებოდა ბოკოს ცეცხლი და სუნთქვა.

გუგუნი ყრუდ მიწყდა, მაღალმა გუმბათმა ჩაიხვია.

თოლიგე დღედა, იქნებ არც იყო იქ თოლიგე? როგორ მინდოდა სინამდვილეში თოლიგე მართლა არ ყოფილიყო იქ.

— ხმა გამეცი, თოლიგე, ჰო, ხმა მაინც! „ხმა... თო-ლი-გე... ჰო, მა-ინც!“ — ისევ აგუგუნდა ვეება გუმბათი. თითქო მთელმა ცარგვალმა შეაშველა ბოკოს ხმა.

— ეს წმინდა ადგილია, ბიჭო! „ადგილია, ბი-ჭო!“ — და დარბაზში სიცილი ცივად გაიბნა.

— მე არ მეხუმრება, თოლიგე!

„მე-ხუ-მრე-ბა, თოლი-გე!“ — ახან-ზარდა კედლები და ექო გუმბათს შეაცივდა.

— შენ მთვრალი ხარ, ბოკო...

— დაგინახე და მას მერე გამოფხიზლება არ მიწერია. სიმთვრალე ბევრნაირია!

ფეხის ხმა მოისმა. ფეხის ხმა შრი-ალში გადავიდა.

კარს ზედ გავეკარი. ეკლესიის დარბაზში ბნელოდა. მთვა-

რის შუქი აქა-იქ კუთხეებში იღვრებოდა და ეკლესიის კედლებზე მიმოხატულ წმინდანების სახეებს მკრთალად ანათებდა.

— იქნებ, ის მეკამეჩე... — ახლა უფრო პირქუშად, მაგრამ გამომწვევად დაიბუხუნა ბოკომ და დანარჩენი ისევ კედლებმა გაიმეორეს და დაამთავრეს.

ჭალიკონმა ზუზუნით კართან მოატანა, ეკლესიას ჩაუარა, ბოკოს ნათქვამი გაიყოლია და მთელს ფსოუს მოჰფინა, ჭალიკონმა კილომეტრები დაეკეცა და ახალსოფელშიაც შეაღწია.

ეკლესიაში შესვლა დავაპირე. ბოკოს აქვე, ამ „წმინდა სალოცავში“, აფუგებდი ანდერძს.

„უტუ, შენ კაცი არა ხარ!“

„რატომ, გურხა?“

„შენი თავის ფასი არ იცი!“

„ვინ ვარ მე?“

„ვინ შენ და ვინ თოლიგე!“

„ბიძია კონდრა რას იტყობა?“

„გზა მიეცი, გაეცალე, ტოლი ნახე!“ თითქო დორო ნალბანდმა თავში ურო დამარტყა და სიცივემ ამიტანა.

ბოკოს მოხშირებული, არაადამიანური სუნთქვა მესმოდა. თითქო აქაფებულნი ზღვა ქშინავდა. ხრიალებდა, ბოკოს პირიდან მძლავრი ალქარი ამოდიოდა.

— მეურმე კაცი არ არის? ცოდვა, ბიჭო! — თოლიგე არ იცინოდა, მისი ხმა ცივი იყო და მოკვეთილი.

„ის მაინც იცინის“, წავიჩურჩულე ჩემთვის და თოლიგეს პასუხს ბოკოს კბილთარტყენა მოჰყვა. უზარმაზარ ქვევრში ჩავარდნილმა ნადირმა დაიდრინა.

— ზღვაზე თუ აჯობებ, მერე რა მოხდა, — ზღვა ახსენა თოლიგემ.

— ესლა მაკლდა... უტუს გამიტოლე... — უკანასკნელი ექო კვლავ შეაკვდა ჩაბნელებულ გუმბათს.

ეკლესიის კუთხიდან ჩრდილი დაიძრა. თეთრ ლანდს ეკვეთა.

ბრძოლა ხანმოკლე იყო, ეკლესიაში ისმოდა მოხშირებული სუნთქვა, გაუგებარი სიტყვის ნაწყვეტები, ბღლარძუნი, ამოძახილი და კვნესა.

სილის ლაწანის ექომ გამომაფხიზლავთვალნი გავახილე. თეთრი ლანდი კარისკენ მორბოდა.

კედლებზე მიმოფანტული წმინდანები კი მაინც ცივად და საეჭვოდ სდუმდნენ.

კარს ამოვეფარე. თოლიგემ სირბილით ჩამიქროლა და იქვე გაუჩინარდა.

ბოკო დარბაზიდან ახლად დაქედონი ხარის ნაბიჯებით მოდიოდა, ფეხის ყრუ ტყაპატყუპი ისმოდა.

— ბოკო მართლა მოგიკვდეს, თუ... — ვერ მოასწრო დამთავრება და კარის მეზობელს წინ დავუდევქი.

მარჯვენა წარბი მაღლა აუფერინდა.

— ბიჭოს, აკი ვთქვი, ქიციც ვიცი და... — მანამ სათქმელს დაამთავრებდა, ჩემებური, მეურმული სილა ვაჭამე:

— მეურმის აბუჩად ავღება არ გაბედო, თორემ... — და უღევას „ლოცვა-კურთხევა“ ეკლესიაში გამომადლა, — წადი ახლა და ილოცე!

ბოკომ განზე გადააფურთხა კრინტი არ დაუძრავს და ჩუმად გამეცალა.

კედლებზე გამოსახული წმინდანები ილიმებოდნენ. გულწრფელად ილიმებოდნენ.

## ბრძედი ლაგე

დღეს ფსოუელები მოვინახულე: გულმა არ მომითინა და მეურმეებს ვესტუმრე.

სოფელში უთენია შევიპარე.

გურხას ქართაში ჩემი ჭარგა და ბუსკა აზმუვლდა. ხმაზე ვიცანი და მიცნეს. სველი დრუნჩები მომიშვირეს. ორთავეს ზევდიანი, დიდი თვალები ამოვეუკოცნე და თვითონაც თვალცრემლიანი დავშორდი. ვისაც კამეჩის თვალები არ უნახავს და არ უკოცნია, ძნელია მეურმის სიყვარულზე ლაპარაკი.

კამეჩი საყვარელი პირუტყვია, — გამგონე, მორჩილი და მომთმენი.

მუჰამად აჰოიავა

ზღვა მავზელის თვალით

გამთენისის ძილი ტკბილია და სოფელს ძილი გავუფრთხე.

ბიძია კონდრას ოდას მივადექი. კონდრა ბიძიამ ნამძინარევე თვალებს არ დაუჯერა. აივანზე ვიდექი და ჭარმაგი მეურმე ღონივრად მანჯღრევდა, მამაშვილურად მეხვეოდა.

—ამოგვიდექი, ბიჭო, ხელს მოგიმარტოვა. გამაგრდები, — დუღუნებდა ბიძია კონდრა.

მე თავდახრილი ვიდექი და პასუხს ვუგვიანებდი.

ახალსოფელში ყველას ერთნაირი ოდა-სახლი უდგას, წითელი კრამიტით ჩაწიკწიკებული. ეზოებს ლურჯი მესრები შეენის. ბაღჩა-ბაღები მოვლილია და სუფთა. ჭკუას რომ დაეყოლოდი, მეც აქაური მოსახლე ვიქნებოდი, აქაური მეკვლე და მეცეცხლე.

მშობლიურის გასხენებამ სინანულით დამწვა.

მე მამის სიჯიუტე მომდგამდა და რადგან ერთხელ თვალი დავადგი, ზღვას ვერ ვეშვები.

ზღვასთან თამაში და ჯიბრი კი არც ისე იოლია.

ფსოულებმა სანაქებო მასპინძლობა გამიწიეს.

გვადას ოთხი შვილი ჰყავს. ოთხივე ბიჭი. უმცროსს მეურმედ უპირებს გაზრდას. დანარჩენებმა თავისი გზა თვითონვე ამოირჩიონ.

გურბა ექვსამდე ასულა. ოჯახი ქალიშვილებით გაუმრავლებია.

ლადიმერა ხეობლიანს ერთი თვალგებრილა პირმშო ჰყავს და უშბის დასალაშქრად წრიაპებს და საჭირო იარაღებს ახლავე უხაზირებს. ოღონდ გულღია სვანს შვილისათვის უცხო სახელი — რობინზონი შეურქმევია.

სად რობინზონი და სად ბეთქილი? თემრა შამბას ტყუბი ქალიშვილი ჰყავს. პირი აჯიკითა აქვს საესე და თავპირს იხოკავს.

ნამდვილი ზღვა ახალსოფელელთა ოჯახებში დღეს.

კარიდან კარზე გადავდიოდი და როგორ ცხოვრობთ-მეთქი, ერთხელაც არ

დამცდენია. რა მქონდა სათქმელი, რა-ცა ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდი?

მასპინძლებს არ დავუჯერე და ამხელა გზას ფეხით დავადექი.

გზა საცაა გათავდებოდა. ახლომახლო ბებერი ცაცხვი მეგულეობოდა. ბზივიდან მობრუნებულს, რამდენჯერ დამიყენებია ურემი მის ძირში. ცეცხლმოდებული აკაციის ღერძი გულდაგულ დამისაპნავს.

ბებერ ცაცხვთან გასაუბრება ახლაც მომიწია.

ხის ძირას ჩამოვჯექი. დაიქუხა.

მერეხმა ომის დღეები მომაგონა: ქვემეხების შორეული ზათქი ფსოუს აზნაზარებდა. მტერი თავგამოდებით მოიწევდა წინ და სურდა დოუ გადმოეღახა. ლოგინში მარტოდმარტო მოკუნტული, განგებას მამის შინ მშვიდობით დაბრუნებას შევთხოვდი.

მამა სამუდამოდ მთებში დარჩა.

მეურმე ალალია. მეურმის გული ყველაფერს მალე ივიწყებს, მაგრამ ომის საშინელებას ვერასოდეს ვერ მისცემს დავიწყებას.

ცის კიდეს მურუჭი თანდათან აჩნდებოდა.

სახეზე წვიმის მსხვილი წვეთი დამეცა. მალე თავსხმა წამოვიდოდა. არ ვჭკარობდი. ტანი მიხურდა. ცეცხლი ნეკიდა და წვიმა ცოტათი მაინც გამაგრებდა.

ფიჭვნარის იქით ზღვა ყრუდ გრუხუნებდა.

ულვაშას ჭიშკართან ნაბიჯი შევანელე.

მეთევზის მომცრო ოდაში შუქი ენთო. უდროო დროს გაჩირადნებულმა სახლმა შემეაქვია.

ოდის კარები შევადე.

ულვაშა ტახტზე იწვა და თავზე ტოჩი ადგა. ტოჩი, როგორც ყოველთვის, ძილბურანში იყო და ულვაშას უაზროდ დასცქეროდა.

ულვაშა ოდნავ წამოიწია და ღრი-

ჭოდ დარჩენილი კარიდან ცის ნაფლეთს გახედა.

ზღვაურმა წამოუბერა და ოდის წინ მდგარ თუთას ტოტები აუშრიალა.

ულვაშამ უაზროდ შემათვალეირა.

— მივდივარ. გაგასწარი, გერა... — თქვა და დაღუული ხელები მკერდზე დაიკრია.

ოთახში სინათლე უჩვეულოდ კაშკაშებდა.

— სინათლე ჩააქრე. სინათლემ მომკლა. კუთხეში მიდი და კოჭობი ამინთე, თუ კაცი ხარ, — დაყინებით დამაქცერდა ულვაშა და ერთბაშად დაღუულ სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა.

ულვაშა მძიმედ სუნთქავდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა.

— უტუ ხარ, წიე, ვერ გიცანი, ეპეი, მარჯა! — სიბერეს კი არა, სიკვდილს გასძახა მეთევზემ.

ულვაშას ციებ-ციხლება აწვალებდა და ბოდავდა.

ხელები მკერდზე მიისვენა და თვალები მილულა.

— ჯარისკაცის მახარა როგორ გიხდებოდა, მეურმეგ... ომი შენისთანებმა მოიგეს. სხვანაირად არც მოხდებოდა. იბრძოდი, უჩა ბატონო? — ხურგებაშეყრილმა ისევ ბნელად გაიღიმა და ჭერს მიაშტერა.

— ომი მოვიგეთ, ულვაშავ, მტერს დედა ვუტირეთ! — გაგამხნევე მეთევზე.

ტოჩი თვალებს ნაბავდა. გოცებუღი ხან მე შემომხედავდა და ხანაც დასიცხულ ულვაშას. ვერ გარკვეულიყო მართლა ომი იყო თუ არა; ვერც ის ამოეხსნა, ულვაშას სასთუმალთან მე ვიდექი თუ მამაჩემი. ტოჩის იჭვი თანდათან უღრმავდებოდა.

— ვითომ მოვიგეთ? შენთვის ომი არასოდეს არ გათავდება, მეკამეჩეგ. ჭკვიანი კაცი ქალაქში მდიდრდება. აქედან ნუ გადაიხვეწები, მამის საპარეს ნუ გადააღაჯებ, — ცივად და უაზროდ მარცვლავდა ულვაშა.

— ამ ხანგასაც მიხედე, ოდას ნუ მოშიშლის, ჭკუა დაიმეგობროს, — ტოჩის

გასძახა მეთევზემ და ცის ნაფლეთს მიამშტერდა.

გარეთ დილის შუქი მატულობდა. მიწიდან შემხმარი თუთის ფოთლები აფრინდნენ.

ულვაშამ სუნთქვას მოუხშირა.

— საღ მეცლება სული. ერთი ჩონგური მაინც გამაგონა, — ჩურჩულებდა და ნიკაპი უცაცხალებდა.

ექიმის მოსაყვანად გავიწიე.

— მინაგოს თეთრხალათიან მატყუარას ჩემ ჭერქვეშ რა უნდა, ფუნაში ხარ გაზრდილი, წიე, და შენ ყველაფერს იკადრებ! — ჭერს შეუბღვირა ავადმყოფმა. ულვაშა სასთუმალს წაებოტინა, იქ, სასთუმალქვეშ, გაზინთულ ჩერებში გამოხვეული მაუხერი ეგულებოდა. ულვაშა ისეთი გულის იყო, ტყვიას არც საკუთარი შუბლისთვის დაიშურებდა. ძალა არ ეყო და სასთუმალს თავი მიანება.

— ნურავის ნუ ენდობი, წიე, შენი მარჯვენის მეტს, ომი არასოდეს არ გათავდება ამ ღუნიაზე. ღმერთიც ომს მოუკლავს... მარტო გაიდე ჩემი სასახლე და სამარე ზღვის პირას გამოთხარე... ვკვდები და მენცარივით მივდივარ იმქვეყნად. გვიანია...

ულვაშას ხმა უღალატა. აჩიფჩიფდა და დამჭკნარ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

ულვაშა და ცრემლი! არ დამიჯერებენ მეურმეები. სასაცილოდ ამიგდებენ და ულვაშას ცრემლს არაფრით არ იწამებენ.

— კარები უფრო ფართოდ გააღე. ჰაერი არ მყოფნის.

ულვაშა მხრებში გაემართე და ბალიშზე მივასვენე.

— ჭალიკონი... ჭალიკონი კიდე ამოვარდება, წიე, აბა შენ იცი, ცალთვალს ღიმილი იქაც არ დამადგეს... არ დაინდო.

ულვაშა ბოდავდა და მძიმედ ქშინავდა.

მუხრან ჟიოჯიავა  
ზღვა მავგილის თვალით



— მივ-დი-ვარ! — თქვა და წამით ლონე დაუბრუნდა. თითქო მართლა ფეხით უნდა გადგომოდა შორეულ, გაუთავებელსა და მოუბრუნებელ გზას.

პომაკვდავს თვალში სინათლე მოემატა. გამოღებული კარიდან თუთის ფოთლები ეშვებოდნენ, მერ უფრო და უფრო მოხშირდა ფოთოლოცვენა, ვეება პებლებად იქცნენ და ფართო ფრთები მიწას დააფინეს.

ულვაშა ხედავდა, როგორ ნელინელ ქრებოდნენ და დნებოდნენ ფოთლები. ქრებოდნენ, როგორც იანვრის თოვლის დიდრონი ფანტელები.

სიციხით გათანგულს გათენებისას ჩაეძინა.

### ულვაშას საზღაპრები

ულვაშა ორიოდ კვირაა, რაც მიწას ნივბარეთ.

ახლაც თვალწინ მიდგას მეთევზის ფოფიალა ულვაშები, ჰრუტა, დამცინავი თვალეზი, პირქუში სახე და შემართული დაღეული მარჯვენა.

ულვაშას ანდერძი შევეუსრულე, მაგრამ მანამდე დიდი უსიამოვნება გარდამხდა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ულვაშა მოკვდა, გარდაიცვალა. ექვი არც იმაში გვეპარებოდა, რომ მეთევზე ოდესმე წამოდგებოდა და ჩამავალ მზეს აღმაცერ მზერას გააყოლებდა.

მდგომარეობა მაინც გამწვავდა. შექმნილმა ვითარებამ ტოჩიც ჩააფიქრა და მეც.

კოლხიდის სასაფლაო წინათ ფსოუს ეკუთვნოდა. ქალაქს კი სხვა წესი ჰქონია. ამ წესს შეიძლება კანონიც ვუწოდოთ. საქმე იმაშია, რომ ქალაქის სასაფლაო ქალაქს ეკუთვნის და შორეული მიცვალებულის დასაფლავება იქ არ შეიძლება.

მიწა ყველას გეგმაზომიერად აქვს მიზომილი და ყველამ თავის მკვდარს უნდა მოუაროს.

ულვაშას გარდაცვალების მოწმობა იყო საჭირო.

ეს არც მე ვიცოდი და არც ტოჩიმ-სწორი გზა ცალთვალამ მიგვასწავლა.

ჩვენ ქალაქის საბჭოს მივადექით. სახედაბიჯვინებული კაცი წამოდგა.

კაბინეტში გაიარ-გამოიარა. — ასე გამოდის, რომ მოქალაქე პანტე შამუგია როგორც ახლა გაირკვა, მეტსახელად — ულვაშა, მოკვდა, არა?

ტოჩის ოდნავ შეაცვივა. მე მისი ასეთი კითხვა მაინცდამაინც არ გამკვირვებია.

— მკტარია, პატონი, მთელი მეზობლობამ იცის, — დაიქყანა ტოჩი.

— იქნებ მოწამლეს, ამხანაგებო! — თქვა სახედაბიჯვინებულმა და ისე დაიღრიჯა, საცაა გულგვიძლს ამოატანსო.

— არა, პატონი. კაი კაცი იყო და თავისით მოკტა, — ეხვეწებოდა ტოჩი.

— ვინ იცის!..

ეს კაცი რომ პირში თითს ჩაიყოფდეს და განთავისუფლდებოდეს, კარგს იზამს, ისეა შეწუხებული.

— რით მიმტყიცებთ მოქალაქე ულვაშას სიკვდილს! — გვარი არ გაახსენდა უფროსს.

— სიკვდილით! — შევეპასუხე მე.

— იქნებ სხვაა მკვდარი!

— სხვისი მკტარი რა ჯანდაბად გვინდა, პატონი, — მოტვლებულ თავზე ცეცხლი წაეკიდა ტოჩის.

— გვასწავლეთ, ამხანაგო, როგორ მოვიქცეთ ჩვენ?

— მოწმობა, ამხანაგებო, — სახედაბიჯვინებულმა ისევ გადახედა ტოჩის და ამჯერადაც დავრწმუნდი, „ამხანაგებოში“ ტოჩის არც ახლა გულისხმობდა.

— ჩვენ ცნობა გვინდა, მოწმობა, ვის უნდა მივმართოთ?

— ცნობა, ამხანაგებო, ცნობაა და ქალაქის საავადმყოფოს უნდა მიმართოთ. ღვთის წყალობით, ახლა ქალაქში ექიმების მეტი რა გვყავს.

სახედაბიჯვინებულს დავემშვიდობეთ. ის იყო კარი მივხურეთ და მისი ხარხა-

რი შემოგვესმა. ის მარტო იყო კაბი-  
ნეტში და ხმამაღლა ხარხარებდა.

ტოჩიმ პატარა ყურები დაქვიტა.

— კი მარა, ვის უცინის ის გადარე-  
ული, ა? — კიბეზე შემაჩერა ტოჩიმ.

— წავიდეთ, ტოჩი, ჩვენს მკედარს  
მივხედოთ, — ეუთხარი მე და საავად-  
მყოფოსაკენ გავწიეთ.

ექიმს ხალათი არ ეცვა. მაგიდასთან  
უხალათოდ იჯდა. ჩვენს დანახვაზე  
სხვათაშორის გააზმორა. მოვახსენეთ  
ჩვენი გაჭირვება. წამოდგა, უჭრა გამო-  
ალო, ბეჭედი ჯიბეში ჩაიღო და გამო-  
კვეცა.

ულვაშას ოდას მივადექით.

ულვაშა მეზობლებს ყველა ცოდვე-  
ბისაგან განუწმინდა და კუბოში ესვენა.  
ექიმი კუბოს თავთან დადგა.

ულვაშას პირქუში სახე უფრო გა-  
პირქუშებული მეჩვენა.

— გული მაგარი ჰქონია, — ხმამაღლა  
თქვა ექიმმა, — გაბედულიც ყოფილა!

დუმილმა დიდხანს გასტანა.

ბოლოს ექიმმა ცნობა მოგვცა. ექი-  
მი მეორე ოთახში გავიყვანეთ. ფეხზე  
ზღვარს სამი ჭიქა ჭაჭის არაყი გადაკ-  
რა. მიცვალებული რომ დამარბოთ, თა-  
ვი აღმოსავლეთისაკენ აქნევენითო, გა-  
ვაფრთხილა და ღიღინით წავიდა.

ულვაშას ცხედართან გავირინდეთ,  
ხელები გულზე დავიკრიფეთ და თავე-  
ბი ჩავკინდრეთ.

ულვაშა ისევ პირქუშად უბღვერდა  
ჭერს.

მე და ტოჩი რომ იმ შემთხვევას ვი-  
გონებთ, ორივე ვიცინით. ტოჩი ჩემი  
ხათრით იცინის, რადგან ექიმს და ექ-  
თანს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს. ის  
ჩვენი ექიმი კი, რომელმაც ჩვენ ცნო-  
ბა მოგვცა, თურმე ექთანს ყოფილი-  
ყო!!!

მკვდარს რა ცნობა და გამოცნობა  
უნდა, მობეზრდა ექიმს და მისი მოვა-  
ლეობა ექთანმა იკისრა. ექიმი იშვიათ  
შემთხვევაში ამოწმებს მკვდარს. გააჩ-  
ნია, ვინაა მკვდარი.

ჩვენ ცნობა გვინდოდა, მიცვალეუ-

ლის დასაფლავების უფლება ჯიბეში  
გვედო.

აწწით ულვაშას კუბო, მხარზე გა-  
ვიდეთ და საკალმახოსთან სახელდახე-  
ლოდ გათხრილ სამარესთან დავასვე-  
ნეთ.

მზე ჩადიოდა.

ნახევრადღმისველმა დამსვენებლებმა  
პლაჟი მიატოვეს, ხალხი „სანსლედა-  
ნაც“ განოვიდა, გზაზე ექსკურსანტე-  
ბით საესე მანქანები ჩერდებოდა და  
უჩვეულო სანახობით გაკვირვებული,  
ერთ დიდ პროცესიად იკვრებოდა.

ჩამავალი მზე ულვაშასაც უყვარდა.  
ულვაშას კუბო მაღლა ავწიეთ, ჩამავა-  
ლი მზე უკანასკნელად ვუჩვენეთ და  
ნელა სამარეში ჩავასვენეთ.

ამიერიდან ულვაშას მზე გათავებუ-  
ლი იყო და დაშრეტილი.

ზღვაზე ჩამავალი მზე — მარადი და  
სავსე.

ულვაშას კუბოს თითო მუჭა მიწა მი-  
ვაყარეთ. მერე რიგი თავისთავად გაი-  
ქინა, მოწესრიგდა. უცნობი თუ ნაცნო-  
ბი, შორეული თუ ახლობელი უსი-  
ტყვოდ ჩერდებოდა ულვაშას სამარეს-  
თან და უჭირსუფლო, უცხო მკვდრის  
წინაშე თავის ვალს იხდიდა, მუჭა მიწას  
აყარდა. ვიღაც შეზარბოშებულმა სი-  
ტყვის თქმაც დააპირა.

მზე სულ ჩავიდა და ულვაშას საფ-  
ლავზე პატარა, შავი გორაკი გამოი-  
ნაკვაო.

სამარესთან გერა ყმუოდა და ზღვას  
უყეფდა.

„სანსლედა“ უჩვეულო პროცესია მი-  
აწყდა და უდროოდ წასული კეთილი  
მოხუცის შესანდობარი დაილია.

იმ ღამეს კარგად იხეირა ცალთვალამ.



მკვდარი ბოლოს ყველას ავიწყდება  
და ულვაშას საფლავს მხოლოდ მე და  
ტოჩი ვპატრონობთ. თითო ჭიქას წა-  
ვუშტყევთ. გვინდა ულვაშას სამარის



თავთან ხე დავრგათ. ხემ თუ მლაშე წყალს და ზღვაურებს გაუძლო და გაინარა, საფლავს ერთიორად დამშვეინებს და მისიდან ნოემბრის დამლევამდე იშრიალებს.

ზღვა მალა ზვირთებს მოაგორებს და ნაპირზე იმსხვრევა. შეხეფები უღვაშას საფლავს ეცემა და ამომავალ მზის სხივზე დილის ნამივით ციმციმებს.

— ტოჩი, კაცი მოკვდა. ცხოვრებაში გზადანეული კაცი. ყველა ცოდვა ისევ შენ უნდა შეუნდო. შენ ღმერთი არა ხარ და ამიტომ შენ უნდა აპატიო ავიცა და კარგიც.

ულვაშაც ღმერთივით უჭირისუფლო და ხიზანი გახდა.

ტოჩი ერთხანს უნდოდ შემრმყურებდა და როცა ჩემს გულწრფელობაში დარწმუნდა, თქვა — ჩემგან ია და ვარდი ჰფენია, მიბატიებია, ყოლიფერი მიპატიებია ულვაშისთვის... — ასლუქუნდა პატარა კაცი.

— ტოჩი, ვინ უყვარდა ულვაშას, დღეიქრდი.

ტოჩი ღრმად დაფიქრდა და მაინც ვერ გაიხსენა.

— არავინ. ნანდულს გეუბნები, უტუ, ჩემ დედას გეფიცები!

— ულვაშას ზღვა უყვარდა, ზღვა სწამდა, ოღონდ არ ამხელდა.

— ზღვა?

— ჰო, ზღვა.

ტოჩი ისევ ფიქრს აედევნა და ზღვასთან შეჩერდა.

— ხანდისხან რო ზღვასაც აგინებდა? ჩემი ყურით ბეურჯერ გამიგონია, — თქვა ტოჩიმ და დაცქვეტილ ყურზე ხელი მოიხადა.

— მერე ესმოდა ზღვას მისი გინება? თუ ესმოდა, რა დააკლო ულვაშამ.

ტოჩის ღიმილიმა სახე დაუჭყანა.

— ზღვას რას დააკლებდა, პატონი, ზღვა ცალთვალა ხომ არ არის, ყველაფერზე ყური დაცქვიტოს.

ტოჩის საკუთარი პასუხი მოსწონდა, თვალებს წყურავდა, ქიქას უღიმოდა და ეტიკტიკებოდა.

ქიქა შევაგვგ.

— ტოჩი, ამ ქიქით უპატრონო მკვდარს გაუმარჯოს, რომელსაც ზღვის მეტი ჭირისუფალი არ ჰყავს. მამაჩემის საფლავს, სადაც არის, ნათელი დადგომოდეს. ჩვენი მშობლების ხსენების იყოს, — ვთქვი და ქიქა ტოჩის ვადევულოცე.

ტოჩი ატირდა. გული აუჩვილდა, აუმიჩატიდა და თევზივით აუფართხალდა.

— კი, ნანდულად გაუმარჯოს, კვტარის საფლავიდან ამოთხრა ჯერ არავის გაუგონია, ულვაშას საფლავს რო ვინმე გაეკაროს, თავს გოუხეთქავ.

ტოჩი ფეხზე იდგა და „სანსლეს“ თვალებს უბრალებდა. — ტოჩი მოკტეს თუ ღღეიდან ცალთვალას გაეკაროს. მაგი კაცი არ ყოფილა და სხვა ყველაფერი.

ტოჩი ახლა იგინებოდა. პატარა კაცი დიდ ზღვასთან იდგა და იგინებოდა.

### მშვიდობით. მუხამებო

აცივდა. ზღვაურმა იმატა.

ვეება მზეს სითბო დაეკარგა. ძველებურად ველარ აცხუნებს. ხანდახან თავს მაინც შეგახსენებს და საბანაოდ გაგიტყუებს.

ზღვაზე თოლიები მომრავლდა. აქაფებულ ზვირთებს ქეჩოებზე აფრინდებიან და ყივყივით ხამსებს აცხრებიან.

სეინერებიც იშვიათად გადიან ზღვაში.

საკალმახო — პანტე შამუგიას მოსაგონებელ ნიშნად იქცა, ულვაშას საფლავს ტოჩი პატრონობს.

ცალთვალამ ის მაინც მოახერხა, რომ ძალი ვიდაცას მოაწამვლინა და ულვაშას საფლავს ზედ დააკლა.

ულვაშას ოდას ახლა ტოჩი პატრონობს. მეთევზის სიკვდილმა თითქო თვალები აუხილა, ცალთვალას ჩამოშორდა და დიდ მალაზიას დარაჯობს.

აცივდა.

ზღვას ზამთრის ქარები დაეპატრონა.



ხეები გაიძარცვა. გაშიშვლდა და ქართული უცნაური ხიხინი გააქვთ.

ქათიბი მთებსაც შეუხუნდა.

პლაჟზე რა ხანია არავინ მოდის.

ნავი ჯიბურთან გდია თავდაღმა და ზღვის შეხეები ცრემლებად ჩამოსდის. ზამთრის სუსხი სულშიაც ატანს. იმედინი თვალთ ხარაჩოებში ჩამდგარ ახალ შენობებს გაეყურებ.

ხვალ-ზეგ მეც დავტოვებ პლაჟს და მშენებლებს შივადგები, მხარში ამოვუღებ.

მეურმეებო, გათავდა ჩემი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა. ზღვაზე საკმაო სარჩო მეც მოვიხაზირე. სარჩოზე მეტი სიმდიდრე შევიძინე: ზღვამ ცხოვრების ბევრი ხვეული და ბილიკი მიმასწავლა.

მეურმეებო, უდიდეს მადლობას ვუხდით თქვენი სახელითაც ზღვას — სიბრძნის დიდ წყაროს.

დამსვენებლები ზამთარშიაც არიან ფსოუში, ოღონდ ზღვაა უპატრონოდ დარჩენილი. ზამთარში ზღვაში შესვლას იშვიათად ბედავს ვინმე.

ზე მაშველის ყნოსვა მაქვს და ზღვას მაინც საეჭვოდ გაეყურებ, თვალი მაინც მისკენ მიჭირავს.

ვინ იცის, ზამთარში კორშუნოვი იქნებ ისევ მეწვიოს;

ჯერ მზეს ახედავს, მერე გაშიშვლდება და ზღვაში გადაეშვება.

თუ ფსოუ თვალში ჩაუვარდა და კარის მეზობლად დამისახლდა, ამ სიხარულს მთელი სიცოცხლე ვიკმარებ.

ცალთვალამ უღვამას ცხედარი თუ ამოთხარა, დედას ვუტირებ, განაჩენს მე თვითონ გამოვუტან. ლაზათიანად მივბეგვავ. ავღებები, მეც ავიკრავ გულანაბალს, კორშუნოვის ნაჩუქარ დათვის ქურქს მხარზე მოვიგდებ და კეთილ მასპინძელს კამჩატკაზე მივადგები.

კორშუნოვი თუ სიცხეს და ჩვენს მზეს კარგად ეგუება, მე — ქართველი კაცი სიცოცხესა და სუსხს როგორ შევუშინდები!

...ზღვის იხვებზე ნადირობა აკრძა-

ლული არაა. არც ის მაწუხებს, რომ ძალი არა მყავს. იხვი ჩამოვავდო და ტოჩის რომელი მეძებარი შეედრება. ნანადირევსაც თვითონ მოუვლის, რესტორანს ან სასაუზმეს შივადგება და ორმაგად მიასაღებს.

მობუცი არქეოლოგიც მარტოხელაა. ხანდახან არქეოლოგსაც მივაკითხავ, შეშას დავუჩნებავ, ავუგუნებულ ბუხართან მივუჭდები და ზამთრის გრძელ დამეებში საქართველოს გრძელსა და ვრცელ ისტორიას კიდევ უფრო დავეწაფები. მერე შეიძლება მობუცი დამეებზე სანადიროდაც გავიყოლიო.

არქეოლოგმა მიწის გულის საიდუმლოება იცის, ათასი წლის ჩონჩხს ცოცხალივით ესაუბრება და რა გასაკვირია, ჩემი გულის დარდი ამოიკითხოს. რა ქნას, ვატყობ, მობუცი უძღურია და ჭერჭერობით სანუგეშოს ვერაფერს შეუბნება.

მომავალი ექიმი — ბოკო თბილისშია... თბილისის დიდი ქალაქიაო, მაგრამ თოლიგის ნახვას როგორმე მოახერხებს. ვინ იცის, იქნებ ერთად დაუბრუნდნენ ცალთვალა მინაგოს კარმიდამოს და აკვანი ააპირალონ.

და ისე წვაა ეს ცხოვრება ტაატიო, რწევით, სიცილითა და ცრემლით, როგორც აქამდე უვლია.

ხვალ ერთნაირად დაათოვს ცალთვალას ბანიან ვილას და ჩემს წაფერდებულ ქოხსაც.

გამოვიბარები თოვლიან დამით და ჯავრის გადასაყრელად ქალაქელი კაცი ახალსოფელში გეწვევით.

მეურმეებო, გაგიძნელებათ „უცხო“ სტუმრის მასპინძლობა. ხელახლა მოგვიხდება ერთმანეთის გაცნობა და მინდობა. კაი ხანს ვერ გავუგებთ ერთმანეთს საწადელსა და გულისნადებს.

ვიცი, უღვამას სიკვდილი მაინც დაგალონებთ. მკვდარზე ძვირი არ წაგცდებთ და ჰიქა ღვინოსაც თავს წაუქცევთ.

**მუჰამად მონიკა**

ზღვა მავთვლის თვალთ

ათასობით კილომეტრი დაგვიკეცავს საურმე გზებზე, მეურმეებო, დადგა დრო და თითოთ საჩვენებელი გავხდით, შევთხელდით და დავცალცალკევდით. ეს კია, მეურმის ვალი პირწმინდად მოგვიხდია და ჩვენი დავიწყება მაინც არ შეიძლება.

ატომის დროა, სიტყვაც გამოზომილი უნდა გქონდეს, აზრი — ზუსტი და სხარტი. ზედმეტი ლაპარაკის დრო გაქრა. ზედმეტს მომჭირნობით ნათქვამი ჯობია. გრძელი ლაპარაკი მოცლილებს უყვართ.

ელმავლები უსაშველო კივილით არემარეს იკლებენ.

შორეულ რეიდზე მდგარი გემები ხმელეთს შებღავიან.

წყლის ქვეშ, წყლისქვეშა ნაევბი ფსკერს აბრუნებენ.

საურმე გზაზე?

მეურმეებო, სადღაა საურმე გზები! კრიალა, განიერ გზებზე ათასი ჯურის მანქანები დასრიალებენ.

ჩვენი გზა — საურმე გზა გაქრა და ურემი მიყრუებულ შუკებს სამუზეუმო ექსპონატისთვის შემორჩენია.

ურემი დღეს სასაცილოდ არ ჰყოფნით ჩვენივე ჭილაგებს: ვგათუებსა და ძაბამებს; ფაჩულებს, ესართიებსა და ქვარაიებს; ჯეჯელაებს, ნადარეიშვილებს, ნინუებსა და ლურწყაიებს; ცომაიებს, შამბებსა და შარტაებს.

ყველას ვინ მოთვლის.

ურემი ვერასოდეს დაეწევა თვითმფრინავს, ამაში ვერც არქეოლოგი და მარწმუნებს.

ჩვენ პირი ღაა დაგვრჩა და სიმაღლენებს ამაოდ ვეპოტინებით. ჩვენი სიმაღლე ურმის კოფო იყო და დრომ, უღვაშას სასათუმალივით, ისიც გამოგვაცალა.

ურემს კი რა სჯობდა: გაყვებოდი უკან ჰქვიან კამეჩებს, თამბაქოს გაახვევდი. გზადშემოხვედრილთან ტკბილ საუბარს გააბამდი.

დღეს კი? ბიძია კონდრამ ავტობუსით იმგზავრა ახალსოფლამდე და ასე შემომჩვილა „ვილაცამ გამარჯობა მომადახა, პასუხიც ვერ მოვაწარი და ბზიფში ამოყავი თავიო“. კონდრა ბიძია წუხდა, „კაციც დაკარგე და გამარჯობაცო“.

ამოდ მიცქერით ელამი თვალებით, ჩქებო.

თქვენი დღეებიც დათვლილია. გათავლება ზამთარი.

ისევ მობრძანდება ქორფა გაზაფხული.

გაზაფხულს თაკარა ზაფხული შეცვლის.

ვინ იცის, რამდენჯერ აღელდება ზღვა, რამდენჯერ დაიქროლებს ჭალიკონი და რამდენი ზვირთი დაიმსხვრევა ზღვის ნაპირებზე.

შენ კი? შენ რა გეშველება, ბიძია კონდრა? ნედლ სახრეზე ხელის ერთი შეველება და ურმის კოფო გენატრება, მაგრამ ვაი, რომ საკუთარი მაჯა არ გემორჩილება!

გაგრის განიერ გზაზე აწი ვერასოდეს ვერ გაივლი შენი მოკვანწული ურმით.

გაიარო და ისე შემოგეხვევიან ექსკურსანტები, დამსვენებლები და უცხო მოგზაურები, როგორც გალიაში დამწყვდეულ ნადირს.

ჯერ კიდევ სული გიდგას, ბიძია კონდრა, და ურმის აუგს ვერ გიბედავენ. მოკვდები და შვილთაშვილები საფლავშიაც არ დაგაყენებენ.

ბიძია კონდრა, შეუბი უღელს შენი დარჩეული ჩელა და ლომა. მე გავუძღვები წინ და ჩემს ძახილს მთელს ფსოუს გაავგონებ:

— მშვიდობით, მეურმეებო! — და ურემს ისევ ახალსოფლისაკენ დაეძრავ. მაგრამ ხვალ ახალსოფელში გექნება საურმე გზა?

— არა მგონია!



ნუ დამანახებ, მზეო, წვალებით  
გათხრილ გზებსა და საძმო საფლავებს  
და მოხუცებულ დედის თვალებში  
აკანკალებულ ცას და ვარსკვლავებს.  
ნუ დამანახებ ძველი მოკეთის  
შუბლზე პირველი დარდის გაჩენას  
და ტოტეივით უცებ მოკვეთილ  
ქართლის ვაჟების ძლიერ მარჯვენას.  
ნუ დამანახებ მთებზე, ქედებზე,  
გადმობრუნებულ ცას და ვარსკვლავებს  
და მიტოვებულ სახლის კედლებზე  
ჩვენს დადუმებულ ჩანგს და საკრავებს.

უნდა გაბრწყინდე, უნდა გაბრწყინდე,  
და გადმომხედო, ცაო, მაღალო.  
ასე უეცრად არსად წავიდე,  
და გაანათე კვლავ ეს საღამო.  
უნდა გაბრწყინდე, უნდა გაბრწყინდე,  
და გამისხენო ამ თეთრ ღამეში...  
ასე უეცრად არსად წავიდე,  
უნდა ჩაგხედო ისევ თვალებში.

## შემოდგომა. წერილების გადაფრენა

გადაიარეს...  
გადაიარეს  
ყველა მდინარე, მთაო, მაღალო,  
და წვიმასავით სულში შრიალებს  
ნოემბრის ცა და ლურჯი საღამო.


გადაიარეს ზეცის ნაპირი  
ღრუბლის ტინებით გადაქუფრული...  
და შემოდგომის მინდვრის ქარივით  
გზაზე ფარფატებს თივის ბულული.


## საეპოპოლოზ, გუგუნიის გონივარი ფარჩა

ვარ მოხიბლული ამ სილამაზით,  
შენი დიდებით მემედება,  
მზისფერ მტევნებით გავსილი ვაზი  
ჩემს სულში შენი მზით იხედება.

ჩემი ლხინი ხარ, ჩემი ვარამი,  
ჩემი რწმენა ხარ გაუტეხელი,  
ვარ შენი მაჭრით სავსე მარანი  
და შენი პურით სავსე ბელელი.

მამულო, შენი მზისფერი ფარჩა,  
სამკაულია შენი ყანების,  
თვალში რაც შენი ცის ფერი გაჩნდა,  
გეტრფი, გიმღერი, გეთაყვანები.





იკვირე მოუ

## ურანგულ ყაიღაზე

კარგა გათენებული იყო, ბედო რომ ეგვიპტიდან დაბრუნდა. სასტუმროში მივიდა, კარისკაცს ხელი ჩამოართვა და უთხრა, მოგზაურობით კმაყოფილი ვარ, თვითონ ეგვიპტელებისა კი რა მოგახსენო, ქალაქში ხალხი მომრავლებულა და ბინის ქირასაც ერთიორად მოუმატიაო.

— ტურისტული სეზონი ახლა თორმეტ თვეს გრძელდება, — უთხრა კარისკაცმა და ოთახის გასაღები მისცა.

— შინ კაციმვილს ველარ ნახავ. მოსაწყენი ყოფილა შინ ჯდომა...

ბედო კიბეს აყუვა. კარისკაცს თხოვა, საბეჭდი მანქანა საკუქნაოში შემინახე და ერთხანს სულ არ დამანახო თვალითო. ბედომ ფანჯარა გამოაღო და სენას გადახედა. მერე იბანავა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ქრისტიანს ტელეფონის ნომერი გადასცა კომუტატორს. ტელეფონისტ ქალს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა: ნომრების ინგლისურად გაეოროება უყვარდა. ამჯერადაც ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი აღმოჩნდა და ბედოს სახეზე ღიმილი მოეფინა: ქალი ვერ იტანდა ამ ნომრის ვაგონებას.

ქრისტიანს ტელეფონით რომ ესარგებლა, ოთახიდან სასტუმროს მოსაცდელში უნდა გასულიყო.

ბედომ ქრისტიანს ფეხის ხმა გაიგონა. ბაკუნზე მიხვდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

— ალო! — გამოეხმაურა თუ არა ქრისტიანი, ტელეფონში რალაცნაირი ხმაური ატყდა, მაგრამ ბედომ მაინც იცნო მისი ხმა. ქრისტიანი, როგორც ყოველთვის, ახლაც ვიდაცის მიპატიყებას ელოდა.

— ჰეი, ქრისტიანი!

— ვინ ლაპარაკობს?

— ეგვიპტის ხმაა.

— უოლტერი! — წამოიძახა ვახარებულმა ქრისტიანმა, — როდის ჩამოხვედი?

— ეს წუთია, — იცრუა ბედომ, — მაღალქუსლიანები გაცვია?

— მოიცა, დავიხედო! — და გონს რომ მოვიდა, ჰკითხა, — კაიროში ხომ არ შეშლილხარ?

ბედომ ჩაიხითხითა:

— აღმოსავლური ანგლობაა. მარაგადაც ბევრი ჩამოვიტანე... სად ვივანხმობთ ამ საღამოს?

— უოლტერ, ძალიან ვწუხვარ...

— რა მოხდა, ვინმეს უნდა შეხვდე?

— ჰო. ვერ შემატყობინე, რომ მოდიოდი?

— არა უშავს, — ისე აგდებულად

უთხრა ბედომ, ვითომ გული არ დასწყევტია. ქრისტიან ყველაფერს დათმობდა მისი გულისთვის, მაგრამ ბედომ გაჩუმება ამჯობინა.

— სხვა დროს იყოს!

— არა, იქნებ სადმე დაგველია ამ საღამოს? რომელ საათზე შეგიძლია, ხუთზე?

— ექვსის ნახევარზე იყოს.

— კი მაგრამ ახლა სად აპირებ წასვლას? — ჰკითხა განაწყენებულმა ბედომ.

— იქვე, ეტოილთან.

— ალექსანდრესთან?

— სწორია, — გაეღიმა ქრისტიანს, — ერთხელ მაინც მოხვალ თავის დროზე?

— ცოტა ზრდილობა იქონიე, დღეს პირველად ვარ ქალაქში.\*

— a tout a l'heure\* — წაუფრანგულა ქრისტიანმა.

— რაო, რაო?

— ახლა ყველა ფრანგულად ლაპარაკობს. რა კარგია, რომ ისევ ქალაქში მყავხარ!

ქრისტიანს ტელეფონმა გაიხსაკუნა. ბედომაც ნელ-ნელა დაუშვა ყურმილი და ფანჯარას მიუახლოვდა. იგი მდინარეს დააშტერდა. პირველად მოხდა, რომ ქრისტიანმა ბედოს პარიზში ჩამოსვლისთანავე არ მოიპოვინა მასთან... ბედოს წყალში ძალიან ცივი ეჩვენებოდა. ხეები გაშისვლელბულიყვნენ და ცაც ისე გამოიყურებოდა, თითქოს თევობით იყო მოლუშული, მიუხედავად ამისა, ქალაქი მაინც ბევრ სიამოვნებას ჰპირდებოდა ბედოს. პარიზი უმზეო, უთოვლო ზამთარშიც კი არ ტოვებდა კაცს უიმედოდ.

იმ დილით ბედომ ატლანტიკური პაქტის წარმომადგენელთან ერთად ისაუბრა. იგი ახლადდაბრუნებული აღმოჩნდა ამერიკიდან და ამბობდა, ამერიკაში საქმეები მთლად დალაგებულად ვერ არიან. თურმე სააფთიაქო დუქანშიც რომ ისადილო, ერთი დოლარი მაინც დაგიჭდება. ბედოს უხაროდა, რომ ამერიკაში არ იყო ამქამად.

\* ერთი წუთით. (ფრანგული).

ბედოს ცოტა დააგვიანდა თუმცა ქრისტიანაც არ იყო ჯერ მოსული. იგი უზარმაზარი ფანჯრის ახლოს, შემინულ პარამაღზე დაჯდა: პარამაღსაც იყო ქალებით, — ისინი ჩაის მიირთმევდნენ კაცებთან ერთად. გარეთ კი, ხეების ქვეშ, რაღაც პარადისათვის მზადება იყო გაჩაღებული. ალბათ, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანები თუ იყვნენ. ის-ის იყო, არმიის ორკესტრთან ერთად თაღისკენ უნდა დაძრულიყვნენ ომში დაცემული ამხანაგების საფლავებზე გვირგვინების მისატანად, იმ ამხანაგებისა, რომელთა ხსოვნა დღეს უკვე აღარაგის აწუხებდა.

ქრისტიანა არ ჩანდა. საღამო უგემურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. „ფრანგებს ყოველთვის შეუძლიათ მოძრაობის შეფერხება, — გაიფიქრა ბედომ, — მათ მიცვალებულთა ამოუწურავი მარაგი აქვთ, რომელთა ხსოვნის აღნიშვნა აუცილებლობად მიაჩნიათ“.

ბედომ მხოლოდ ლუდი მოატანინა, რადგან საუზმეზე ბლომად ჰქონდა გადაკრული; კარგად დანაყრებულიც გახლდათ. ეგვიპტური ცხარე კერძების შემდეგ ველარ გაუძლო მადის ახალ შემოტევას. ამიტომ არასასიამოვნო შეგრძნება ჰქონდა, მთელი დღე-ღამის მგზავრობამ უცებ თავისი გაიტანა, — დაღლილობა იგრძნო. სამი თვის წინათ ოცდათხუთმეტი წლისა გახდა და წლების სიმძიმესაც უკვე საკმაოდ გრძნობდა და განიცდიდა. სახეზე ნოჰეტიც დაეტყო და წვერში ამჩნევდა ქალარას, როცა პარსვისას თავის თავს აკვირდებოდა სარკეში.

ბედოს გაგონილი ჰქონდა, რომ ასაკს მიღწეული ფეხბურთელები დღეში ორსამჯერ იპარსებოდნენ, რადგან წვერში გამოჩეული ჰალარა სპორტულ კომენტატორებთან და საქმოსნებთან გამოამზეუერებდა მათ წლოვანებას. იქნებ საზღვარგარეთ მომუშავე სახელმწიფო მოღვაწეებსაც მართებდა ამის გაკეთება. „სამოცდაათს რომ ოცდათხუთმეტი გამოვაკლოთ, ამდენივე დაჩეხება“, გაიფიქრა მან. ეს ის ტოლობა იყო, რომე-



ლიც ბედოს საღამოობით მოსდიოდა ხოლმე თავში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შუა ხანს გადააბიჯა.

ბედომ შეყენული ფანჯრიდან გადაიხედა: ძირს ვეტერანები ირეოდნენ. თავიანთ ღროშებს ამოფარებულნი სიგარეტს აბოლებდნენ და კვამლს ბოლქვებად უშვებდნენ. ბედოს ერთი სული ჰქონდა, სანამ დაიძრებოდნენ და მოშორდებოდნენ აქაურობას. „ვეტერანი“ ეს ის სიტყვა იყო, ყურს რომ არასასიამოვნოდ ხვდებოდა. ბედო ქრისტიანს მოსვლაზე ფიქრობდა ახლა. ჯერ ასე არასოდეს დაუგვიანია. იგი იმ იშვიათ გოგონათა რიცხვს ეკუთვნოდა, ყოველთვის ზუსტად რომ მიდიან ხოლმე პაემანზე. ბედოს ისიც ვახსენდა: ქრისტიანამ სწრაფად ჩაცმა ეცოდა და თმის ვარცხნასაც მხოლოდ ორ-სამ წუთს ანდომებდა. მას თმა მოკლედ, პარიზულად ჰქონდა შეკრეჭილი და კისერს ვერ ფარავდა. ბედომ ქრისტიანს შიშველი კისერი წარმოიდგინა და თავიც უკეთ იგრძნო.

„მხიარულად უნდა გავატაროთ ეს საღამო, — გაიფიქრა, — პარიზში კაცმა არც დაღლილობა უნდა იგრძნოს და არც სიბერეს უნდა გაუყადროს თავი, თორემ გრძნობები გაეიხუნდება და სამუდამოდ მოვიწვევს აქედან გადაკარგვა. ქრისტიანა რომ მოვა, ალბათ ღამის ბარბეში გავივლ-გამოვივლით, ნაცნობ-მეგობრებს თვალს ავარიდებთ და დაღვეითაც ბევრს არ დავლევთ; მერე ბაზრისაკენ გავუხვევთ, იქ კარგი სუკები და მაგარი, წითელი ღვინო იცის. ნავახშმევს ღამის კლუბშიც შევივლით. სადაც თოჯინების წარმოდგენა დაგვხვდება და სამი ახალგაზრდა კაცი, რომლებიც მართლა სასაცილო სიმღერებით გავკართობენ“.

კაიროში გამგზავრების წინა ღამეს ბედოს ქრისტიანა ამ რესტორანში ჰყავდა. ქრისტიანა ძალიან ღამაში ჩანდა. დარბაზში თავმოყრილ პირმშვენიერ ქალთა შორის აშკარად გამოირჩეოდა. ბედომ დიდი ხნის მიტოვებული ცეკვაც გაიხსენა. პიანინოსთან ერთად ელექტ-

როგიტარაც კენსოდა. დამკვრელებმა ფრანგულ სიმღერებს ასრულებდნენ. ეს მელოდიები პარიზში სიყვარულის ნიტკბოს გაგრძნობინებდნენ, იმ სიყვარულისას, სავსე რომ იყო ნაღველითა და სინანულით.

მუსიკამ ქრისტიანა ოცნებაში გაახეცია. ბედოს ეუცნაურა. ქრისტიანამ ხელი ხელზე მოუჭირა და, როცა წარმოდგენის ღროს ნომერსა და ნომერს შუა ოდნავ ჩამობნელდა, აკოცა. ბედომ მეორე დილით გამგზავრების ამბავი რომ გაუმიხილა, ქრისტიანას თვალები ცრემლით ავესო — ორი თვე უშენოდ რა გამაძლებინებსო. „კიდევ კარგი, რომ მივედივარ“, გაიფიქრა ბედომ. ეს ის დრო გახლდათ, ქალი გათხოვებაზე რომ იწყებს ოცნებას. მაშინ კაცს სიფრთხილე მართებს, განსაკუთრებით გვიან ღამით, ჩაბნელებულ ოთახებში, სადაც პარიზელები ჩამოცვენით ფოთლებს, სიყვარულს და იმ საყვარლებს უმღერაინ, ომმა რომ დააშორა ერთმანეთს.

ბედოს ერთხელ უკვე ჰყავდა ცოლი და ჯერჯერობით ეს საკმარისად მიანჩნდა. ქალებს ბავშვების გაჩენა და ცუდ ხასიათზე ყოფნა სჩვევიათ. სასმელს და უცხო კაცებსაც ეტანებიან თურმე, როცა თავიანთი ქმრები შორს ეგულებათ თევობით.

ბედო ქრისტიანას ამერიკიდან ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე იცნობდა. მაშინ ქრისტიანა ფოტოგრაფებთან მოდელიობდა. ღამაში იყო და კარგადაც გამოსდიოდა ეს საქმე, თუმცა თვითონვე ამბობდა, თავი სულელი მგონია, ასე რომ ვიძანჭებო. ქრისტიანას ბექდვაც ეხერხებოდა და ხშირად პოულობდა შემთხვევით სამუშაოს ამერიკელ ბიზნესმენებთან, ხანდახან რამდენიმე თვით რომ ჩამოდიოდნენ ხოლმე პარიზში. ფრანგული ხომ სულ მალე ისწავლა, მანქანასაც ატარებდა და ამერიკელ ქალბატონებს დაჰყვებოდა ქველი ციხე-დარბაზების დასათვალიერებ-

**იკნინე შოთა**  
ფრანგულ უაიდაჯი



ლად, ან შევიცარიაში გასასიერებლად. ქრისტიანს უძილობა არასოდეს აწუნებდა. მთელი ღამის ვათევა შეეძლო ვინმესთან ერთად. არც ერთ ქეიფს არ გამოსტოვებდა. ბედოს აზრით, მის ორ მეგობარ კაცთან ჰქონდა საქმე. ერთი ფოტოგრაფი იყო და მეორე მფრინავი, მფრინავი ფრანქფურტის მახლობლად უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. შეგვეძლო ყოველთვის დაგვერეკა ქრისტიანსათვის, — იგი არ ვაზარალებოდა. სულ იცოდა, ვინ როდის, რომელ კლუბში მღეროდა, რომელი ახალი მხატვრის ნახვა ღირდა ან, საერთოდ, ვინ იყო ქალაქში და ვინ აპირებდა ჩამოსვლას ერთი კვირის შემდეგ; რომელ ქალაქკარეთა სასტუმროში შეიძლებოდა დარჩენა კვირადღეს. ფული ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის მომზიბლავად ეცვა. ქრისტიან იმდენად ფრანგი იყო, რომ მის ფრანგ მეგობრებს უხაროდათ მასთან ყოფნა და არც ისეთი ფრანგი ვახლდათ, რომ ამერიკელებს ეფიქრათ, თავს ევროპელობაზე სდებნო. ერთი სიტყვით, ბედოსი არ იყოს, ქრისტიან არ ვახლდათ ისეთი გოგონა, ბებიას რომ მოეწონებოდა სარძლოდ, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ბრწყინვალე სამკაული იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ხმაურისანი წლებისა.

ვეტერანები დროშების ფრიალ-ფრიალით დაიძრნენ. ბედო აკვირდებოდა მათ და თან სხვა ადღმეგებზე, სხვა დროშებზე ფიქრობდა. უცებ ქრისტიანს დაინახა, ქუჩას რომ ირიბად სჭირდა და თან თამამად მოაბიჯებდა. ქრისტიანს შეეძლო მთელი თავისი სიცოცხლე ევროპაში გაეტარებინა, მაგრამ საკმარისი იყო ათი ნაბიჯი გადაედგა, რომ კაცი მიხვდებოდა — იგი ოკეანგაღმა დაიბადა.

ქრისტიანს უქედოდ იყო, თმა გამუქებოდა და ოდნავ დაგრძელებოდა. ბედო წამოდგა და ორივე ლოყაზე აკოცა.

— მობრძანდი, — უთხრა მან, — მობრძანდი, ფრანგულ ყაიდაზე, — წამით გულზე მიეკრა ქრისტიანს.

— ახლა კი... აი, ის კაციც მოვა მალე.

ქრისტიანს ჩამოჯდა, პალტო შეიხსნა და ბედოს გაუღიმა.

ლოყები სიცივისაგან უღაჟღაჟებდა, თვალები უბრწყინავდა და საოცრად ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

— პარიზის სუნთქვა სულ სხვაა, — თქვა ბედომ და ქრისტიანს ხელი ხელზე მოჰკიდა, — რა დავლიოთ?

— ჩაი მირჩევნია ყველაფერს. ძალიან მიხარია, რომ გხვდავ.

— ჩაი?! — გაიკვირვა ბედომ, — კი მაგრამ, ავად ხომ არა ხარ?

— არა, — თავი გააქნია ქრისტიანამ, — უბრალოდ, ჩაი მიწნა.

— შინ დაბრუნებული კაცის ჩაით დალოცვა სად თქმულა?! — ლიმონათი, თუ შეიძლება.

ბედომ მხრები აიჩეჩა და ოფიციალტს ერთი ჩაი შეუკვთა.

— როგორ მოგეწონა ეგვიპტე? — ჰკითხა ქრისტიანამ.

— მე რა, ეგვიპტეში ვიყავი? — რა ვიცი, გაზეთში ასე ეწერა და...

— თუმცა, ჰო, — თქვა ბედომ, — სადაცაა ახალი ქვეყანა დაიბადება იქ, — ბედოს ხმას ზღირმე და სერიოზულობა დაეტყო, — ფეოდალიზმისათვის ძალიან გვიანია, ხოლო დემოკრატიისათვის ერთობ ადრე.

ქრისტიანს სახე მოედღუშა:

— მშვენიერი სიტყვებია სახელმწიფო დეპარტამენტის არქივებისათვის. მე ისე გკითხე, როგორია-მეთქი ეგვიპტე, სასმელს მოვაცოლე.

— მზიანი და მოწყენილი, — თქვა ბედომ, — კაიროში ყოფნის ორი კვირის შემდეგ ყველანი გეცოდებიან. პარიზში რაღა ამბავია?

— ძალიან გვიანია დემოკრატიისათვის და ადრე ფეოდალიზმისათვის.

ბედომ ჩაიღიმა. ვადაიხარა და ნაზად აკოცა, — ისე გკითხე, კოცნას მოვაცოლე. რას მეტყვი პარიზზე?

— ყველაფერი ძველებურადაა, — თან ოდნავ შეყოყმანდა, — თითქმის ყველაფერი ძველებურად.

— ვინმე არის ქალაქში?

— ჯგუფი, — თქვა ქრისტიანამ, —

ისევ ის დევნილი: ჩარლი, ბორისი, ანა, ტედი.

— ხშირად ნახულობ ტედს? — ტედი ფოტოგრაფი იყო.

— უჰ, არა, — გავლიმა ქრისტიანს.

— მხოლოდ ხანდახან, არა?

— არა, კაცო, არა. მისი ბერძენია ჩამოსული.

— ისევ ის ბერძენი?

— ჰო, ისევ ის, — დაუსვა წერტილი ქრისტიანმა. მერე ოფიციალის მოტანილი ჩაი დაისხა და ლიმონი გამოწურა. ქრისტიანს გრძელი, ლამაზი თითები ჰქონდა. ბედომ შეამჩნია, რომ ფრჩხილები ძალიან წითლად აღარ შეეღება.

— თმაზე რა მოგვიღდა? — ჰკითხა.

ქრისტიანმა თავზე ანაზღად მოისვა ხელი.

— განა შეამჩნიე?

— რა უყავ შარშანდელი ქერა კულულები?

— ვამჯობინე. ჩემი საკუთარი ფერი, — ქრისტიანმა ჩაის მოუტრია, — მრავალფეროვნებისათვის. არ მოგწონს?

— ჯერ არ ვიცი. გავზრდია კიდევ.

— კარგი ერთი! ზამთარში, აბა, რა უნდა ქნა, კისერი მეთოშებოდა, თან ხალხმა მითხრა, გაახალგაზრდავებსო.

— ეს კი მართალია! — გავლიმა ბედოს, — არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად თერთმეტი წლის ხარ.

ქრისტიანმა გაიღიმა, ჰიქა ასწია და თქვა, ეს მათ გაუმარჯოთ, ვინც შინ ბრუნდებო.

— მე არ ვღებულობ ჩაით დალეულ სადღეგრძელოებს.

— შენ სასმელზე გაგიყებული, უგემური კაცი ხარ, — უთხრა ქრისტიანმა აუღელვებლად და ჩაი მოსვა.

— ახლა საღამოა, — თქვა ბედომ, — მეგონა, ძმაკაცებს დავუძახებდით და ბაზარში წავიდოდით. ძალიან მომენატრა სუკები. მერე კი, — ბედო შეჩერდა, — რა მოხდა ამისთანა, არ შეიძლებოდა, ერთად გვევანშმა ამ საღამოს?

— ყველაფერი შეიძლება, მაგრამ... — ჩაილაპარაკა ქრისტიანმა თავაუწყევლად

და ჩაის მოუტრია, — მაგრამ პაემანი მაქვს ამ საღამოს.

— შეეშვი მერე, — მოკლედ მოუტრა ბედომ, — შეეშვი იმ ღორს.

— არ შემიძლია... საცაა აქ მოვა.

— ოო... — თავი დაუქნია ბედომ, — ეს სხვა ამბავია.

— ნამდვილად.

— მოდი, მასხარად ავიგდოთ.

— ვერა, ვერ ვიზამთ ამას.

— იმისთანა არავინაა ქვეყანაზე, ვისი გამასხარებაც გაუძნელდებოდა კაცს, — თქვა ბედომ, — შენი აზრით, ჩემო მეგობარო, ვინც უდაბნოს საშინელებებს გამოექცა, ვინც დიზენტერიას და რელიგიურ ომებს თავი დააღწია, არ საჭიროებს დაწყნარებას, სათუთ ყურადღებას აშლილი ნერვების დასამშვიდებლად... და ასე შემდეგ, არა?

ქრისტიანა იღიმებოდა და თავს აქნევდა უარის ნიშნად.

— ვერ გაამასხრებ იმ კაცს.

— შენ არ გინდა, მასხარად ავიგდო? კაცი კაცთან, ესე იგი, ერთი ერთზე. ჩვენ ხომ უფროსი ხალხი ვართ, შე ძველო, ცივილიზებულები?!

— არა! — გაჯიუტდა ქრისტიანა.

— მაინც, რატომ არა? — ჰკითხა ბედომ და მიხედა, რომ ზედმეტ ცნობის-მოყვარეობას იჩენდა და ძველ მტკიცე წესს ღალატობდა, — რატომ?

— იმიტომ რომ, მე არ მინდა, — უპასუხა ქრისტიანმა.

— კი მაგრამ, ქარი რომ იქით უბერავს?

— ხან იქით, ხან — აქეთ, — უთხრა ქრისტიანმა რბილად, — ჩვენ სამივეს შეგვეძლო ერთად გვესადილა დღეს. ის ძალიან კარგი კაცია. შენც მოგწონება.

— მე არავინ არ მომეწონება პარიზში ყოფნის პირველ ღამეს, — გაიღიმა ბედომ.

ისინი ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. ბედოს ახსოვდა, ქრისტიანა რომ ეუბნებოდა ხოლმე: კარგი, იმ კაცს რაღაცას

#### იოჰან უოუ

ფრანგულ ყაიფაჲ



გეტყვი, შენ კი რვა საათზე გნახავო. ახლა არა სჯეროდა, რომ ისევ ქრისტიანა იჯდა მის წინ, რომ იგივე გამოხედვა ჰქონდა და ისეთივე სითბოთი ჰკიდებდა ხელს ხელზე.

— ორი თვე დიდი დროა, ხომ? — ჰკითხა ბედომ, — ისიც პარიზში.

— არა, სულაც არა; არც პარიზში და არც სხვაგან.

— გამარჯობა, ქრისტიანა! — მიესალმა მაღალი, საქმაოდ ჩამკვრივებული, მოღიშარი სახის ქერა ახალგაზრდა, რომელიც იქვე მავიდასთან იდგა და ქუდი ეჭირა, — ადვილად მოგაგენით, — უთხრა ქრისტიანას, მერე დაიხარა და შუბლზე აკოცა.

ბედო წამოიღდა.

— ჯეკ, ეს გასწავთ უოლტერ ბედო, — ეს კი — ჯონ ჰეისლიპი, ექიმი ჰეისლიპი.

კაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ქირურგია, — განაგრძო ქრისტიანამ, როგორც კი ჰეისლიპმა ქუდი და პალტო გაუწოდა მეგარდერობეს და იქვე ჩამოჯდა, — მისი სურათი კინალამ „ლიაფში“ გამოაქვეყნეს შარშან თირკმელების კარგი მკურნალობისათვის. ერთი ოცდაათი წლის შემდეგ დიდ სახელსაც გაითქვამს.

ჰეისლიპმა ჩაიხიბხიბა. იგი დიდი ტანის, წყნარი, თვითდაჯერებული კაცი იყო და თავის წლოვანებაზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

ბედო ერთი შეხედვით მიხვდა, რასაც ქრისტიანას მიმართ გრძნობდა ჰეისლიპი. იგი თითქმის არაფერს მალავდა.

— რას დალევდით, ექიმო? — ჰკითხა ბედომ.

ბელიონათს, გეთაყვა.

— „Un citron presse“\*, — უთხრა ბედომ ოფიციალტს. — იგი ქრისტიანას მიაჩერდა, ქრისტიანამაც გაუსწორა თვალი.

— ჯეკი არ სვამს, — უთხრა ქრისტი-

ანამ, — იმ ხალხს, თავს ექიმობდნენ ირჩენენ, სმა არ შეეფერებათო.

— პენსიაში რომ გავალ, — თქვა ჰეისლიპმა. — ალბათ, ჩაეიხრჩობი სასამელში და მერე ხელებიც ისე ამიკანკალდება, როგორც ფოთოლი კანკალებს ქარში, — შემდეგ ბედოს მოუბრუნდა და ისე მიმართა, თითქოს უნდოდა ქრისტიანასათვის თვალი მოეშორებინა: — ეგვიპტეში დრო კარგად გაატარეთ?

— ოჰ, თქვენც იცით, რომ ეგვიპტეში ვიყავი?

— ქრისტიანამ ყველაფერი მითხრა. — საზეიმო ფიცი დავდე, რომ ერთ თვეში სულ დამევიწყებინა ეგვიპტე.

ჰეისლიპმა ისევ გაიცინა. იგი დაბალ ხმაზე, საოცრად ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, თანაც ისე მეგობრულად ესაუბრებოდა, ოდნავ უხეხულობასაც კი ვერ შეამჩნევდით.

— ვიცი, ვიცი, რასაც გრძნობთ, — უთხრა მან ბედოს, — მეც ასე არა ვარ ხოლმე, როგორც კი ჰოსპიტალს მოეშორდები?

— სად არის თქვენი ჰოსპიტალი? — ჰკითხა ბედომ.

— სიტლში, — უცებ უპასუხა ქრისტიანამ.

— რამდენი ხანია, რაც აქა ხართ?

— სამი კვირაა, — მიუგო ჰეისლიპმა და ქრისტიანას ზურგი შეაქცია, თითქოს ასე უფრო მოხერხებულად დაჯდაო. მერე მკლავზე ხელი მოუთათუნა და ისევ ჩაიხიბხიბა, — კიდევ ერთი კვირა და ჰოსპიტალს დაეუბრუნდები.

— საქმეზე ხართ ჩამოსული თუ ისე? — ფეხი ფეხზე გადაიღო ბედომ.

— საქმეც მაქვს და ისეც. ქირურგთა კონფერენციას დავესწარი და ზოგიერთ საავადმყოფოსაც ვესტუმრე.

— რას ფიქრობთ ფრანგულ მედიცინაზე ახლა, როცა მას ასე თუ ისე, გაეცანით? — ჰკითხა ბედომ გამოძიებელივით.

— რა გითხრათ, — ჰეისლიპმა ქრისტიანას მზერა მოაშორა, — ჩვენგან განსხვავებით ისინი უფრო მეტი ინტუიციით მუშაობენ. ჩვენ უკეთესად ვართ

\* ლიონის წვენი (ფრ).

მოწყობილი, მეტი ფულიც გვაქვს. სამაგიეროდ, აქაურებს მეტი შინაგანი ჰერეტიკა სჭირდებათ, — თავს თუ ცუდად გრძნობთ, ნუ შეგაშინებთ მათ ხელში ჩავარდნა.

— არა, გმადლობთ, მე შესანიშნავად ვგრძნობ თავს, — თქვა ბედომ და მერე მიხვდა, რომ იდიოტობა წამოსცდა.

საუბრისას უხერხულობა იგრძნობოდა არა იმიტომ, რომ რაიმე ეშლებოდათ ლაპარაკში, არამედ ორივე ქრისტიანს შეჰყურებდა დაუფარავად. წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მგონი ხმის ამოდებასაც არ აპირებდნენ, ბედოს რომ არ დაეწყო:

— ღირსშესანიშნაობებს არ ათვალისებრებთ?

— ყველას ვერა, მხოლოდ პარიზის მახლობლად რაც არის.

— კარგი იქნებოდა, სამხრეთისკენაც მოგესწოროთ წასვლა. ქრისტიანთა აქებს იმ ადგილებს. სენტ პოლ და ვენსი დიდად განსხვავდება ზიტლისაგან, მაგრამ იქ წყაროს წყალიც მოჩუხჩუხებს და ქრისტიანული საჭმელებიც ბევრია.

— ყოფილხართ იქ ხომ, ბატონო ბედომ?

— რა თქმა უნდა.

— ქრისტიანამაც ასე მითხრა, — თქვა ჰეისლიპმა და ოფიციატს მადლობა გადაუხადა ლიმონათისათვის.

ბედომ ქრისტიანს შეხედა. მათ შემოდგომის ერთი კვირა ჰქონდათ გატარებული იმ ადგილებში. „საინტერესოა, როგორ უთხრა“, — გაიფიქრა ბედომ.

— ჩვენ სხვა დროს ერთად წავალთ იქ, — თქვა ჰეისლიპმა.

ბედოს „ჩვენ“ ეხამუშა, ნეტავ ვინ იგულისხმავო და ჰეისლიპს ჰკითხა, კიდევ როდის აპირებთ ჩამოსვლასო.

— სამი წლის შემდეგ, — ჰეისლიპმა ყინული ფრთხილად ამოიღო ჭიქიდან და ლამბაქზე დადო, — სამ წელიწადში ერთხელ, ისიც მარტო ზაფხულში შემოდის სამი კვირით წამოვიდე. ზაფხულობით არც თუ ისე ხშირად ხდება ხალხი ავად, — წამოდგა, — მაპატიეთ,

მაგრამ უნდა დაგტოვოთ ცოტა ხნით, — სამ ადგილას მაქვს დასარეკი.

— ქვემოთ და მარჯვნივ, — აღესნა ქრისტიანმა, — ტელეფონისტი ქალი დაგარეკინებს, სადაც ვინდა, ინგლისური იცის.

ჰეისლიპმა გაიცინა:

— ქრისტიანს არ სჯერა ჩემი ფრანგულის, — თქვა მან და შემდეგ ბედოს სთხოვა, ჩვენთან ერთად ისადილეო.

— სიამოვნებით, მაგრამ სხვაზე ვარ შეპირებული. ვნახოთ, იქნებ რამე მოვახერხო.

— კარგით, — ჰეისლიპმა წასვლის წინ ქრისტიანს ნაზად შეახო მხარზე ხელი, თითქოს დარწმუნდა, რომ მისი იყო.

ბედომ თვალი გააყოლა და უსიამოვნოდ გაიფიქრა, მე მაინც უკეთესი შესახედავი ვარო. მერე ქრისტიანს მიუბრუნდა:

— აი, თურმე რატომ გავზრდია თმა და რატომ მიუღია ბუნებრივი ფერი?!

— აი, თურმე რატომ!

— რა უთხარი სენტ პოლ და ვენსზე?

— ყველაფერი.

— მოაშორე თვალი მაგ ოხერ ჭიქას. ქრისტიანმა ნელა დაუშვა კოფი და თავი მადლა ასწია. თვალები უბრწყინავდა, პირი მოეკუმბა.

— როგორ ყველაფერი? — იკითხა ბედომ მკაცრად.

— ყველაფერი.

— რატომ?

— იმიტომ რომ, არაფრის დამალვას არ ვაპირებ მასთან.

— რამდენი ხანია, რაც იცნობ?

— ხომ გაიგე ერთხელ, — უთხრა ქრისტიანმა, — სამი კვირაა. ჩემმა ნიუ-იორკელმა მეგობარმა სთხოვა, მოვენახე.

— რას აპირებ ახლა?

ქრისტიანმა თვალებში ჩახედა ბედოს.

— რას ვაპირებ და, ცოლად მივყვები

**იხივეთ ოთხ**  
ფრანგულ ჟანრებს



მომავალ კვირას. მერე სიტლში ვბრუნდები.

— და სამი წლის შემდეგ ჩამოხვალ, ისიც სამი კვირით, ზაფხულში, რაკი ზაფხულობით არც თუ ისე ხშირად ხდება ხალხი ავად, არა?

— სწორედ ასე.

— და ეს ნორმალურად მიგაჩნია, ხომ?!

— რა თქმა უნდა.

— შენ ამას დაბეჯითებით აცხადებ?

— ნუ იქნები ძალიან ჭკვიანი ჩემთან, — უთხრა ქრისტიანამ უხეშად, — ყველაფერი ყელში ამომივიდა უკვე.

— მომტანო, მომართვი ვისკი, — უთხრა ბედომ ინგლისურად, რადგან უცებ დაავიწყდა, სად იყო.

— შენც დალიე, თუ ღმერთი გწამს.

— ჩაი მომიტანე ისევ, — უთხრა ქრისტიანამ.

— ახლავე, ქალბატონო, — დაემორჩილა ოფიციანტი.

— რამდენიმე კითხვაზე მიპასუხებ? — ჰკითხა ბედომ.

— სიამოვნებით.

— პასუხებიც პირდაპირი იქნება?

— აბა რა?

ბედომ ღრმად ამოისუნთქა და ფანჯრიდან გადაიხედა. ქუჩაში ლაბადიანი კაცი მოდიოდა, ვაზეთს კითხულობდა და თავს აქნევდა.

— კი მაგრამ, ამისთანა რა ნახე იმ კაცში?

— რა უნდა გიპასუხო ამ კითხვაზე? წყნარი, კარგი და გამოსადეგი კაცია. კიდევ რა გაინტერესებს?

— კიდევ რა?

— რა და... ვუყვარვარ, — ჩუმად თქვა ქრისტიანამ. ბედოს ჯერ არასოდეს გაეგონა მისგან ეს სიტყვა, — ვუყვარვარ, — გაიმეორა ქრისტიანამ.

— მეც შევამჩნიე. გრძნობით უყვარხარ?

— გრძნობით.

— ახლა სხვა რამეს გკითხავ. არ წამოხვიდოდი ამ წუთში, ამაღამ... ჩემთან ერთად.

ქრისტიანამ ჭიქას ხელი ვაკპრა და ფიქრით სავსე თვალები მიაპყრო დღის.

— კი, წამოვიდოდი.

— მაგრამ არ წამოხვალ.

— არა.

— რატომ?

— მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — უთხრა ქრისტიანამ, — შემდეგ საით იქნება შენი მოგზაურობის მარშრუტი? კენიაში, ბონში? ტოკიოში?..

— ყველგან, სადაც მომესურვება.

— შენისთანებმა დამალღეს, — უთხრა ქრისტიანამ გარკვევით, — დამალღეს: კორესპონდენტებმა, მფრინავებმა, კარგი მომავლის მქონე სახელმწიფო მოღვაწეებმა. დამალღეს ბრწყინვალე ბიჭებმა, ყოველთვის სადღაც რომ მიდიან რევოლუციის მოსახდენად თუ ომში თავის გასაწირად; დამალა აეროდრომებზე სიარულმა და ხალხის გაცილებამ, ცრემლებს რომ უნდა იკავებდე, ვიდრე თვითმფრინავი მიწას მოსწყდება. დამალა ამ სიჩქარემ და ტელეფონზე პასუხის გაცემამ. დამალა ძველ შეყვარებულებთან ერთად სადილად ჯდომამ და თავაზიანად მოქცევამ. დამალა იმანაც, რომ მე უფრო მეტად უნდა მიყვარდეს, ვიდრე მას ვუყვარვარ. ახლა ზომ გაიგე პასუხი შენს კითხვებზე?

— მეტ-ნაკლებად.

— შენ რომ ეგვიპტეში მიდიოდი, — განაგრძო ქრისტიანამ, — მაშინ ცრემლები მოვიშორე და გადავწყვიტე, მეორეჯერ სხვას დაცემოდა თავხარი ჩემთან დამშვიდობებისას.

— და იპოვენი კიდევ ეს სხვა, არა?

— ვიპოვენი, ვიპოვენი და არც ვაპირებ, რომ მას თავხარი დავცე.

ბედომ ხელი მოჰკიდა ქრისტიანას:

— ქრისტიანა...

ქრისტიანა ფანჯარაში იხედებოდა. მისი გამოსახულება მინაზე არეკლილიყო ლალაბა სიბნელის ფონზე. უღმობელი და სიცოცხლით სავსე ქრისტიანა ბედოს მათი პირველი შეხვედრის ამბავს აგონებდა, მის ხელში გამოვლილ

ყველა მშვენიერ გოგონას აგონებდა. ბედოს ის მზიანი შემოდგომა გაახსენდა, როცა ისა და ქრისტიანა სასტუმროში იყვნენ და შორეულ ზღვაა და მცირე ალბებს გადაჰყურებდნენ. ეს სამი თვის წინათ იყო.

ბედო ქრისტიანას ხელს არ უშვებდა. გრძნობდა, ქალის თითების ნაცნობ შეხებას და იცოდა, თუ ქრისტიანას მოახედებდა, ყველაფერი უცებ შეიცვლებოდა.

— ქრის, — წაიჩურჩულა.

მაგრამ ქრისტიანას არ მოუხედავს...

— სიტლში მომწერე, — უთხრა მან ისე, რომ თვალიც არ მოუშორებია ზოლებად დაორთქლილი ფანჯრისათვის, რომელშიც რესტორნიდან შემოსული სინათლის სხივები მრუდედ ირეკლებოდა.

ბედომ ხელი გაუშვა. ქრისტიანას ხელები ისევ მაგიდაზე ეწყო. ფრჩხილები ოდნავ ბრწყინავდა დალაქავებულ ხის მაგიდაზე.

ბედო ადგა.

— უმჯობესია წავიდე, — ლაპარაკი ეძინებოდა და საკუთარ ხმასაც ვეღარ სცნობდა. მგონი ვგიჟდები და ტირილს ეიწყებო, გაიფიქრა.

— ანგარიშს ვერ დაველოდები, — თქვა მან, — შენს მეგობარს გადაეცი, დაცდა ვეღარ შევიძელი და ბოდში მოუხადე, ფული რომ დაუტოვე გადასახდელი.

— არა უშავს, — უთხრა ქრისტიანამ წყნარად, — ის უფრო კმაყოფილი იქნება.

ბედო დაიხარა და ორივე ლოყაზე აკოცა.

— ნახვამდის, — ბედოს ეგონა, ვილიმებიო, — ფრანგულ ყაიდაზე, — სწრაფად აილო პალტო და წავიდა.

ბედომ საპაერო სალაროებს ჩაუარა, შემდეგ ბულვარს ჩაჰყვა და კუთხეში გაუხვია, სადაც ამ ნახევარი საათის წინ ვეტერანებმა ჩაიარეს. იგი ანგარიშმიუცემლად მიდიოდა თადისაკენ; ღამის ნისლში გახვეული საფლავის წინ, ცეცხლის შუქზე, დაფნის ფოთლები ბრწყინავდა.

ამ უცნაურ საღამოს ძნელი იყო მართო ყოფნა. ბედოს უნდოდა ვინმესთან დაერეკა და სადმე ევასშმა. სამოთხ ტელეფონს ჩაუარა, მაგრამ თავი შეიკავა, არც სადმე შეუხვევია, რადგან იმ ღამით ქვეყანაზე არავინ იყო ისეთი, ვისი ნახვაც გაუხარდებოდა.

თარგმანი ნუშზარ რუხბაძემ



# ჩვენი ალკოიანები

თენგიზ ლავკვიციანი

## სიცოცხლის მტკვნეები

თბილისიდან ფოთში მიმავალი მატარებელი და განთიადი ერთად დგება ჩემი სოფლის რკინიგზის ბაქანზე. ასეა სულ, რაც თავი მახსოვს. ვანრიგი არ იცვლება. აღამიანებისა და სოფლის სახე იცვლება მხოლოდ.

რამდენი დამიტული გოგო-ბიჭი შეგხვდება გზაზე, მანამდე რომ არ იცნობდი. რამდენი ახალი ოდა-სახლი აღმართულა ქუჩის ორივე მხარეს... უამრავი ელექტრონათურა ციციანთელეზბივით კიაფობს აისის ბინდბუნდში.

უსაზღვრო სიხარულით გულავსებული მიაბიჭებ მშობლიური სოფლის შარაზე და უნებლიეთ ფიქრებში იძირები.

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუღდს ფაზისის მღინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით... იქაური მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში, წყალში იშენებენ სახლებს ხისას, ანუ წნელიას“.

საოცარია, რამ მომავონა ორი ათასზე მეტი წლის წინათ ნათქვამი ჰიპოკრატეს ეს სიტყვები.

თუ ძველისა და ახლის შედარება გინდა, რა საჭიროა ასე შორს წასვლა. განა ამაზე უკეთესს ამბობს რამეს ორი ათასი წლის შემდეგ ჩვენს მხარეში მოსული იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, ან კიდევ, ასი წლით უფრო გვიან, ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა? თუმცა, რაღა უცხოელები... აგერ არაა ბიძია კოსტა, რომელსაც ამდენი რამ ახსოვს სოფლის სილუბჭირებზე!.. მაგრამ რა არის ეს? რატომ შეუბამთ შავი ლენტები ხეებზე კოსტას ეზოში... ნუთუ მოსუტი...?

როგორ მინდოდა შენთან საუბარი, ბიძია კოსტა! როგორ მინდოდა სიცოცხლეში მეთქვა შენთვის, რომ შენგან ბევრი რამ კარგი ვისწავლე, რომ ჩემი ცხოვრების მასწავლებელი იყავი და იქნები შემდეგშიც!..

მინდა მოვიდე შენს საფლავზე და მოწიწებით თაყვანი ვცე შენს ნათელ ხსოვნას.

პირქუსია და ცივი სასაფლაო. აქ ყველაფერი ამწვანებულია და ყვავილებიც ჰყვავიან. გული მაინც სევდიოდა სახსე. ჩიტებიც კი არ ქრია-მულბოენ ისე, როგორც სხვა გარემოში სჩვე-ვიათ.

ჩემი სოფლის ნაწილია ეს მიწისქვეშეთი. ბევრი სახე ცოცხლდება ჩემს მესხიერებაში — დიდი ხნის წინათ გარდასული სახეები, ბავშვობის მოგონებას ბუნდოვნად რომ შემორჩენია.

საფლავის ქვაზე, თუმცა იგი უტყვია და ცივი, მაინც ამოიკითხავ აღამიანის მიერ განვლილი გზის სიგრძე-სიგანეს.

„ვარე ხარო!.. შიშ, შიშ ხარო!“ — ჩამქმის ნაცნობი ხმა პლატონ ბიძიას საფლავთან თავდახარის.

მე, ფეხშიშველა, ხელში პატარა კალათით, უკან მივდევდი გუთანს და თესლს ვაპნევიდი კვალში.

მერე შევისვენებდით. დოქით წყაროს ცივ წყალს მოფურბენინებდი პლატონ ბიძიას. შესვამდა და იტყოდა კმაყოფილი: „იფ, მთელ სიცოცხლედ ღირს ეს კურთხეული“.

„მელიტონ ივანეს ძე ჯვარშიშვილი“.

ეს შენი სამუდამო სამყოფელია, ბიძია მელიტონ? მერედა, შენი ბობოქარი სული როგორ შეერჩია ამ მყუდროებას! სადაა შენი განუყრელი წითელი ყელსახვევი, ოქტომბრის რევოლუციის სისხლშია ამოვლებულიო, რომ ამბობდი.

შენი შვილები და შვილიშვილები შეინახვენ მას, ბიძია მელიტონ, როგორც ძვირფას რელიკვიას ღირსეული მამის სახელის უკვდავსაყოფად.

ეს მოუვლელი საფლავი ვისია?

ჰო, აქ ხომ ბიძია ლუკა განისვენებს.

მიცვალბუთლებს აუგად არ იხსენიებენ, ბიძია ლუკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წამოდგომა და ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგძლოს, თვითონვე დაგმობდი შენს წარსულს

და ახალ ცხოვრებას უფრო ნაყოფიერად გაატარებდნენ.

ხშირად ემართება ასე ზოჯერათს, ბიძია ლუკა. ცხოვრების ძვირფას წლებს უნაყოფოდ გაულანჯავს, მერე, უკან მოიხილავს, გონების თვალს მოავლებს წარსულს, სინანულით გაიქნებს თავს და იტყვის: „ნეტავ შეიძლებოდა ეს ცხოვრების თავიდან დაწყება, რომ უფრო გონიერად და ნაყოფიერად გავატარო იგი“. მაგრამ...

„კოსტა ილარიონის ძე ლეკვიშვილი“.

მისი სურათი მასპინძლობს აქ.  
სათნო და ჭკვიანი თვალემა. სახეზე კეთილი დიმილი. დანაოკებული, მაღალი შუბლი და თოვლივით თეთრი თმა.

„მსუბუქ იყოს ჩვენი ქვეყნის წმიდათა წმიდა მწიგნობრების ბატონიანი, მშრომელი ადამიანისათვის, ჩვენი ძვირფასო მამავ, მასწავლებელი და მეგობარი. ამხანაგების ჭკუდი“.

ეს უარესად გულთბილი სიტყვები, რომელიც ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი ბიძია კოსტას სურათის ქვემოთ, მისი დასაფლავების დღეს მიღებულ ასობით დეკემბრის შორის ერთ-ერთის შინაარსია; იგი ხაშურის ელდებოს თანამშრომლებმა გამოგზავნეს, სადაც კოსტა რამდენიმე ხანს მუშაობდა.

ამ ლაკონურ, მაგრამ ძალზე ბევრისმთქმელ ფრაზაში მთელი სიმართლითაა გახსნილი ადამიანის ხასიათი, მისი კაცური კაცობა.

გადავავლოთ თვალი კოსტას მიერ განვლილი ცხოვრების გზას.

დიდი სურვილი ჰქონდა ილარიონს შვილები-სათვის სწავლა-განათლება მიეცა, მაგრამ უსახსრობის გამო სურვილი განუზორობდა რჩებოდა. მერე კი მთლად უბედურება დაატყდა ოჯახს, ილარიონი გარდაიცვალა და ცალკულელში შემხული ეფროსინეს კალთის ქვეშ ხუთი მცირეწლოვანი შვილი იზრდებოდა წვითა და დაკვირვებით.

უფროსი შვილი, 13-14 წლის იოვანი გახდა დედის შემწე და უმცროსი და-ძმების ნუგეში. 12 წლის კოსტასაც დაეწყო ბავშვობა და ბათუმში ერთ ხელოსანს დაუდგა მოჯამაგირედ.

1905 წლის რევოლუციამ, კაბუჯის გულში იმედის სხვის რომ ბადებდა, მხოლოდ მათარახის კვლი დაუტოვა ზურგზე.

„... ბრძოლებში იგი და ჩემი ამხანაგებიც ეღებულობდით მონაწილეობას. კაზაკები და დიან ქალაქის ქუჩებში და თუ დინახავდნენ ორსამ კაცს ერთად თავშეყრილს, მათარახითა და თოფის კონდახით უმასპინძლებდნენ. მეც ვიწვევდი მათარახის სუსხი. ორი ბიჭი ვიდევით სახელსონოს კართან. მოგვეციდნენ კაზაკები და მათარახებით ავიტარეს ზურგები“, — წერს ბიძია კოსტა თავის მოგონებებში.

მერე კოსტას მეფის რუსეთის ჯარში გაიწვევენ.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რევოლუციის ქარცხენი, ბრძოლა ევროპის

სახელმწიფოების ინტერვენციის წინააღმდეგ ომი თურქეთთან...

ბოლოს, 1921 წლის 25 თებერვალი — ამდენი ბრძოლის, გაკირებისა და წამების დასასრული... მაგრამ დასრულდა კი ყველაფერი? რევოლუციის პირველი დღე ხომ არ მოიტანს ბედნიერებას? შენი ბედნიერება აწი შენვე უნდა გამოსჭედოს!...

— აბა, ძმაო დოროთე! — ეუბნება იგი თავის უმცროს ძმას, — სამი შვილის მამა და გაჩანაგებული ოჯახის პატრონი სასწავლებლად სადალა წავალ. თქვენ, უმცროსებმა, აუცილებლად უნდა ისწავლოთ. ჩვენს ქვეყანას ახლა ყველაფერზე უფრო ნასწავლი, მცოდნე ხალხი სჭირდება.

კოსტა დარჩა ოჯახში. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოფლის ახლებურად მართავს.

1926 წელს მუშაობას იწყებს მდინარე რიონის რკინიგზის ხიდის მშენებლობაზე, ზეინკლად. ორი წლის შემდეგ იწყება ასეთივე ხიდის მშენებლობა მდინარე გუბისწყალზე, სოფელ იანეთში. აქ იგი მშენებლობის უფროსის მოადგილეა.

— კოსტა, სწავლა შენთვისაც აუცილებელია! — უთხრა მას უმცროსმა ძმამ, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მასწავლებლად მუშაობდა, — წადი, ახლა შენ ისწავლე, ჩვენ მივხედავთ ოჯახს.

თბილის-ფოთის რკინიგზის ელექტროფიკაციისათვის საჭირო იყო ამ დარგის სპეციალისტები. თავისი მეგობრისა და ნათესავის კ. ბუაძის რჩევითა და უშუალო დახმარებით კოსტა ჯერ მუშაობას იწყებს სამტრედიის ელექტროსადგურის მშენებლობაზე, ხოლო შემდეგ სწავლას გასაგრძელებლად მიემგზავრება თბილისში.

„რამ გამაბედინა მე, 42 წლის კაცს, შვიდი შვილის მამას, წავსულიყავი სასწავლებელში? — სავამ კითხვას ბიძია კოსტა თავის მოგონებებში და ექვე პასუხობს: „იმ წელს (ე. ი. 1931 წელს) მუშაობდი მექანიკოსად. ხელფასი მქონდა თხუთმეტი თუმანი. ეს თანხა ოჯახში გვეყოფნდა. ჰური ბევრი იყო და სიმიანი. კარგი მეწველი ძროხაც გვყავდა. სასწავლებელი სტიპენდიას იმდენს იძლეოდა, რამდენიც ხელფასი მქონდა... დღემო მხოლოდ ერთ მანეთს ვხარავდი. დანარჩენს სახლში ვაგზავნიდი“.

მომდევნო წელს კი მდგომარეობა შეიცვალა.

„ყველაფერი გაკირდა, გაკირდა ქალაქში ცხოვრება. ბევრმა დაანება სწავლას თავი“, — იგონებს ბიძია კოსტა.

კოსტას სწავლისათვის მიიწი არ დაუნებებია თავი. ყოველ არაღდეგებზე იგი დღეებსა და

**თინათინა ლეკვიშვილი**  
სიცოცხლის მტკივნეული





ლაშქრებს ასწორებდა. რა სახის სამუშაოს არ ასრულებდა იმისათვის, რომ ოჯახი გამოეყვება.

1934 წელს დაასრულა სწავლა და მუშაობა დაიწყო ჯერ ხაშურის საელმწიკო დეპოში, შემდეგ სამტრედიის წვეის ქვესადგურის მონტაჟზე. იქიდან გადაიყვანეს რაიონის ქვესადგურის დამონტაჟებასა და ამუშავებაზე.

1936 წელს კოსტა მიველინის ტომის რკინიგზაზე. მისი ხელმძღვანელობით დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე წვეის ქვესადგური.

ქვეყანამ მხრები გავალა. ფრთა შეისხა ადამიანის ოცნებამ. მაგრამ...

აღარ გვაცალეს.

კოსტას ცხრა შვილიდან ერთი სამამულო ომში წავიდა, ერთი — პარტიული მუშაყი იყო, სამი ქალიშვილი — უმადლესი სასწავლებლის სტუდენტი, ოთხი — სასკოლო და სკოლამდელი ასაკისა.

კვლავ დღისა და ღამის სწორება. კვლავ გაჭირვება, შიმშილი... „ეპ, კოსტა, კოსტა! როდის უნდა ვიხარო, როდის უნდა ვაიმართო წელში. დაბადებიდან ეს რა მწელებლობა დაგეყვება!“

ვერ გატეხა გაჭირვებამ. ვერ მოდრიკა სიძენლემ. რა ტიტანური ძალა, რა ნებისყოფა და ძლიერი პატრიოტული გრძნობაა საჭირო, რომ ასეთ პირობებში შეინარჩუნო სულის სიმშვიდე, რა შეიძლება მეტი წვლილი შეიტანო მტერზე გამარჯვების საქმეში, იყო შენი ახლობლებისა და შენს ირგვლივმოყოფათათვის ნუგეშის მიძეყეში, დამარგებელი და მავალითის მაჩვენებელი.

— ჩვენი გაჭირვება რა გაჭირვებაა! აბა, კოსტამ რა ჰქნას? — ამბობდნენ მეზობლები.

— შეხედეთ კოსტას შვილებს, შინგათლილი ქოშებით დადიან ინსტიტუტებში! — ეუბნებოდნენ გაჭირვებისაგან სწავლაზე გულაცრუებულ ახალგაზრდებს...

ახლა ჩვენს სოფელში ძალიან თბილ და მადლიერების გრძნობით სავსე სადღეგრძელოებს სვამენ იმ დედებისას, რომლებსაც ქმრები სამამულო ომში დაედუბათ და მარტოხელებმა პირნათლად მოიხადეს ვალი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე — თავიანთ შვილებს მამობაც გუწოწიეს და დედობაც. ჩვენს მეზობლობაში ვინც ასეთი სამადლობელი დაიმსახურა, აუცილებლად მადლიერების გრძნობით მოიგონებს ბიძია კოსტას. იგი ყოველთვის პოულობდა დროს მოენახულებინა ასეთი ოჯახები, წახმარებოდა, გაემხნეებინა:

„არ გაიტეხო, შვილო, გული. დროებითმა გაჭირვებამ არ დაგაძაბუნოს! მარტო შენ არა ხარ ამ დღეში... დავგრდებიან შვილები, ამავეს დაგიფასებენ. ქვეყანა პატივისცემით მოგიხსენიებს.“

კვლავ დადგა გზაფხული!

შვილისა და საყვარელი ძმის შეხვედრა უკლებლივ დაკოდილ გულს წინანდელი სილალე დაჰკლებოდა, მაგრამ კოსტა ბიძიის გული მინც მისილომად ძველად დანარჩენი რვა შვილისა და ძაბა ირგვლივ ყოფთა საყვარელით.

მწყობრში დგებოდნენ ახალი წვეის ელექტროსადგურები ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე, რომლის მშენებლობასა და დამონტაჟებაში წვეის სამსახურის ინჟინერ-კაპიტნის, კოსტა ლევევიშვილის წვლილიც იყო.

დამსახურებულად მოიპოვა ბიძია კოსტამ დასვენების უფლება, მაგრამ შრომაში გამობრძმედილს უსაქმოდ რა გააჩერებდა.

მასხოსეს, იმ ზამთარს ძალიან დიდი თოვლი დადო. ბიძია კოსტა უთენია ამდგარიყო და სკოლამდე გზა გეგეკავლა. არავის უკითხავს მისთვის, რატომ აყენებ კოსტა თავს ჯათს, შენი შვილები ხომ კარგა ხანია სასკოლო ასაკს ვასცდნენო. არც ის გააკვირვებია ვინმეს, ბიძია კოსტამ მის ეზოსთან ახლომდებარე საკოლმუერნეო ნაყვეით ეკალბარდისაგან რომ გაწმინდა. ამ საქმეს მან მთელი ზამთარი მოანდომა. არავის უკითხავს მისთვის, რატომ აყეთებ ამ საყმლოდ სამიმომ საქმეს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეო.

ეთესა მხოლოდ სიყვეთე, — ეს ბიძია კოსტას სულიერი მოთხოვნილება იყო.

... ეზოში შავკაბიანი და შავღეჩაქმობურული ქალი დადუსფუსებს. დროდადრო ჭიშკარს ვასცეყერის. მისი მეუღლის გარდაცვალების წლისთავია. შვილებს ელოდება.

პირველად, როგორც ყოველთვის, დღესაც უფროსი შვილი — დავითი მოვა ბათუმიდან, ცოლ-შვილით.

„ეწავალიო ბებია ჩემს ჯონისა და ვაჟუნას!“ — ლოცავს გულში მოხუცი შვილისშვილებს. სახე ეხადრება. გაახსენდა: შარშან ჯონიმ უთხრა: — ბებია, ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, პირველი ხელგასით ყვავილებიანი საკაბე უნდა ვიცვიოდ, რაც თავი მასხოსეს, სულ შავი კაბა ვაცვიოდ.

— ბედნიერი ხარ, დომან! — ეუბნებიან მას მეზობლები, — რვა მოსწრებული შვილის დედა ხარ, ყველანი ერთიმეორეზე უყეთესია.

პასუხად დომანა ღრმად ამოიოხრებს. მის გულში დაჰსკელილ, ასამოერებლად გაშზადებულ რვა სიმს ერთი, მეცხრე ჩაწყვეტილი სიმია აღმუბებს. ეს ამოოხრაც ამ გაწყვეტილი სიმის ამოახლიოდა.

„ბედნიერი მამინ ვიქნებოდი, ჩემი კარლოც შინ მყავდეს,“ — ამბობს დედის გული.

კარლო ინსტიტუტში სწავლობდა, წითელ არმიიაში რომ გაიწვეეს. მალე ჩამოვალ და სწავლას ვავაგრძელებო, იწერებოდა, ევერ ჩამოვიდა. ზარბაზნების ზათქსა და გრიალში ჩაიკარგა თავის ოცნებებთან ერთად.

ბათუმიდან, დავითთან ერთად, კლავდია და

ლილიც ჩამოვლენ ქმარ-შვილთან. გენოსა და ვახტანგს ესიყვარულება ოცნებაში ბებია... თინაც ჩამოვა სალიბაურიდან, ჩემს სამ კუდრაშა შვილიშვილს ჩამომიყვანსო.

ფლორა სხვა დღეებშიც ხშირად დადის დედასთან, სამტრედიიდან. მისი შვილები, დათუნა და მამუკა, ბებიას ხშირი სტუმრებია.

დათუნამ ერთხელ უთხრა:

— ბები, ეს ინდური კალთაში რომ ჩაგიჭენია და ძალათ ატენი საშემეს პირში, ესეც შენი შვილიშვილია? ბებიას მაშინ ისე გაეცინა, ჭორკოდან გადაეარდა და პირგამოტენილი ინდურიც კინალამ გაგუდა.

ახლა ოცნება სხვა შვილებს მისწვდა...

ავთანდილი დილით ჩამოჰყვება მატარებელს. თალიკოცა და ნუნუც მასთან ერთად ჩამოვლენ. რძალთან და სიძეებთან ერთად რუსთავიდან ხუთი შვილიშვილი ესტუმრება.

აივსება ეზო, გამზიარულდება გული... რვა სიმი სიმღერას მოინდომებს. მხოლოდ ერთი, მეტხზე, გაწყვეტილი სიმი აკენსდება...

ალარ არის ბიძია კოსტა. მისი ცხოვრება ბრძოლა იყო. დიახ, ბრძოლა სიცოცხლისათვის,

სიკეთისათვის. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი მთესველი იყო. ბოლოს, ნაყოფის მომკის დროც დადგა... უხვად დააჭილდოვა იგი ცხოვრებამ, რომელმაც პირველ წლებში კინალამ წელში გაწყვიტა.

იმ სუსხიან ზამთარს, ნიჩბით ხელში, თოვლში რომ გზას კვალავდა, ის ჩვენი გასაველი გზაც იყო.

მინდორს რომ ეკალ-ბარდისაგან წმენდდა, ამასაც სიკეთის სახელით აკეთებდა.

მის მიერ ანაგები ზიდი ჩვენთვის არის გადებული.

მის მიერ ნაშენი ელექტროსადგურები ჩვენი ცხოვრების გზას აჩირადნებენ.

ჩვენი მიწა მისი ფესვებითაა დაქსეული. ამ ფესვებზე, როგორც ვაზის სამამულე რქაზე, მტევნებივითაა დასხმული ახალი სიცოცხლე...

— აღამიანი, ვინც თუნდაც ერთი ხე ახარა, ბედნიერია — მის ცხოვრებას უნაყოფოდ არ ჩაუვლიაო, — ნათქვამია.

მაშინ კოსტაზე რა ითქმის, მან ზომ ამდენი სიცოცხლე ახარა, ამდენი სიკეთე თესა ამ ქვეყანაზე!...



# 1868—1968

მნიშვნელოვანი

## ქართული მოტივები ეპიკურ გორაკის კომპლექსურ ლიტერატურულ გეგმიურ კომპლექსში

მიმდინარე წელს მთელი ნოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს გენიალური პროლეტარული მწერლის მ. გორაკის დაბადებიდან 100 წლისთავს. როგორც ცნობილია, მ. გორაკმა ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე გაბედულად შეაბიჯა ყველა ერისა და ყველა ეპოქის უდიდეს მოაზროვნეთა წმიდათა წმიდა ტაძარში. ასეთი საყოველთაო აღიარება და პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა, მან თავისი უქცობით ტილოებით მოიპოვა.

დიდი ხანია ტრადიციად იქცა, რომ მწერლის საიუბილეო ზემის დროს თვალი გადაავლონ განვლილ გზას, შეაჯამონ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგები, აღნიშნონ შემოქმედის თხზულებებში ახალი, მანამდე შეუძინებელი მხარეები. დიდი მწერლის იუბილე არა მარტო ზეიმა, არამედ ფართო მასშტაბის სამეცნიერო სესიაცაა.

დღეს უკვე ყველანაირად უნდა გავიხსენოთ გორაკელების უდიდეს მიღწევებს. მწერლის შესახებ შექმნილია მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა. დიდი შემოქმედის მხატვრული მემკვიდრეობის ბევრმა კარდინალურმა საკითხმა ღრმა და დამაჩრებელი გამოქვეყნება მოიპოვა. მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მ. გორაკის შემოქმედების ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლულ საპრობლემო საკითხებს, რომლებიც შემდგომ კვლევა-ძიებასა და ანალიზს მოითხოვს. ასეთი რიგის პრობლემებს მიეკუთვნება მ. გორაკის შემოქმედებაში ქართული მოტივების, აქ მიღებულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ დიდი მწერლის შემოქმედება, განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში, მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან. უფრო მეტიც, მ. გორაკის ზოგიერთი მოთხრობის სრულყოფილი, მეცნიერულად დამაჩრებელი

ანალიზი ზემოაღნიშნული მომენტების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მკვლევარი, რომელიც კი შეხებია პროლეტარული მწერლის ურთიერთობას საქართველოსთან, მის დამოკიდებულებას ჩვენს კულტურასთან, სავანგებოდ აღნიშნავს, რომ „მ. გორაკი საქართველოში იშვა, როგორც მწერალი“, რომ „მან ჩვენი ქვეყანა მეორე სამშობლოდ“ აღიარა და სხვ. ასეთი მტკიცებისათვის უთუოდ არსებობს საფუძველი, მაგრამ სანამ ნაჩვენები არ იქნება, თუ რა ადგილი უჭირავს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ქართულ მოტივებს, აქ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, მანამ ეს კეთილი ზრახვით გამოთქმული მოსაზრებაც შეიძლება და დეკლარაციული მდარჩება. ცხადია, საქმეს ვერ შევლის ის ორიოდე ციტატი, რომელიც ასეთ შემთხვევაში მოჰყავთ ხოლმე.

ამავე დროს ყველასათვის აშკარაა, რომ მწერალი, რომელმაც გულთან მიიტანა „სათნო და რომანტიკოსი“ ქართველი ხალხის ბედი, გაიცნო ჩვენი ქვეყნის მდიდარი და უძველესი კულტურა, ვერ აიცილდა მის დადებით ზეგავლენას, მით უმეტეს, რომ მ. გორაკის საქართველოში ცხოვრების პერიოდი თანხვედნილია მისი შემოქმედებითი ჩამოყალიბების გადამწყვეტ მომენტთან. და მართლაც, ქართველთა ცხოვრება, ჩვენში განცდილმა და აღქმულმა შესამჩნევი ადგილი დაიჭირა მწერლის მემკვიდრეობაში. მწერალმა იმდროინდელი თავისი განწყობილება საქმიად რელიეფურად ასახა მოთხრობებში „შურისგება“, „ჩემი თანამგზავრი“, „შეცდომა“; ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ და სხვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. გორაკის ის ნაწარმოებები, რომლებშიც ქართულმა მოტივებმა სათანადო ასახვა ჰპოვა, რაღაც განსაკუთ-

რებულ ნაქად როდი ქმნიან, პირიქით: ისინი გორკის შემოქმედების ორგანულ ნაწილს შეადგენენ და საკრძობილად განსაზღვრავენ თვით მწერლის ლიტერატურულ სახესაც.

მ. გორკის შემოქმედებაში ქართული მოტივების გაშუქება საჭიროა ლიტერატურაში ჯერად არ არის დაძლეული ცალმხრივი, არასწორი და მოკიდებული ზეგნების საინტერესო პრობლემისადმი, საშუაბარად, ამ საკითხს ან სრულად შევლიან გვერდს, ანდა, რაც უფრო მეტად მიუღებელია, მისი მნიშვნელობა დაპყვით უბრალო მემუარული ხასიათის მასალებამდე. აღნიშნულ ნაწარმოებებს ყოველგვარი შეზღუდვისა და პირობითობის გარეშე მ. გორკის ბიოგრაფიის შესაქმნელად იყენებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მოთხრობა „ჩემს თანამგზავრზე“.

ქართული მოტივების შემცველი ისეთი ნაწარმოების თარგმნა, როგორცაა „შურისგება“, მხოლოდ 1956 წელს მოხერხდა, ხოლო „ყაჩაღები კავკასიაში“ დღესაც არ არის თარგმნილი მთლიანად. ეს კი ქართველ მკითხველს აშკარად უშლის ხელს, დიდი მწერლის შემოქმედებაში დაინახოს და სწორად შეაფასოს ქართული მოტივების ადგილი და მნიშვნელობა. „შურისგება“ 1949 წლამდე არც მ. გორკის თხზულებათა კრებულში შესულა (საშუაბარად, „ყაჩაღები კავკასიაში“ ახლაც არაა შესული), მაშინ როდესაც ავტორმა „შურისგება“ ჯერ კიდევ 1898 წელს გაუზგავნა გამოქვეყნებულ ს. პ. დოროვატოვსკის „ნარკვევებისა და მოთხრობების“ III ტომში შესატანად. (იხ. М. Горький, Собрание сочинений. В тридцати томах. Т. 28. М., стр. 33.)<sup>1</sup> რატომღაც მოთხრობა მაშინ კრებულში ვერ შევიდა, შემდეგ კი მისი არსებობაც დაივიწყეს.

„შურისგება“ მ. გორკის შემოქმედებაში პირველი ნაწარმოებია, სადაც საქართველოს სიმამდელი მხატვრული ასახვა პოვა. ამავე დროს ამ მოთხრობაში მ. გორკიმ პირველად მოგვცა ქართველი მაქსიმე ბუაჩის დადებითი, მეტად მიმზიდველი და სანდომიანი მხატვრული სახე. მთლიანად ნაწარმოები გასული შედარებებს მოგვაგონებს (ეს თვით ქვესათაურდანიც ჩანს) და თავისი კომპოზიციით ლერმონტოვის „ჩენი დროის გვირს“ წაავსებს. მწერალი სამსხვდასხვა, თითქმის დაოუკიდებელ ნარკვევებში შურისძიების სამ ფორმას აგვიწერს: ამავე დროს მოქმედებებიც სხვდასხვა ადგილას მიმდინარეობს. პირველ ნაწილში საქართველოს მთიანი რაიონია დახატული მისი გრანდიოზული ბუნებითა და სილამაზით. მეორეში მოქმედება ზერსონის მიდამოებში გადააქვს, ხოლო მესამეში — სამხრეთ ყირიმის მიმზიდველი ბუნება ნაჩვენები. ამ ნაწარმოებში ნაჩვენებ შურისძი-

ებებსაც სულ სხვდასხვა მოტივები უდევთ საფუძვლად. მაქსიმე ბუაჩის მოქმედებას წარმართავს შვილის მკვლელობის საშვირის გადახდის მიზმი, მაგრამ ადვილად გასაგები გრძნობა. მამა, რომელმაც უღანაშაულოდ დაკარგა ერთადერთი შვილი, დაუნდობელი და შეურიგებელია მკვლელის მიმართ. მკითხველს არ შეუძლია, არ უთანაგრძნოს მოხუცს. ბუაჩე მტკიცედ და უკომპრომისოდ იბრძვის განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. თუმცა მოხუცს არ „უყურია“ სისხლი, როგორც ეს მოთხრობაშია ნაჩვენებ, მაგრამ ის იძულებულია ასეთ ნაბიჯი გადადგას, რათა ამ გზით მიიწი მიღწიის სამართლიანობას.

მაქსიმე ბუაჩის მხატვრული სახე ბევრად უფრო იგება მომდევნო ნარკვევებში უარყოფითი გმირების ფონზე; თითქმის მწერალმა ეს სახეები განზრახ, დადებითი გმირის გამოსაკეთად შექმნა. მკითხველს ხიზლავს მაქსიმე ბუაჩის გაეკაცური, მტკიცე ხასიათი; ასევე, არ შეიძლება სრულად სწინააღმდეგო რეაქცია არ გამოიწვიოს მკითხველში მენავის, ბატონისა და წერილის ავტორის უზადრეკმა სახეებმა.

მკითხველის განსაკუთრებულ ზიზღსა და რისხვას იწვევს მემუარულ წუბუბეში ჩაფლული მენავის მახინჯი სახე. მენავებს საბოლოოდ დაუკარგავს ყოველივე ადამიანური და ცხოველური ინსტინქტთა მონად ქცეულა. სიმამინჯის ამ უკიდურეს გამოვლენას მხოლოდ სიმუწუნის გრძნობა გააჩნია: იგი ფულისათვის ყველაფერს თმობს. მის ქაღვიფის კატისა ბატონისგულმა ნამუსი ახადა, ხოლო ფეხმძიმე შინამოსამსახურე სახლიდან გააგდო. კატის მდგომარეობა ტრაგიკულია, იგი მეძებობით ირჩენს თავს, მას ყველა სცემს და შეურაცხავს. ყოველივე ამას ხედავს მამა; მან იცის, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ნაცვლად შურისძიებისა, ბოროტმოქმედისაგან ფულს იღებს და ამით კმაყოფილდება.

კიდევ უფრო მეტ ზიზღს იწვევს ბატონი, რომელსაც მენავის ყველა უარყოფითი თვისება გააჩნია, მაგრამ მისი გამბედაობა და პირდაპირობა აცლია — მხდალი, ოპორია და გაიძვირა. ადამიანი მისთვის არსებობს მხოლოდ პირად ინსტინქტებისა და კაპრიზების დასაკეთვლად. იგი მენავის შესაფერისი პარტნიორია, თუმცა სხვდასხვა სოციალურ ბანაკს მიეკუთვნებიან.

როგორც ვხედავთ, ავტორმა ამ ნაწილში გვიჩვენა შურისძიება უსისხლოდ. მაგრამ მწერალს, რომელიც ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში ხედავდა გამოსავალს, არ შეეძლო, მიეღო შურისძიების ეს „შევილი“ ფორმა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნაყარნახები იყო ბურჟუაზიული საზოგადოების მორალის: ბურჟუაზიის არ შეუძლია დაუშვას შურისძიება, რადგანაც ის, უპირველეს ყოვლისა, მის წინა-

<sup>1</sup> შემდგომში ამ გამოცემაზე მითითებული იქნება დაუსახელებლად. პირველი ციფრი აღნიშნავს ტომს, მეორე კი გვერდს.

**ბიზი გვენებაძე**  
ქართული მოტივები მ. გორკის  
ლიტერატურულ მიმკვიდრეობაში

აღმდეგ შემობრუნდება. იციან რა ყოველივე ეს, ბურჟუაზიის იდეოლოგები „ბედისადმი დამორჩილებას“, ანუ დემარტობასთან შერიგებას მოარჩილებს, რაც ესე უწინააღმდეგებლა და უცხოპოელო ხასიათის მწერლის ბუნებას.

ნაწარმოების მესამე ნაწილში არ არის არამც თუ სისხლისღვრა და მკვლელობა, არამედ ის მოჩვენებითი ძალადობა და შექარაყ, რაც მეორე ნაწილში გვხვდება. მწერალი გვიჩვენებს, რა გზით იძია შური არისტოკრატმა „შუთრაცხყოფილი ღირსების“ გამო. ლაბარაკია წერილის ავტორზე, რომელიც თავის მეგობარს მოუთხოვს იმის შესახებ, თუ როგორ დააწმენდა მისადმი სიყვარულში უღამახესი ქალი ვარჯირა ვასილის ასული და როგორ იძია მასზე შური მხოლოდ იმით, რომ მანდილოსანი თავდაპირველად ქედმაღლურად შეხვდა წერილის ავტორის წინადადებას და არ გაიზიარა მისი გრძნობა. გადის დრო, წერილის ავტორი არისტოკრატული სიღნეითა და მეთოდური თანმიმდევრებით უმტკიცებს ვარჯირა ვასილის ასულს, სიყვარულს და ბოლოს კიდევაც აღწევს მიზანს. მაგრამ, როცა ვარჯირამ თანაგრძნობით უბასუბა წერილის ავტორს, ამ უკანასკნელმა უტიფრად შეაქცია ზურგი და გულწასული ქალი ბაღში დაიტოვა.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მან დიდი გმირობა ჩაიდინა. მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდა მწერალი. მ. გორკი როცა უარყოფდა საყუთარ თავზე გამარჯვების სირთულეს, მხოლოდ მიაჩნდა, რომ ადამიანის ყოველ მოქმედებას უნდა განსაზღვრავდეს საბატიო მიზანი. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოარღვეს თვით გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, წერილის ავტორის მოქმედება ძალზე შორს იყო ასეთი გაზრებიზავან — მის ეწორს, ევოლუტორ გრძნობები ამოქმედდებდნენ.

მ. გორკიმ აღნიშნულ ნაწარმოებში გვიჩვენა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შურისძიება და სამივე შემთხვევაში ადამიანის მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, იცავდა მოქალაქის თვითდაცვის კანონიერ უფლებებს. მწერალმა აკრებდა იცის, რომ საზოგადოების ბრძოლა თავისუფლებისათვის რთულია, რომ სწორად ეს ბრძოლა წინააღმდეგობებითაც ხასიათდება. მწერალს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ პიროვნული შურისძიება თავისთავად პრიმიტიულია, საკმაოდ მარტივი იარაღია სოციალურ თუ პაროვნულ უთანასწორობასთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, მ. გორკი იმ დროს სხვა უფრო რეალურ საშუალებას ვერ ხედავდა და ამიტომაც მეშინაურ თვითმკაცყოფილებას, ბურჟუაზიის იდეოლოგთა „ბედთან შერიგების“ უხამს პროპაგანდას პროტესტის თუ ბრძოლის ამ იარაღ უპირისპირებას.

„ბუნებრივია, — წერდა მ. გორკი, — რევოლუციურ ჯგუფთა ტერორისტული აქტები, აქტები თვითდაცვისა, ანდა შურისძიებისა სრულ-

ლიად კანონიერია...“ იქვე, ცოტა ქვემოთ მწერალი განაგრძობს: „მე ისე დიდად ვაფასებ ადამიანს, რომ არ შემიძლია მკვლელობა გამართლო, მაგრამ, ეცემ რა პატრეს მოქალაქეს, მე მისი თვითდაცვის უფლებაააც ვაღიარებ“ (М. Горький в эпоху революции 1905—1907 годов. М., 1957, стр. 61).

რევოლუციური ქართველების უბედლო მომღერლის აღნიშნული შეხედულება მოგვიანებით კლასიკურ ფორმულირებას იღებს — „თუ მტერი არ ნებდება — მას სპობენ“. დიდი მწერლის ეს სიტყვები საფუძვლად დაედო საბჭოთა ჰუმანიზმს და დღეს ის მთელი პროგრესული კაცობრიობის სამოქმედო ლოზუნგია.

სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა მ. გორკი მოთხრობა „შურისგების“ გმირისა ხატვის დროს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მწერალმა უპირატესობა მაქსიმე ბუჟიქს მიაკუთვნა, ამავე დროს გორკი ვაშავეგიტით ესხმის თავს და სასტიკად გამოს ბურჟუაზიული საზოგადოების მერკანტილისტური მორალით დაკნინებულ ადამიანებს. სწორედ ასეთ ადამიანთა განსახიერებას იძლევა მენაფის, ბატონისა და წერილის ავტორის მხატვრულ სახეებში. ისინი პირად „მეს“ აძლევენ უპირატესობას, რომელიც თვითიან ბოლომდე განაპირობებდა მათ შორის ურთიერთობასაც.

მ. გორკიმ ამაყ და თავისუფლების მოტრფილ მთის შვილებს ბურჟუაზიული საზოგადოების გადაგვარებული ადამიანები დაუპირისპირა და თვითონ მთლიანად მაქსიმე ბუჟიქსა და მისი შვილის ვანოს მხარეზე დადგა. რომანტიკულად განწყობილმა ახალგაზრდა მწერალმა თავისი მემამულური მთის გამოძახებითი თვითუღმეში პოემა და სათი გმირული საქმეები მისაბამ მაგალითად დასახა. პროტესტანტული სულით გაყვნიებული ეს მოთხრობა მ. გორკის აღრინდელი შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნაწარმოებია, რომლის რომანტიკული პათოსი დღესაც ხიბლავს მკითხველს.

მ. გორკი ქართულ სინამდვილეს იმდენად დაუახლოვდა, რომ შესაძლებლად მიიჩნია ჩვენი ცხოვრებიდან უარყოფითი მოვლენების დასურათებაც. პროლეტარიატის დიდი მხატვრის აღრინდელ შემოქმედებაში „ჩემი თანამგზავრი“ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. ავტორი სრულყოფილად წარმოგივლენს ცხოვრების აზრის მიძიებელ დადებით გმირს. მისი მაქსიმირი კლასობრივი თვითშეგნების გზაზე შემდგარი პროლეტარიატის მისწრაფებათა მხატვრული განზოგადების აღრინდელი, მაგრამ წარმატებითი ცდაა.

როგორც ცნობილია, თვითონ მ. გორკი პროლეტარიატთან ერთად იკავებდა ზნას და მასთან ერთად ეძიებდა არსებულ სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლის საშუალებას. ეს ძიება საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. მაგრამ მწერალმა მშვენიერად გაართვა თავი ჩამოყალიბების ურთულეს პრო-

ცეს და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. პროლეტარიატის დიდი მხატვრის შემოქმედებით მიუხედავად გზაზე მოთხრობა „ჩემი თანამგზავრი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ეტაპური ხასიათის ნაწარმოებია. აქ ავტორმა მეტად ყურადსაღები პრობლემები წამოჭრა, ერთმანეთს დაუპირისპირა ცხოვრების ორი საწინააღმდეგო საწყისი. ქმედით, მეტბოლო და მოწინავე იდეებით შეიარაღებულ მაქსიმიზმს წინ აღუდგა „პირუტყველი ეგოიზმის“, ანარქისტული ნიპილიზმისა და სრული უმოქმედობის განსახიერება — შაქრო პტაძე.

„ჩემი თანამგზავრი“ თავის დროზე კრიტიკოსებისა და მკითხველების ფართო გამოხმაურება გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაწარმოების ძირითადი აზრი ყურადღების მიღმა დარჩა, მსჯელობის ცენტრში კი შაქრო პტაძის ქართულური წარმოშობა აღმოჩნდა. ამ გზით ბრუტუალიზმი კრიტიკა ცდილობდა ავტორისეული ჩანაფიქრის დაჩრდილვას და მთავარი საგან მკითხველს ყურადღების ჩამოშორებას, მის ვადატანას მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო დეტალებზე.

მ. გორკი თითქოს გრძნობდა ამას და შეეცადა ბრძოლათვის ასეთი მტკიცების სახაბი არ დაეტოვებინა. მწერალს სურდა „ნარკვევებისა და მოთხრობების“ III წიგნში ერთდროულად შესულიყო „შურისგება“ (სადაც საქართველოს სინამდვილიდან აღებული დანებებით ტიპია დაბატული) და „ჩემი თანამგზავრი“, როგორც აღვნიშნეთ, „შურისგება“ კრებულში არ აღმოჩნდა, ხოლო „ჩემი თანამგზავრი“ ავტორის გარკვეული მერყეობის შემდეგ მაინც შეიტანეს III წიგნში. ამან უდაოდ ხელი შეუწყო იმ ცალმხრივ მტკიცებას, რომელიც საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული როგორც რუსულ, ასევე ქართულ რევოლუციამდე კრიტიკაში. სამწუხაროდ, ამ წინასწარ აგვიტებული შეხედულების ცალკეული გამოძახალი შემდგომშიაც გვხვდება.

მ. გორკი „ჩემს თანამგზავრზე“ ძირითადად 1894 წელს მუშაობდა და იმავე წელს დაბეჭდა „სამარსკაია ვახუტაში“. რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი მოთხრობას, აშკარად ჩანს თვით ნაწარმოების შექმნის ისტორიიდანაც. „ჩემს თანამგზავრს“ ის სახე, როგორც თვით ამჟამად ვიცნობთ, თავიდან როდი ჰქონია. მწერალი თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე და ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში უბრუნდებოდა მას, შეპქონდა შესამჩნევი ცვლილებები, რის შედეგად „ჩემი თანამგზავრის“ ახალი რედაქცია შექმნა.

როგორც ცნობილია, მოთხრობის ხელნაწერი არ შემონახულა, მიუხედავად ამისა, ვახუტაში გამოქვეყნებული ტექსტის შემდგომ გამოცემებთან შედარებით, სავსებით ნათელი ხდება მოთხრობაზე მწერლის მუშაობის ხასიათი. გამოქვეყნებული მოთხრობის ტექსტში პირველი შესწორებები მ. გორკიმ 1899 წელს

შეიტანა, ხოლო მეორე, საგრძნობი ცვლილებები 1922 წელსაა შეტანილი. ავტორი მოთხრობის ტექსტზე უკანასკნელად 1922 წელს მუშაობდა.

მ. გორკის ასეთი საგანგებო ყურადღება მოთხრობისადმი გამოწვეული იყო არა მხოლოდ მისი შინაარსის მნიშვნელობით, არამედ თვით ჩანაფიქრის სირთულითაც. მწერალს, როგორც თვითონ აღიარებს, გაუძნელდა მოთხრობის ძირითადი იდეური აზრის სრულყოფილი ჩამოყალიბება, ძნელი აღმოჩნდა თვით ხასიათების განსაზღვრული თვისებების გამოკვეთაც. „ჩემი თანამგზავრი“, — სწერდა მ. გორკი ი. ე. რუბინს, — ასევე ცუდად ასახული შემთხვევაა. ეს კი საწყენია, — კარგი თემაა. დიდ მწერალს მისგან შეეძლო კლასიკური ნაწარმოები შექმნა“ (28,101).

იმავე შეხედულებას „ჩემი თანამგზავრის“ მხატვრულ სრულყოფაზე მ. გორკი უფრო კატეგორიულად იმეორებს ა. პ. ჩხვოსისადმი გაგზავნილ წერილში. „რაც შეეხება ჩემი უკეთესი მოთხრობების ცალკე წიგნად გამოცემას, ეს თქვენ ჩინებულად მოგადიქრებიათ. მე ამას გაეცეთებ, მხოლოდ ვადატართ არ ვეთანხმები მისს, რომ „ჩემი თანამგზავრი“ — კარგი მოთხრობაა. ვინა ასე უნდა დაწერილიყო ამ თემამზე?“ (28,113).

როგორც ირკვევა, მწერალს ასეთი მტკიცებისათვის საფუძველი ჰქონია. ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი, წარმოვედგინოს მოწინავე კლასის სოციალური თანამგზავრი, მხოლოდ ნაწარმოების საბოლოო რედაქციაში გამოიკვეთა.

მ. გორკის სურდა გავგო, რამდენად სწორად დაედა მკითხველამდე მოთხრობის ძირითადი იდეური აზრი, რომელიც თვითონ მწერალმა ასე განსაზღვრა: „მე, ჩემი აზრით, საკმაოდ გარკვეულობით ვაჩვენე ცხოველური ეგოიზმის „სიმშვენიერნი“ „ჩემს თანამგზავრში“. ეს ეგოიზმი შერწყმული „არამზადას“, ლუკას და მარკუსას („კოეპიანიკში“) თაღლითურ ფილოსოფიასთან, იძლევა იმას, რაც ჩვენ, რუსებს გვღუბავს, — ეს არის ჩვენი მღრღნელი ავადმყოფობა, რომელსაც შეიძლება უწოდოთ პასიური ანარქიზმი. ამ ავადმყოფობას საფუძვლად უდევს სასოწარკვეთა, უიმედობა, საუკთარი ძალების რწმენის უქონლობა“ (Архив А. М. Горького. ПГ—рл—23—15).

მ. გორკი „ჩემს თანამგზავრზე“ და მის გმირებზე საუბრობდა ლ. ნ. ტოლსტოისთანაც, რომელსაც მოთხრობის რეალისტური მხარე მოსწონებია. ამ გენიალურ მწერლებთან საუბრის დროს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა

**ბიძი ვაჟინტაძე**

პარტული მოტივიები მ. გორკის  
ლიტერატურულ მიმკვიდრეობაში



გორკი ვაბედულად ავითარებს თავის შეხედულებას სოციალურ თანამგზავრობაზე და არწმუნებს ლ. ნ. ტოლსტოის ასეთი თანამგზავრობის მოსაზრების ატოლებლობაში. „მე შევნიშნე, — წერს მ. გორკი, — სანამ ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანისებურ და აუცილებელ „თანამგზავრობა“ მჭიდრო გარემოცვაში, მანამ ჩვენს მიერ ყველაფერი შენდება მერყევე ნიადაგზე, მტრულ გარემოში“ (14, 295).

მ. გორკის სხვა დროსაც არა ერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ მოთხრობის აზრი ვაცილებით ღრმა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ წაიშოვდებოდა. ამიტომ მწერალს დაეშვებოდად მიაჩნია „ჩემი თანამგზავრის“ ცალმხრივად განხილვა, მისი მნიშვნელობის მემუარულ ნაწარმოებამდე დაყვანა. ასეთ შემთხვევაში — გორკის ღრმა რწმენით — მოთხრობის მთავარი კონფლიქტი სიმძაფრეს კარგავდა, ხოლო ნაწარმოების ძირითადი დანოშნულება და მისი მამხილებელი ძალა შეუთქმნეველი რჩებოდა.

ამავე დროს დიდი მწერალი არ უარყოფდა, რომ „ჩემი თანამგზავრიც“, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა მისი მოთხრობა, დაწერილი იყო ფაქტობრივი მასალის, პირადი განცდებისა და მოგონებების გამოყენებით. მწერალს მიაჩნდა, რომ მოთხრობაში არის „ბიოგრაფიული ხასიათის მოწყობები“, მაგრამ ის არ არის მემუარული ნაწარმოები და მისი უსტოპოგრაფიულ ნაწარმოებზე აღიარება ავსაფუძვლოა. თუ არა ამით, სხვა რით უნდა აიხსნას ის განაწყენებული ტონი, რომელიც ასე აშკარად ჩანს მ. გორკის წერილში თავისი ბიოგრაფისადმი. ილია გრუზდევმა 1926 წელს მ. გორკის მოთხრობების მიხედვით შეადგინა წიგნი: „მაქსიმ გორკის ცხოვრება და თავგადასავალი“. ამ წიგნში, სხვათა შორის, თითქმის მთლიანად შეიტანა „ჩემი თანამგზავრი“, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც შაქრო პტაძის მხატვრული სახე ყალიბდება. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ისეა წარმოდგენილი, თითქოს მას დოკუმენტური ხასიათი ჰქონდეს. მხატვრული ნაწარმოებისადმი ასეთი მიდგომათ ჩვენ ვერ ავტოვებთ მის ცალმხრივ აღქმას, ხოლო ავტორის უნებლიეთ ჩრდილს მივაყენებთ, შევუქმნით მას არახელსაყრელ რეპუტაციას. ამას განძობდა თვითონ გორკიც.

„ახლა მე თქვენ, გრუზდევ, — წერდა მ. გორკი აღნიშნული წიგნის თაობაზე, — დეპეშით გამოგიგზავნეთ ნებართვა, დაბეჭდოთ წიგნი ბავშვებისათვის: „მ. გორკის ცხოვრება“, მაგრამ, გეტყვით პირდაპირ: თქვენ რომ ეს გეითხზათ მანამ, ვიდრე დაიწყებდით მუშაობას ამ წიგნზე, რა თქმა უნდა, არ დაგრთავდით ნების“. (Архив А. М. Горького. Т. XI, М., 1966, стр. 49).

მწერალი ვერ ურიგდებოდა, როცა არასწო-

რად იგებდნენ მისი მოთხრობის აზრს და ცალკეულ სახეთა იდურ მხარეს ამხიანებდნენ. განსაკუთრებით განიცდიდა იგი შაქრო პტაძის მხატვრული სახის გაყალბებას, მისი სოციალური ბუნების იგნორირებას. „თავადი შაქრო, — სწერდა გორკი კ. ჩუკოვსკის, — ჩემი, თქვენი, ჩვენი თანამგზავრია. მე მისი იდეოლოგია კი არა, მტერი ვარ“ (Жур. «Молодая гвардия», 1938, № 6, стр. 55).

თვალნათლივ ვხედავთ, როგორ სცოდადნენ ბურჟუაზიული კრიტიკის მესვეურებმა, როდესაც „ჩემი თანამგზავრის“ განხილვას წინასწარ აკვიებებელი მოსაზრებებით უღვებოდნენ და მის ავტორს ნაციონალურ მიეკრობებას უეციებდნენ. ასეთი გამოხდომების ძირითადი მოზანი იყო დიდი მწერლის ავტორიტეტის შეღავა.

მორწინავე კითხველმა სწორად გაიგო „ჩემი თანამგზავრი“ და არ გაიზიარა მოსაზრება, თითქოს ის მხოლოდ მემუარული ნაწარმოები ყოფილიყო. ამ მოსაზრებამ ასახვა ჰპოვა ვაზუთ „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო წერილში, რომელიც 1903 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა „ჩემი თანამგზავრის“ ქართული თარგმანის გამოქვეყნების გამო. საციობის შემდგომმა შესწავლამ საცხები ნათუპყო „ცნობის ფურცლის“ რედაქციის პოზიციის სისწორე. მოთხრობის მთელ რიგ ადგილებს, კერძოდ, შაქრო პტაძის მხატვრულ სახეს, დაქებნა ლიტერატურული წყაროები, რომლებსაც შაქროს პოტოტიბთან არ შეიძლება რამე საერთო ჰქონოდა.

მოთხრობა „შეცდომა“ მ. გორკის აღრინდული შთაბეჭდილებების, დაკვირებისა და განცდების შემაგამებელი ნაწარმოებად ითვლება. ამ მხატვრულ ტილოში ავტორი ძირითადად ხალხსნებთან ურთიერთობით მიღებულ გამოცდილებას განაზოვადებს. მოთხრობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიჭირა თბილისის წრის სამოცდაათიანელთა ცხოვრებამ, მათ საქმიანობაზე დაკვირებით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. მ. გორკი თბილისში ჩამოსვლისთანავე ხალხოსანთა წრეში აღმოჩნდა, დაუახლოვდა ამ წრის წევრებს და ბევრ მათგანთან აზლო ურთიერთობაც დაამყარა.

საერთოდ ცნობილია, რომ მ. გორკის ხალხოსან ინტელიგენციასთან ყმაწვილობიდანვე აზლო ურთიერთობა აკავშირებდა. ამ წრესთან სიახლოვემ გარკვეული კვალ დატოვა მის ლიტერატურულ შემკვიდრებაში. ფაქტურად ხალხოსნები იყვნენ ის ადამიანები, რომელთა წრეში მ. გორკიმ პირველად მიიღო არალეგალური დავალება და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში. ცნობილია ვოლგისპირეთის ხალხოსანთა ზეგავლენა ახალგაზრდა პეშკოვის ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, როგორც თვითონ გორკის არაერთგზის აღუნიშნავს, ე. კოროლენკომ, ა. ლანინმა, მ. რომანმა, ა. დე-

რეკომბა, გ. პლენიკომბა და სხვებმა მომავალ მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ხალხონათა ის წრე, რომელთანაც ახალგაზრდა პეშკოვის ახლო ურთიერთობა ჰქონდა, წარსულით სამოცდაათიანელებს უკავშირდებოდა. ამ წრის ზოგიერთმა წევრმა შემდგომში ევოლუცია განიცადა ხალხოსნობიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ იგივე ე. კაროლენკო და ვ. პლენიკოვი. იმავე წრესთან ურთიერთობა ჰქონდათ რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც მოგვიანებით ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები გახდნენ; მათ შორის ს. სომოვის, ვ. დენიციისა და სხვებს. ამავე დროს მეცნიერული ჰეშმარიტება მოითხოვს, საგანგებოდ აღინიშნოს ახალგაზრდა პეშკოვე ზალხოსან-ინტელიგენტთა, უწინარეს ყოვლისა, პირადი მავალითის ზეგავლენა. ახალგაზრდა პეშკოვის ხიბლავდა მათი გმირული წარსული, ფართო ერუდიცია, ცხოვრების უშუალო განცდა, პატიოსნება, მოუხსიდველობა და, რაც მთავარია, რომანტიულად განწყობილ ახალგაზრდას ატყევებდა ამ ცვილშობილ ადამიანთა ურყევი რწმენა და საქმისადმი ფანტიკური სიყვარული. მხოლოდ ამით შეიძლება ახსნას, რომ მ. გორკიმ მას შემდეგაც, როდესაც საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა პრაქტიკოს ხალხოსნებთან და დავმო მათი ბრძოლის მეთოდი, შეინარჩუნა და ბოლომდე პატივისცემით ეკიდებოდა ბევრ ხალხოსან ინტელიგენტს. მათ შორის: კოროლენკოს, ლანინს, კალიუენის... აღიარებდა მათ თავის მასწავლებლებად.

ყოველივე ზემოთქმული არ მოგვიცემა ხალხოსნებთან მ. გორკის ურთიერთობაზე სრულ წარმოდგენას, თუ არ ადვინშნადით ახალგაზრდა პეშკოვის ინტუიციის საოცარ ძალას, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი დამოკიდებულება ხალხოსნობასთან. მ. გორკიმ, ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში ზურგი შეაქცია ამ მოძრაობას და გაბედულად გაიკაფა გზა ბოლშევიზმისაკენ. ამიტომ შექმლო დიდ მწერალს ხალხოსნებთან პექრობის დროს თქვა: „თქვეს იტყვიო, — მარქსისტია დახ, ვარ მარქსიზმი, მაგრამ არა მარქსის მიხედვით, არამედ ტყავი მაქვს ძლიერ გამოქნილი. მე მარქსიზმი, წიგნზე უფრო და მათზე უკეთესად, შემასწავლა ყაზანელმა მეფუნთუშე სემინოვმა...“ (М. Горький. Материалы и исследования, Т. III, л. 1941, стр. 87). ეს აზრი გორკის შემდგომშიაც არა ერთხელ გაუმეორებია.

იღვრო საფუძველზე მ. გორკის უთანხმოება ხალხოსნებთან ჯერ კიდევ ყაზანის პერიოდის იწყება. მართალია, ყაზანში ჩამოსული ალიოშა პეშკოვი დუახლოვდა ხალხოსანთა წრეებს (ერთხანს გატაცებით ისმენდა მოხსე-

ნებებსა და რეფერატებს ამ წრეების სხდომებზე), მაგრამ იმ დროისათვის თვითონ ა. პეშკოვის უკვე ცხოვრების საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. რაც მთავარია, ახალგაზრდა პეშკოვის დაკვირვებები ცხოვრების სოციალურ მოვლენებზე საგანძობლად სცილდებოდა ხალხოსნების დოგმებს და ხშირ შემთხვევაში რადიკალურადც ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ყმაწვილ ალიოშასათვის სრულიად ახალი იყო ის ატმოფერო, რომელიც სუფევდა ამ წრეებში, უცხო იყო მისთვის წერებზე შორის იღვრო საფუძველზე დამყარებული ურთიერთობაც და ამიტომაც პროტესტობის მომავალი მხატვარი გატაცებით უსმენდა ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ რუს ხალხზე ზრუნვით აღსავსენი, რომლებსაც რუსეთის მომავლის ბედი მუდამ აღელებდათ. ყოველთვის ავზნებული გაზეთების დასკვნებით, ქალაქისა და უნივერსიტეტის ცხოვრების ამბებით — ისინი საღამოობით ყაზანის ყველა ქუჩიდან თავს იყრიდნენ დერენკოვის ლექანში ცხარე კამითისა, ქუჩებში კი წყნარი ჩურჩულისათვის“ (13,535).

მიუხედავად ამისა, მ. გორკიმ იმთავითვე შეამჩნია, რომ ხალხოსნების სიტყვასა და საქმეს შორის გადაულახავი უფსკრულია, რომ მარტო სიტყვი საქმეს ვერ უშვებოდნენ. საჭირო იყო სხვა რადიკალური ზომების მიღება, რათა ხალხის მდგომარეობა გამოეწორობინათ. მ. გორკი არ ეთანხმებოდა მათ თვით ხალხის ბუნების განსაზღვრაში, არ იზიარებდა ხალხოსნების მიერ გლახობა იდეალოზაციას. ის, რაც ა. პეშკოვის ჰქონდა ნახული, საკუთარი დაკვირვებებით გააზრებული და აღქმული, ეწინააღმდეგებოდა ხალხოსნების წარმოდგენას ხალხზე: „როგორც სულიერი სიღამაზის, სიბრძნისა და კეთილშობილების განსახიერებას“. „მე არ ვიციობდი ასეთ ხალხს, — წერდა მოგვიანებით მ. გორკი, — მე მინახავს დურგლები, მტკირობები, კალატოზები, ეიცნობდი იაკობს, ოსიბს, გრიგორის“ (13,538). მ. გორკის ხალხოსნებთან ურთიერთობის განსაზღვრაში უთუოდ დაეხმარა ე. ვედოსიევი, რომელსაც იგი არაუგალოურ შეკრებაზე შეხვდა.

ხალხოსნებში იმედის გაცრეუება ყმაწვილმა ალიოშამ მიიმედ განიცადა, ერთხანს დაიბნა კიდევ, დაკარგა ორიენტაცია და თვითმკვლელობაც ე სცადა. მომავალი მწერალი ადგოს ვერ პოულობს და ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ მ. გორკი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს, ცდილობდა საკუთარი დაკვირვებით დამოუკიდებ-

**2030 პენენაპა**

პარამული მოტივები მ. გორკის ლიტმარატურულ მემკვიდრეობაში





ლად გაეცაფა გზა, ამოგხნა ცხოვრების უსუღმართობის მიზეზები. ძიების ამ ურთულეს პროცესში მყოფი მომავალი მწერალი 1891 წლის 1 ნოემბერს თბილისში აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, მ. გორკიმ აქ ვაატარა ერთი წელი, რომელიც მის ცხოვრებაში მრავალმხრივ საინტერესო და გარდამტეხი იყო. 1891-1892 წლებში მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად მდიდარი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ისინი დიდხანს კვებავენ მწერლის ფანტაზიას, ამღვეენ მას საჭირო მასალას მხატვრული ტილოების შესაქმნელად. ერთი მათგანი სწორედ მოთხრობა „შეცდომა“ა.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მ. გორკი თბილისში პირველად შეხვდა რევოლუციური ტრადიციების მქონე მუშათა კლასს, დაამყარა მათთან ახლო ურთიერთობა და განიცადა თბილისის პროლეტარიატის დადებითი ზეგავლენა. სწორედ ამ ზეგავლენის შედეგად მ. გორკიმ სულ სხვანაირად შეაფასა ხალხოსნები. ხალხოსან ინტელექტუალთა საქმიანობა, მათ მოძღვრებაში იმედის გაცრელება, რომელიც ყაზანში კინაღამ სიცოცხლის უფასოდ დაუჯდა ა. ბუშკოვს, ახლა სულ სხვა რეაქციას იწვევს მასში. მწერალმა მოთხრობა „შეცდომაში“ გონების თვალთ განსკვრიტა ხალხოსანთა წარსულიც, აწმყოც და უიმედო მომავალიც. ამჭერად მ. გორკის სურს უჩვენოს ფართო მკითხველ საზოგადოებას, თუ როგორ დიფერფლა უწმინდესი მისწრაფება, როგორ დაცხრა და ჩაქრა უდიდესი ენერგია, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდანე არჩეული იყო ბრძოლის არასწორი გზა და მეთოდი.

საკამარისია ოდნე ჩაუვყვირდეთ ხალხოსნურ მოძრაობას ჩვენში, რომ ნათელი გახდეს მისი სპეციფიურობა. ჯერ ერთი: არ შეიძლება ყურადღება არ მიიყაროს საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობის ხანგრძლივობა, მისმა ცხოვრებისუნარიანობამ, ალბათ ეს იმიტომ, რომ, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ამ მოძრაობამ მორე ფუნქციაც ჰქონდა: ის გამოწვეული იყო არა მხოლოდ სოციალური მიზეზებით, არამედ ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოტივებითაც და ეს უკანასკნელი უდავოდ თავის იერს ამღვედა ქართული ხალხოსნურ მოძრაობას. თუ რუსეთში 80-90-იან წლებში ხალხოსნურმა მოძრაობამ დაკარგა თავისი პროგრესული ძალა, რადგან მისი მამოძრავებელი სოციალური მიზეზები ამოიწურა, საქართველოში ამ მოძრაობამ პროგრესული ხასიათი შემდგომშიაც შეინარჩუნა, სწორედ ნაციონალურ-გამათავისუფლებელი თავისებურებების გამო. იმიტომაც იყო, რომ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს ასე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდნენ რუსეთის რევოლუციური ხალხოსანთა წარმომადგენლები. ისინი ადგილობრივ ხალხოს-

ნებთან ნიყო ნიყოლაცესთან, სოფრომში ბლიშვილთან, ეკატერინე ვაბაშვილთან, დღუტ მეგრელთან, მიაშვილთან, ჯაბადართან და სხვებთან ერთად ქმნიან საკმაოდ მრავალრიცხოვან წრეს. 90-იან წლებში თბილისში აღმოჩნდნენ სამოცდაათიანელების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც იუვენე ვ. ბერევე-ფურცოვსკი, კალიუჟინი, დანკო და სხვები. მოთხრობა „შეცდომის“ მთავარი გმირის კრავცოვის პროტოტიპი გოკლა თიტბაძე რევოლუციონერ-ხალხოსნებს მიეკუთვნებოდა. მაგრამ 80-იანი წლების მიწურულში შეიცვალა შეხედულება, გაეცნო მარქსისტულ ლიტერატურას და მისი დადებითი ზეგავლენა განიცადა.

თბილისში ჩამოსული ხალხოსნები, რა თქმა უნდა, ვერ ჩაწვდნენ მარქსიზმის არსს, მათთვის გაუგებარი დარჩა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის მესამე, პროლეტარული ეტაპი, მაგრამ თვითმპყრობლობასთან ბრძოლაში ისინი უმოქმედოდ მაინც არ დარჩნენ — რითაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ, საშეცდოათაიანელების „ნამსხვრევები“ წინააღმდეგობას უწევდნენ ცარიზმს. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ ყველა ისინი თითქმის ოქტომბრის რევოლუციამდე კანდარმერის ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. განიციდნენ დევნასა და შევიწროებას. ამავე დროს, საქართველოს ხალხოსანთა გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში მისი განვითარების მესამე ეტაპშიაც და ენერგიულად იბრძოდა მუშათა კლასთან ერთად.

საქართველოში ხალხოსნურმა მოძრაობამ შთააგონა მ. გორკის მოთხრობა „შეცდომის“ იდეური შინაარსი და მისცა საჭირო მასალა მის შესაქმნელად.

მოთხრობა „შეცდომამ“ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე გამოიწვია აზრთა სხვაობა თვით ხალხოსნების წრეში. ნ. მიხაილოვსკიმ, რომელსაც ეს მოთხრობა უნდა დაებეჭდა თავის ჟურნალ „რუსკოე ბოგატეგოში“, დანიხა, რომ იგი ხალხოსნების დოგმების წინააღმდეგ იყო მიმართული და უარი თქვა მის გამოქვეყნებაზე. აქედან მოკიდებული „შეცდომას“ არ მოეკლება როგორც მკითხველთა, ასევე კრიტიკოსთა ყურადღება. მაგრამ მოთხრობის ანალიზის დროს ზემოაღნიშნული მომენტებისათვის გვერდის ავლამ ნაწარმოების მთელი რიგი ადგილები ამოუხსნელი დატოვა და „შეცდომამ“ საჭირო სისრულთა გამოუქება ვერ ჰპოვა.

მ. გორკის ადრინდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ნარკვევს „ყაჩაღები კავკასიაში“ საპატიო ადგილი უჭირავს. აქ ავტორმა თავის დროისათვის მეტად აქტუალური საკითხები წამოჭრა და კიდევაც ვასცა მათ მეცნიერულად დამაყრებელი პასუხი. პუბლიცისტმა



საგანგებოდ აღნიშნა მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა უფლებო მდგომარეობა. ჩაგრულთა დიდი მგვობარი გაბედულად ექომაგება მათ, ფეხზლად დგას ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე. მ. გორკის ეს ზრუნვა საოცარი სისრულით გამოვლინდა ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“, რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუგოროდსკი ლისტოკის“ რამდენიმე ნომერში. ეს ნარკვევი კიდევ ერთი ბრწყინვალე დოკუმენტია, სადაც ავტორი მოუბრძვლად ამხელს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. მზის სინათლეზე გამოაქვს და სასტიკად გმობს ამ პოლიტიკის გამანადგურებელ შედეგებს. მ. გორკის მტკიცებით, კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ყაჩაღობა ამ მახინჯი პოლიტიკის კიდევ ერთი უბადრუკი გამოვლენა იყო.

ამავე დროს მ. გორკი კარგად ხედავდა ამ სოციალური დავადების დამღუბველ შედეგებს. მწერალმა იცის, თუ როგორ ბოროტად ატყუებდნენ ყაჩაღები მოსახლეობას, ძარცვავდნენ და ელტუნდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი დამშვიდებით უყურებდნენ ყოველივე ამას, იჩენდნენ სრულ უდარდლობას და პასიურობას. ამასობაში ყაჩაღების ბოროტებას ბოროტება ემატებოდა, იღვრებოდა განწირულ ადამიანთა სისხლი, მაგრამ მოსახლეობა მიიწივდა მათდამი ნდობით იყო განწყობილი.

ცნობილია, რომ მ. გორკი ნიენი-ნოვგოროდში წლების მანძილზე მუშაობდა გადამწერად ადვოკატ ა. ი. ლანინთან. ამ ცნობილ იურისტს მიღებოდა პრაქტიკა ჰქონდა და მომავალი მწერალიც ინტერესით აღევნებდა ავადყურს რუსეთის იურისპრუდენციის კანონმდებლობას, გულდასმით სწავლობდა სპეციალურ ლიტერატურას, ეძებდა პასუხს დანაშაულობათა ზრდის მიზეზებზე. ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ აშკარად ჩანს მ. გორკის ნაეთხობა და განსწავლულობა, მწერლის კარგი ორიენტაცია და დანაშაულობათა გამომწვევი სოციალური მიზეზების მიგნების საოცარი ალღო. ამ ნარკვევიდან ჩანს, რომ მწერალი კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიას, ასახლებს ქალაქებსა და სოფლებს, სადაც თვითონ ყოფილა, მათ შორის სილანოს, გორს, დუშეთს, ქუთაისს და სხვ.

მ. გორკის, ვიდრე ნარკვევის წერას შეუდგებოდა, შეუსწავლია სათანადო ლიტერატურა, დადამუშავებია ა. ს. ფერნკელის 1892 წელს დიდი ხმურით გამოსული წიგნი — „კავკასიაში ყაჩაღების ისტორიისათვის. ტატო წულუკიძე“ და გამოჩინილი ქართველი იურისტების ვეგიძისა და ლახვიანის შრომები. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია მ. გორკის გაბედული მოთხოვნა კავკასიაში სასამართლოების რეორგანიზაციის შესახებ. მწერალი აყენებდა წინადადებას სახალხო სასამართლოების შექმნის თაობაზე, პროცესებისა ნაციონალურ ენებზე წარმართვის თაობაზე და სხვა. ცერდნობოდა რა ვეგიძის დასკვნებს, მ. გორკი წერდა:

„უზარბოა იქნება, შევედოთ ვეგიძის პროექტს, რომელიც ავტორს კავკასიაში სასამართლო პრაქტიკის კარგმა ცოდნამ უკარნახა. თუ ადგილობრივი მცხოვრებლები დანიხავენდნენ თავიანთ თავს უშუალო კავშირში მართლმსაჯულებასთან, თუ მოდევნებენ ერთმანეთს გაუგებდნენ საეჭუო პირების უშადგომლობის ვარეშენ, რომლებიც თარეჰმანის როლში გამოდიან, და ბოლოს, თუ ფშვი ვასამართლებდა ფშვი, თათარი თათარს, ქართველი ქართველს, ამას უდავოდ ექნება ადგილი, როდესაც ხელმწიფის სასამართლოში სახალხო ელემენტებს შეიტანენ, მაშინ მოსახლეობა არ დაიწყებს მართლმსაჯულების ძებნას... ყაჩაღებთან, რომლებიც მათ ანადგურებენ“.

მ. გორკი ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ ამხელს მეფის მოხელეთა უზარო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო თითქოსდა ხალხის შესამინებლად. მეფის ადგილობრივი ბურჰები ერთ-ერთ ასეთ საშუალებად საჭაროდ სიკვდილით დასჯას მიიჩნევდნენ, რაც კავკასიაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. დიდმა ჰუმანისტმა ამ საზოგადოებაში სულ სხვა რამ დაიხახა. მ. გორკის ხსენებულ ნაწარმოებათა მოქმედ გმირება არამც თუ ემიონიან ასეთი ღონისძიების, არამედ ყოველმხრივ თანუტარძნობენ განწირულთ, რომლებიც თავის მხრივ ისე გმირულად ხვდებოან სიკვდილს, რომ თავის მოქმედებით ამხნევენდნენ დამსწრეებს, ხლო „უსასო“ ჩინოვნიკებს კი შიშის ზარსა სცემენ. ასეთი სიკვდილით დასჯა მ. გორკიმ აღწერა ნარკვევის ბოლოს. მწერალი ვეიჩენებს 1892 წელს გორში ორი ყაჩაღის ჩამოხრჩობას და ხანგასმით აღნიშნავს, თუ როგორ გმირულად შეხვდნენ ისინი განაჩენს. ყაჩაღებს იუმორის გრძნობა არ დაუკარგავთ ბოლომდე, ისინი ხუმრობდნენ, თითქოს სახრჩობედა მათთვის არ ყოფილიყო გამზადებული. ხალხიც მშვიდი თანვარძნობით უყურებდა მათ.

მ. გორკის ღრმა რწმენით, სასურველ შედეგებს მოიტანს არა სიკვდილით დასჯა, არამედ აღმზრდელითი ღონისძიებები და საპართლიანი კანონები. მწერალი საერთოდ გმობდა სიკვდილით დასჯას, რომელიც ეწინააღმდეგება ცივილიზებული ადამიანის ბუნებას. ეს კი ახალგაზრდა გორკის გაბედული გამოსვლა იყო.



# კომუნისტური პარტია

## შოთა რევიზილი

### ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში

„დიდი ადამიანები მოქმედებენ არა მხოლოდ თავიანთი აზრებით, არამედ პირადი ცხოვრებითაც“. ჰაინრიხ ჰაინეს ეს სიტყვები კარგად შეეფერება ლენინს, კომუნისტური პარტიის ბელადსა და ორგანიზატორს, შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალურ წარმომადგენელს, ადამიანს, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში შემდგომ განავითარა მარქსიზმი და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საქმეს.

ლენინის სახის ხატვა, მისი ისტორიული როლის დახასიათება იქცა მსოფლიო ლიტერატურის მარად უქცნობ თემად. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს აშუქებს ბევრი ქვეყნის მწერალი. მაგალითად, რომენ როლანის შეფასებით, ლენინი ჩვენი საუკუნის საქმის უდიდესი და უაღრესად უმწიკვლო ადამიანია, ხოლო ანრი ბარბუსისათვის ლენინი არის ყველაზე მეტად თანამედროვე და საყვარელი პიროვნება. განსაკუთრებული ადგილი ლენინის სახემ დაიკავა გერმანულ კაზუსლიტყვაობაში. მხატვრული სიტყვის გერმანული ოსტატები ხშირად ლაპარაკობენ ვლადიმერ ილიას ძის დამსახურებაზე, მის სახელზე, როგორც ახალი სამყაროს სიმბოლოზე. ლენინის სახე ერთიანად იწვევს აღფრთოვანებას, როგორც ხალხის ფართო ფენების ინტერესების გამომხატველ ანტიფაშისტ და კომუნისტ მწერლებში, ასევე ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლებშიც.

ლენინური აზრების სიღრმითა და წინასწარი ხედვის დიდი უნარით აღფრთოვანებულ პოეტს, იოჰანეს ბეხერს, მოჰყავს ვლადიმერ ილიას ძის გამოთქვამები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, აგრეთვე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ბეხერი ლაპარაკობს ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობაზე რუსული და მსოფ-

ლიო კულტურის განვითარების საქმეში. გორკისთან ურთიერთობაზე, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტზე — დიდი პოლიტიკური მოღვაწისა და დიდი ხელოვანის შემოქმედებითს ურთიერთდახმარებაზე. ლენინისა და გორკის შეგობრულ დამოკიდებულებაში ბეხერი ხედავს პოლიტიკისა და პოეზიის ძმური ურთიერთობის ნათელ მაგალითს. ეს ურთიერთკავშირი, მწერლის აზრით, არა მხოლოდ შურის საგანია გერმანული ლიტერატურისათვის, რომელშიც საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა განხეთქილება ხელოვნებასა და პოლიტიკის შორის, არამედ იგი დღენიადავ მოუწოდებს მწერლებს გადასინჯონ პოლიტიკისადმი პირადი დამოკიდებულება.

„ლენინისაგან, — აღნიშნავს ბეხერი, — დავალებული ვართ იმით, რომ თანდათან ვისწავლავთ საგნების დანახვა ისეთებად, როგორც არიან ისინი, ვისწავლავთ — არ მივაწერო მათ მათთვის უჩვეულო თვისებები და ვინმეს გულის მოსაგებად არ გამოიჩინოთ ის, რაც მათში არის. ლენინისაგან დავალებული ვართ იმით, რომ დავადწიოთ თავი ნიქშეს პროფოკაციებს“. ბეხერმა ისწავლა ლენინისაგან, რომ ადამიანური სიღიადე ყოველთვის უბრალოა. „ლენინისაგან იმითა ვართ დავალებული, — აგრძელებს ბეხერი, — რომ დღენიადავ ვრჩებოდით ყოველად გულგრილი, როდესაც რომელიმე ლიტერატურული სწობი მიწოდებდა „საშინელ გამაუბრალოებელს“ იმის გამო, რომ საგნებს ვასახელებდით თავიანთი სახელებით, არ დავებებოდით „საშინელებს“ ახლომახლო და დამყავდა იგი ლენინის მიერ მიგნებულ უბრალო ფორმულაზე; ფორმულამდე, რომელშიც ამ საშინელების შეცნობა ერთდროულად ერწყმოდა მისი პრაქტიკული დამოკიდების გვეგას“.

ლენინის თხზულებებს ბეხერი გაეცნო მხოლოდ ოციანი წლების დასაწყისში. პოეტისათ-

ვის ნათელი მოეფინა ისტორიულ სივრცეებს, რომელთაც მანამდე ვერ აღწევდა მისი აზრი და მზერა. ვინც არ იცნობს ლენინის შრომებს, მისთვის — ბეხერის აღნიშვნით — ჩვენი საუკუნის ამოცანა ამოუხსნელი დარჩება, ლენინის შრომების გარეშე ბეხერი ვერ ვაერკვეოდა ისტორიული მოვლენების რეალურ არსში. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას იგი თავიდანვე მიესალმა აღფრთოვანებით, მაგრამ ბეხერი თავად აღიარებს, რომ მაშინ რევოლუციას „აითვისა სტიქიურად“, და რომ მისი ნამდვილი გაგება შესძლო შემდეგ, როდესაც ლენინის შრომებში ისწავლა საგნების ბოლომდე ვახარება. ბეხერი აღნიშნავს: „ლენინის შრომები თავიანთი სიმდიდრითა და სიღრმით იძლევიან პასუხს ჩვენთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. მაგრამ ისინი პასუხს აძლევენ მხოლოდ იმას, ვინც ენებიაანდ ეძიებს ამ პასუხს და თავადივე მზადაა იფიქროს საკითხებზე, იფიქროს ბოლომდე. ლენინის შრომები მის მოწაფეებში ავითარებს დამოუკიდებელი შეუმოქმედებელი აზროვნების უნარს. ლენინის შრომალა და მოყრძალება ჩვენც გვიყენებს მაღალ ადამიანურ მოთხოვნილებებს“. სხვაგან ბეხერი აღნიშნავს:

„ლენინი ნიმუშია პოეზიასათვის, ნიმუში სტილის სიკვადისა და სინათლისა“.

ბეხერი არ კმაყოფილდება ლენინის შრომებისა და პიროვნების სიდიადეზე მხოლოდ მითითებებით. დასავლეთის მწერალთაგან იოჰანეს ბეხერი თითქმის პირველია, რომელმაც სცადა შეექმნა დიდი ლენინის მხატვრული სახე. ლექსში — „მან ქვეყანა ძილისაგან გამოაღვიძა“ — ბეხერი ეხება ლენინის სიტყვის ძალას, გადმოგვცემს, თუ როგორ იქცეოდნენ ეს სიტყვები თოფებად, ქუხდნენ ტყვიამტრქვეყნებად, იზრდებოდნენ ბარიკადებად და მიიბჯებდნენ არმიებად.

ლენინისადმი მიძღვნილ ბეხერის ნაწარმოებთაგან საუკეთესოა გრანდიოზული პოეტური ნეკროლოგი „ლენინის კუბოსთან“, რომელშიაც პოეტი ხედავს მსოფლიო პროლეტარიატის ტრაგიკულ განცდებს, ეძლევა მწუხარებას, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყნის მშრომელები მათი ბელადის გარდაცვალების გამო. პოემა „ლენინის კუბოსთან“ განტვირთულია ტრადიციული პოეზიის პოეტური ინვენტარისაგან; იგი დაწერილია სასაუბრო ენით და შიგადაშიგ გამოყენებულია საგუნდო დეკლამაციის ხერხები.

1929 წელს ბეხერმა დაწერა ლექსი „ათასწლეული ლენინი“. გაიფიქრა ათასი წელი, — ამბობს ბეხერი ამ ლექსში, — დავიწყებას მიეცემა მრავალი განთქმული სახელი, მაგრამ ლენინის სახელს ეამთასგლა ვერას დააკლებს, იგი ყველის ემასხორება, მისი სახელით, ვით წითელი დროშით, შეამკობენ ქვეყანას, ყველა ქვეყნის კრემლის თავზე იფრიალებს წითელი დროში ლენინის სახელით, როგორც იმედით

განათებული მოციმციმე შუქით.

როგორც ერთი დღე,  
წავა ეამი ათასწლეული,  
ლენინი უფრო გაიზრდება  
მომავლის თვალში  
მატრებს ვაშლის,  
როგორც მუხა ტანახოვანი,  
რომლის ფესვები  
მიწის მკერდში ჩახლართულები,  
მისწრაფიან ყოველგვარი მიმართულებით.1

თავის საყვარელსა და ამოუწურავ თემას — ვ. ი. ლენინს — ბეხერი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მეორე მსოფლიო ომის დღეებში. ლექსში „ვინ იყო ლენინი?“ ბეხერი მიმართავს ლენინის ქალაქის მისადგომებზე მდგარ გერმანელ ჯარისკაცებს, განუმარტავს მათ ლენინის უბადლო დამასხურებას კაცობრივად წინაშე. „ვინ იყო ლენინი, ჯარისკაცი?“ ეკითხება პოეტი ჯარისკაცს და თვითონვე იძლევა პასუხს, რომ ლენინი იყო სამართლის კაცი, რომ იგი ყურს უგდებდა ხალხის გულსიცემას, ასწავლიდა ხალხს და სწავლობდა ხალხისაგან; თუ ხალხი თავისუფალია, მხოლოდ მაშინ შეუძლია ქვეყანას კარგად წარმართოს თავისი საქმე; სახელმწიფო მხოლოდ მაშინაა ძლიერი, მტკიცე, როცა ხალხი თავისი საკუთარი ძალით ჰქმნის თავისუფლებასა და მშვიდობას; ხალხის მიერ შექმნილი სამუდამოდ ხალხს ეკუთვნის; ვინც ხალხის შრომას თვისებს, იგი ხალხის მტერია. შემდეგ ბეხერი ხატავს იმ დიდ საქმეებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა განახორციელა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. ბოლოს ბეხერი კვლავ ეკითხება ჯარისკაცს, ვინ იყო ლენინი და თვითონვე პასუხობს: „იგი შენი ადამიანი! ხედავ მის სურათს? იგი გიყურებს შენ და გეკითხება: რისთვის ომობ, ჯარისკაცი? შენ მდიდარი ბატონების იაფფასიანი ჯარისკაცი ხარ. უკეთესია, გაითავისუფლო თავი ამ ბატონებისაგან. შენ დგახარ ლენინის ქალაქის წინაშე. იფიქრე, რომ ლენინმა ხალხს თავისუფლება მისცა...“

ლენინის დამასხურება „საერთოდ, კაცობრიობის წინაშე და, კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დღეებში კარგათა დახასიათა არნოდ ცვაივმა რომანში „ცეცხლის მიწყნარება“.

სოციალისტური საზოგადოების შექმნაში ლენინის დიდ როლზე არნოდ ცვაივი ლაპარაკობს აგრეთვე სტატიამ „იალტა 1952 წელს“.

პირობის მანი ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანია. ბურჟუაზიული წარმომოების მიუხედავად, რო-

1 თარგმნა ვახტანგ ბეწუქელმა.

**შოთა რაჰიშვილი**  
ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში



ვორც პატრიოანი ადამიანი, იგი ამაღლდა ისტორიული მოვლენების ღრმა მეცნიერული გავების ღონემდე. მან მართებულად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია უდიდესი წვლილი იყო მეცნიერულ კომუნიზმში; ლენინის შესახებ პაინრის მანი ლაბარაკობს სტატეივში: „ხუთი წელი ლენინის გარდაცვალების შემდეგ“ (1929) და „პასუხები რუსეთში“. ამათან პირველში ნათქვამია: „რუსეთის რევოლუცია იყო იმდენად ბედნიერი, რომ ჰყავს საკუთარი აღიარებული გმირი. რევოლუციის დასაწყისში დგას ლენინი და იგი მუდამ რჩება იმავე ადამიანად, რომელიც აგრძელებს ამ რევოლუციას“. ხოლო მეორე სტატეიაში — „პასუხები რუსეთში“ — პაინრის მანი აღნიშნავს: „ლენინის ერთგულება დიდი საქმისადმი ვარდნულად ერწყმის შურტიგებლობას ყველა იმათთან, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს ამ საქმეს. ვაფასებ რა ლენინს ჭეროვნად, არ შემოიღია არ ველიარო მისი შურტიგებლობა. ამის გავითვალ გვამაიდვილდა მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი მის უნარში — პირადი საქმე დაუქვემდებარის ადამიანთა მიმდინარე მოთხოვნილებებს. მაშასადამე, მას ხალხი უყვარდა ისევე, როგორც საქმე, და ამიტომაც მოქმედებდა როგორც დიდი ადამიანი“.

1936 წელს ერის ვაინერტმა დაწერა ლექსი „ლენინის საქმე“, რომელშიც ასახა არა მხოლოდ ლენინური იდეების ზეიმი ჩვენს ქვეყანაში, არამედ ვაისენა კიდევაც ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში მტრების გულბოროტი დამოკიდებულება ყოველივე დილისადმი, ლენინის საქმისადმი. პოეტი ისხენავს ოქტომბრის ქირიშლიან დღეებში უპირინკობა პლატეიოსთა უსაფუძვლო მტკიცებას, რომ სულ მალე ლენინის საქმე, ოქტომბრის პირმყო „საბჭოეთის მხარე იქცევა ნანგრევებად“. მაგრამ საბჭოთა ხალხმა ვაინადგურა „თეირი ჭირი“ — თეორეკარდიელთა ლეგიონები, ამასთანავე ნანგრევებიდან და სიღარიბიდან წამოაყენა მშეირი ქვეყანა. უდაბნოდ ქვეული ქვეყანა ხალხმა ვარდაქმნა თავისი შრომით. ევლებზე, რომლებიც ადრე დაფარული იყო სარეველა ბალახით, ქალაქები აღმოცენდა. უკანასკნელ სტროფში პოეტი კიდევ ერთხელ იმეორებს თავის იდეას. მიუდრობისა და თავისუფლების ურყევი ბურჟი — საბჭოეთის ქვეყანა ვამარჯვებათა მხარეა. პოეტს სწამს, მოვა დღე და ეს ქვეყანა ბედნიერების ნათელს მოუტანს აგრეთვე მის ვერმანელ ხალხს. საბჭოეთის ქვეყანას მალლა უქირავს ლენინის აღმი და იგი დედამიწისათვის მყოფისის შუქურაა. ლენინის სახე ვაინერტმა დახატა აგრეთვე ერთაქტიან პიესაში: „მატარებელი ჩხრდება ხუთი წუთით“. ვერმანის ერთერთი პლაქატის ვაგზალზე შეკრებილან ისედასხვა პარაფესისის ადამიანები, რათა იხილონ ემიგრაციიდან საშობლოსაკენ გზად მიმავალი

ლენინი. შეკრებილთაგან იგი შეიკნო მხოლოდ ღონის ინვალიდმა, სწორედ იმან, რომელიც ლენინმა თავის ამხანაგად მიიხსენია.

პოეტმა და პროზაიკოსმა — მაქს ციგერინგმა ვლადიმერ ილიას ძეს უძღვნა ლექსი — „მე ვნახე ლენინი“. დიდი ბეღლის სახე პოეტს უნახავს ბევრჯერ, უნახავს ცხოვრების ორომტრიალში. ლენინი იყო ყველგან: შეტრეისთვის ამზადებდა მებრძოლებს, ამხელდა უსამართლო სამართალს, პოეტს უნახავს ლენინი პიონერთათუ მიწის მხვენელთა შორის; უნახავს, როგორ იპყრობს ლენინი პოლუსს, იღებს თოდს და ტყეებში მიდის პარტიზანებთან, უნახავს სანგრებში სტალინგრადის ვანთავისუფლებსათვის ბრძოლის წინ; საკონცენტრაციო ბანაკების ვათუტლბრათების მიღმა, როცა მასთან შედიოდნენ ჯალათები, რომელთაც შეუპოვრად პირში სიმართლეს ეუბნებოდა. ლენინი იყო ყველგან, სადაც ფრიალებდა თავისუფლების დროშა, იგი მონებდა ამხედრებდა სამეკროსასიციოტხო ბრძოლისათვის, რაც უწოდდა მთელი დედამიწის სეფორ ექვია ბაღნარად. „მე ის მინახავს ათასჯერ, — იმეორებს პოეტი, — თუმცა არა მოსკოვში, არა მავზოლუქში“. „მე მინახავს იგი ქუჩებში მავალი. ლენინის ხილვა ადამიანს მატებს ღონეს და მამაცობას“. — დასძენს პოეტი.

ლენინის ვარდაცვალება უდიდესი გულისტკივილით ვანიცადა ავრთვე ერის მიუხამში. ლექსში „ლენინი“ პოეტმა ვამოხატა მთელი ქვეყნის შწრომელებისათვის თავსდატეხილი სულიერი შეძრწუნება. იგი მოუწოდებს ბუკებს და ქარხნის საყვირებს, გუგუნით დაიტირონ ვარდაცვალება ადამიანის, რომელმაც დაამსხვრია საუქუნობრივი სიცოცხლე და ვაფანტა უქუნი ბურჟის; პოეტი მოუწოდებს თანამოქალაქებს, ზე აღმართონ აღისფერი დროშები. ლენინის საქმის კოცონი კიდევ უფრო მეტად ავიზგიხლებდა. ლენინი ვარდაიცვალა. ხალხმა უნდა დაიკვას მისი ნამოქმედარი.

სტეფან პერმლინმა დაწერა პოემა „მანსფელდის ორატორია“ (1950). პოემაში პერმლინმა აღწერა ვერმანელი მუშების მიერ ლენინის ძეგლის ვადარჩენის ისტორიული ამბავი. მანსფელდისა და კრივიოროველ მადნის მოხრელებს ადრე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ, როდესაც ვამისიტებმა წამოიწყეს ომი დიდ საბჭოეთთან, მათ რუსეთიდან ვაიტყეს ლენინის ძეგლი, რათა ვადამეოთ და ექციათ ქვემეხებად, სწორედ ისევე, როგორც ეს ვაუკეთეს ფრანგი მწერლის ჰიუგოს ძეგლს. მანსფელდელმა მუშებმა კი მზრუნველობით დაიციეს ძეგლფასი ვანში, ვადამალეს ბრინჯაოს ძეგლი და ასე შეინახეს მანამ, ვიდრე ვერმანიაში არ მივიდა წითელი ჯარი. მამინ ლენინის ბრინჯაოს ძეგლი კვლავ მოედანზე აღმართეს, როგორც ნათელი და კეთილი იდეალების სიმბოლო.

ლენინსა და მის უკავდავ საქმეს უძღვრება აგრეთვე ბერტოლტ ბრეტკმა ლექცებში: „უძლიველი წარწერა“, „კუიან-ბულაკელი ფარდავის მქსოველები ზატვის სცემენ ლენინს“ და „კანტანტა ლენინის გარდაცვალების დღის გამო“. — პირველი მსოფლიო ომის დროს, — მოთხოვნილია „უძლიველი წარწერაში“, — იტალიაში, სან კარლოს ქიხის ერთ კამერაში მაწანწალებთან, ქურდებთან და დეზერტირებთან ერთად მქდარმა სოციალისტმა ჯარისკაცმა კედელზე ფანქრით წაწერა: „გუჰმარჯოს ლენინს!“ ნახევრად ზნელ კამერაში, თითქმის ჭერთან მიწერილი ეს სიტყვები ძლივს მოჩანდა, მაგრამ გუშაგებმა მიაჩნ შეამჩინეს იგი და საყანში შეგზავნეს მღებავი. და როცა მან „სახიფათო წარწერა დაფარა საღებავით“, ისევ ზანდა იგივე სიტყვები, აშკრად წარწერილი არა ფანქრით, არამედ ცარციო, მეორე მღებავმა მთელი კედელი გადაღება. და მიაჩნ მეორე დღეს კედელზე ისევ იყო იგივე წარწერა. შემდეგ მცველებმა შეგზავნეს ქვის მთლიანი თავისი სატეხით. მთელი საათი ფხეკავდა ასოებს და როცა მუშაობას მორჩა, დღევნის ისევ ბრწყინავდა ქვამი ღრმად ამოჭრილი უძლიველი წარწერა: „გუჰმარჯოს ლენინს!“

ლენინმა მუშათა კლასი და მისი პარტია იდეურად შეაიარაღა ბურჟუაზიის ბატონობის აღმობისა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ლუშობრაში. ლენინის საქმიანობამ და თეორიულმა შრომებმა დიდი მნიშვნელობა იქონიეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებასა და გერმანიის კომუნისტური პარტიის მუშაობაში — ეს კარგად იცის ეული ბრედელმა. წიგნში „ერნსტ ტელმანი“ ბრედელი აღნიშნავს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რევოლუციური ბრძოლების წლებში გერმანიის მუშათა კლასისათვის და განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის ცნობილი არ იყო ლენინის ზოგიერთი თეორიული შრომა და აქტუალური პოლიტიკური სტატია. არ იყო ცნობილი ისეთი შრომები, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ უშუალო პოლიტიკურ ბრძოლაში. — ეს ნაწარმოებები, — დასძენს ვ. ბრედელი, — წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ ქვაკუთხედს გერმანიის კომუნისტური პარტიის მეცნიერულ-მარქსისტულ საფუძველზე აშენებისათვის. ლენინის თეორიული ნაშრომები საფუძვლად დაედო გერმანულ რევოლუციონერ მებრძოლთა მთელი თაობების აღზრდას.

ლენინის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე ლიონ ფოიხტენგერი. განსხვავებით სხვა გერმანელი მწერლებისაგან, რომელთაც წილად არა ხედათ ბედნიერება პირადად შეხვედროდნენ ლენინს, აღფრედ კუ-

რელას ჰქონდა ამისი შესაძლებლობა. სტატუსში: „ვინ ხართ თქვენ პროფესიით, ამხანაგო?“ კურელა იხორებს პირად შეხვედრებს ვლადიმერ ილიას ძესთან. 1919 წლის აპრილში კურელა განსაკუთრებული დაეალებით ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც პირველად შეხვდა ლენინს. რაკი სწორედ ამ დროს ბავარიის შეიქმნა სამაქოთა რესპუბლიკა, ლენინს სურდა მიეღო დამატებითი ცნობები უშუალოდ გერმანიიდან ჩამოსული მუშაისაგან. ლენინს ინტერესებდა მიუხეხნელი მემარცხენების დახასიათება, ბავარიელი გლეხების პოლიტიკური სულისკვეთება და მასზე გერმანიის კომუნისტური პარტიის გავლენის შესაძლებლობა. კურელასთან ლენინს საუბარი ჰქონდა ბავარიის რევოლუციამდე და ბავარიის აგრარულ საკითხზე. მეორედ ლენინს კურელა იმავე წელს, ეს შეხვედრა მიეძღვნა მსოფლიო ახალგაზრდობის მოძრაობის საკითხებს. ლენინმა იმეამადაც ბევრი კონკრეტული წინადადება წამოაყენა და ამით კარგი გაცეითილი მისცა მსმენლებს „პოლიტიკური ტაქტიკის“ სფეროში. კურელა იმასაც აღნიშნავს, თუ შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელ კრებაზე ვენაში როგორ გამოადგათ ლენინის მიერ მოსკოვში მიცემული თეორიული და პრაქტიკული შენიშვნები, მესამედ კურელა დიდ ბელადს შეხვდა წლინახევრის შემდეგ, 1921 წლის იანვრის დასასრულს. აშკრადაც ლაპარაკი სწარმოებდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობაზე. კურელა ესწრებოდა პარტიის მეათე ყრილობას, რომელზედაც მოისმინა ლენინის მიერ გაცემული საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ. შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მოსკოვში გადმოვიდა და რაკი კურელა ამ კომიტეტის მდივანი იყო, დროდარდო ჰქონდა პირადი კონტაქტები ლენინთან. 1960 წელს კურელა იგონებს, რომ მას, სამწუხაროდ, აღარ ახსოვს ამ შეხვედრათა დაწვრილებითი დეტალები.

რა შეიძლება ითქვას საბოლოოდ? გერმანული მწერლებისათვის ლენინი არის პიროვნება, რომლის იდეებით და პირადი ცხოვრების მაგალითით მათ განუთმოდად გაიფართოვეს გონებრივი პოროზონტი და იდეური ცხოვრების არე. ლენინის იდეებმა დიდი მნიშვნელობა იქონიეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დაშვებული შეცდომების მხილებისა და გამოსწორების, აგრეთვე გერმანიის კომუნისტური პარტიის მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში. გერმანული მწერლებისათვის ლენინის მოძღვრება არის მეცნიერული კომუნიზმის უდიდესი ნაწილი; ლენინი რევოლუციის გენიაა, ხალხების ბელადია, რომელიც ცოცხლობს ყველა რევოლუციონერის გულსა და გონებაში.

## არლი თაყაიოვილი

# ენა ძველი, ენა ახალი

მეცნიერებაში გამოყოფენ მხატვრული ლიტერატურის ენის შესწავლის სამ ასპექტს:

მწერლობის ენა შეიძლება გამოკვლეულ იქნეს, როგორც ესთეტიკური კატეგორია, როგორც ინდივიდუალური „სიტყვიერი ხელოვნება“; ცალკეული ნაწარმოების, ან მთელი ლიტერატურული სკოლის ენა განიხილება, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალურ პლანში. საერთო სალიტერატურო ენა აქ მონაწილეობს მხოლოდ ფონად, ურომლოსოდაც შეუძლებელია ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებათა აღქმა.

საპროსპირო ხასიათს ატარებს მწერლობის ენის, როგორც საერთო სალიტერატურო ენის ნორმათა ამსახველის, ანალიზი, ამ დროს მხატვრული ნაწარმოები შეისწავლება ნებისმიერი ძეგლის (თუნდაც პუბლიცისტურის) დონეზე; არ დგება მწერლის მხატვრულ-ინდივიდუალურ სტილთან დაკავშირებული რაიმე სპეციფიკური ამოცანა. პირიქით, იგი მიიჩქმალება, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი სალიტერატურო ენის ნორმების გამოვლენის გზაზე.

არსებობს აგრეთვე შესამე ასპექტიც. აქ იგულისხმება იმ საერთოს კვლევა, რაც მოცემულ პერიოდში ნიშანდობლივია მხატვრული ლიტერატურის ენისათვის და არ წარმოადგენს არც ინდივიდუალური სტილის ფაქტს და არც საერთო სალიტერატურო ენის საკუთრებას. ამ შემთხვევაში მწერლობის ენის დახასიათება უტოლდება საერთო სალიტერატურო ენის ამა თუ იმ მხარის ანალიზს. ამასთან, ეს ასპექტი ავლენს აგრეთვე შეხების წერტილებს ესთეტიკურ კატეგორიებთან, თუმცა ისინი აქ ატარებენ ნორმატულ, „საერთო-მხატვრულ“ ხასიათს და ვერ ჩაითვლება იმ მხატვრულ-ინდივიდუალური სტილის განმსაზღვრელად.

აი სწორედ ამ მეორე და მესამე ასპექტის

კომბინირებულად მომარჯვება გვსურს იმ საერთოსა და ნიშანდობლივის საკვლევად, რაც ასე რელიეფურად მოჩანს ახალგაზრდა მთარგმნელთა ერთი ჯგუფის ენაში.

მანამდე უნდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელობით საქმიანობას საქართველოში საქმიანობა ფესვები აქვს. თუკი ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური ძეგლის „შუშანიკის წამებას“ მიღმა ვგულისხმობთ გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციას, მისი სრულყოფილსათვის ხელი უნდა შეეწყოს სხვა ენებიდან გადმოქართულბულ ძეგლებსაც. თუ მათ შეეუბრალებთ ქართულ წიაღში აღმოცენებულ ნაწარმოებებს, ვიგრძობთ შესანიშნავ მთარგმნელობით კულტურას და, რაც მთავარია, თავისუფალი თარგმანის დიდ ტრადიციას. ამის კლასიკური ნიმუშია ბიბლიური წიგნების არა წმინდაკანონიკური სახით გადმოტანა, არამედ მათი შეგუება იმდროინდელი აზროვნების დონისათვის და თარგმანში წარმართული საკრალური ენის ელემენტების გამოყენება (ე. კეკელიძე).

ქართულ მთარგმნელობით სკოლებს წარსულის არც ერთ კულტურულ სამყაროსთან კონტაქტი არ გამოჩნენიათ მხედველობიდან. ასე ჩამოყალიბდა სომხური თუ არაბული ლიტერატურული ორიენტაცია. ათონის, მოგვიანებით პეტრიწონისა და სხვა მონასტრების მეოხებით კი ქრისტიანული საქართველო შეიჭრა ბიზანტიის კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში. სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული იოანე მოსხის, პროკლ დიალბოსის, იოანე დამასკელის, ნემესიოს ემესელისა და სხვათა ფილოსოფიური შრომების ქართულად ამტკვევლება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მოღვაწეობა. მათი ხელიდან გამოსული თარგმანი ორიგინალური ძეგლის თვისებებს იქნენა. ისინი ყოველთვის ითვალისწინებდნენ თანამემამულეთა სულიერ

იბეჭდება განხილვის წესით.



მთხოვნელებს და მათი მომხადების დონეს. ჩუენ, რომელი ჯერ იყო — ჩაგვირთავს და რომელი ჯერ იყო, დავეცილია, ვითა ჩუენსა ენასა მოუტდებოდა და წისი საქმისა ეძიებდა“, — წერს გიორგი მთაწმიდელი.

მონღოლთა ავბედითი ზატონობის გავლის შემდეგ ქართული კულტურის ყოველ მიმჭრალ სფეროში იწყება აღორძინების ხანა და ეს ნაწილობრივ მთარგმნელობასაც ეხება. ჩუენი მეფეებისა და საზოგადო მოღვაწეების ყურადღება, პოლიტიკური ორიენტაციის მეოხებით, სპარსული ლიტერატურისაკენ მიიმართება. დგება „ვარაძღულებლიანებისა“ და „შამფარვანიანებისა“ გადმოქართულების პერიოდი, რომლის ზენიტს სულხან-საბაა და ვახტანგ მთაწმისის მთარგმნელობითი საქმიანობა წარმოადგენს. კერძოდ, სულხან-საბაამ კოლოსალური მუშაობა გასწია „ქილილა და დამანას“ პროზაული თარგმანის „გაჩაღხეასა“ და პროზაულადვე გადმოღებულ ლექსების ქართულად გაწყობაზე; მანვე გამოსაცემად მოამზადა ბიბლია და თარგმნა მისი სიმფონია.

და ბოლოს, პორიზონტზე ჩნდება მაჩაბლის თითქმის ლეგენდად მტკველი სახელი. ეს ის მთარგმნელია, ვინც პირველმა აიღო ორიენტაცია ევროპისაკენ და ქართული ლიტერატურა შექსპირის მაღალმატერული თარგმანებით გაამდიდრა. გავიხსენოთ, რა დიდ შეფასებას აძლევდა მის მიერ თარგმნილი „იულიუს კეისარს“ ოლივერ უორდრობი: „მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები. მაგრამ თქვენს თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრება“.

აღნიშნავენ, რომ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე აღზრდილმა მაჩაბელმა კარგად იცოდა ხალხური ენაც, სწორედ ეს ორი წყარო მიაჩნით მისი ენის მასზრდობლად (ვ. კე-ლიძე).

ვფიქრობთ, წყაროს დასახელებისას აქცენტი მაინც საერთო-სახალხო ენის ელემენტებზე უნდა გაკეთდეს. მთარგმნელი მიმართავს არქაიზმებსაც, მაგრამ მათ უმეტესად ფაქიზი სტილისტური ნიუანსი ახლავს (რამდენადაც ამას დედანი მოითხოვს). მისი ენა კი, არსებითად, ახალი სალიტერატურო ქართულის კლასიკურ ნიმუშად ჩაითვლება. ამას ისიც გახაზავს, რომ *მაჩაბელმა შექსპირის იამბიკურ პენტამეტრს ზარათაშვილის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი კი მიუხადავა, მაგრამ პოეტის არქაული ენა მისთვის შთაგონების წყარო არ გამხდარა.*

აქვე უნდა ითქვას ნიკო ავალიშვილის შესანიშნავ თარგმანებზე. საუკუნეა, რაც ქართულად ამეტყველდა „ღონ-კიხობი“ და სენეკეისის „ვიდრე ჰეკალა“, მაგრამ ისინი დღესაც საესეებით თანამედროვედ ეტყვიან.

აი ასეთი ტრადიციის ნიადაგზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები, რომელთა გარჯასაც უფროსი თაობის წარმომადგენლების გ. ქი-

ქოძის, კ. გამასხურდიას, ვ. კელიძის, გ. გაჩეჩილაძის და სხვათა შემოქმედებით მიღწევებიც აძლევდა სტიმულს. მათ ამ ეროვნული საქმის ფერხულში ჩასაბმელად მოპყვა სიყვარული და ერთუხაზობი, დაფუძნებული მთარგმნელობისათვის ესოდენ საჭირო ოსტატობასა და ერთდირებაზე. მათი „შემთხვევითი“ არჩევანიც კი დიდ გემოვნებასა და მისწრაფებაზე მეტყველებს. არ არის არც ერთი ცნობილი ენა, რომელიც მათი მთარგმნელობითი ინტერესის საგანი არ გამხდარიყოს. მსოფლიო ლიტერატურის არა ერთ დიდებულ ძეგლს ჩაბებრებს ქართული სული და თავისი კოლორიტით ჩუენს ორიგინალურ შედეგებს ამოუთქვით ვევერდში.

მაგრამ მთარგმნელთა ეს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ფრთა უცხოური დედნის მეტისმეტმა გაქართულებამ მიიყვანა ერთგვარ გაღატაკებამდე. მხედველობაში გვაქვს ბაჩანა ბრეგვაძის, ზვიად გამასხურდიას, რევაზ თვარაძის, ზურაბ კიკნაძის, რომან მიმინაშვილის, გივი შანსხაძის, თამაზ ჩხენკელის და სხვათა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

აქ იმის საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა, რაც სხვა ენათა მოდელებისა და კონსტრუქციების ხელაღებით შემომტან მთარგმნელებთან გვაქვს (ამის შესახებ იხ. თ. კობლაციაძის და ზ. ჭუმბურიძის საინტერესო წერილი „ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში“). ამ ავტორთათვის, პირიქით, დამახასიათებელია არქაიზაციის მამფერი განცდა, ძველი ქართულიისაკენ დაბრუნების დაუთლებელი სურვილი. ეს ენობრივი პრინციპი წითელი ხაზივით გასდევს მათ მშვენიერ თარგმანებს, მიუხედავად უცხოური დედნის დაწერის დროისა და ქართული სხვაობისა. განსხვავება კი ნამდვილად არსებობს! პლატონის ფილოსოფიური დიალოგები („ნალიია“, „ფედონი“), მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“, დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“, ანატოლ ფრანსის „ბატონ ჭეორომ კუანიარის აზრები“ (ბ. ბრეგვაძე); შექსპირის „ზამთრის ზღაპარი“, ოსკარ უაილდის თანამედროვე ზღაპრული (ზ. გამასხურდია); ავეტიქ ისააკიანის „აბუ-ლა-ლა-მარი“, ვიქტორ რილის „ლეოპარდი“, სერგეი ესენინი, ლერმონტოვი, პუშკინი, (რ. თვაჩაძე); ვილჰელმის ებსი, „იეტანას მითი“, „ადაპა“, ძველგერაული „ქებათა-ქება“ (ზ. კიკნაძე); ძველი და თანამედროვე სომეხი პოეტების ლირიკა, საიათნოვა (გ. შანსხაძე); ალიგერის კანცონები და სონეტები, უიტმენი, რაბინდრანათ თაგორი, აღმოსავლური ლირიკა, „ბაკავაბტ გიტა“ (თ. ჩხენკელი); პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ჰესიოდე, ბერძნული

**არლი თაყაიშვილი**  
 1955 ძმელი, 1955 ახალი



ლირია, დრამა: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე (რ. მიმინოშვილი).

როგორც ვხედავთ, დიპლომატიკის საკმაოდ ფართო, ძველები სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქისა, განსხვავებული მოცულობითა და ღირებულებით, მაგრამ მათ თარგმანს აკავშირებს ერთი საერთო ენობრივი პრინციპი.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს არქაული ელემენტები სხვა მწერლებთან და მთარგმნელებთან არ გვხვდებოდეს, მაგრამ იგი მათთან შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, ლადო ასათიანის ერთი ცნობილი ლექსი ასე მთარგმნება:

„ო, **განველ** ჩემგან, ბოროტო სენო, ჩემს შემდეგ ნურცინ ნუ მოგიხსენოს.“

ამ ძველი ქართული ელემენტი **განველ** ფორმის გარდა ლექსი თავისი სინტაქსური წყობითა და პოეტური ანტიურატიუ სახეებით თანამედროვეა. ამდენად, **განველ** მისთვის ორგანულად ვერ ჩაითვლება. ზემოთ აღნიშნულ მთარგმნელებთან კი გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმაღლემდე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს (შეადგამოყოფთ ყოველგვარ არქაიზმს: როგორც ხმარებიდან გადავარდინოს, ასევე ენაში მეტნაკლებად შემორჩენილსაც):

„...როცა **დაქნება ყვავილობა სიხარულითა** მოდი მაშინ და სიმღერება ამოწყაროვდი. **როს გარეშენი მდრტვიანავი** ხმით აზვავდებთან — მშვიდობითა და **მოვანებით მოვედ, უფალო**. როდესაც გული, შენი **მვედრი** ჩემი გული შეიკუმშება — **განახვენ ბქენი სახლისა და მეუფეო**, შენ შემომხვედი.

და **როს სურვილითა** ბედითი ხმა **გონს** დაძინებლებს —

**ჩემდა მოიქეც, პოი**, წმინდაო და დამეხილ **გზა განმინათლე**“ („გიტანჯალი“); „**კაცნო უგნურნო, დაბრმავებულნო**, ეგ მონათხრობი რომ არ ვსმენიათ, ერთურთს რომ **აშთობო** და ამ ქვეყანას იქმო ჯოჯოხეთად და **გეენაო**. **მოვალს უამი** და მიწად იქცევა **საქმე თქვენი** და **გულმხეცი(?) გული**, **მოვალს უამი** და **წარხოცავს ყოველს**, **აწვე გაქრობად** ხართ განწირული“

(„აბუ-ულალა-მარაი“);

„ხოლო როდესაც **მღულარება** რამდენადმე

**განქარდა მათი**, ჩემი სენაისკენ გავემართე, და **შემეძლო** მწუხარებას მივეცემოდი და არ მშინებოდა იმის, რომ ვინმე გაიგონებდა **გოდებას ჩემსას**. და **მუნ უზნესრულესი** ასულის გულმომწყალებას **ვხაზავ** სიტყვებით: „სიყვარულო, **მეოხ მეყავ-მეთქი** შენს ერთგულს“, და ჩამეძინა **ვით ნაგვემ ყრმას**, **გულამოხვინჩვით** მტირალს“.

„...ამ ჩვენების შემდეგ ჩემს **ბუნებისო სულს ფრიალ შეუქირდა** და **შეუძნდა ქმედება**, რადგან ჩემი გონება **მიწყვი** მაგ უკეთილშობილესს იგონებდა თავის წინ“ (ნაწყვეტები „ახალი ცხოვრებიდან“).

რა თქმა უნდა, ამგვარ გატაცებას თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს: რასჯობია, აღორძინდეს ჩვენი დიდებული წინაპრების მემკვიდრეობა, გვესმოდეს ენა, რომელზეც ითარგმნა „ბებლია“ და „საღვთო წიგნები“, კვლავ ვიგრძნოთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და გენიალური „მერანის“ სტრიქონების სურნელი!

ამ კეთილშობილურ სურვილს სხვა სერიოზული მოტივებიც ასაზრდოებს: ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მეგვიდრეობითობის პრობლემა საერთოდ, ძველი ეროვნული ფორმებისაკენ დაბრუნება. ის ყველგან შეიმჩნევა: მუსიკაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში, სადაზგო ხელოვნებაშიც კი (თუნდაც ვაიხინგონოთ თიხის ქურტულისა და ვერცხლის სამკაულების განახლების ფაქტი). ცხადია, ის შეგზონასაც, როგორც ეროვნული ფორმის გამოვლენის უმაღლეს ეტალონს (ამის შედეგი — დღევანდელ ენობრივ ქსოვილში ძველი „სიტყვა-სამკაულების“ ქარბად გაეღებოდა).

ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზეც, რომ წარსულისაკენ ორიენტაციას დღევანდელი ენის შესაძლებლობების მიმართ ერთგვარი პროტესტი უწყობს ხელს: თითქოს იგი დასუსტდა, გამოიფიტა, დაკარგა ემოციური ელფერი (რაც ნაწილობრივ ასეცაა) და ელვარ ახერხებს ეპოქალური მოვლენების სათანადო ასახვას.

მაგრამ ჩვენ ღრმად გვეჭრა, რომ მთარგმნელთა მიერ არჩეული **გზა** არ არის ერთდერთი და აუცილებელი. არქაულობის პრობლემა არც აქ დისისში პირველად და, რა თქმა უნდა, ვერც აქ გადაწყდება საბოლოოდ. იგი ისევე ძველია, როგორც ენათა ისტორია. როგორც კი ენის სინამდვილეში თავდაპირველად, რაღაც სერიოზული ძვრის შედეგად გაჩნდა-

პერიოდი, რომელიც განესხვისა ძველს, გაჩნდა მასთან (ძველთან) სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება: და შემდგომ, ენათა განვითარების მთელ მანძილზე, ყოველ ისტორიულ მონაკვეთში, მიმდინარეობს ამ განსხვავებულ პოზიციათა შემოწმება და დამკვიდრება.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ეს შეპირისპირება ჩვენს ეპოქაში. ამასთან, საგრძნობლად გაიზარდა წარსულის ორიენტაციის არგამზიარებელთა რიცხვი. ეს გამოიწვია მთელი რაგი კულტურულ-პრაქტიკული ღონისძიებების გატარებამ. ეკრძოდ, დღეს მსოფლიოს მრავალ ენაზე (გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და თვით სომხურად!) არსებობს ოთხთაის თანამედროვე თარგმანი. ბერძნულში თეატრმა ჩვენი გატროლებს დროს თანამედროვე ბერძნულით წარმოგვიდგინა ძველი ტრაგედია „მედეა“; გერმანულშია ხელახლად თარგმნეს კლასიკური გერმანულის ბრწყინვალე ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“; რუს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში ორ სვეტად აქვთ მოცემული „იგორის ლაშქრობის“ ძველი რუსული და მისი ახალზე თარგმანის ვარიანტები; და ბოლოს, ცნობილია, რომ არსებობს შექსპირის ლექსიკონები, გამოდის მისი დრამების ადაფტირებული თარგმანები, ოღონდ უცხოელთათვის კი არა, ინგლისელებისათვის, თანამედროვე ინგლისურად შესრულებული.

აი ასეთი შემობრუნების, წარსულის კულტურულ მონაბოვართა „გათანადროულების“ გვერდით ანაქრონიზმად გვეჩვენება ოსკარ უაილდის, ანატოლ ფრანსის, ჰაინესა და სხვა ახალი მწერლების გადმოღება არქაული ფორმით!

შეიძლება თქვან: ზოგჯერ ძველის „გაახლებას“ აუცილებლობა გვეარნახობს, იმდენად დაცილებულია ძველი ახალს (თუნდაც, ძველი ბერძნული, ძველი სომხური...). მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არაა? ვთქვათ, ინგლისურისა და რუსულის მაგალითი. აქ გაგვიზინებს ელემენტი არსებითად შენარჩუნებულთა. „იგორის ლაშქრობის“ ძველი ტექსტი ისევეა გასაგები თანამედროვე რუსისთვის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის (სხვათაშორის, იყო „ვეფხისტყაოსნის“ „გაახალქართულების“ ცდაც (ვგულისხმობთ მ. ებრაღისის წიგნს „რაზე მოგვიტობობს „ვეფხისტყაოსანი“), რომელმაც კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია).

ჩვენ შეეცადებით დასახელებულ მთარგმნელთა დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანა-

ლიზზე, აგრეთვე ცნობილ ლიტერატორთა შემოქმედებით გამოცდილების მოშველიებით ვაჩვენოთ, რამდენად ბოლომდე გამართლებული არაა არქაიზმებისაყენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია. ეს სწრაფვა **მიწანი** (ან, უკეთ, **თვითმიწანი**) არ შეიძლება იყოს. იგი უნდა დარჩეს მხოლოდ **საშუალებად** ნიუანსურად განსხვავებული სიტყვებისა თუ გრამატიკული ფორმების აღდგენისათვის.

აქვე შევნიშნათ: ჩვენ არ შევეხებით მთარგმნელთა ოსტატობის სხვა მხარეებს, არ გამოვიკვლევთ მათს მხატვრულ-ინდივიდუალურ სტილს (ენის შესწავლის პირველი ასპექტი). როგორც თავში ვთქვით, ჩვენ გვიინტერესებს მათი ენობრივი პრეწამის, ისიც არა მთლიანად — მხოლოდ არქაულობასთან დამოკიდებულების ხაზით. ამავე დროს გვჯერა, რომ არქაიზმი არ ქმნის **ინდივიდუალურ — მხატვრული სტილის** სპეციფიკას. ესაა ემპირიულად არსებული მასალა, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველას აქვს მისით სარგებლობის უფლება.

**მხატვრული სტილი** უფრო რთული ესთეტიკური ფენომენია. მის შექმნაში სხვა, ავტორის შინაგანი საშაყროდან მომდინარე და მის შემოქმედებით პრიზმაში ვადამტყდარი კატეგორიები მონაწილეობენ.

ამრიგად, არქაიზმი უფლებამოსილია მხოლოდ მწერლის **ენობრივ სტილზე** მიგვიანიშნებდეს. ასეთი შეფასება უკვე საესეხებით შეეფერება მის რეალურ შესაძლებლობებს.

აქვე ვანცხადების სახით: ნაწარმოებთა ანალიზისას არ ვახდენთ ქანრულ დაყოფას. და ამას ჩავდივართ შეგნებულად: გამოვრების თაყიდან აცილების მიზნით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ პროზა, როგორც „მხატვრული მეტყველების განსაკუთრებული ორგანიზაციის ფორმა“, ნალებ რეკლამენტირებულია პირობითი კანონებით. მას მეტი საპრაობა აქვს. თუმცა, როგორც თვლიან, ეს ფაქტორი ბოჰავს კიდევ მას, დედნისადმი მეტი ყურადღების მიქცევას სთხოვს.

ლექსი მკაცრად შემოხაზულ ჩარჩოში ხის: რიტმის, რითმის და სტროფიკის შეუვალი პრინციპების დაცვა ავტორს ერთგვარ „მოეტრუ თავისუფლებას“ (licentia poetica) აძლევს ენის სფეროში, ვარიანტული ფორმების

**არლი თაყაიზილი**  
ენა ძველი, ენა ახალი

შერჩევამი. თუმცა ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს მხოლოდ ეს პოეტური თავისუფლება ქმნის ლექსის ღირსებას. ცნობილია ბელინსკის აზრი: „ლექსი პროზად გადავთქვით და მაშინვე წარმოჩნდება მისი ხედვითი წონაო“.

მაგრამ ჩვენ მაინც ისეთ არქაიზმებზე ვიღებთ აქცენტს, რომლებიც ლექსის ზომის გამო კი არ გვხვდება, არამედ მთარგმნელის ტენდენციის გამოსავლინებლად. მაგალითად, სტროფში:

„შუადღის ხვატში აზრიალდნენ მენარი  
ფოთლები  
და მტრედებმა ჩრდილოვანში ღუღუნნი იწყეს“  
(„გიტანჯალი“)

მენარი-ისათვის დღევანდელი კუთვნილი კთანმომენის მიმატება (მქენარი) არაფერს დაარღვევდა (გარდა ავტორისეული სუბიექტური პრინციპისა!).

რაც მთავარია, ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ ელემენტარული კეშმარტებით, რომ ზომიერების დაცვა, ტაქტის გრანობა ერთგვარადაა საჭირო როგორც პროზის, ისე ლექსისათვის. და თუ მაინცდამაინც საჭიროა შედგათი, იგი შეიძლება მიეცეს ლექსის მთარგმნელს სინტაქსის სტერეოში. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ლექსის სინტაქსური წყობის მიახლოება პროზაული ფრაზის სტრუქტურასთან დიდ ოსტატობად ეთვლება ავტორს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო არქაული სიტყვები და გრამატიკული ფორმებია თარგმანში მოქარბებული. აქ კლასიკოსთა ცნობილი ინტონაციებიც მოისმის. ისინი ან უცვლელადაა ვადმოტანილი, ან ერთგვარად მოდიფიცირებულია. თუმცა პირველწყარო ყველგან გარკვევით აღიქმება:

„მის ტკილე საუბარს ვინც ყურს უგდებს,  
ნეტარ არს იგი“ (დანტე. შდრ. ოთხთავი:  
„ნეტარ არიან დედანი და მამანი...“);

„წიგნებთან და სწავლულებთან საუბრებმა  
წარმიდეს სულის მშვიდობა“ (შდრ. ბარათაშვილი:  
„მარტვი, რა უყავ, სად წარმიდეს სულის  
მშვიდობა“);

„ერთ ვას ამბობს უნახავი, ვინცა გხვდაეს —  
ათას ვასა“ (საიათოვია. შდრ. რუსთაველი: „რა  
გვეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგვემორღე —  
ათასჯერ ვა“).

ასევე მრავლად დასტურდება სხვა პოეტური ხმები (ბარალდის გახსენება მკითხველისთვის მიგვიღწეო): „ნურც მომაგონდეს  
მამის სამარე, სიყრმის წლები და დედის ქაღარა“; „არ შეიმოკლო გვა, ქარაევანო, მარადის  
გესად მგზავრი გვიანი“ („აბუ-ლალა მარა“);  
„რომ მისთა მკვრეტთა მიყსეულად გულს წა-  
უღებდა“ (დანტე); მე რომ შენს ადგულას ვი-  
ყო და სიტყვამ დამიწყოს ძვირობა“ („ფედო-

ნი“); „მბეჭველი ქსლისა დაამშვენებს საუ-  
ცელს ჩემსას“ („ილიადა“) და სხვ.

ამ ინდივიდუალური სტილური კომპონენტის შემოტანა კიდევ მეტად აღივირებს თარგმანის არქაულ შთაბეჭდილებას.

ახლა გადავიდეთ თვით საერთო მასალის ჩვენებაზე. გავყვეთ ტრადიციულ გზას და ანალიზი დავიწყეთ ორიოვარაფია — ფონეტიკიდან. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელებთან ყველაზე მოწესრიგებული გრამატიკის ეს უბანი გახლავთ. თუმცა, დასტურდება იოტაცია—უმარცველო ი-ის ფარდი მნიშნის აღდგენის ცდა და წყვილთანხმოვნიანი დაწერილობის შენარჩუნება, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოური წარმომავლობის სიტყვებში (ასეთ დროს შავით გამოყოფათ მხოლოდ ამ მომენტისათვის საინტერსანტიად დასტურდებიან სპორი არქაიზმს):

„ნეტავ რას გავიკეთებებს ჩემი და ბრინჯის-  
გან?“ („ზამთრ. ზღაპ.“);

„რაქი ეს ასული თვით ზორცშესხული სი-  
კეთე იყო, ხოლო მამა მისი—სიკეთითი სრული“;  
„ვინმე ბოსაფსა თუ სხვა სახელგანთქმულ  
პირივნებებზე მალა დაყავნით“ (ფრანსი);

„ბოლოს კვდებიან მთლად ჩჩვილი ყრმანი“  
(უაილი);

„...და წმინდა ეანნას ბრწყინვალე ზღლუ-  
ბის“ („გილაგამეში“);

„...მუხლი მოიყარა ხუნნელოვანი ლაქაშით  
მოგებულ იატაკზე“... (უაილი).

მკითხველი იგრძნობს: ეს ტრადიციული დე-  
წერილობა კონსტანტინე გამსახურდიას პრინცი-  
ციებიდან მოდის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვერც მასთანაა იგი ბოლომდე დაცული. მაგ, მისი II ტომის ბოლოსიტყვაობაში წერია: „მთავარი ტიზანი ჩემი შემოქმედებანა იყო  
ნოველლისა და რომანის კლასიკური ფორმების  
დადგენა“. და იქვე, ცოტა ზემოთ: „მეორე  
ტომში მოთავსებული ნოველებიდან (?) ზოგ  
ზოგი ჩემი სიკაბუის დეკადენტურ ცოდვათა  
ანარქოზა“ (შესაძლოა, ეს აღრევა კორექტორთა  
„დამსახურებაც“ იყოს).

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ახლან უცხოური ონომასტიკის ქართული ვადმოდებისათან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაშიც სწორედ კ. გამსახურდიას სახელი ფიგურირდება. ჩვენ არ ვიცით, როგორ დამთავრდება დავა-ი-ის თაობაზე. მისი დამკვიდრების სასარგებლოდაც რომ გადაწყდეს საქმე, ჩვენი აზრით, იგი მხოლოდ უცხო წარმომავლობის სახელებში შეიძლება გამოგვადგეს. ვგულისხმობთ აღმავალი დიფთონგის პირველწერობას: პლაფსი, პლაფი, იზოლაფია... (აქვე შემოვა ზევით ნახმარი ბოსაფს). ქართული ძირის სიტყვებში კი, მიუხედავად ტრადიციულობისა (იხმარებოდა ყოფილი მორფოლოგიური ელემენტის დავიწროებულ სახედ: დაი > და), არ სპორიობებს აღდგენას. ეს იმი-

ტომ, რომ თვით დამავალი დიფთონგი (აჲ, ეჲ, იჲ, უჲ) დღევანდელ ქართულში აღარ არსებობს.

რაც შეეხება ქართულურისა და კახურის იოტაზე ორიენტაციას, უნდა ითქვას, რომ იგი სულ სხვა წარმომავლობისაა — მიიღება არა ხმოვნის დავიწროებით (ძმა>ძმაჲ), არამედ ს თანხმოვნის რეფლექსით (ძმაჲ ეტყვის < ძმას ეტყვის). ამიტომაც უარყო ილიამ იგი რეფორმის სხვა ძველ (ტ, ღ, ჯ, კ) ასოებთან ერთად. მისი სიტყვებია: „გადიგდოს როგორც უსაქირო, რადგან ჩვენი ანბანი უფრო განმარტივდებოდა და მართლწერა გაადვილდებოდა“.

იგივე თქმის წყვილთანხმოვანიანობის მართ. მის სასარგებლოდაც რომ გადაწყდეს დავა (რაც მეტად საუკუნოა), იგი უსაძლოა ერთგვარი შედავითი უტსოურ ონომასტიკას მიეუყენოთ (შელი, ვილი, რუსი) და არავითარ შემთხვევაში ქართულ ლექსიკას: ჩხილი, სუნელი, რომლებიც ენის მოსატეხად თუ ივარგებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულში ძველთაგანვე მტკიცედ მოქმედებს ორი ერთნაირი თანხმოვნის დაუშვებლობის წესი: ერთ-ერთი ან სულ ივარგება (ჩხილი>ჩილი), ანდა დისიმილაციას განიცდის (სუნელი>სურელი). ამვე წესის მიხედვით არ უნდა ვიხმაროთ ლბიო (იგი შეცვალა რბილ-მა), მაგრამ დასაშვებია სილბო (როგორც ერთი ლ-ს მქონე. შდრ. დალბა, მოლბა).

ასევე, გაუმართლებლად გვეჩვენება ოდესღაც ქართულში სიტყვის თავკიდურად დამყდარი ბაჲს ამოტიტივება:

„არცა ბინდო ვარ, არც ჩინელი, არც ხორასნელი“ (რუმი);

„ხორცი აბოლუტურად ამოუშინებავი ბიეროგალია ჩვენთვის“ (ფრანსი);

„...ისევე ჩჩილი და უჰასაკო, როგორც მისი პირველი, სიყრმისდროინდელი გამოცხადების ეჲს“ (დანტე).

ესარგებლობთ შემთხვევით და აქვე ვავიხსენებთ უფრო ადრე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამართულ დისკუსიას ასომთავრულეების აღდგენის თაობაზე. იგი ჩვენ მიგვაჩინა არქაიზაციისკენ გაშლილი ფონოტიო სკლის ერთ-ერთ რგოლად და ეიზიარებთ მისი აღდგენის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისს. ღრმად გვკერა, რომ ასომთავრულებმა პრობლემა თანამედროვე ქართულსათვის საერთოდ მოხსნილია. ჩვენი ტენა ვერ წავა განვითარების საყოველთაო ტრენდენტის წინააღმდეგ. ეს კარგად შენიშნა ილიამ: „ეხლა მთელი ევროსა ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და სხვათაშორის, ანბანისაც და მართლწერისაც“. არ დაგავიწყდეს: ეს ითქვა საუკუნის წინ. დღეს ასეთ განცხადებას, რა თქმა უნდა, მეტი ობიექტური გამართლება აქვს.

მორფოლოგიიდან ყურადღებას იქცევს მთე-

ლი რიგი ფაქტორები. პირველ ყოვლისა, დავასახელებთ ზემოთ ნახსენებ II ბრძანებით: „მოზიდულს მახელის დაბლა დაგხრი, ჰოი, განვედ, მორჩი“ (ა. ისაკიანი); „მოვედ ლიბანიდან, სძალო! მოვედ ლიბანიდან ჩემთან!

წამოვედ აბანას მწვერვალთ... (ქებათა-ქება“).

ვარდა იმისა, რომ II ბრძანებითი დღეს აღარა აქვს ქართულს, იგი ომონიმურია ნამყო წყვეტილის I პირის ფორმისა: მე მოვედ (მოვედი) და შენ მოვედი! (მოდი!), რაც ერთგვარ გაურკვეველობას ქმნის.

2. როგორც ცნობილია, სხვა ცვლილებებთან ერთად ისტორიულად მოხდა ქართული ზმნისწინების სიტემის გამარტივება: წარ > წა, გან > გა, აღ > ა, შთა > ჩა... ეს არის „ეკონომიის ტენდენციის“ კერძო გამოვლენა, რომელიც ჩანს ენის ყველა სფეროში. „ყოველქმითვის ენობრივი ქვეყა რეველორდება ე. წ. უმცირესი ძალის ხმების პრინციპით“. თუმცა ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს გამოთქმა შეეცვალოთ უბრალო სიტყვით: ეკონომია“, — წერს ფრანგი ენათმეცნიერი ანდრე მარტენე. ჩვენ მთერ განხილულ თარგანებში სრული ფორმებისაყენ დაბრუნება გეაქვს:

წარ: „შენმა ღვთებამ დაგიცვას შენ, მშვიდად წარგიმართოს გზა“ („გილგამეში“);

„ვიინც მუქქმნილია და ვისი ენით მარტოდენ შხამი წარმონიუხულა“ („აბუ-ლალა-მარი“).

ასევე იხმარება: წარგვტაცა; წარუძედ; წარბედს; წარხოცა; წარედო...

წარ გვხვდება დღევანდელი გა-ს შემცვლელად:

„მქვენვარე მგელმა წარიტაცა ჩემი უმან, კრავი“ (ფრანსი).

გან: „მოკვდავებს ხომ ესა სჩვევიათ, ძირს განრთმულს კიდევ წიხლი უნდა ახილონ ზედა“ (ესქილე);

„...ჩემი სამყოფელი ბნელია და უკაცრიელი, მო, განმინათლუ!“ („ბიტანჯალი“). აქ გამიზნო იგულისხმება.

ასევე: განძლიერებულა; განეშორა; განიზოხა; განერთხენ; განგიცხადებ; განრიდებული; განგახვენებს...

რაც შეეხება გასრულდა ზმნას (ჩემი დღე გასრულდა. და მე ვგავარ ნაპირზე ამოთრეულ ნავს“ („მებადე“), იგი ფორმით ახალქართულია, მაგრამ შინაარსი ძველი აქვს: „გასრულდა < განსრულდა (დასრულდა).

ზმირად გან ზმნისწინისეული ნ უდაგილოდა გაჩხირულ პრეფიქსსა და ფუქს შორის: „უსამართლობა, სიბრძივე და სისასტიკე აღარავის აღარ ანციფრებენ“ (ფრანსი). უნდა იყოს: აც-

**არლი თაყაიშვილი**  
ენა ძველი, ენა ახალი



ვიფრებენ, ან განაცვიფრებენ (შდრ. დღეს არასწორად ხმარებულ ანთავისუფლებებს). ასევე მოულოდნელია: „ინმარცვის და შეძლებისამებრ თავისუფლება სხელისავან“ („ფედონი“). სწორია იმარცვის, ინმარცვის ფორმა განმარცვის ანალოგიითაა მიღებული.

აღ: „არ აღუვსია ჭერაც მწვანით მიდამოს უბე“ (ს. კაპუტიკიანი); „გულის სიღრმიდან აღმომსკდარნი, თითქოს ხმაშაღლა აღმოიტყოდნენ“ (დანტე).

ასევე: აღიგავა; აღავლინა; აღმამაღლა; აღიტაცებეს; აღსრულდეს...

გარდა: „გარდასახლების გზაზე მიმავალს თან მიჰყვება კეთილი იმედი“ („ფედონი“); „უბედური მარჯვენა გვერდზე გარდაიქცა“ (ფრანსი).

უნდა ითქვას, რომ დღესაც გვხვდება სრულ-ზმნისწინაინი ფორმები, რომლებიც არავითარ უხერხულობას არ ქმნიან. ესაა თვით ენის (და არა მწერლის) მიერ დამკვიდრებული არქაიზმი. სწორედ ენამ შეინარჩუნა ძველი ფორმები და საერთო-სახალხო საკუთრებად აქცია. ოღონდ უმეტეს მითავანს ახლისაგან გამოსარჩევად სხვა ნიუანსი მისცა. მაგ., აღგას გვერდით იხმარება აღდგა, მაგრამ სხვა კონტექსტში: ქრისტე აღდგა (აღდგამა). ასევე: აიგავა (კიბეები), მაგრამ აღიგავა (პირისაგან მიწისა); წაუშლელი (დავა), მაგრამ წარუშლელი (კვალი, შთაბეჭდილება); წახული (სტუმარი), მაგრამ წარსული (დრო). მსგავსი დუბლეტებია: გაიოთხვა || განციოთხვა; ჩამომავალი || შთამომავალი...

იშვითად მხოლოდ ძველი ფორმებია შერჩენილი: წარუბოცელი; განიარაღება; აღსავსე; აღმოსავლეთი...

ასეთ დიფერენციაციას სარგებლობა მოაქვს ენის სემანტიკური გადარჩევის აღნუსხვისათვის, ხოლო სრული ზმნისწინების ხმარებას დღეს არსებულია ზუსტ ეკვივალენტად (აუვსია || აღუვსია) გამართლება არ ეძებნება.

3. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ იოტა (ა), რომელიც სახელობითის ი-ს და ნათესაობითი ბრუნვის ი ნაწილის (ის) სახეცვლილებას წარმოადგენდა. მის პარალელურად შეინიშნება სრულსახინი ფორმანტიბიც:

„მემბრ ვერვინ გვკრეტს, ძეი ვარ შენი!“  
„ჩამოკრულ ზარებს სამრეკლოს ნასართლი კენჭით“ (ს. კაპუტიკიანი).

სწორად შენიშნავს ი. იმნაიშვილი, რომ ავეტიკი ისააკიანის თვარაძისეული თარგმანის ერთ-ერთ სტროფში: „და უღაბნოთ ყვითელი ქვიშა ქარდაქარ შორეთს მიხევეტება“, ი მარცვლის ასანაზღაურებლად სრულებითაც არ არის ნაზმარი, სხვაანარადაც შეიძლებოდა თქმულიყო: „და იმ უღაბნოს ყვითელი ქვიშა“... ცხადია, უღაბნოს აქ არქაიზაციის გასამაფრებლად ზის.

4. ცოცხლად არის შენახული ძველი ქართული გამოსვლითი და მიწვევითი ბრუნვების შე-

გრძნება: დღევანდელი სოფლიდან ფორმები მელცი მიღებულია მოქმედებითზე განსაზღვრულ ბულის დართით (სოფლით+გან> სოფლიდან > სოფლიდან), მთარგმელებთან წარმოადგენილია პირველსახით, უთანდებულოდ:

„ყველაფერ ამას შე ვუჭვრეტ მაღლით, მე, იოგი და განდგილი“ (აღმოს. პოეზ.);  
„კვიბაროსები შრიალევენ შორი ნაპირით“ (ავ. ისააკიანი);

„ვინ არის იგი უღაბნოთ აღმომავალი“ („ქებათა-ქება“).

ასევე, მიწვევითი ბრუნვაც დასტურდება ძველი ფორმით, ში თანდებულის გარეშე:

„ჩემი ძელები და ჩემი კუნთები დიდი ხანია უკვე მეგარას იქნებოდნენ, ან ბეოტის“ („ფედონი“);

„სცენზე შეისვა ძმისწული და აგრე მიიყვანა უღაბნოს“ (ფრანსი).

სხვათაშორის, ასეთი ფორმები ერთი იმ-ათთაგანია, რომელთაც უმტიცივეულოდ ხმარობენ პარაბაისტიკი პოეტებიც. ვაფისსენოთი. გრიშაშვილის სტროფი:

„შე არ ვიქნები თორმეტში მოსოვს, როცა ხმას მოგცემს ჩემი უბანი“...

5. სრული სახითაა წარმოდგენილი თანდებულებიც:

„ამაღლებულა თავი შენი მამრთა ზედა“ („გილგამეში“);

„მას უამხა შინა მივდიოდი ამხედრებულნი“ (დანტე);

„და მეგობარნი გულსა შიგან გაუჩინარდნენ“ (ავ. ისააკიანი);

„მარტენა მისი იქნებოდა თავსა ჩემსა ქვეშე“ („ქებათა-ქება“).

6. დღეს ეს ჩვენებითი ნაცვალსახელი ირიბ ბრუნვებში გავრცობლად გვხვდება (ამ კაცმა, ამ კაცის...). სრულადაა შემორჩენილი მხოლოდ ბიბლიურ ფრაგმენტებში: ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მთარგმნელებთანაც ეს არქაული ფორმაა:

„და მეც ველტვოდი ამა შიშით გარემოცული“ (პერიკლე);

„ამა სოფელში მწირად დავდივარ“ (ავ. ისააკიანი).

7. ნართანინი მრავლობითი ის მორფოლოგიური ოდენობაა, რომელიც განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებს ფრაზას (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს). ძველად მას, ცხადია, ნორმატიული ხასიათი ჰქონდა. დღეს მისი ნორმოლოგიური ძალა შესუსტებულია — შემოგერჩა სხვადასხვა ოფიციალურ დასახელებაში: მწერალთა კავშირი; პიონერთა სასახლე; საბჭოთა კავშირი... აგრეთვე მყარ, სტერეოტიპულ გამოთქმებში: მთანი მაღლანი; ღრონი მეფობენ და არა მეფენი; კაცნი ვარო; ერთნი ამტკიცებენ; მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო და სხვ.

რა თქმა უნდა, მწერლობის ენაში იგი სტი-

ლისტერ ძალას კვლავ ინარჩუნებს. დასახელებულ მთარგმნელებთან საპრეტენზიოა მხოლოდ მათი მოქარბებულად გამოყენების ტენდენცია: „გვირგვინით მოირთე, ლამაზო დივა, ტალღანი კულულთა შენთა“ (საფო); „თვალხილულნი ვართ, სმენამახვილნი და მინც ყრუნი, უსინათლონი“ (საქო); „შენს წინ განერთობიან მეფენი, უფალნი, მოვარნი“ („გილგამეში“).

ასევე, უსარულოდ გვხვდება: „შორნი ნათობენ სანაპირონი“; „მომოქროლინი ქარში ქვიშანი“; „მე გლახაკნი და არარანი“; „ქვეშევრდომნი ერთგულნი ჩემნი“; „თვალნი შენნი ტრედისანი“; „ყოფისმცოდნენი, სრულქმნილნი და სამართლიანი“ და ა. შ. და ა. შ.

აქვე შევჩერდებით ერთ მნიშვნელოვან სტილისტურ ხერხზე, რომელსაც გრ. კიკნაძე უფოსირებულ ფორმის გამოტრების ტენდენციის სახელით იხსენებს (იხ. მისი „მეტყველების სტილის საკითხები“). ავტორის აზრით, ეს ტენდენცია თავს იჩენს წინადადებათა მიმსგავსებულ კონსტრუქციების დროს, ფრაზებში შემავალი სიტყვების გამოტრება — მსგავსებისა და სიტყვათა გარკვეული განლაგებისას. ასეთი მიდრეკილება განსაკუთრებით შეიმჩნევა ბარანოვის ისტორიულ რომანებში. მისი გამაფრებელი რიტმი პროზაში ლექსის დანახვის შესაძლებლობას ქმნის; მისი საფუძველი კი, თავისთავად, ძველი ლიტერატურისადმი მიძახება ან მის გავლენაშია საძიებელი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მთარგმნელთა ენა, როგორც დავინახეთ, უსინათლო მასალას იძლევა აღნიშნული სტილისტური ტენდენციის საილუსტრაციოდ. მაგრამ ამ შინაგანად მოწესრიგებულ მხატვრულ საშუალებას ახლავს ერთგვარი შეზღუდვა: გადაამტრებულ სტილიზების დროს ერთფეროვნების არასასამოვნო ეკალს ტოვებს. ნიმუშად მოვიყვანთ ორიოდ პასაჟს:

„მოვიწყებულნი ერთი სიმღერა ძველ კარგთა დღეთა წასცდა ბაგეთა“  
(ავ. ისაყიანი);

„...ერთფეროვნების შემდეგაც კაცნი კვლავინდებურად ეგოისტნი არიან, ძუნწნი, მხდალნი და დაუნდობლნი, ხან ყუეჩნი, ხან მჭვინვარენი და რომ თითქმის უცვლელია ახალმობილთა, ახალშეუღლებულთა, რქიანთა და ჩამოხრჩობილთა რიცხვი... (ფრანსი);

„...იმედსა და ლობიერებაში განგემტკიცებიანთ თავი, გყვარებოდეთ უპოვანი, მოგეხილთ სნეულნი, გაგეკიცხათ გლახაკნი, გენუგმებინათ უნუგეშონი“ (ფრანსი).

უქანასკნელ პასაჟში, გარდა ნართანინი მრავლობითის თანმიმდევრულად გამოტრებისა, უკიდურესადაა მოწესრიგებული სიტყვათა განლაგება: არსებითებს წინ უდგას ზმნები და ერთ ფრაზაში რამდენიმე ტოლი მონაკვეთის

მოსალოდნელობაა (განგემტკიცებიანთ თავი, გყვარებოდეთ უპოვანი...), ეს დაძაბულობისა და გარეგნული ბრწყინვალეების საფრთხეს ბადებს, რაც, გრ. კიკნაძის აზრით, ხელს უშლის ნაწარმოებთ ტტობას, მომავლურებელ შთაბეჭდილებას ქმნის და ადამიანში სიბხლის მოთხოვნილებას წარმოშობს.

ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს გამოტრებათა თავიდან აცილების, განმსვავების ის ძლიერი ფაქტორი, რასაც „ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენცია“ ჰქვია. როგორც ჩანს, ეს უქანასკნელი უფრო თანამედროვეა ფორმით (თუ, რა თქმა უნდა, ზომიერადაა ხმარებული), ვინემ მისი წინამძებელი, და იძლევა აღქმის შედარებით სასურველ ეფექტს. იშვიათად იგი ჩვენ მიერ განხილულ მთარგმნელებში შეინიშნება:

„ღემილოკემ თქვა: მილეტელნი როდი არიან რეგვენე, მაგრამ იქვეყიან როგორც რეგვენნი“ (ღემილოკე);

„ენქიღუ, მეგობარო ჩემო, უმრწემესო კენჯართა და უდაბნოს ლომების მღევიარო“ („გილგამეში“).

თუმცა, ამ უქანასკნელ მაგალითში ებიანი ფორმის შემოტანა მარცვლის საჭიროებით უფრო ჩანს, ვინემ სტილისტური დანიშნულებით! ამ მხრივ სანიმუშოდ გვეჩვენება ფლობერის „სალამოს“ ქართულ მთარგმნელთა (მ. გიგინიშვილისა და განსვენებული კ. ქილარჯიანის) ენობრივი ტაქტი:

„სა მაინც არ კმაროდა. მაგრამ ჰანონის მსგავსად ქალაქის ყველა მკვიდრს როდი იღებდა ლაშქარში. იფუნებდა სხარტ მოძრაობას შეუჩვეველო, სქელმიანიანებს და ჭაბანთ. ამით ნაცვლად თავს უყრიდა სინდისგარეციხილთ, ულქის ნაძირალებს, ბარბაროსთა შთამომავალთ და ნაციხართ“;

„მეომრები წყვილად დაყო და ისე დააწყო, რომ სუხტებს ძალგულოვანი ენეცვლებოდნენ, რათა ჭაბანნი და სულმოკლენი ბძობლებში ნაცად ვაჟაცებს შეეგულიანებინათ“.

მრავლობითის ძველი და ახალი ფორმების ასეთი ზომიერი მონაცვლეობა არღვევს სტილის ერთფეროვნებას და თხრობის მღორე და მწყობრულ დინებას ქმნის. თუმცა, იშვიათად, ფიქსირებულ ფორმა ამ მთარგმნელებთანაც მეორდება მონოტონურად;

„ტობობრივი სხვაობა მოსპო, მაგრამ ბელი კვლავ აშორიშორებდა დამარცხებულთა შთამომავალთ და გამარჯვებულთა ნაშიერთ“ (აქ ერთი ებიანი ფორმა სავებით გამოაცოცხლებდა ფრანსი).

სინტაქსი ერთ-ერთი ის საიმედო უბანია, რომელიც არქაიზაციის მომხრეთ წარმოუდგენელ

არლი თსაქიშვილი  
ინა ძველი, ინა ახალი

თავისუფლებას ანიჭებს. სიტყვათა განლაგება, მათი შეკავშირების სპეციფიკური ფორმები წინადადებაში, თვით ამ წინადადებათა ერთმანეთთან დაკავშირების ხერხები ძველი ვითარების გამოვლენისათვის ფართო ასპარეზს შლის. პირველ რიგში ყურადღების იქცევს სიტყვათა შებრუნებული რიგი. დღეს სალიტერატურო ენაში ფრთხილად ხმარებული, იგი ნორმატიულად განსაზღვრავდა ძველი ქართულის სინტაქსურ პროფილს.

ახალგაზრდა მთარგმნელებთან ძველი სინტაქსური საშუალებებიდან შებრუნებულ რიგს (პოსტ-პოზიციური წყობას) ენიჭება დომინანტური როლი:

„ბეატრიჩე ბოდვის შემდეგ პირველად მოველინება ერთგულის თვისის მზერას“ (დანტე);  
 „მონაგარს შენსას, აიანტის, ოდისევსისას“ („ილიადა“);

„ის მაინც ეცოდინება, როგორ შეიძლება აღსრულდეს მისი ნება, ან საერთოდ შესაძლებელია თუ არა აღსრულება მისი“ (ფრანსი).

პოსტ-პოზიციური წყობის ნიმუშებია აგრეთვე: სარკელის შენის; წუხილი მისი; ბრძანება შენსას; აღერსთა ჩემთა; ასულს გმირისას; სასძლოს მოყმისას; თმას სხეულისას; მარილად ქვეყნისა; სიკაბუჯის შენის; მომატების ჩვენის და სხვ.

ჩვენ თავის დროზე ერთ-ერთ წერილში მიუთითეთ, რომ „დროთა განმავლობაში პოსტ-პოზიციური წყობის ნაკადი შესუსტდა (ამას თავისი მიზეზები აქვს). დღეს სალიტერატურო ენაში „უკუღმა“ წერა-ლაპარაკის ნაშთებიღია შემორჩენილი: ბიბლიური აღიგავა პირისაგან იფიშება (შდრ. ბუნებისათვის კაცისა); თეატრის ბიწებს: დადგმა ჰაბუჯიანისა; მუსიკა მაჰავარიანისა... პიესებისა და წიგნების სახელწოდებანი: სამახეობა რაინდისა; ცხოვრება ივანე მარბლისა; ცხოვრება აკაკი წერეთლისა; ცხოვრება კაცისა და ბოლოს, თვით სიბრძნე სიცრუისა“.

რა თქმა უნდა, ამგვარი შემთხვევები საცხებით გამოართლებულია. მათ გარკვეული სტილისტური დატვირთვა აქვთ. როგორც კარგად ჩანს, ჩვენი სტატიის სათაურიც (ენა ძველი, ენა ახალი) ამ პრინციპითაა გაწყობილი!

2. სიტყვათა არაქალაქი დალაგების თავისებურ სახეს ქმნის ზმნის ბოლოდან მეორე აღვილზე მოქცევა, მის უკან კი ზმნიჭედის, ნაწილკის ან ნაცეალსახელის გადასრობა. ეს სტილისტური ხერხი, ე. ვამსახურდიას მიერ შემოტანილი და წარმატებით ხმარებული, არც ახალგაზრდა მთარგმნელებსთვისაა უცხო:

„ბევრი ამ ასულთაგანი განციფრდა ფრიალ“ (დანტე);

„გონიერნი უნდა ღრტივანდენენ, როცა სი-

კვლილი უახლოვდებათ, უგუნურნი კი დნენ უნდა“;

„ტოტზე ლეობარდი იჭდა, წარბს ზედა რაკალები ქვეწარმავალს ამგავსებდა საოცრად“ („ლეონარდი“).

სხვათაშორის, ამგვარ გავლენაზე მიუთითებს ნ. კაკაბაძე, როდესაც ეხება ჰაინეს „მოგზაურობის“ ჯორჯანელისებულ ქართულ თარგმანს: „არაფრთი არაა გამართლებული ჰაინეს უაღრესად სპეციფიკური ელერადობისა და კოლორიტის ტექსტში კონსტანტინე გამსახურდიასეული, არაჰაინესებური ინტონაციებისა და ტონის შეტანა“, და იქვე ასახელებს ამგვარ მაგალითებს: „მავრამ იჩქითად ისე გამეშადა ფიქრში წასული, იტყოდით, მრუჟე ტკივილის ქრუნტელმა დაუბრინაო ანაზღედულა“.

არის მსგავსი სინტაქსური წყობა, რომლის დანერგვაც კვლავ ე. ვამსახურდიას სახელობაა დაკავშირებული. „ცხენების თქარუნი ისმოდა ერთობლივი“ — აი ვამსახურდიას სპეციფიკური ფრაზა, რომელიც იგება ერთ-ერთი მსაზღვრელის ზმნის შემდეგ მოქცევით — წერს ზ. ჭუმბურიძე.

ამ ორი წყობის („ბევრი ამ ასულთაგანი განციფრდა ფრიალ“ და „ცხენების თქარუნი ისმოდა ერთობლივი“) კომპლიკაციით ბ. ბრეგვაძისეული თარგმანებში ელემენტობა მესამე, შედარებით რთულ განლაგებას. მხედველობაში გვაქვს ორ-ორი ზედსართავიდან თუ ზმნიჭედიდან ერთ-ერთის ზმნის უკან გააღადება თავის და კავშირინადა (?):

„ასე მგონია, ავრე უღვთოდ გამწირავდა და უწყალოდ“ (დანტე);

„ამ პასუხმა მისი გრძნობების სინატიფე მაგრძნობინა და დახვეწილობა“ (ფრანსი);

„თანაც კუბლტებს თხზავდენ უზვად და ანეგლოტებს“ (ფრანსი).

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფრაზა დაუმთავრებელია, აკლია სულ ცოტა ერთი ზმნა მაინც. მაგალითად: „თანაც კუბლტებს თხზავდენ უზვად და ანეგლოტებს“ (ყვებოდენენ). ან კიდევ: „ასე მგონია, ავრე უღვთოდ გამწირავდა და უწყალოდ“ (მიმატოვებდა).

ამას თუ დავუმატებთ ზოგჯერ მსაზღვრელის მეტისმეტად დაცილებას საზღვრულისაგან (აქ თვით პატიოსნებაც კი უღმობლად იქცევა მათი“; ან კიდევ: „სხვათათვის მეშეცნო ის, რაც შეიძლება სიტყვებმა იტვირთონ და დაიტონ ჩემმა“ (დანტე), დავრწმუნდებით, რომ ასეთ ექსპერიმენტებს არაქალაქაზე მეტად ხელოვნურობის ბეჭედი ახსი.

3. ცნობილია, რომ სახეზმნის ძველ ქართულში მეტი ზმნური ძალა გაჩნდა, ვიდრე დღესა აქვს. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი პირდაპირ დამატებასაც კი იგუვებდა, როგორც ეს ევროპული ენების ინფინიტვის ძალუქს: „მოსე ბრძანა წიგნი განტყვევისაა

**მიცემად:** „აწ ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი“ (ამის შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები).

დღეს ეს კონსტრუქცია შეიცვალა, საწყისი სახელობითი ღებვა ამ დროს: „ბრძანა წიგნის მიცემა“.

ვითარებაში დასმულ საწყისს სხვა ფუნქციაც გააჩნდა ძველ ქართულში — გარემოების აღმნიშვნელი სიტყვის როლს ასრულებდა, რასაც დღეს მიმღობის ვითარებითი ფორმა თავობს. ვგულისხმობთ კონსტრუქციას: „დაჯდა წერად ანდერძისად...“ (რუსთაველი). დღეს იქნის: დაჯდა საწერად (დასაწერად). ძველი კონსტრუქცია მოწონებით სარგებლობს ახალგაზრდა მთარგმნელებში:

„მომესურვა კვლავ დაეშდარიყავ სონეტის წერად“ (დანტე);

„დამწუხრდა და დაჯდა ტირილად“ („გილგამეში“);

„ბჭობად მოვუხმე ერთგულ მეგზურთ და ვუთხარ ასე:“ („ოდისეა“).

მსგავსი მაგალითებია: გვეაჯე ხსნად; მგზავრობად გემართინე; ბჭეთაგან გასვლად; სასოთა ჩენად; შამხათის წყუვად; უხმობად გალოზბად; დავხხდეთ ნაღმიად და სხვ.

ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში დასტურდება მყარი, სტერეოტიპული თქმები, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ. ესაა ე. წ. ფრაზეოლოგიზმები და აღწერითი ფორმები. მათი ნაწილი ორგანულადაა შეზრდილი თანამედროვე ქართულს, ნაწილი კი საერთოდ აღარ იხმარება. ეს აიხსნება იმ ელემენტარული კანონით, რომ ენაში ახლის წარმოქმნასთან ერთად ქრება ძველიც. ასეთი პროცესი ძირითადად კანონზომიერია, იშვიათად კი მტკიცებელი ჩანს. მაგალითად, ტეხა ზმნა, რომელიც დღეს გვხვდება შემდეგ სიტყვებთან კონტაქტში: ფიცი გატეხა; პირობა გატეხა; ძილი გაუტეხა; სახელი გაუტეხა მე-17 საუკუნის ენაში იგულებდა ბრძანება სიტყვასაც: „რონელმან ხელმწიფემან ბრძანება ლეთისა ხას გატეხოს“ (მეფ. სალ.). ამჟამად შეკავშირების ეს შესაძლებლობა ენას დაკარგული აქვს. ასევე, ჭამა ზმნა დღეს გამოსდის შემდეგ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებში: შიში ჭამა; სირცხვილი ჭამა; ჭაგრხ არ შეჭამს... „ვისრამიანში“ კი ნაღველთან კავშირშიცაა: „ამა გულითა სიყვარულისა ძებნა ნაღველისა ჭამისა სწორია“. აქედან კომპოზიტი „ვეფხისტყაოსანში“: „არაბთა მეფე მათთა გაყრითა ნაღველჭმულია“.

მსგავსი ფაქტი მრავლად იძებნება. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ სიტყვათშეკვეთების კანონები ისტორიულ ხასიათისაა, ისინი იცვლებიან სხვა ელემენტების შესაბამისად და ენის ყოველ ეტაპზე განსხვავებულ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს წარმოგვიდგენენ. ამით ისიც მიინიშნება, რომ ხმარებიდან

გასული ყოველი ფორმის აღდგენის ცდა ისევე შექმნის უხერხულობას, როგორც ახლის დიდევრად წარმოება.

ასეთ ერთელ ექსკურსს შეგნებულად მივმართეთ — გვსურდა გვეჩვენებინა, რომ მთარგმნელთაგან უხვად ნახმარი აღწერითი ფორმები ენის სისტემაში ძირითადად განვიღო ეტაპს მიეკუთვნება. მხედველობაში გვაქვს ყო ზმნის მონაწილეობით შექმნილი აღწერითი ფორმები, რომლებსაც დღეს ორგანული ზმნა ეფარდება:

„ასე ლაღად მყო და... უსმინა აპოლონ ღმერთმა“ („ილიადა“). დღეს — შემაღადა, ილაღდა;

„ალარავის ხელეწიფების სირცხვილუფლემოს ამიერთიდან“ (მ. ავრელიუსი). დღეს — შემარცხვინოს.

გვხვდება აგრეთვე: სრულეყო; წამოყო; ხაცნაურ ქმნილყო; გულისხმაყო; ლტოლილიყო; საჩინო მყო; მეობ გვეყო; ვრცელ ყვეს; ბედნიერ მყო...

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ, საერთოდ, აღწერითი ფორმების წინააღმდეგ ვიყოთ. პირიქით, ერთ წერტილში იმასაც ვივატყვიტბდით, რომ აღწერითი ფორმები, რომელთა შექმნაშიც „ფართო სემანტიკის“ ზმნები მონაწილეობენ, ბევრად მაღლა დგანან სტილისტურ-ემოციურად თავიანთ ზმნურ ეკვივალენტებზე. მაგ., ნუგუხს სცემს — ანუგუხებს; პირობას იძლევა — პირდება; შიში ჭამა — შეშინდა და სხვ. მაგრამ ზემოთქმულ შემთხვევებში საქმე გვაქვს ყო ზმნიან ფორმებთან, რომლებსაც ექსპრესიული დატვირთვა არ გააჩნიათ, და, ამდენად, დამხმარე ზმნების ფუნქციასლა ასრულებენ. რაც მთავარია, სახელი+ყო ზმნის კავშირი დღეს ენაში აღარ არსებობს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი ქართულიდან „გადმოხიზნულ“ შეურაცხყო, უარყო, უგულვებელყო და ცხადყო-ფორმებს).

გარდა აღწერითი კონსტრუქციებისა, მთარგმნელთა ენაში მრავალადა ისტორიული იდიომატური მასალა. ნაწილი აქედან დღევანდელ მეტყველებამაცაა შემოპრილი: აღიგვევა პირისაგან მიწისა; დასაბამს იღებს; გუნდრუკს უკმევენ; ხელთ ებყრას; იმედო გარდაიმიწდა; მტლად არ დაიბედა; მტვრად აღგავა; იოტის ოდენად; პატევი აქვს; ყურად იღო... ნაწილი კი მხოლოდ ძველი ენის საკუთრებად დარჩა:

„ხული დაიდ ამ სოფელში, ხმა დაიდუმ“ (ალმოს. პოეზ.);

„ნეტა პირის ხილვა შევიძლო მისი“ (დანტე); „და მე მგონია, მაღლად მხედნი იყენენ ისინი...“ („ფედონი“);

„უშვრედეს იმავე საწყისისაგან წარმომდგარს, რომლისაგანაც მოიქცა ყოფად“ (ავრელიუსი).

**არლი თაყაიშვილი**  
მნა ძმელი, მნა ახალი



იშვიათად დღეს ხმარებული ფრაზეოლოგიზ-  
მი ძველი გაფორმებითაა:

„იქნებ იქ მაინც — უწუგუგოს — გვენ ნუ-  
გეშინი“ (დანტე),

თუმცა, იქვე თანამედროვე სახით გვხვდება:  
„მკადოთ, იქნებ ნუგეში ვცეთო მას, სასომი-  
ზღილს“.

ჩანს, უბრალოდ, პრინციპია აღრუული.

და ბოლოს, ჩვენ მივადექით ყველაზე რელი-  
ფურად გამოხატულ სფეროს — ლექსიკას. არ  
არის ძველ ძეგლებსა და სულხან-საბას ლექსი-  
კონში არც ერთი საინტერესო სიტყვა, რომელ-  
საც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადვილი არ  
ეპოვოს. ეს სხვადასხვა წარმომავლობის, აღნა-  
გობის, შინაარსის და ემოციური შეფერილობის  
სიტყვები თავისებურ არქაულ ზღაპრულ ასევე  
ფრაზას. თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური კა-  
ტეგორიები ძირითადად ტექსტის „გარეგნულ  
ფორმაზე“ ახდენენ გავლენას, მის „ხედვით“  
მხარეს აწესრიგებენ, ლექსიკა უმთავრესად  
ფრაზის აზრობრივ პროფილს ქმნის, მის „ში-  
ნაარსულ“ არქაიზაციას ემსახურება.

რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი მასალა  
ერთ სიბრტყეზე არ დგას. გვხვდება სიტყვები,  
რომლებიც დღესაც იხმარება, ოღონდ ან ფორ-  
მითაა განსხვავებული, ან შინაარსით. დასტურ-  
დება აგრეთვე ხმარებიდან საერთოდ ამოღებუ-  
ლი და წარსულს ჩაბარებული ფონდი. შევეც-  
დებით, საილუსტრაციო მასალა გარკვეული  
პრინციპით დავალაგოთ. პირველ ჯგუფში მო-  
ვაქცევთ მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით გა-  
მოყოფილ ერთეულებს. აქ იგულისხმება ლექ-  
სიკა, რომელიც დღესაც გვხვდება, ოღონდ მორ-  
ფოლოგიურადაა სახეცვლილი. მოხერხებულო-  
ბისათვის ზმნებს და სახელებს ცალკე განვიხი-  
ლოთ:

ა) ერთი რიგის ზმნებს ი თემის ნიშანი აქვთ  
ბოლოში. დღეს მას სხვადასხვა მწარმოებელი  
უპირისპირდება:

„მაშინ ორივე შეშავდრე, ამაა გვედრი“  
(დანტე).

დღეს გავადრებ მ გვეადრები გვაქვს. სხვა-  
თაშორის, „ილიადას“ ტექსტში გვეადრებ უხმა-  
რია მთარგმნელს: „ვერცხლის მშვილდაო,  
გვეადრებ ქრისტეს, ჭომაგო ქველო“;

„ხოლო ჩემი მწუხარებ მურა იმუსერის“  
(დანტე). დღეს — იმუსერება;

„დიდად მაღლოის, მაგრამ აროდეს სიტყვა  
მართლი არ დასცდენია“ („აბუ-ლალა-მარი“).

დღეს — მაღლოის. ასევე გვხვდება; ვემსჭვალ-  
ვი (ვემსჭვალუბი); აღძვრის (აღძვრება); ით-  
ხრობის (ითხრობა); ეგების (ეგება); მსურის  
(მსურს); მრცხვენის (მრცხვენია)...

ზოგჯერ დღეს სხვადასხვა თემის ნიშნით გა-  
ფორმებული ზმნები ფუძის სახით გადმოიციმა:  
„ვიმე; თქვენმა მუქარამ რამე ნაყოფი გამო-  
იღოს“ (ფრანსი). დღეს — ვიმეობ;

„მხოლოდ გრძნობა თეხს სიკეთის თქმულს“  
დამიწაზე“ (ფრანსი). დღეს — თეხავს.

ასევე: არს (არის); განგმერდა (განგმირადა);  
ვზი (ვზივარ)...

ბ) მთელ რიგ სახელებს, დღევანდლისაგან  
განსხვავებით, სხვა პრეფიქს-სუფიქსები აწარ-  
მოებს:

„მურარის(?) ჭურჭელი — მებრფე ჩემი ჩემ-  
თანა, ჩემთა ძუძუთა შორის განისცენებს“  
(„ქებათა-ქება“).

დღეს სატრფო გვაქვს. უნდა შევნიშნოთ,  
რომ ეს ფორმა მთარგმნელს განსხვავებული  
მნიშვნელობითა აქვს ნახშირი: მებრფე — ვაჟი,  
სატრფო — ქალი. ასეთი დიფერენცირება ხე-  
ლოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს, ავტორს  
მებრფე ძველი მიმღობების ანალოგიით გაუ-  
კეთებია.

„მდაბიორთავანი იქნება ვინმე“ („ზამთრ.  
ზღაპრ.“). დღეს — მდაბიო.

ასევე: მეგვიბტელი (ეგვიბტელი); მემრუშე  
(მრუშე); გამჭინვებული (გამჭინვეარებული);  
ნაეულღვეანი (ნაელოვანი); სიგულღვენე (სიგუ-  
ლოვენე || გულოვება); სახმლო (სარძლო); საე-  
სება (სისასე); საზრდელი (საზრდო)...

აღბათ ამავე სიახლის, გაუცეთლობის შეგრძ-  
ნებითაა გამოწვეული, რომ ფრანსის მთარგმნე-  
ლი მსუბუქ ფორმას კიდევ უფრო „ამსუბუ-  
ქებს“ ქვე-ს დართვით:

„ავილოთ თუნდაც ქვემსუბუქი(?) ყოფაქცი-  
ვის ქალები“.

ქვემსუბუქი დღეს წონა არსებობს (ისიც  
მოტიდად და მოკრივე ვაუბრისათვის).

2. აქ ჯგუფში გამოყოფილ ლექსიკას საფუძე-  
ლად დავედევით ფონეტიკური ნიშანი. დღევან-  
დელი კვივალენტებისაგან ისინი სწორედ ფუ-  
ძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებებით  
განიჩნევიან.

ა) ზმნის ფუძე რეალურიებულია — აკლია  
ხმოვანი:

„მხიარული ჩნდა მაშინ იგი და ხელისგულზე  
აღურისთი ეღო ჩემი გული“... (დანტე).

დღეს ჩანდა გვაქვს, თუმცა, იმავე მთარგ-  
ნელთან მიჩანს ფორმაც დასტურდება (?):

„თქვენს სათაყვანებელი ტატიო ურცხვ  
ცრუბენტელა მიჩანს“ (ფრანსი).

ხშირად ფუძეში თანხმოვანი არაა, ან, პი-  
რიქით, „ზედმეტია“; ზოგჯერ კი გადასმულია.  
ან სხვითაა შეცვლილი:

„...სადაც ღვიდება, ფეცეს იღვამს თესლი-  
ვით“ („ფელონი“). დღეს — ღვივდება;

„მობობს მთებზე, მოხლტის ბორცვებზე“  
(„ქებათა-ქება“). დღეს — მოხტის;

„თუმცადა ეს გული ლამის გასქდესს“ („ზამთრ.  
ზღაპრ.“). დღეს — გასკდეს.

ასევე: კება (ჭებება); ივლტოდე (ილტო-  
დე); გთობა (გრებება); ისწრფდეს (ისწრფო-  
დეს); წვრთილა (წვრთინილა)...

ბ) ფონეტიკური პროცესებია აგრეთვე სავა-  
რადლო ზოგიერთ სახელთა ფუძეების დღევან-  
დელ ეტიმოლოგებში:

„როდესაც ხუტბას აღვლენენ — ნესიბს უძღ-  
ვინა“ (აღმოს. ლირ.).

**ხუტბა** არაბული სახეობაა დამკვიდრებული  
**ხოტბა**-ისა. გამოდის, რომ სიტყვას ხელმოკრედ  
ესესხებლობთ, ოღონდ უკვე სხვა ფორმით (?);

„**ზრქელია** წყვილია, არ არის სინათლე“  
(„გილაგაშვი“). დღეს — ოღონდ განსხვავებული  
შინაარსით — **სქელი**;

„ფიქრი ვიწყე **შეიწრებულმა**, რა ვქნა, რა  
ვიღონო-მეთქი“ (დანტე).

**შეიწრებული** მოდის იწრო ფორმიდან.  
გვხვდება რუსთაველიდანაც: „ამას იგონებს ტი-  
რილით გონება-**შეიწრებული**“.

ასევე დასტურდება: **სიღბილით** (სირბილით);  
**შეშინვა** (ფშეშინვა); **გოღვიან** (გვაღვიან); **ყო-  
ლი** (ყოველი); **მთოვარე** (მთვარე)...

ჩვენ წარმოვადგინეთ ლექსიკის ის სახეობა,  
დღევანდელ ფორმებთან შედარებით რომ გამოი-  
ყურება არქაულად. ეს არის სალიტერატურო  
ენის ნორმებიდან მეთოდურად გადახვევის შე-  
სანიშნავი ნიმუში. ზოგ შემთხვევაში გვეგონა,  
კორექტურულ შეცდომასთან გვემონდა საქმე,  
სანამ ლექსიკონებში არ შევამოწმეთ საეჭვო  
ერთეული.

ჩვენ ისიც მოგვეხსენება, რომ ასეთ ექსპერი-  
მენტულ ერთგვარი მწერლური გამართლებაც  
აქვს; ეცნობთ მარტისს პოზიციას, როდესაც  
იგი გარეგან დახვეწილობას მიენცდამაინც არ  
თვლიდა ნაწარმოების ღირსებად. ლასალს  
ლექსებშიც სწორედ ის მოსწონდა, რომ პოეტი  
შეგნებულად, წინასწარი განზრახვით არღვევდა  
ლექსითყობის წესებს; ჩვენ მოხბული ვართ  
ტურგენევის მიერ გერცენის მიმართ თქმული  
ფრაზის მოჩვენებითი პარადოქსულობით: „აღ-  
ტაცებაში მოვყავარ მის უგუნურებადმე არას-  
წორ ენას. ესაა ენოცხალი სხელი“; გვეჭრა აგრეთვე  
ფრანგი ენათმეცნიერის შ. ბალის სიტყვებისა:  
„ენის ჩვეულ ფორმათა დარღვევები პირდაპირ უკვე  
იმით ემსახურებიან ექსპრესიულობას, რომ მეტყვე-  
ლებაში მრავალფეროვნება შეაქვს. არაფერია უფრო  
ერთგვაროვანი, ვიდრე ერთი და იმავე ფორმის  
გამეორება. ზოლო სისწორე გამეორებას მოითხოვს“  
(ამის შესახებ შეგიძლიათ დაწვრილებით იხილოთ გრ.  
კენაძის „მეტყველების სტილის საკითხებში“).

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მარტისი,  
ტურგენევიც, შ. ბალიც ამ გადახვევებში გუ-  
ლისხმობენ არა არქაიზმებს, არამედ საერთო-  
სახალხო ენის ელემენტებს, იმ სფეროს მა-  
სალას, რომელშიც ენის განვითარების პერსპექ-  
ტივა მეტად ჩანს.

ახლა ეს სფეროები (ძველი და საერთო-სა-  
ხალხო) დამოკიდებულების ერთ სიბრტყეზე და-  
ვაყენით. დავეშვათ, **ზრქელი** მართლაც უფრო

**სქელი-ა**, **ღობილი** უფრო **რბილი-ა**, **ნაკულთვიც-  
ნი** უფრო **ნაკლოვანი-ა**, **ჭვემსუხუჭები** — უფრო  
**მსუხუჭები**; ვთქვათ, მათ შემოტანაში „არის რაღაც  
მოულოდნელი, რაც გამოთქმის სურათოვნებას  
უწყობს ხელს“, მაგრამ სადამდე შეიძლება ვი-  
აროთ ასე? ხომ არსებობს რაღაც საზღვარი,  
რომლის იქით გადასვლა უხერხულიცაა? **ღივ-  
დება** რით შეიძლება ჯობდეს **ღვიღდება**-ს, **იწ-  
რო** — **ვიწრო-ს**, **შშვინვა** — **ფშვინვა-ს**? ეს დღე-  
ვანდელი ფორმების მიმართ ერთგვარი უპატივ-  
ცემლობაა. უფრო მეტიც: მათ შესაძლებლო-  
ბებზე სექსტივურად ყურების დასტურიც.

3. შემდეგ კატეგორიას ქმნიან სიტყვები,  
რომლებიც დღესაც იხმარებიან, ფორმა იგივე  
აქვთ, რაც წინათ ჰქონდათ, ოღონდ შინაარსი  
აქვთ შეცვლილი. იშვიათად მათ საპირისპირო  
გაგებაც უეითარდებათ! შვალითად, ფრაზა:  
„**მედგარო**, **ადიღე ცხედარი** **შენი** და **ვიღო-  
დი**“ სრულიადაც არ არის იმ მისტერიული  
შინაარსისა, როგორც ერთი შეხედვით შეიძ-  
ლება გვეჩვენოს (თავი რომ დაეწიებოთ **ადიღე-ს**  
და **ვიღოდი-ს** არქაულობას). თუ გვეცოდინება,  
რომ **მედგარი** ძველ ქართულად ნიშნავს არა **გუ-  
ლად-ს**, **ვუკაც-ს**, არამედ, პირიქით, **ზარმაც-ს**,  
**ხოლო ცხედარი** მიცვალებული კი არაა, **საწო-  
ლი-ა** (**КРОВАТЬ**), მაშინ ფრაზა მიიღებს ასეთ  
„რეალისტურ“ სახეს: „**ზარმაცო**, აიღე **შენი სა-  
წოლი** და იარე!“ მაგრამ საბას ლექსიკონში რომ  
არ ჩაგვხვდება, საცივალისტიებისთვის არ გვე-  
კითხა, ეს ფრაზა მუდამ ბურუსით მოცული  
დარჩებოდა ჩვენთვის.

აე. ისააკიანის „აბუ-ლალა-შაარის“ ქართულ  
თარგმანში არის ასეთი სტროფა:

„**ებღდე** — ჩამსხდარნი გორებს გაღალმა  
ლომი **მიმზერენ** მოშამბარენ“.

ი. იმნაიშვილი თავის წერილში (სხვათაშო-  
რის, ეს წერილი მიგვაჩინა მწერლის ენისა და  
სტილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საინტერესო  
გამოკვლევადა) შენიშნავს, რომ **მიმზერენ** აქ  
ნახმარია ძველი ქართულის „მიმზირაინ“-ის ში-  
ნაარსით, რაც ნიშნავს **მოთვალთვალებენ**... თვით  
ლომების **მზირა** (თვალთვალი) ცნობილია ძვე-  
ლი ქართულის აგიოგრაფიულ ძეგლებშიო.  
„იხილე უბადრუკო, რამეთუ ლომი **მიმზირის**  
**შთანთქმავს**“. წერილის ავტორი ასკვნის: „მითარ-  
გმნელს ამ ზმნის ძველი შინაარსი ახალი ფორ-  
მით გადმოუცია და ნურავინ დაინახავს ამ  
**მიმზერენ**-ში ასეთ აზრს: მიცქერენ, მიყურე-  
ბენ, **СМОТРЯТ**“-ო.

სურვილი ერთია, საქმის რეალური ვითარე-  
ბა კი სხვას გვიჩვენებს. ქართველი მკითხვე-  
ლის რაოდენ პროცენტსა აქვს დღეს წაიკითხუ-  
ლი „მამათა სწავლანი“ და რამდენმა იცის, თუ  
რა ნიუანსური ელფერი ახლავს **მიმზერენ**

**არლი თაყაიზილი**  
ენა ძველი, ენა ახალი



ზმნას ძველ ქართულში? ამიტომ, ნუ მოვთხოვთ მას, რომ არ დანიხოს ამ ფორმაში დღევანდელი აზრი: **მიცქერენ, მიუტრეხენ, смотрят.** მაგრამ არის უარესი შედეგებიც. ა.ე. გელოვანს პაინეს ერთ-ერთი ლექსის თარგმანში დახლოებით ასეთი სახე ჰქონდა: **ნიაჯკარი ზღვაზე გემს ნფოტყვიტ ათამაშებდა(?)**. გერმანულის სპეციალისტებმა (კერძოდ, ნ. რუხაძემ) უსაყვედურეს, დედნის Brüllen-ში **ნიაჯკარ-ზე** მეტად **ქარიშხალი** იგულისხმებოდა. შვიდი წლის დღემიწის შემდეგ გელოვანმა „თავი იმართლა“: **ნიაჯკარი** ძველ ქართულში (ჩუბინიშვილის ლექსიკონის ცნობით) და ხალხურ სიტყვიერებაში **ქარიშხალის მნიშვნელობითაა**. კოლეგების თვალში მან თითქმის „რეაბილიტაცია“ მიიღო (როგორც გერმანულისა და ძველი ქართულის მცოდნენ). მაგრამ რა ჯნას თანამედროვე ქართველმა მკითხველმა, რომლისთვისაც **ნიაჯკარ**თან დღეს დაკავშირებულია სულ სხვა წარმოდგენები.

საქმე ისაა, რომ სემანტიკური კანონებიც, ისევე როგორც ენის ბევრი სხვა კანონი, ისტორიული ხასიათისაა. დროთა განმავლობაში, გარკვეულ მიზეზთა გამო ხდება სემანტიკოგიური გადახრები. ადგილი აქვს „ღირებულებათა გადაფასებას“. სიტყვა იქნეს ახალ, ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობას. რაღა შორს წაივდეთ: ძველი ქართული **განკაცება** დღეს **დაკაცებას** ნიშნავს, **განკაუტება** — **გაახალგაზრდაებას**, ხოლო **განქორწინება** — **გათხოვებას**.

ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და ენათმეცნიერი ბ. ტომაშევსკი მათ **ომონიმებსაც** კი უწოდებს! მაგ., **ветхий** რუსულში ნიშნავს **გაცვეთილს, დახეულს, ძველს**, საეკლესიო სლავურში კი — **მხოლოდ უძველესს**. ე. ი. არ მოიციავს **გაცვეთილობის, ნახმარობის** იდეას. **Брань** დღევანდელ რუსულად **დანძვავა**, ძველებურად კი **მაჰაკატი საერთოდ. ზნაზ течет ახლა იქცევა**, ძველ სლავურად — **მიდის...** ტომაშევსკი გეაფრთხილებს: ასეთი „ომონიმების“ არსებობა მოითხოვს ტექსტის კითხვის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას; ისინი ხშირად ხდებიან არასაბედოვნო კალამბურების წყარო. მაგალითად მოჰყავს რასინის ტრაგედიის კატენინისეული თარგმანის სტროფი:

„Уста мон. сердце и весь мой живот (т. е. жизнь) подателя благ мне да господа славит“.

ბეტუტევი ამის თაობაზე წერდა: მთარგმნელს სურდა შეელამაზებინა რასინი — მასთან უზენაესს **მუცლითაც** კი აღიდებენო.

მსვავსი მაგალითების ჩვენების საფუძველზე ტომაშევსკის შორსმიმავალი დასკვნები გამოაქვს: „ეს ერთ-ერთი მჩაქვნევებელია იმისა, რომ საეკლესიო სლავიზმები კრიზისს განიცდიან

და ხმარებისას რიცხობრივად მცირდებიან, გარკვეული ჯგუფები კი საერთოდ აღარც გამოიყენება“ (იხ. მისი წიგნი **СТИЛИСТИКА И Стихосложение**).

რა შეიძლება ითქვას ქართულ მასალაზე? ხშირია შემთხვევები, როდესაც სიტყვა ტექსტში ძველი მნიშვნელობით გვხვდება, რაც, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უხერხულ ფაქტად მიგვაჩნია:

„აბატი კუანიარი **უბრალო** და **უპოვარი** კაცი იყო“ (ფრანსი).

თითქოსდა ასე უნდა წაიკითხოთ ფრაზა: აბატი კუანიარი ერთი ვინმე **უბრალო (простой ან скромный)** და **უპოვარი (უუპოვარი)** კაცი იყო. მაგრამ აქ თურმე ძველი მნიშვნელობებია: **უბრალო** — უდანაშაულო (ბრალის არ მქონე) და **უპოვარი** — ღარიბი, უქონელი (ვისაც არაფერი **მოეპოვება**).

„ხასხასა მწვანეს შეფენია **სპეტაკი** ფარა“ (აღმოს. ლირ.);

„თითქოსდა ვუვრედღი ჩემს სენაჟში **უხბეტაკე** სამოსით შემოსილ ყრმას“ (დანტე).

**სპეტაკი** ძველ ქართულში **თეთრ-ს** ნიშნავდა: **სპეტაკი სამოსი** — **თეთრი სამოსი**. დღეს **სპეტაკი** რამდენაღმე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, ისიც ორიოდ სიტყვასთან: **სპეტაკი აღამიანი, სპეტაკი ვული, სპეტაკი შუბლი** (უღრის წმინდას, ნათელს). ამიტომ, როდესაც ძველქართული გავებით აღვადგენთ მას, ერთგვარად გაუუგებობას იწვევს.

„შევიყარნით, გამოგვეგება **მეკარე**, რომელიც კარს გვიღებდა ხოლმე და გვიოხრა, დავლოდებოდი“ („ფედონი“). შდრ. ოთხთავი: „ამას **მეკარემან** ვაწუდის“...

**მეკარე** დღეს სპორტულ მოედნებზეა (ფეხბურთის, ხელბურთის, წყალბურთის...), „არა-სპორტულ“ კართან კი კარისკაცი (შვეიცარი) დგას! (თუმცა, კარისკაცი სამეფო კარზე მყოფ პიროვნებასაც ჰქვია):

„მამის **ცხოველი** სული... განცვიფრდა ფრიად“ (დანტე);

„ბაღების წყარო, **ქა ცხოველი** წყლისა...“ („ქებათა-ქება“).

**ცხოველი** — ცოცხალი (საბა). ამ მნიშვნელობით ახალ ქართულში იშვიათად გამოიყენება და, ვფიქრობთ, იგიც ნიმუშია ენობრივი არქაიზაციისა: **ცხოველმყოფელი, გაცხოველებული**. სპორადულად — **ცხოველი გრძნობა**.

„აღბათ **უცნობოს** მიწის ფერი მედო სახე-ზე“! (დანტე).

**უცნობი** — ცნობამიხილი. დღეს **უცნობო ცნობის (документ)** არამქონია.

„ჩემო მეგობარო, **კეთილია** სიზმარი შენი“ („გილაგაგა“).

**კეთილი** — კარგი (хороший). დღეს **კეთილი რუსული ДОБРЫЙ-ს** მნიშვნელობითაა. თუმცა, გვხვდება ძველი გავებითაც: **კეთილი, ბატონო**—

კარგი, ბატონო; კეთილად მეუოლე — კარგად მეუოლე; სასიყვარულო პირი უჩანს — კარგი პირი უჩანს.

„მან გამომიგზავნა შემოღობის კაბა“ (ბო ძიუ ი).

კაბა — სამოსელი (საბა). შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“: „მას ტანსა კაბა ემოსა“... დღეს კაბის სემანტიკა დავიწროვდა. იგი მხოლოდ ქალების სამოსია.

„და სიცივეში არ ჩამაცვი ჩექმები მტკიცე“ (პიპონაქტე).

დღეს ვიცით მტკიცე სიტყვა, მტკიცე პირობა, მტკიცე აღაშინი... მაგრამ არა მტკიცე ჩექმები. იგი ძველი ქართულიდან მოდის: მტკიცე — მყარი, გინა მგარი (საბა).

„შევიდა სევდა მის შიგანში. შორი გზით მავალს დემსგავსა სახე მისი“ („გილგამეში“).

შიგანი — სხეული (?). დღეს სევდა შედის გულში, გულ-ღვიძლში, მაგრამ არა შიგანში, რომელსაც სხვა მნიშვნელობა აქვს.

„განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ოქრო-ვერცხლო მყარი არის, ეს კი თხიერი“ (ხაიამი).

ჩვენ ისე შევიჩვიეთ ძველი მნიშვნელობით სიტყვის მოწოდებას, რომ თხიერი აქ შესაძლებელია ტყე-დ მივიღოთ (საბა). იმ დროს, როდესაც იგი ახალი გაგებითაა: თხევადი.

„საზრდელს და სასმელს ერიდესთვის მარადღე ამზადებს“ („ადაბა“). შესაძლოა ძველი საზრდელი უფრო სწორი ფორმაა საკვების აღსანიშნავად, ვინემ საზრდო, მაგრამ მაინც ეს უკანასკნელი უნდა ვიხმართ, როგორც დავუძნებელი. მით უმეტეს საზრდელს დღეს სხვა ნიუანსი აქვს (გასაზრდელი).

„ბოროტი აღდგა და განმარცხა მე“ („გილგამეში“).

აქ დღევანდელი გაჭურღვა კი არ იგულისხმება, არამედ უბრალოდ, გარკვეული მოსაზრებით, ტანისამოსის გახდა.

დაკოდილი ძველ ქართულში დაჭრილ-ს ნიშნავს, დღეს — დასაჭურისებულს. ამიტომ ცოტა უხერხულად ქდერს იგი ასეთ კონტექსტში:

„ვინ დამკოდავდა, თუ არ მეგობრის და ამხანაგის სულთქმა ბოროტი“ (ავ. ისაკიანი).

ასევე გაურკვეველობას ბადებს:

„... ეკალოვით შავია მთელს ტანზე და დიდ კრისტალს ათაყვანებს“ („ბედნიერი სეფეწული“).

ათაყვანებს დღეს სხვაგვარად აღიქმება: აყუყუჩებს (შდრ. გამოთაყვანებული). აქ ჯობდა თაყვანს სცემს, ან ეთაყვანება.

„და შტერად დამდგართ, ერთმანეთი არა გვწყინდება“ (ვან ვეი).

აქ ისეთი ფორმაა, რომელიც მიგვანიშნებს ახალი ქართულის შტერზე და არა ძველქართულს.

ლისეულ მიშტერება, მიცქერა-ზე: და ცქერად დამდგართ...

ძველი მნიშვნელობით ვვხვდებით აგრეთვე: გვამი (სხეული); ტლანტი (ოქროს ან ვერცხლის ფული); სალომა (ტკივილი); მიღამო (ირგვლე); ჩხრეკა (ძიება) და სხვ.

აი ასეთ სურათს ქმნის ლექსიკის ძველ-ქართული მნიშვნელობით წაროდგენა. აღნიშნული პრინციპი მეთოდოლოგიურადაც გაუმართლებელი ჩანს: ენის ერთ სისტემაში იტრება სხვა სისტემის სემანტიკური ღირებულებანი, რაც კონფლიქტში მოდის არსებულთან და იქცევა გაუგებრობის წყაროდ.

4. ლექსიკური ჯგუფებიდან ყველაზე დიდი მოცულობით გამოიყოფა მასალა, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც ძველქართულია. ამთავან მცირე ნაწილი საერთო-სახალხო ენაშიც კი არის შემოღწეული, როგორც სინთონური სიტყვის იშვიათად სახმარი ცალი: როცა (ცეკვა); მიწათმოქმედი (გლხი); სარცელი (საწოლი); მანქანება (მოხერხება); როსკი (მეძავი); რონი (ხელით ტარება); მავანი (უცხო); ჰუნე (ცხენი); სოფელი (ქვეყანა); დიაცი (ქალი); გვამი (ტანჯვა)...

რაც შეხება მათ უმრავლესობას, იგი უცხოა დღევანდელი მკითხველისათვის (გველის-ხმობით საშუალო ინტელიგენტს, რომელსაც სკოლაში მიღებული ცოდნის გარდა არავითარი შეხების წერტილი არა აქვს ძველ ქართულთან). ყოველ შემთხვევაში, ეს ლექსიკა უცხოა თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის. წარმოვადგენთ მხოლოდ ტიპურებს:

ა) ზმნების მეტი წილი ქართული ძირისაა, მაგრამ ეტიმოლოგიურად არც ისე იოლი გასაშიფრია:

„იგი, რაც მე ვარ, რაც მხლავს, ან რისთვისაც ვესავ“ („გიტანჯალი“). ვესავ — იმედი მაქვს, ვიმედოვნებ. საწყისი არ გააჩნია (შდრ. სა-ს-ო).

„თქვენში არა ჰგის ბოროტი და თქვენი სულის ხსნაც უფრო ღრმად მჭამს“... (ფრანსი).

ჰგის — არსებობს, იმყოფება. საწყისი არ უღასტურდება;

„მტკიცედ ვიდექით, ვაოტებლით მტერს უძლიერებს“... („ოღისეა“).

ოტება — გარდახვეწა (საბა);

„მისი კეშანი ხამს მეც გავიზიარო“ („ხამორ, ზღაპ“).

ხამს — საჭიროა. (შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“...);

„შვილო, ცხოვრობს ურუქში გილგამეში, არავინ უჯის თვისზე ძლიერი“ („გილგამეში“).

არლი თაყაიშვილი  
ინა ძმელი, ინა ახალი

უფის — ჰყავს. მაგრამ ამ კონტექსტში თითქმის იგულებლა იგულისხმება.

საქვე დასტურდება: **შეფრფინავს** (შეხზარის); **ვიუფლო** (ვიბატონო); **მოწყლავს** (დაქრის); **დაიფხე** (ჩაიჭრე); **დაგვიფირებ** (გვიბოროტებ); **დავფერი** (ვიშრომე); **მიირქმევს** (გულზე მიიკონებს); **დაფშრიტე** (ჩააჭრე); **ეთიფვა** (მოსწონს); **გიფიჭბი** (გვივლდრები); **ვიფაღე** (ვუხმე); **ვანმერღვა** (დამიუტრდა); **ხელ-ეწიფების** (შეუძლია)...

ბ) შედარებით ბევრია სახელები. და არცაა გასაკვირი: მეტ-ნაკლებად ისინი ქმნიან ენის სემანტიკურ პროფილს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

„**მტოლთა** სინესტიდან მოძვრებიან მხოლოდ“ (ფრანსი).

**მტილი** — ბოსტანი (საბა), ბადი (ი. იმნაიშვილი);

„**ქვეყ-ყორანთა და შტაუბელთა სირთა ნადავლად**“ (სოფოკლე).

**სირი** — ჩიტი (საბა);

„ეს **გაბრძნობილი**, **ქეშმარიტად** მალაღნიჭიერი კაცი **მსხემივით უმოვარი** იყო“ (ფრანსი).

**გაბრძნობილი** (დიდად ჰკვიანი); **მსხემი** (უმეშველდრედ წარმოვალი); **უმოვარი** — უქონელი;

„და მის წინ მომაქვს **საზორველად** ეს ჩემი სული და სხეული და ყოველი, რაც შაბაღია“ (ქაბირი).

**ზორვა** — ეკრბთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი (საბა);

„...და მე **დაეშვერი კირთების ქვეშე**“ (ქაბირი).

**კირთება** — მონება მოუსვენებელი და ბევარი დაუცადებელი (საბა).

გვხვდება აგრეთვე: **ბინარი** (სნეული); **ზილი** (წვრილი ხმის ცემა); **უზირი** (უმეცარი); **ზენეში** (ცული); **ძნობა** (შეწყობილი ხმა); **ნაკრტინი** (ბუმბული); **ზვაიზა** (ამბარტანობა); **მეზვერე** (მეზავე); **ხანაგა** (ობოლთა სახლი); **მთიები** (მნათობი); **მოწლე** (გულშემატკივარი); **ხრდალი** (ეირი); **გზის მღვერდი** (ყაჩაღი); **ცხრიანი** (ციებანი); **ლირწი** (ხორცთა ბოროტება); **ნატყვენავი** (ნადაული); **ლიზლი** (ვანდნერად მოხუმრე); **უშქარი** (ათვერ ბევრის ბევრი); **მსტოვარი** (ჯაშუში)...

აქ შეიძლება შეჩერება. მეტის დასახელებას აზრი აღარა აქვს, რადგან ახალგაზრდა მთარგმნელთა არქაული ლექსიკის მარაგი ამოურწყავია. იგი ალბათ თავისუფლად გასწევდება სულხან-საბას „სიტყვისკონის“ ხელა ლექსიკონს.

რა შეიძლება ითქვას ამ ვითარების მიმართ? უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების სტილისტურად, მაღალ დონეზე გამართვის ამოცანა მიღწეულია. უცხო (ძველი) სურნელისა და აღნაგობის სიტყვებო სამკაულებივით არიან გაბნეული ენობრივ ქსოვილში, მეტ სიღარბის-სულს აძლევენ სათქმელს, მისი ესთეტიკურად აღქმის ბრწყინვალე (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!) ფონს ქმნიან.

მაგრამ არ უნდა დაგვეწყვიტოს, რომ ენას მხოლოდ ექსპრესიული ფუნქცია არა აქვს. მისი უბირველესი მოვალეობაა იყოს კომუნიკაციის, გავემენტების მოქნილი იარაღი. ძველი, „მკვლარი“ ელემენტების ჭარბად შემოტანა და გაცოცხლება კი იწვევს ნაწარმოებში მეორე, მხატვრული პლანის მეტრამეტად წინ წამოწევის. მაგრამ ამ მხრივაც მიზანი ნაწილობრივ მიუღწეველი რჩება, რადგან მან (ამ ძველმა ელემენტმა) დაკარგა ენის ახალ ელემენტებთან ცოცხალი კონტაქტის უნარი. იგი თითქოს უცხო სხეულია, რომლის მორგებისა და შესისხლბორცვების პროცესს დისტანციებიან ხედვა სჭირდება.

ამრიგად, მთარგმნელის ინდივიდუალობის მძაფრად წარმოჩენა, მისი პრეტენზია, დადგეს ავტორის ყურადღების დონეზე, იწვევს მკითხველის გაღიზიანებას, უჩლუნგებს ინფორმაციის ათვისების უნარს (მით უმეტეს, თუ სათარგმნი ავტორი **პლატონია**). „სტილის დაწოლით“ თავბრუდახვეულ მკითხველს უჩნდება ბურუსით მოსილი განწყობილება (ვთქვათ, როგორცაე იმპრესიონისტული ნახატი იწვევს) და შინაარსზე რჩება ტკბილი მოგონებების მსგავსი რამ.

შესანიშნავად თქვა ამგვარ ვითარებაზე სომერსეტ მოემმა: „მე ყოველთვის ვისწრაფოდი სინათლისაკენ, რადგან არ მქონდა ენის ბრწყინვალეობის ტალანტი. იგი მომწონდა სხვისთან, მაგრამ დიდი დონით მის „გადახარშვას“ ვერ ვახერხებდი. „ნარნარა“ პერიოდები, საზეიმო რიტები, პოეტური ასოციაციებით დატვირთული სიტყვები, ღირსეული ეპითეტები — არის ამაში რაღაც ამაღლებული. ასე შეკავშირებული სიტყვები აჯადოებს სმენას, როგორც მუსიკა. შთაბეჭდილება მეტწილად გრძნობითია, ვინემ ინტელექტუალური. ბევრათა სიღამაზე თითქოს გვათავისუფლებს მნიშვნელობაზე დაფიქრების აუცილებლობისაგან. მაგრამ სიტყვები უღიღესი დესპოტები არიან. ისინი არსებობენ თავიანთ მნიშვნელობათა წყალობით და მათგან ყურადღების გადატანა იწვევს ტექსტისაგან ჩამოცილებას საერთოდ. ფიქრები გაბნევის იწყებენ.“

რა თქმა უნდა, ეს ბარიერი მაშინ დაიძლიერა, როდესაც მთარგმნელი მორიდებით ეფარება ავტორს, ხელს არ უშლის მის მაქსიმალურად აღქმას. ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთი და ორი შემთხვევა (თუნდაც მანამაღლის მაგალითი), თუ როგორ ოსტატურად ახერხებდნენ მთარგმნელები ამას და მაინც რჩებოდნენ ავტორის კონცეპციულრებად. აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ჩვენი უღიღესი მთარგმნელის გერონტო ქიქოძის სტილის გ. გაჩეჩიალისიეული შეფასება: „ქიქოძემ ევროპის საუკეთესო სტილისტთა მანერით გაამდიდრა XIX ს-დან გაღმოსული სტილი. რამდენადაც **ორგანული იყო ეს შვერთობა, იმდენ-**

ნად შეუმჩნეველი ჩჩებოდა მკითხველის თვალში“ (ხაზი ჩვენი. ა. თ.).

აქ გადამწყვეტ ფაქტორად მოქმედებს ზომიერების, ტაქტის გრძნობა, რომელიც ყველა პითარგმნელს პირზე აკრია, როგორც ქეშმარიტების ანაზანა, მაგრამ შეშოქმედებით პროცესში რატომღაც სრულიად ავიწყდება ხოლმე. შესაძლოა იმიტომაც, რომ ზომიერების პრინციპი მტრისმეტად სუბიექტური ჩანს: ის, რაც ერთისთვის ნორმალურია, მეორისთვის შესაძლოა უზომოდ ქარბი იყოს. ანდა, პირიქით. მაგრამ სუბიექტურსაც ხომ გაანჩნა თავისი ობიექტური საზღვარი? ამიტომ აქ უნდა მოვიშველიოთ აუცილებლობის მკაცრი კრიტერიუმი: უნდა ადგეს მხოლოდ ის გრამატიკული ფორმები და ლექსიკური მასალა, რომელსაც რაღაც აზრობრივ-ემოციური ნიუანსი შემოკავს ენაში არსებულთან შედარებით.

ჩვენ ამ სელექციის საკითხს კვლავ დავუბრუნდებით. მაგრამ ამთავითვე განსაკუთრებით უარყოფითი პოზიცია გვაქვს ლექსიკის ერთი ჯგუფის მიმართ. ესაა ეგრეთწოდებული დამხმარე სიტყვები (კავშირები, ზმნივლები, თანდებულები), რომლებსაც ენაში ექსპრესიული ფუნქცია არ აკისრიათ: ასრულებენ მხოლოდ სიტყვათა და წინადადებათა ერთმანეთთან შემეერთების, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ტექნიკური პერსონალის“ როლს. ასეთები:

„რამეთუ ვუწყვი: შენი ცხოველი შეგებით ძვერს ყოველი ასო“ („გოტიანალი“). რამეთუ — რადგანაც;

„უკეთუ ცეცხლი საკმარ საზღაქს არ გადავიდა“ (ბინდატე). უკეთუ — თუ;

„ყველაფერს ჰმუსრავდა ჩემში; თვინიერ აზრის“ (დანტე). თვინიერ — გარდა;

ამათ შეიძლება გვერღში აშოუყენოთ: მუნ— იქ; მიწყვი — მუღამ; უფროერ — უფრო; გინა — თუ გინდა; მეყვესულად (ვ ზედმეტა) — მაშინვე; ეგზომ — ამღენად; ვითინი — ზოგიერთი; წიად — გაღმა (ითქმის წყაღე).

ბოლო დროს მაინც დაიწყეს ამ „ნეიტრალური“ ერთეულებისათვის განსხვავებული ფუნქციის გამოძენა. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ მაგრამ გაღმოსცემს რუსულ ნო-ს, ОДНАКО-ს სანაცვლოდ კი გარნა გამოვიყენოთ. ვფიქრობთ, ასეთი დაყოფა ხელოვნური ჩანს და პრაქტიკულად არ განხორციელდება. სხვა რომ არ იყოს, ОДНАКО-ს დღეს ზმარებული თუმცაც გასწვდება, მაგრამ რატომ ისევ მაგრამ-მა არ უნდა ითავოს ეს როლი? განა ის ვერ შეძლებს ნო-ს და ОДНАКО-ს ელფერის შეთავსებას? მით უმეტეს, რომ თვით გარნა ძველ ქართულში მაგრამ-ზე მეტ შინაარსს იტევდა: თუ არა, გარდა, გარეშე, მაგრამ, მხოლოდ, არამედ წიხ. ივ. იმნაშვილი, ქართული ენის ისტორიული ჭრესტომათია).

აქამედ ჩვენ გვიანტერესგება, ძირითადად

რა არქაიზმებია თავმოყრილი ახალგაზრდა პითარგმნელბთან და რა დლოზით. ახლა სხვა პრეტენზიას ვუყენებთ მათ: როგორა ეს მასალა მოწოდებული, ბოლომდეა თუ არა პრინციპი დაეული? ერთი სიტყვით, თარგმანის ენას ვუდგებით უკვე ძველი ქართლის პოზიციიდან. მისი ლიტერატურული ნორმების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, ამ ტენდენციის გამოვლენის დროს ერთი პირობის დაეცვა აუცილებელია: ასე თუ ისე დასრულებული მონაკვეთი მაინც უნდა გაიმართოს ძველქართულად.

აქ მსჯელობა თითქოს პარადოქსული გამოგვედის. ამდენ ხანს ქსაყვედურბობით, ასე ქარბად ნუ ზმარობთ არქაიზმებს და ახლა ვთხოულობთ, რატომ მოლიანად ძველქართულად არ არის გაწყობილი ტექსტიო. მაგრამ ამას ვაყენებთ გარეყვეული მოსაზრებით: ვაჩვენოთ, რამდენად ბოლომდე თანმიმდევრული არ არიან მითარგმნელები არქაიზაციის მიმართ, და როგორ უშლის ხელს ამ პრინციპის დარღვევა მასალის მოლიანბაში აღქმას. მაგალითად, ფრანზოზი: „მამამან ჩემმან ხრწნადისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას, და შევიცანი წარმავალი წუთისოფელი“ (დანტე). პირველი ნაწილი აბსოლუტურად ძველია, მეორე — უდავოდ ახალი! ასევე, „მამამან ჩემმან დიდად შემცოდა, მე სხვისი ცოდეა აღარ დავიდე“ — აქაც პირველი სტრქეონი პირწყადრდნილი არქაიზმია, მეორე კი — საეცებით სსასუბრო ინტონაციის მქეოთ.

ვფიქრობთ, ძველი ქართლის მიხედვით კაჩალზეას მოითხოვენ შემდეგი ადგილები:

„დამქნარი და მეგვიტკელთა წესით დაბალზამებული სხეული“... („ფედონი“). მეგვიტკელთა გვერდით დამქნარი იყო მოსალოდნელია; „დაე, მან თავად გავიმღავენოთ თავის ხახელი“ (დანტე).

თვისი სახელი უფრო „სტილშიც ჩაქდებოდა“ და ძველი ნორმის თვალსაზრისითაც გაიწყობოდა.

სხვათაშორის, პრინციპის დაცვის მოთხოვნაზე აქვს ყურადღება გამახვილებული შ. ძიძიგურს გუტამრშვილის ერთი სტროფის ანალიზთან დაეცმრებით:

„დაჭდა სატყებრად, გოდებად, თავთა ხლოდ-ზე-ქვა-ლოდებად, გულსა სახმლის მოდებად, შესაბრალ-შესაცოდებად“.

„საცა სამართალია, — წერს შ. ძიძიგური, — „გოდებად-მოდებად“ ფორმების გვერდით უნდა ყოფილიყო: „სტყებად-შეცოდებად“ (თუ თანმიმდევრობას დავიცავდით ძველი ქართულის მიხედვით), ხოლო „სატყებრალ-შესაცოდებად“ ფორმების გვერდით — „საგოდებ“

**არლი თაყანიშვილი**

მნა ძმელი, მნა ახალი



ლად-მოსადებლად“ (თუ თანმიმდევრობას დაეცემა ახალი ქართულის მიხედვით).“

არქივზაციის პირინების დარღვევად გვეჩვენება აგრეთვე სიტყვის პარალელური ფორმების (ძველისა და ახლის) ერთად წარმოდგენა, ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორთანაც კი! მაგალითად, „ბატონ ჭერომ კუნიარის აზრებში“ გვითხულობთ:

„... მოგეხსენება, ჭერ ისეც რა ტლანქია და გაუთლებლი და მაშინ ხომ სულ მთლად ვადარია იქვეა“; და იქვე: „კიდევ კარგი, ჩვენი უწმინდესი სარწმუნოების ჭამპარიტებაში რომ არ მებარება ეჭვი“.

„ლუგაპარის“ თარგმანში გვაქვს: „შაშხანა მის ფერხითი დავარდა, ხოლო ხელი მუსივე ამოქმედდა;“ ცოტა ზევით გვხვდება: „სალამოხანს კი უხუცესთა ფეხითი ჩამოგუსდებოლით ღლომ“.

ასევე: „შენ ხომ მოწყალე ხარ და წმიდა, რადგან თვით სიწმინდისა და მოწყალების შეველე ბჭენი“ (დანტე). ერთსა და იმავე ფრაზაში ორი განსხვავებული წყვილთვია!

„გაეკიდა ენქილუ... კულის სიზრქეში მოეკიდა მას“ („გილოვამეში“); ცოტა ქვევით კი: „ორი თითის ხისქეა მისი ვარაყი“ (?);

„ანგელოსი მიწაზე დაეშვა კაცის სახით და მსხემის სამოსით“ (ფრანსი); ცოტა ზევით წერია: „მე თქვენი ანგელუსი — თაღლითია და ყალბაბანდი“ (?).

მართალია, ძველ ქართულშიც გვხვდება ხანდახან პარალელური ფორმები: დრღვინი-დღეს | ტრტინი-დღეს, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმების კონტროლი დღეს გაცილებით მოწესრიგებული უნდა იყოს.

მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. ეს დეკრეტები მხოლოდ იმავე მიუთითებენ, რომ ძველ ქართულს ნორმები მთავრდებოდათ თვის არც ისე ორგანულია. როგორც კი ყურადღება მოდუნდება, დაიკარგება კონტროლი, ქვეცნობიერად ხდება ახალ, „მშობლიურ“ ფორმათა ამოტეხილება. ძველი ქართული რომ შესწავლილის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამაში შეიძლება დაერწმუნდეთ სხვა უფრო რთული ვადახვევებით. ეს შეეხება როგორც გრამატიკის წესებს, ისე სემანტიკის სფეროსაც. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ხშირად მსაზღვრელი არ ეგუება ნართიან საზღვრულს რიცხვში:

„სწრაფმსვლელი გემნი მანამ ნაპირს არ ვანგაშორეთ“... („ოდისეა“). უნდა იყოს: სწრაფმსვლელი გემნი; ან: აკეთილი თვალნი შენნი მომპაყარ მე“. სავარაუდოა; კეთილი თვალნი შენნი). ჩვენ უფრო სხვა გვადარდებს. მაგალითად, ცნობილია, რომ ძველ ქართულში ზმნა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობასაც გამოხატავდა: მან ალაპყრა თვალნი და მან ალაპყრნა თვალნი. ეს უმტკიცესი კანონი რიგ შემთხვევაში დაუცველია: „საპუდამოდ დახუ-

ჭა თვალნი და გარდავიდა“... (დანტე). აქ ზმნა ზმუნა თვალნი-ა მოსალოდნელი; „წარბნი აზიდა, შესტინა და ისე უმზერდა“ (უცნობი ავტორი). ძველი ნორმით წარბნი აზიდა ივარაუდება. უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად შეთანხმება იქ დასტურდება, მადაც არ ველოთ: „ჭერ მოსდგა ჭირ-ტუნენს, საწაწაწა ძალღვნი მოსრნა“ („ილიადა“). ებ-იან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ხომ ზმნაში რიცხვს არ აჩენდა?! უნდა იყოს: ძალღვნი მოსრნა, ან ძალღვნი მოსრნა.

„გილოვამეში“ თარგმანის ერთ მცირე მონაკვეთში საკმაოდ ჭრელი სურათი ჩანს: „გამხიარულდა, ალაპყრნა თვალნი თვისნი“ (თვალნი, წესისამებრ, ზმნასაც ითანხმებს რიცხვში და მსაზღვრელსაც); იქვე: „განახვენს ბაგენი თვისნი“ (აქ მსაზღვრელთან შეთანხმება დარღვეულია) და ცოტა ქვემოთ: „ალაპყრო თვალნი“ (აქ კი ზმნა არის უყურადღებოდ მიტოვებული. ამას ისიც დაეუბნა, რომ ალაპყრო ძველ ქართულ-ლისათვის უცხოა. იქ მხოლოდ ალაპყრა გავსებს).

ხშირად არაზუსტადაა მოცემული განხუტვა (გაღება) ზმნასთან შეთანხმებაც. როგორც წესი, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა მასში ასახულია: „არწიემა განახვნა ბაგენი, ვეღს ეუბნება“ („გილოვამეში“); „განახვენს (უნდა იყოს: განახვენს. ა. თ.) ცათა საქანელნი, ჰყვიეს გრავალი“ („გიტანჯალი“). მაგრამ ნარი ზედმეტია და საერთოდ, ზმნური ფორმა არასწორადაა ნაწარმოები შემდეგ მაგალითში: „ხოლო ბედისწერა მამინ განახვენა თვალს, როცა საწყალს სარქველი აეხდება“ („აბუ-ლალა-მარია“). აქ სახელი (ბედისწერა) მხოლობითშია, ამდენად განხუტვა ფორმა იყო მოსალოდნელი. ასევე დაუშვებელია იქვე ნახშირი განიხვენა მიწა.

ერთგან ორმაგი მრავლობითია გაპარული: „მკედრებთ ამოვიყვან, ცოცხლებთ შექამენ. ცოცხლებთ აღემატებნი შედრებნი“ („გილოვამეში“). აქ ან ცოცხლებს უნდა იყოს, ან ცოცხალთ.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მთავარი მაინც სემანტიკური ვადახვევებია. სწორედ მათზე ვესურს განსაკუთრებულად შევანერო ყურადღება. ვფიქრობთ, გველისხმობთ შემთხვევებს, როდესაც ლექსითა ძველქართულია, მნიშვნელობა კი „ავტორისეული“ აქვს:

1. საბას მიხედვით დაუჩვენებელი ნიშნავს შენახულს, უნჯი კი საქონელი-ა, შენახი-ა (მღრ. ამ ფუძისაგან ნაწარმოებო სა-უნჯე-). მხოლოდ ასეა იგი ხმარებული ჩვენივეს ხელმისაწვდომ ძველ ქართულ წყაროებში. ვფიქრობთ, არაფერი აქვს საერთო ამ მნიშვნელობას იმ გაგებთან, რაც მას ახლავს აღმოსავლური ლირიკის ჩვენეულიეულ თარგმანში:

„დაუჩვენებულა მოძღვარი ლი ბუნების ჭკრეტით“ (მე ხაო ყანი);

„მე გონს ვიუნჯებ, ვიძირებუ ჰერეტად დან-  
თქმული“ (მაღარაბია).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს ამ სიტყვი-  
სათვის ჩაფიქრების (დაუნჯება ხომ ბევრობრი-  
ვედ დადინჯებას ჰგავს), გონებრივი ჰერეტის,  
მედიტაციის ფარულ მნიშვნელობა მიუჩინებია,  
რაც ასე დამახასიათებელი იყო აღმოსავლური,  
ფილოსოფიური ყაიღის ლირიკისათვის. ჩვენს  
ექვს ამართლებს ჩხენკელის მიერ ამ სიტყვის  
იმავე გაგებით ხმარება უკვე ლექსის გარეთ,  
ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ წერილში:

„თანადროული ცხოვრების ბოხოქარ და  
სწრაფადმევიდ ვითარებაში ჩვენ ხშირად ვეღარ  
ვიმხნეთ იმ ხმებს, რომლებიც პოეტის შინაგანი  
სამყაროს მყუდროებისა და ღრმად დაუნჯების  
(?) შედეგად აღიძვრება ხოლმე“.

ზგვათაშორის, ამ სიტყვას ეგვემ მნიშვნელო-  
ბა აქვს მიუთვინებელი სხვა მთარგმნელებთან.  
ეგი თითქმის მათი პრინციპების ერთი-  
ნობის მიმნიშნებლად გამოდის:

„ფიქრს მისცემოდა, გონს იუნჯებდა,  
სანახებს ვლიდა არ დახანებთ“ („აბუ-ლალა-  
მარაბი“);

„მაშინ, ამ სიტყვებზე გონდაუნჯებულო,  
სიტყვილოუღვივთ გავცვალე ცნობისმოყვარე  
ასულთ“ (დანტე).

2. ზენარი ძველ ქართულში ძირითადად ფი-  
ციის ფარდა. ასევე აქვს იგი გაგებული ზოგი-  
ერთ მთარგმნელსაც:

„...სეთი მითქვამს გულს ზენარი“ („აბუ-  
ლალა-მარაბი“); ან კიდევ: „დე საწინდარად ექმ-  
ნეს კვერთხი ზენარს ჩემსას“ („ილიადა“). მაგ-  
რამ იშვიათად მასთან დაკავშირებული ღმერთ-  
ის (?) ცნებაც. თ. ჩხენკელის მიერ თარგმნილ  
„ზგავავტ გიტაში“ ვკითხულობთ:

„ზენარისთვის მორუღუნემ მათი საქმე შვე-  
ბად აქციოს“;

„ამ რწმენით განმტყიცებული ევედრება ზე-  
ნარს იგი“.

ძველი წყაროები არ იცნობს ამ სიტყვას  
ღმერთის მნიშვნელობით. ა. შანიძის მიერ  
„ეფესოსტყუანის“ სიმფონიის გამოყოფილ  
სტროფებშიც იგი ფიცის, აღთქმის, მფარველო-  
ბას, შეწყალებას გამოხატავს:

„ზენარ, სულთა ნუ გამყრას“; „ზენარ, დამ-  
ხსენ სიციცხლ“; „ზოგას ჰკადრეს ზენარი“;  
ვერ გავუტებს ზენარას“; „ზენარით ეუბნებო-  
და“; „კმა ზენარი ზენარად“; „კვლაცა ჰკითხა  
ზენარობით“ და ა. შ. თვით შემდეგ სტროფშიც:  
„შენ არ გატება კარგი გვირს, ზენარისა ფიცისა“;  
ეს სინტაგმა ასე კი არ უნდა გავიგოთ:  
ღმერთისა ფიცისა, არამედ როგორც მფარველი,  
შემწყალებ ან აღთქმული ფიცისა.

ზემოთ აღნიშნული უზუსტობის მიზეზად უნ-  
და ჩეთვალთ ზენა სიტყვის გაიგივება ზენარ-  
თან. „აღმოსავლურ ლირიკაში“ ზენა სამართ-  
ლიანად ღმერთის გაგებითა გამოყენებულ:

„ამ ყრუ ტაძარში ვანა მისთვის ვევედრე ზე-  
ნას“ (შდრ. რუსთაველი: „ნაცვალსა პატიესა მი-  
გცემსო ზენას“).

საქმე ისაა, რომ ზენა ეტიმოლოგიურად კავ-  
შირში არაა ზენარ-თან. ზენა ქართული ძირის  
სიტყვაა (შდრ. საბირსპირო კვენა). მისგან  
იწარმოება ღმერთისა, ღვთიურისა და მაღლა  
მყოფის გამოხატველი ფორმები: უზენაესი და  
ზენარისა. ზენარის კი სპარსული წარმოშობა-  
ობისაა (zinzhar) და გააჩნია ყველა შემთხვე-  
ვითი მნიშვნელობა, გარდა ღმერთისა (ამის  
შესახებ იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები  
ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან).

3. საღმრთო საბას განმარტებელი აქვს რო-  
გორც ტკივილი; საღმრთიანი — სატკივირიანი.  
ი. იმანიშვილი მას ავადმყოფობასაც უკავში-  
რებს (შდრ. დღეს სხვა მნიშვნელობის ღმრთ-  
იერი და უ-ღმრთელები). მაგრამ არც ერთი ამ  
მნიშვნელობათაგანი არ ეგუება შემდეგ კონ-  
ტექსტს:

„ამ ასულის მღმობელმა მზერამ ბოლოსდა-  
ბოლოს, იმდენი ქნა, რომ აქამდე ცრემლითა  
მნთხველი თვალნი ახლა სიხარულით მენთხო-  
დნენ, როცა მას ვნახავდი ხოლმე“ (დანტე).

მღმობელ მზერაში ტკივილ-ის (ან ავადმ-  
ყოფობ-ის) ნატამალიც არ არის (თორემ მის და-  
მნახველ საყვარელ ადამიანს თვალნი სიხარუ-  
ლით არ აგებებოდნენ). აქ უფრო თანამგონი-  
ბელ-ის გაგება ჩანს. ამ გარდაულ თითქმის მხარს  
უქერს შემდეგი ფრაზაც:

„...ამიტომ მომცივიდნენ და მსწრაფლ წამ-  
გვარეს თანამღმობელი, უახლესი ნათესავი, სის-  
ხლი და ხორცი ჩემი“ (დანტე). მთარგმნელი  
წიგნზე დართულ საინტერესო შენიშვნებშიც  
ბეატრიჩეს მღმობელ ასულად (ქალწულად)  
იხსენებს.

შესაძლოა, ამგვარი გადაზრების მიზეზად  
ჩეთვალთ ავთანდილის ანდერძის შემდეგ  
სტროფი, რომელშიც მღმობელი მისთვის მოუ-  
ლოდნელი მნიშვნელობით წარმოგვიდგება: „მუნ  
შემიწყალოს თქვენმევე გულმან მოწყალე —  
მღმობელმან“.

უნდა ითქვას, რომ იმავე მთარგმნელის მიერ  
ამ უკანასკნელ ხანს დაბეჭდილ მარკუს ავრო-  
ლიუსის „ფიქრების“ ნაწყვეტში საღმობა უკვე  
ნამდვილი მნიშვნელობით გვხვდება:

„...მესამეც, მაშინ, როცა არ ძალქმს დი-  
ურვოს განცხრომის სურვილი, ანდა დათომი-  
ნოს საღმობა“.

4. საღმრთი საბასთან მალამო-ა. ამ მნიშვნე-  
ლობითა იგი საიათნოვას ქართულ თარგმან-  
შიც: „რაც მტრ საღმრთს ვადებ წყალუსა,  
უფრო მეტად გახსნა პირი“ (შდრ. დღეს პოე-  
ზიაში მუდამ ბუნება-სთან მირითმული ე-საღ-  
მრთ-ებაა).

არლი თაჰაიშვილი  
ინს ძმეღი, ინს ახალი





ამასვე ვერ ვიტყვი „გიტანჯალის“ შემდეგ სტროფის მიმართ:

„დასთმე ქერტა და გალობათა ამო სალბუნი, მოეშვი ლოცვებს.“

გალობათა ამო სალბუნი გადატანილად ეკუთვება.

5. დავანება საბასთან დაბინავება, დასადგურება. ვანი სადგომ-ს ნიშნავს. ი. იმინაშვილი დამატებითი მასალის საფუძვლზე აფართოებს მისი გავების რაოდენს: ვანი — სადგომი, სახლი, სახლ-კარი, ბინა, ოჯახი, ოჯახობა, ჯალაბობა; არც ერთი ამ მნიშვნელობათაგანი არ იკითხება „გიტანჯალის“ შემდეგ სტროფის:

„აქ არის შენი საყუდელი —

დავაბებულან ფერხნი შენი უსასოქმინილთა და უპოვართა გლახათა შორის.“

აქ თითქოს კიდევ დასვენებულან უკეთ ეგუება. ხოლო მომდევნო სტროფიდან საერთოდ არ ჩანს, რას გულისხმობს მოვანება:

„ამინდო გულში მოვანების ჩუმი ლამპარი“ (იქნებ მუყდრობა-ს?).

ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს კონტექსტის მიხედვით აგრეთვე: მგომბელი და მოყინება („ახალი ცხოვრებიდან“); ცადაქნილი, გესავ, უგემინე, წარებით („აბუ-ულა-მარინდან“); ვგაოდეთ („კაბუეი მეფიდან“) და სხვ.

კ. გამსახურდია თავისი თხზულებების II ტომის ბოლოსიტყვაში წერდა: „თუ ჩემი რომანების ხელნაწი გამოცემას ლექსიკონს დავურთავ ხოლმე, ამას ჩავდივარ მართოდენ იმის გამო, რათა ჩემს მიერ გაცოცხლებულ სიტყვების ნებსით თუ უნებლიეთ უმართებულო განმარტება არ მისცეს მკითხველმა“.

ამ კონტრინიშნუმიდან ჩანს, რომ მკითხველი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, რომ თვით მთარგმნელებთანაა საძიებელი გაურკვევლობის მიზეზი.

ძველი ლექსიკური მასალისადმი ასეთ მიდგომას ორი ახსნა მოეძებნება: შესაძლოა გარკვეულ მომენტში მთარგმნელებს მართლაც ყურადღება მოუდუნდათ და სიტყვა უნებლიეთ სხვა მნიშვნელობით იხმარეს. ანდა, საფიქრებელია, მათ შეგნებულად, წინასწარი განზრახვით სიტყვიერ ქსოვილში სხვა შინაარსი ჩადეს. გამართლება არც ერთ ახსნას არ ეძლევა. განსაკუთრებით მეორეს. განა გვაქვს უფლება სიტყვებს ისე მოვიქცეთ, როგორც მშვენიერ „ფურტიარებს“, და მათში ჩვენი გემოვნების მიხედვით „ჩავდეთ“ სასტრუქლო შინაარსები? სიტყვა ფორმითა და შინაარსით ერთი განუყოფელი ოდენობაა და ამ მთლიანობითაა იგი დამკვიდრებული ენის სემანტიკურ სისტემაში. ჩვენ, როგორც „მომხმარებლებს“, მხოლოდ საარველობა შეგვიძლია და მის ტრანსფორმირებასთან ხელი არა გვაქვს. და თუ სიტყვა მაინც იცვლის მნიშვნელობას (გაეხსენოთ მედგარი, რომელიც ძველი ქართული ზარმაცი-

დან 180 გრადუსით შემობრუნდა სემანტიკურად!), ეს ენის საიდუმლოებაა, მისი ნაშთმედგარი და თვითონვეა მისი გამკითხავი.

ხოლო თუ ჩვენ ნორმათა დარღვევის პირველ ახსნას დავუჭრებთ, იგი ერთგულ კიდევ მიგვიითობებს იმაზე, თუ რამდენად რთულია ძველი ქართულის გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური სისტემა და რომ მასში შეუდგომლად გარკვევა უჭირთ ძველი ენისა და კულტურის ისეთ კვალიფიკურ სპეციალისტებს, როგორც დაცე უემოთ ნახსენები ახალგაზრდა მთარგმნელები ითვლებიან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ მასალას ხშირად უახლესი ლექსიკური ერთეულები უდგას გვერდში. ასეთი პრინციპი ყოველთვის არ იძლევა პარმიოულ ნაერთს. პირიქით, იგი უფრო გახაზავს არქაიზმის სიძველეს და, ამასთან, ბარბარისმის სახალეს: „პირველში ვამბობთ, რაში გგეგს ეგ პოტენცია“ (დანტე); „წყვიდადს, რომელიც მათ მოსავს და რომელსაც ამრუმებენ კომენტატორნი“... (ფრანსე).

ხშირად არქაიზმებს ვხვდებით ეარგონთა გარემოცვაში. ეს ნაერთიც არ იძლევა სასურველ შედეგს:

„წამო, თითო ხელადა ვხუბოთ „ჩჩვილი ბახუსში“ (ფრანსე);

„ქრულავე, მითხარი, ნეტაც საკანთან მოყუჩდი რისად?“ (ლო ბინ ვანი).

ეარგონული მოყუჩდი (მოთავსდი) და ძველ-ქართული რისად ვართმანეთის გვერდით ვერ მოძიოვენ“. ოლინდ თუ აქ უყჩება (გაჩუქება) იგულისხმება, საჭირო იყო გაყუჩდი ან მიყუჩდი ფორმა გვეხმარა.

ამრიგად, არქაული მასალა განალიზებულა და მთარგმნელთა დამოკიდებულება მასთან გარკვეულია. ახლა განვიხილოთ, რამდენად აუცილებლობითაა ნაკარნახევი მისი გამოყენება, ე. ი. ლამპარია იმაზე, თუ რა პოზიციის უჭირავთ ძველი მასალის მიმართ თვით სა-თარგმნე ავტორებს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იმდენ ენასთან და მწერალთან გვაქვს საქმი, რომ თარგმანისა და დიდენტის შეჭრება ამ ენების ღრმად მყოფდენ სპეციალისტების მთელ ჯგუფსაც კი გაუჭირდებოდა. ამდენად, ჩვენთვის ეს პრობლემა ისედაც მოხსნილია. ამიტომ მათზე ზოგადი მინიშნებით დავმკაცროფილდებთ.

დაიწყეთ დანტე ალიგიერი. იძლევა თუ არა იგი ასეთი არქაიზაციის საბაზს? როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, არა! პირიქით, იტალიური ენციკლოპედიის ცნობით, იგი გადაუჭარბებლად აღიარებულა როგორც ნამდვილი შემქმენელი ეროვნული და პოეტური ენისა; რომ დანტეს, როგორც პოეტს, მალა-ლი ინსტრუქტი და იმპულსი შედგენდება ენის არჩევანში; და რომ ეს ენა იყო უმთავრესად-ცოცხალი და არა რომელიმე სკოლის ან ტრ-



დიციისა, ენა შეზავებული რაფინირებული პოეტური მეტყველებით და უხეშობამდე მისული ხალხური თქმებით.

დანტე იყო ერთი ლიდერთაგანი „ახალი საამო სტილისა“ („დოლჩე სტილი ნუოვო“), რომლის ენობრივ პრინციპებზეა შექმნილი მისი „ახალი ცხოვრება“ („ვიტა ნუოვა“), ხოლო „ღვთაებრივი კომედია“ მიჩნეულია იმ პლაცდარმაღად, რომელშიც იბრავა თავისი დასრულებმა იტალიური სალიტერატურო ენის შექმნის პროცესში. „ღვთაებრივი კომედის“ ენა — „საამო სტილის“ სკოლის მაღალი სახალხო ენაა, მაგრამ საკომპოზიციოდა იგი გამდიდრებული ტოქსანური ანდაზებით, სხარტი და მყარი ხალხური გამოთქმების ცოცხალი სისაუბრო მეტყველებით. პოემის ხალხური ელემენტები გამსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდნენ ეტრსების მასობრივი სახალხო მოძრაობების ეპოქაში. აქ უნდა ვეძიოთ თვით სათავეც დანტეს ფანტაზიისა, რომელიც კლერიკალური ლიტერატურის სულს ფინანსადღეგებოდა, მაგრამ ახლოს იყო აპოკრიფულ, ეკლესიისაგან უარყოფილ ხალხის რელიგიურ ლეგენდებთან“ (Большая Советская Энциклопедия).

მართლაც, ვისაც დედანი აქვს წაიხსნული „ღვთაებრივი კომედია“ და „ახალი ცხოვრება“, აღნიშნავენ ვაჰაოცარ ენობრივ სისადავესა და სიმსუბუქეს (რა თქმა უნდა, მიუთითებენ გარკვეული ადგილების ბუნდოვანებაზეც, რაც ენის სიმშრის გამო კი არ გვხვდება, არამედ პოეტის მისტიური აზროვნების ერთგვარი გამოქაჩილია). საფუძვლით თანამედროვედ უღერს იგი რუსულად, განსაკუთრებით „ღვთაებრივი კომედია“, ლოზინისის მიერ თარგმნილი, რომელსაც 1946 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

აი ასეთი ხალხური საწყისებით მასაზრდოები პოეტის გამომოტანა ამაღლებული, ბიბლიური სიღინჯის ენით მთლად გამართლებული არ გვეჩვენება. მიუთმეტეს, რომ იგი კლერიკალური ლიტერატურას და ეკლესიის დოგმატურ პრინციპებს განსაკუთრებულ პატივს არ სცემდა.

იქნებ ჩვენგან თვით დანტეს დროში დაცილება (შუა საუკუნეები) იყოს მისი არქაულად გადმოღების საბაბი? ვთქვათ, ეპოქის კოლორიტის, ისტორიული რეალიების გაცოცხლების მიზნით. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება ანგარიშის გაწევა, მაგრამ ზომიერად, ძალდაუტანებლად, არა ისე, რომ დედნის ისტორიული გარემო აღდგეს და თარგმანის ეპოქის სუნთქვა კი დაიკარგოს. პარიჟში, მუდამ მძაფრად უნდა იგრძნობოდეს თარგმანის შესრულების დრო. სწორად შენიშნავს გ. გაჩეჩილაძე:

„თარგმანის სტილი ისეთავე მიმართებაში უნდა იყოს თანამედროვე მკითხველთან, როგორზეც დედანი იყო თავის მკითხველთან. მა-

გალითად, თუ დედნის სტილი თავის დროს ახლოს იდგა ჩვეულებრივ სალაპარაკო ენასთან, ასეთივე შეფარდება უნდა იყოს დაცული თარგმანშიც — ისიც უნდა ახლოს იდგეს მისი თანამედროვე მკითხველის ჩვეულებრივ სალაპარაკო ენასთან. სტილიზაციის ელემენტი, მაგალითად, პირობითი არქაული ნიშნის სახით, დიდი სიფრთხილითა და ტაქტით, ზომიერების დიდი გრძნობით შეიძლება იყოს შეტანილი თარგმანში, მაგრამ ვიშვრებთ, მხოლოდ პირობითი ნიშნისა და არავითარ შემთხვევაში წამყვანი ტენდენციის სახით“ (ხაზი ჩვენია. ა. თ.).

აქვე გავიხსენებთ უბადლო სტილისტის მოემის ცნობილ გაფრთხილებას: „საჭიროა ვწეროთ მხოლოდ ჩვენი დროის მანერით. ცდა ისე ვწეროთ, როგორც შორეულ წარსულში წერდნენ, მიგვიყვანს მხოლოდ ხელოვნობამდე“.

ამდენად, ცხადია, ვერ დავეთანხმებით ვერც გადმოქართულებული „ახალი ცხოვრების“ შესავალი წერის ავტორის ო. ჭინოიასს, რომელიც პრინციპულად უწონებს მთარგმნელებს მათ ენობრივ არჩევანს.

მეორე ნაწარმოები, რომელზეც ჩვენ გვსურს ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ესაა ავტოქის ისაიკინის პოემა „აბუ-ლალა-მარაი“. მისი ავტორი მაინათ დემდებულად თანამედროვე სომხური ენისა (რომელიც მეტისმეტად დაცილებულია ძველ სომხურს). იგი ისეთივე ფიგურაა სომხური ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ჩვენთან ვალაკტიონ ტაბიძე. „მისი ლირიკა, — წერს ტიციან ტაბიძე, — უფრო ხალხურ ნიჰილადგება აღმოცენებული და რამდენიმედ მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას. ზოგიერთი ლექსი ავეტიც ისაიკინისა იმდენად ხალხურ კილოზეა გაკეთებული, რომ არც კი გამოირჩევა ხალხური პოეზიიდან. სამაგიეროდ პოეტს არ დაუზოგავს არავითარი ხერხი და გასაოცარი ოსტატობით აქვს მოცემული ხალხური ვარიაციები“.

შემდეგ ტ. ტაბიძე გვება პოემა „აბუ-ლალა-მარაი“ (იგი მას „აბუ-ლალა-მარაი“ წერს, თ. ჩვენელიც იგი იძლევა შესაძენ დაწერლობას: „აბუ-ლალა-მარაი“ (?) და იხსენებს მასზე ვალერი ბრიუსოვის მაღალ შეფასებას.

ამ ციტატებიდან საკმაოდ ნათლად იკვეთება ისაიკინის ენობრივი პოზიცია. იგი ახალი ორიენტაციის გამტარებელია ზემოთ აღნიშნულ პოემაშიც, ოღონდ ერთგვარი სტილიზების იერიით.

1963 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო ამ პოემის რ. თვარაძისეული თარგმანი, შესრულებული მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი ემეოვნებით, ოღონდ საგრძნობლად არქაი-

არლი თარგმნილი  
მსა ძველი, მსა ახალი



ზებული. აზრის ბოლო პუნქტი საკუთრივ ჩვენს არ გხვდება. მის იზიარებს ძველი ქართული ენის ცნობილი სპეციალისტი ი. იმნაიშვილიც. მაგრამ არქაიზაციის მიმართ ჩვენი პოზიციები განსხვავებულია. წერილის ავტორი დადებითად მიიჩნევს არქაული ფორმების „დაბეჭივების შემოტანას“ ენაში, სვამს საკითხს, რათა „სამუდამოდ აღვადგინოთ მკვდრებით“ სხვადასხვა მიზეზის გამო ხმარებიდან გამოსული სიტყვები და გამოთქმები, ამასთან რამდენჯერმე იმეორებს გამაფრთხილებლად: „საერთოდ შეენიშნავდით კი, რომ საქართველოს მოსახლეობის დასაცა აქაც აუცილებელია“. ავტორი მხოლოდ ამ ზოგადი მითითებით კმაყოფილდება. არსად ფრჩხილებს არ ხსნის. და ამ ფრჩხილების გახსნა მოგვიხდა ჩვენ.

როგორც ცნობილია, არსებობს „აბუ-ლალა-მარის“ სხვა, ძველი თარგმანიც, შესრულებული ტ. ტაბიძის მიერ (ეს ფაქტი აღნიშნული აქვს თვით რ. თვარაძეს). აქვე უნდა ითქვას: ჩვენ თვარაძისეულ თარგმანს გაცილებით მაღლა ვაყენებთ. მართალია, ტიციანთან ზოგიერთი ადგილი საკმაოდ ძლიერად ეღერს (სხვაწარად არც შეიძლებადა ყოფილიყო), მაგრამ პოემა მთლიანობაში ვერ არის სრულყოფილი, ატყვია ნაჩქარევი ხელი, ხშირია ბუნდოვანი პასუხები, ენობრივი ლაფსუსები. ამის მიზეზად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაათვალოს ის ფაქტი (როგორც ამას რ. თვარაძე ფიქრობს), რომ „ტ. ტაბიძე იმეყარებოდა ვაჟის ბრიუსოვისეულ რუსულ თარგმანს, რომელიც, თავის მხრივ, ორიგინალს საკმაოდ დაშორებულია“.

საქმე ისაა, რომ ბრიუსოვის თარგმანი სპეციალისტების მიერ მიღებულია დედანთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ნიმუშად. მაგრამ ბრიუსოვმა ისარგებლა დედნის პირველი ვარიანტით. ცნობილია, რომ ისააკიანი შემდეგაც დიდხანს მუშაობდა ამ პოემაზე, ჩაღბედა, ენობრივად ამატივებდა. რასაკვირველია, პოემის ბოლო სახე, რომელიც საფუძვლად უდევს თვარაძის თარგმანს, საგრძნობლად განსხვავდება ბრიუსოვის ხელთ ნაქონი ვარიანტისაგან.

ჩვენ ამოცანად არ დავგისახავს ამ ორი თარგმანის ყოველმხრივ შეჯერება. გვქონდა ლოკალური მიზანი: შეგვეხება მათთვის არქაიზაციის კუთხიდან. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ, როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. ტიციანის თარგმანი შესრულებულია საესებით თანამედროვე ქართულით (ზოგჯერ „მიმბრუნებისკენაც“ კი იხრება). არ შეიძინევა არც ერთი არქაული სიტყვა. ის კი არა, სიტყვათვანლობების ძველი წყობაც იშვიათადაა მოხმობილი. აქა-იქ გაილევებს ნართანინი მრავლობითი. სანამეზოდ მოვიტანთ მცირე პასუხს:

„და ქარავანიც განაგრძობს შორ გზას, მიიკლავება წინ როგორც გველი, ტიტრულ უდაბნოს წყნარად მიარღვევს და უკან რჩება მის ოქროს ველი. თითქოს სტირიან ღამე ეყენები და საითთოდ ყველა ცრემლს იწმენდს, თითქოს სტირიან აბულ მარის ძველ სიყვარულს და გაღასულ იმედს. თითქოს ქეთინით შეღალაღებენ და „დაბრუნდი-ო“ ევედრებიან. ბნელში ზეფირის ათას საღამურს შარავნიც ვეღარ შეედრებიან. და დასტირანი უტოვდვლ სიხმრებს და სიყვარულის დამწველ იარას, რაც აწუხებდა აბულ მარის, რამაც მის გულზე გადაიარა...“

ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს ერთი და იმავე მასალისადმი ორი თვალსაზრისის დაპირისპირება (სხვათაშორის, საესებით თანამედროვე ქართულად ეღერს ამ პოემის დასაბეჭდად გამზადებული ივ. შილაკაძისეული თარგმანიც).

ვფიქრობთ, რ. თვარაძისაგან ძველი ქართულისაგან მიბრუნება ენობრივი ორიენტაციის გარდა განაპირობა 1929 წელს თვით ა. ისააკიანის განცხადებამ: „მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა ბართაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება. მისმა მშვენიერმა „მერანმა“ მე თავდავიწყებით გამოიტაცა. აბულ-ლალა-მარის ქარავანი ბართაშვილის მერანის კვალს მისდევს“.

როგორც ჩანს, ავტორის ეს აღსარება მთარგმნელმა მიიღო პირდაპირი ვაგებით და თარგმანში მიმართა არა მარტო „მერანის“ პოეტურ ინტონაციებს, არამედ ბართაშვილის მთელ ლექსიკურ არსებულს და ენობრივ თავისებურებებს. „მერანის“ ინტონაციებმა მარის მთელმხრივ ქარავანი უფრო „აამოქრავა“, ბელთან შეურთიგებლობის სული შთაბერა, მთელ ნაწარმოებს მათორული ეღერადობა მისცა. დედანი კი ამ მხრივ უფრო მინორულად გამოიყურება. ვფიქრობთ, აქ ზუსტად არაა მოძებნილი „სტილისტური გასაღები“. დაახლოებით ვგეგვ აზრი აქვს გამოთქმული გ. კანკავას: „აბუ-ლალა-მარის“, ისევე როგორც „ფარისი“ — მთლიანად ინდივიდუალისტურად განწყობილ პოეტ-რომანტიკოსთა შემოქმედებაა“.

რაც შეეხება ბართაშვილის ენას, რომელიც მძაფრი არქაიზაციით ხასიათდება, მან თარგმანს შესძინა ძველქართული იერი და ამითაც დააცილა დედანს.

ახლა აღმოსავლური ლირიკის ნიმუშების გადმოქართულებასთან დაკავშირებით. ისეთი ორიენტაციის მთარგმნელისათვის, როგორც თ. ჩხენკელია, ბიბლიურ თემებთან მისვლას პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი გატაცების სფერო თავისთავში იტყვს, ერთი მხრივ,



ძველი აღმოსავლეთის მინიატურულ პოეტურ ნიმუშებს (გველისხმობთ ჩინური ტანის ეპოქის ლექსებს, იაპონურ ტანკებს, კორეულ სიჯოებს) და, მეორე მხრივ, ახალი ეპოქის ბრწყინვალე წარმომადგენლის რაბინდრანატ თაგორის პოეტური აზროვნებას. აი სწორედ ეს ფილოსოფიური კვრეტა, თავის თავში ჩაიბრუნეს სურვილი იზიდავდა მთარგმნელს აღმოსავლეთისაკენ. მან დასავლეთსაც ამ თვალთ შეხედა და თავისი პოეტური მხერა ორ ბუმბერაზ შემოქმედზე (დანტე, უიტმენი) შეაჩერა. ამ არჩევანმა იგი, როგორც ვთქვით, მიიყვანა ძველი საუკუნეების პოეტურ მემკვიდრეობასთან. სახეების ძეგრწების ამოტივტივდა ისეთი არქაული ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რომელსაც ბიბლიური, აღმოსავლური სურნელება ახლდა და საგრძნობლად განსხვავდებოდა ევროპული „შშრალი“ სასოიანის სისტემისაგან (ტომაშევიკი ასეთ ფაქტებს ბიბლიური სტილის იმიტირებას უწოდებს). მისთან ერთად შემოიჭრა „სასულიერო ოღების“, საგალობლებისა და ფსალმუნების ინტონაციები, რომლებიც პირდაპირ უპასუხებდნენ ფილოსოფიური ლირიკის შესაძლებლობებს.

მაგრამ ამ გზაცებამ, საერთო წყაროზე ორიენტაციის აღებამ, ჩვენი აზრით, ერთი უხერხულობა შექმნა: ზოგჯერ ბიბლიური იერი მიეცა ისეთ მწერლებს, რომელთაც ამის ფიქრიც კი არაოდეს ჰქონიათ. ერთნაირად ამეტყველდა უიტმენი და ბო-ში-უ, თაგორი და ალიგიერი, აბუ-ლალა-ბაარი და ომარ ხაიამი. იმან ვამოიწვია განსხვავებული აზროვნებისა და მანერის პოეტთა გაერთიანოვნება, მათი ენობრივი სტილის ნიველირება. სწორედ ასეთი შედეგების მოჭარბებამ ათქმევინა მოვს: „მე ვფიქრობ, მეფე იაკობის ბიბლიამ დაძლიებულ გავლენა იქონია ინგლისურ პროზაზე. არც ისე უფნური ვარ, რომ უარვეყო მისი სილამაზე. იგი დიდებულ რამაა. მაგრამ ბიბლია — აღმოსავლური წიგნი გასლავთ. მისი სახიფათოა ჩვენგან უსასრულოდ შორს დგას. ეს პიპერბოლები, ეს მკვეთრი მტეფორები, უცხოა ჩვენი სულსათვის... მისი რიტმი, მისი ლექსიკის სიმძლავრე, მისი მაღაღფარდოვნება ერის სისხლსა და ხორცში გაჯდა. სადა, პატიოსან ინგლისურ მტყველებას სუნთქვა შეეკრა ყოვლისშემძლე სამკაულეში. ზოგი გონებაწლუნგი ინგლისელი ენასაც კი იმტრევედა, ცდილობდა ელაპარაკა ისე, როგორც უღვეველი ნათელმხილველები ლაპარაკობდნენ“.

ბიბლიზმებისათვის წინასწარმეტყველრობის მინიჭების ფაქტის სხვების მიერაცაა შემჩნეული. ვოგოლის ფრაზაზე: „Дрянь и тряпка стал теперь всяк человек“, ბელინსკიმ შენიშნა: „თქვენ ფიქრობთ, რომ всякий-ს ნაცვლად თქვენი **всяк**—ეს ნიშნავს ილაპარაკოთ ბიბლიურად?“

რა შეიძლება ითქვას თ. ჩხენკელის ობიექტის სხვისეულ თარგმანებზე? უნდა აღინიშნოს,

რომ მათ ხელში ისინი შედარებით თანამედროვედ გამოიყურებიან: მხედველობაში გვაქვს უიტმენი და თაგორი ლ. დიდობრიძისთან, თაგორი ც. გამყრელიძისთან (თუმცა სტილოვნების გარკვეული დოზა არც მათ აკლიათ), ომარ ხაიამი ა. კელიძისთან, ვ. კატეტიშვილთან და მ. თოდუასთან (ამ უქანასკნელთან, პირიქით, ერთგვარი გახალხურების ტენდენციაც კი შეიმჩნევა). რაც შეეხება აღნიშნულ ავტორთა რუსულ თარგმანებს, ისინი შესრულებულია უაღრესად მოქნილი, თანამედროვე ლიტერატურული ენით; მათში მიღწეულია სტილის კლასიკური სისადავე და ვიქტორობი, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგალითად, თაგორის „შეხადის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „თავის დროზე „წამებმა“ (იველისხმება კრებულის, რომლის ლექსები საფუძვლად დაედო „შეხადის“. ა. თ.) ნამდვილი გადართავება მოახდინა ინდოეთის პოეზიაში. ამ წიგნში თაგორმა პირველად გამოიყენა სასაუბრო ენის სილამაზე და მუსიკალობა. მანამდე პოეტები ბენგალურ სასაუბრო ენას პოეზიაში ამეტყველებდნენ ღირსად არ თვლიდნენ“.

თუკი „შეხადი“ ბენგალურ სასაუბრო ენაზე დაწერილი, რატომ უნდა ითარგმნის იგი ძველი ქართულით?

სიტყვა რომ არ გავვიგორძელებს, აქვე ვიტყვით პლატონის დიალოგების სანიმუშო რუსულ თარგმანზე, რომელიც ახლახან ცალკე წიგნად გამოვიდა ასმუსის რედაქტორობით. აქ პლატონი, ის თქმა უნდა, წარმოდგენილია თავისი გრანდიოზულობით, და ამავე დროს უპრეტენზიო, საესეებით გასაგები სტილით. მიზანი ერთია: ხელი არ შეეშალოს პლატონის ღრმა აზრების მიხვლას მკითხველამდე.

ერთადერთი, ჩვეს მიერ განხილულ ავტორთაგან, რომელსაც რუსეთში არქაული პრინციპით მიუღვენენ, პომეროსი გახლდათ. კერძოდ, დიდმა რუსმა მთარგმნელმა გენდიჩმა შეიმუშავა „ილიადის“ თარგმნის სტილისტური სისტემა. მას სურდა რუსული ენის საგანძურში ისეთი საშუალებანი ენახა, რომლებიც წარმატებით გადმოსცემდნენ ძველი და კარგი მნიშვნელობით „პრიმიტიული“ ენის შთაბეჭდილებას. ასეთ ობიექტად მან საეკლესიო სლავური აირჩია. „ილიადის“ წინასიტყვაობაში იგი პომეროსის ენას ამგვარად ახასიათებს:

„...პომეროსის პოეზია, ენისა და თხრობის განმასხვავებელი თვისებაა უპროლობა, ძალა და მედიდური სიმშვიდე. თუმცა ვერ ხვდებიან, რომ შესაძლებლობა ამისა სტილის ერთგვაროვან ამაღლებასა, რომელსაც სხვაანაირად ვერ გადმოსცემ, თუ არა სლავური ენით“.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გენდიჩი მოღვაწეობდა სხვა საუკუნეში (უფრო სწორად

**არლი თაყაიზვილი**  
 5ნა ძველი, 5ნა ახალი



XVIII—XIX სს-ის მიჯნაზე). მას თავისი დროის დამახასიათებელი პრინციპები და მეთოდები ჰქონდა, რომლებსაც დღეს გამართლება აღარ მოეძებნება.

ახლა გვესურს განსაკუთრებით შეეჩერდეთ ოსკარ უილდის ზვიად გამსახურდიასეულ თარგმანზე. მანამდე კი აღენიშნავთ ერთ სინტიერესს ვითარებას, რომელსაც გ. გაჩეჩილაძე „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალში“ გვაწვდის. მთარგმნელისაგან დედნის „სტილისტური გასაღების“ პოვნასთან დაკავშირებით მას ნიმუშად მოაქვს ქ. კანდელაკის მიერ თარგმნილი უილდის „შულბულისა და ვარდის“ თავდაპირველი ექსპერიმენტული ვარიანტი. ქ. კანდელაკს დედნის ქანობრივი ფორმის შენარჩუნების მიზნით (ის ხომ ზღაპარია!) ქართული ზღაპრისთვის დამახასიათებელი სტილით გადმოუღია იგი, დაახლოებით ასე: „—სატრფომ მითხრა, წითელ ვარდებს თუ მომიტან, მხოლოდ მაშინ ვიცეკვებ შენთანაო, — წამოიძახა ჰაბუქმა სტუდენტმა, — ჩემს ბალში კი ერთი წითელი ვარდიც არსად არის“... და ა. შ.

გაჩეჩილაძის აზრით, დაშვებული იყო შეცდომა დედნის „სტილისტური გასაღების“ არჩევანში. საქმე ის ვახლავთ, რომ უილდის, როგორც დეკადენტი მიწერლისათვის, ხალხური ზღაპრის ფორმა არ იყო ორგანული. იგი ვარკვეულ სტილიზაციას გულისხმობდა — გამოიყენებოდა პირობით, სიმბოლურ ხერხად ესთეტიური იდეების გადმოცემისათვის. ასეთ დატვირთვას ზღაპრის უკიდურესად გამარტივებული ფორმა საცხებით იგუებდა. მაგრამ ის დაცლილი ჩანდა ხალხური ზღაპრის უშუალოებისაგან. ვარგულული გულბერძვილი სამოსელი ინიღბებოდა ავტორის ესთეტიკური კონცეფციით.

ამრიგად, ექსპერიმენტული ვარიანტი, შენიშვნას გაჩეჩილაძე, პრინციპშივე იყო მცდარი. თარგმანზე შემდგომმა მუშაობამ გარკვევია, რომ ორიენტაცია უნდა აღებულიყო ქართული დეკადენსის ლიტერატურის არსენალისაკენ. ლექსიკის ხელოვნურობა და ფრაზების არაქართული კონსტრუქციები შესანიშნავად მოერგებოდა უილდის თავისებურ ზღაპარს. მაგრამ აქაც საჭირო იყო სიფრთხილე (კერძოდ, დეკადენტების ენობრივი ლავისების თაიდან ასაცილებლად). საკმარისი ჩანდა ხელოვნურობის პრინციპის გადმოღება, რომ ფრაზას მიეღო ქართული ზღაპრის საწინააღმდეგო ელფერი. ამ გზით დედნის მსოფლმხედველობამ და სტილმა შესაფერი ანალოგია ჰპოვა თარგმანში, რომელიც ასე აქვდრდა:

„— სატრფომ მითხრა, წითელ ვარდებს თუ მომიტანთ, თქვენთან ვიცეკვებო, — წამოიძახა ახლაგზრდა სტუდენტმა, — ძაგრამ ჩემს ბალში ერთი წითელი ვარდიც კი არ მოიძებნება!..“

ეპიურად გავრცობილი პირველი ფრაზის „ჩაქარება“, ხალხურობის პრეტენზიის მქონე

შენობითი ფორმის შეცვლა თქვენობითი-ლორითული კაბუჯის მაგივრად ნეიტრალური ახალგაზრდის ჩასმა, არსად არის ნაცვლად არ-მოიძებნება-ს პოვნა, რომელიც რიტმულად ავსებს აზნაციის მეორე ნახევარს—აი ის ჩასწორებები, რომლებმაც განაპირობეს ამ პატარა მონაკვეთის სტილიზება. მთელმა ზღაპარმა მიიღო უილდისათვის დამახასიათებელი რიტმი, ინტონაცია და მხატვრული სახეობა, ამასთან შეინარჩუნა ქართულ ლიტერატურულ სინამდვილესთან ცოცხალი კონტაქტი.

დასაბუთს, გ. გაჩეჩილაძე შენიშნავს: „შესაძლოა წამოიჭრას ამ ზღაპრის არქაული სტილიზაციის საკითხიც. ცნობილია, რომ არქაული სტილიზაცია უჩვეულობის, ხელოვნურობისა და მაღალფარავნების შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ არც დენის უღვემა ვაქვს, რადგან დედანი საგანგებოდ მიმართავს ვარგან უბრალოებას, ჩვეულებრივ მეტყველებას და არა არქაულ სტილიზაციას. ამიტომაც ამ ცთნებისაგან ისევე და ისევე დედნის სწორი სტილისტური გასაღების ამოცნობას შეუძლია დაგვიხსნას“.

გ. გაჩეჩილაძის ამ წიგნის პირველი გამოცემა 1959 წელს დაიბეჭდა. ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოსული უილდის ზ. გამსახურდიასეული, არქაულად გაწყობილი თარგმანი (იგი 1960 წელს გამოსცა „ნაქაულმა“). მაგრამ გ. გაჩეჩილაძის ხელმეორედ გამოქვეყნებულ წიგნში (1966 წ.) უცვლელადაა გადატანილი ზემოთ აღნიშნული მონაკვეთი და რატომღაც არაფერი არ არის თქმული გამსახურდიასეულ თარგმანზე. ჩვენთვის გაურკვეველია, როგორ უყურებს ავტორი ამ ლიტერატურულ ფაქტს. მაგრამ თუ მოყვანილი ციტატის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი არც დედალ გამართლებდა უილდის ასეთ ენობრივ ინტერპრირებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზ. გამსახურდიას თარგმანი დიდი გემოვნებითაა შესრულებული, გამართულია მაღალმხატვრულად და ტოვებს ორიგინალური (ოლინდ ძველი) ძეგლის შთაბეჭდილებას. ამ მხრივ ქ. კანდელაკისა და ნ. ჩიკოვითის თარგმანებს (უფრო ამ უკანასკნელისა) დედნის ერთგვარი გველენა ისევე ეტყობათ (შესაძლოა ზემოთ ნახსენები სტილისტური პრინციპის უილდურესად დაცვის გამო). მაგრამ კანდელაკისა და ჩიკოვითის მარტივ, თანამედროვე, ექსპრესიულ თხრობას უპირისპირდება ზ. გამსახურდიას ზეაწეული, მღორდე მიმავალი ფრაზა, დამძიმებული არქაული ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით (არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ მისი თარგმანი მოსწავლე ახალგაზრდობისთვისაა გამოცემული „ნაქაულში“ მიერ!). თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ შედარებას. პირველად მოვიტანთ „არქაულ“ ფრაზას, მას მივეუწერთ „თანამედროვე“ ვარიანტს:

ბედნიერი ხეფეწული, ბედნიერი უფლისწული — ეკითხულობთ უილდის ზღაპრის The Happy Prince-ის სათაურებად. უკვე აქ ვლინ-



დება მთარგმნელთა განსხვავებული პოზიცია. **უფლისწული** ისედაც არქაიზმია, **სეფეწული** კი — არქაიარქაიზმი! ამასთან, როგორც უკანასკნელი ხანის გამოკვლევებიდან ჩანს (იხ. ზ. ალექსიძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები), **სეფეწული** ძველ წყაროებში სრულიადაც არ წინადადებდა **მეფის შვილს**, **სამეფო კარის შთამომავალს**. სახარება მას იცნობს, როგორც **მეფის მონას**, **მსახურს**, ყველაზე დიდი — როგორც **მოხელეს**. მოგვიანებით მიუღია მას **დიდებულის** მნიშვნელობა. თუ ამ თვალსაზრისს დაეუქვრებთ, **სეფეწული პრინცი** აღსანიშნავად ისედაც გაუმართლებელი გამოდის.

ახლა მივევთ ტექსტს:

1. „ასე ილევოდნენ ჩემნი დღენი და ბოლოს დაპკრა სიყვდილის უამაც. ახლა კი მიცვალებული, აქ ისე მალლა დამაყენეს, რომ უნებურად შემომძლია თვალით ვიხილო ყოველგვარი სიგონჯე და სიღუბიკრე ჩემი ქალაქისა. და თუმცე ჩემი გული ბრპენისხანა ჩამოსხმული, ცრემლებს მაინც ველარ ვიმაგრებ“ („ბედნ. სეფეწ.“).

„ასე ვცხოვრობდი და ასე მოვეკვდი. ახლა კი უსული, ამ სიმაღლეზე შემაყენეს, რათა უქეთ დავინახო ჩემი ქალაქის სიმახინჯე და საცოდანობა. და თუმცა გული ტყვიისა მაქვს, რაღა დამჩენია ტირილის გარდა“ („ბედნ. უფლისწ.“).

**ბრპენი** — ტყვია (საბა).

2. „მეფურნის კარზე ნამციეებს აგროვებდა მისგან უჩუმრად და ფრთების ქნევით ცდილობდა გაიტფო სხელი“ („ბედნ. სეფეწ.“).

„მფერნებოდა სახაბოსთან და იქვე დაუჩრილ ნამციეებს ჰკენაკადა, თან ფრთას ფრთაზე უფათქუნებდა ვასათობადა“.

3. „სირთა ვალბოა მოისმოდა ბალჩისა და წალკოტის მსრიდან“.

„ბალსა და ქალაში ჩიტები ვალობდნენ“.

**სირი** — ჩიტი (საბა).

4. „ჩემი ვარდები თეთრნი არიან“, მიუგო მან, „თეთრნი ვითარცა ქაფნი ზღვის ტაღდათა, და უფრო თეთრნი, ვიდრე ახლად დათოვლილ მთათა მწვერვალნი“ („ევარდი და ბუღბული“).

„მე თეთრი ვარდები მაქვს, — უპასუხა, — თეთრი როგორც ზღვის ქაფი და უფრო თეთრი, ვიდრე მთის თოვლი“.

5. ჩემზედ უმაღლესმან დასდგა გვირგვინი თავსა ზედა შენსა“, „აღმოხდა მას და დიჩოქა მეფის წინაშე“ („ჰაბუტი მეფე“).

„— ჩემზე უძლიერესმა გაკურთხა შენ, — შესძახა მან და მეფის წინაშე მუხლო (?) მოიყარა“ („ახალგაზრდა მეფე“).

ამ მაგალითში კანდელოკასეც გუგუარა არქაიზმი, ისიც არასწორი ფორმით (უნდა იყოს: **მუხლნი** მოიყარა).

6. „...უფალმან ჩვენ გვიბოძა იგი სიქველეთა

საყოფად. არა არს საგანი რამ უძვირფასესი კაცის სულისა“ („მებად. და მისი სული“).

„...ღვთისგან გვაქვს ნაბოძები, რათა ღირსეულად მოვიხმაროთ. ქვეყნად არაფერია აღამიანის სულზე უძვირფასესი“.

7. „მთა არა ესმით, ვითა ნადირთა ტყისათა, კეთილ და ბოროტ, არცა ვნებულა მათთვის მაცხოვარი ჩენნი“ („მებად. და მისი სული“).

„ტყის ნადირებზეთ ისინი კარგსა და ავს ვერ არჩვენენ და მათი ხსნისათვის არ გაუწირავს თავი უფალს“.

8. „მობრუნებულაგანი უფროსნი დაეკოდათ, ხუთი მთავანი ბრძოლის ველზე დარჩენილიყო“.

„ხუთი კაცი აკლდით და დაბრუნებულთა შორისაც ბევრი იყო დაპრილი“.

**დაკოდვა** — დაჭრა (საბა).

9. „რა გიჭირავს მაგ ხელში“

„სამი მარცვალი იფქლისა“, მიუგო სისხარემ.

„რა გაქვს ხელში“

— პურის სამი მარცვალი, — მიუგო მან.

**იფქლი** — ხორბალი (საბა).

10. „უზარმაზარი რკუნი თვემდნენ გაცხელებულ ტლაოში“ („ჰაბუტი მეფე“).

„რამდენიმე ვეება კუს ცხელ ლაშში ჩასძინებოდა“.

11. „მალი დაძრა უდაბნოთაგან ურიცხვი“ („ჰაბუტი მეფე“).

„უდაბნოდან წამოსული კალია შესევია მათ“.

12. „ღვინით მოვაჭრენი იდაყვებით იკაფადნენ გზას, მოზრდილი შავი თხერები აქეთ მხრებზე შეგდებულ“ („მებად. და მისი სული“).

„ბროში გზას იკაფადნენ სირაჯები, რომელთაც დიდი შავი ტყეები მოეგდით მხრებზე“.

ასევე უზირისმარდება ერთმანეთს: **განაძე** || გადაიყარე; **წყეხის დროს** || მწყეხსავდა; **მოყვივნებისა** || დამციერებისა; **მეყვესულად** (?) || მაშინვე; **ხურვება** || ციებ-ცხელება; **მთხოვარი** || მათხოვარი; **რას ვაქნევ** || რის მაქნისია; **გვიდრი** || გემუდარები; **აქ შინ** || აქ ზიხარ; **ვუყვივ** || შევძახე; **უჩაუნიერი** || ბანჯგელიანი; **უვისთ** || ყავთ; **მეთოლია** || თოლია; **ვარქვი** || ვკითხე; **გარნა** || მაგრამ; **წარტანე** || წაიდგე; **მარტა** || აზრის; **ცხოველი** || ცოცხალი; **რას უზნობ** || რას ამბობ... და ასე დღურსულელებდა.

ფიჭობოთ, შედარებისთვის ესეც კმარა. ჩვენ განგებ არ დავურთეთ კომენტარები. ქ. კანდელოკისა და ნ. ჩიგოჯიძის ყოველი მომდევნო მონაკვეთი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ახალქართული თარგმანი ყოველივე იყო ზ. გამსახურდიას წინ მდგომი არქაული ტექსტისა. ეს კი ბევრზე მეტყველებს თავისთავად.

ამრიგად, როგორც დედნების ენის ზოგადი დახასიათებიდან დავრწმუნდით, ისინი თავის

**არალი თაყაიზვილი**

მნა ძმელი, მნა აბალი



თავში, ობიექტურად არ მოიცავდნენ ძველი ქართული გადმოცემების აუცილებლობას, და რომ ეს არქაული სტილიზაცია მთარგმნელთა სუბიექტურ თვალსაზრისს ემყარება, მათ ენობრივი ორიენტაციის ანარეკლია. არაფერს ვიტყვით «გოლდამეშის ეპოსის» შესახებ, რომლის დედანშიც, მთარგმნელის შენიშვნით, «განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიბლიურ პარალელებს, აღნიშნული დამთხვევები როგორც ენობრივ, ისე რეალიების მხრივ». თუმცა დავსძენთ, რომ დღის მთარგმნელობით ხელოვნებაში ისეთი თვალსაზრისიც არსებობს, რომლის მიხედვითაც არა თუ არქაულად არააღებულნი დედანი არ უნდა ითარგმნოს ძველი ენით, არამედ არქაიზმებისა და ძველი კონსტრუქციების ასე თუ ისე მქონე ნაწარმოებები კი. ამ პრინციპის თანმიმდევრულად გამტარებელი იყო შენაშნავეი მწერალი და მთარგმნელი ბორის პასტერნაკი. იგი ვერ იტანდა სლავოზმების მოქაბებით თარგმანში და მთარგმნელობითი მოღვაწეობით (თუ ორიგინალური პოეზიით) თავისი თვალსაზრისის საუკეთესო დადასტურებას იძლეოდა. ეს პოზიცია მშვენიერად ჩანს მის ერთ პირად წერილშიც, რომელიც გ. მარკველაშვილის რედაქციით Вопросы литературы-ს 1966 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა: «ახლანას გამოვიდა გოეთეს უზარმაზარი ერთობიეული, რომლის მეათედს შეადგენს ფაუსტის პირველი ნაწილის ჩემიული თარგმანი. მე ვიცი, ეს ცუდი ნამუშევარი არაა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ასეთია თითქმის დანარჩენ მონაწილეთა ყველა თარგმანი. და განა მათ ჩემნაირი სახელი აქვთ? ფფურცლავ ტომს და ძალიან იშვიათად ვაწყვდები რადეც მოუხეშავს, რაიმე არქაულ, უსუსურ სლავიზმს. შვებით ამოვიხუნთქავ» (ხაზი ჩეენია, ა. თ.).

სხვათაშორის, პასტერნაკის მთარგმნელობითი პრინციპი გ. გაჩეილაძის მიერ მონათლულია «მოდერნისტულად». გარდა შემოქმედებითი პრაქტიკისა, მკვლევარი მიუთითებს მის წერილზე «მთარგმნელის შენიშვნები», სადაც მოცემულია ამ პრინციპის თეორიული დასაბუთება: «ტექსტის შესაბამისობა მეტად სუსტი კავშირია, რომ თარგმანი იყოს მიზანშეწონილი. ასეთი მთარგმნელები არ ამართლებენ დაბირებას, მათი ფერმკრთალი გადმონათხრობი არ იძლევა წარმოდგენას იმ საგნის მთავარ მხარეზე, რომელიც მას უნდა გამოეხატა — მის ძლიერებაზე... თარგმანი უნდა გამოვიდეს ავტორისაგან, რომელმაც განიცადა დედნის შემოქმედება დიდი ხნით აღრე თავის შრომამდე, იგი უნდა იყოს დედნის ნაყოფი და მისი ისტორიული შედეგი»...

შემდეგ გაჩეილაძე საილუსტრაციოდ ასახელებს პასტერნაკის მიერ შესრულებულ შექსპირის, გოეთეს და ქართულ ლირიკოსთა თარგმანებს, ბარათაშვილის ლექსებს მიიჩნევს იმპრეზიონისტული მიზაქვის ნიმუშად, რეალისტური

მეთოდის თვალსაზრისით მათ მიუღებლად თვლის.

ბოლო პუნქტი საგულისხმოა: პასტერნაკის პრინციპი იმპრეზიონისტულად არის გაგებული რეალისტურ მეთოდთან შებარისპირებისას. კი მაგრამ, თვით ეს უკანასკნელი ტერმინი სრულფასოვანია? განა რეალისტური მწიგნებება არ ქმნის უხერხულობას ამ საუკეთესო მეთოდის (როგორც ეს გაჩეილაძეს მიაჩნია) აღქმისას? თვით რეალისტური ჩვენს ცნობიერებაში გარკვეული შეზღუდვით ნახშირ ცნებას უკავშირდება. ეს კი მეთოდს უკარგავს ყოვლისმომცველის, უნივერსალურის პრეტენზიას, აქვეითებს მის შესაძლებლობებს. ჩვენ ამ შემთხვევაში საეხებით თვითნებებით რ. თვარაძის მიერ წარმოდგენილ ფეოტიულ პრინციპებს (და არა მათ ავტორისეულ პრაქტიკულ-შემოქმედებით განხორციელებას ენობრივ პლანში). «თარგმანის ერთადერთი დანიშნულებაა, — წერს იგი, — ისეთივე (ან, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად მიახლოებული) იდეურ-ემოციური ზეგავლენა მოახდინოს, როგორსაც ორიგინალი ახდენს თავის მკითხველებზე». მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულების გარკვევისათვის თვარაძე განიხილებს ვეჯავაშვილას ლექსს «სამეფო სიმღერას» და მის ზაზოლოცისეულ თარგმანს. შესადაარებლად მოვიყვანთ მხოლოდ პირველ სტროფებს:

ქალო განხე ფეზშიშველა  
გამაპკოადი ეზოშია,  
გენაეკლე — კაკას ჰკავდი  
მოსეირნეს ფერდობშია».

„Увидел я тебя босоногую  
Пробежавшую через двор,  
Куропаткою недотрогую  
Ты порхала по выступам гор“.

რ. თვარაძის აზრით (და ეს კარგად ჩანს ლექსიდანაც), თარგმანში ნაწილობრივ შეიცვალა ვეჯას ლექსის სტრუქტურა, მთლიანად გადასხვაფერდა ლექსის მუსიკა, რიტმი და მეტრი, ინტონაცია, რომთგანს ნიშანდობლივი თვისებები; შეიქმნა ახალი სახეები და შედარებები; ორიგინალის სიტყვების მხოლოდ მეთოდის გადღვივდა უცვლელად და ა. შ.

ეს მთარგმნელის ახარებულობის ან უმწუბობის უცვლად არ არის. შინაარსის მაქსიმალური სიზუსტით გადადების დროს მთარგმნელს ევალება თარგმანის ფორმამი რადეც დოზით შეიტანოს ისეთი ელემენტები, რომლებიც თარგმანის მკითხველს მშობლიურობის ილუზიას აღუქრავენ.

ამრიგად, რ. თვარაძისათვის თარგმანი წარმოადგენს ახალ მთლიანობას, ახალ რეალობას და არა ორიგინალის უცვლად ასლს. მათი სიახლოვე დამოკიდებულია არა გარეგნულ მსგავსებაზე, არამედ შემოქმედების ძალის სიახლო-

**ვეზე.** ამ თვალსაზრისს წერილის ავტორი ბოლოს იმით ამართლებს, რომ „თარგმანის პროცესში იცვლება ფორმა და არა ის მიმართება, რომელიც არსებობს ორიგინალის შინაარსსა და ფორმას შორის“.

ვეფქრობთ, ამ სწორი მეთოდოლოგიური პრინციპით თუ მივუღებთ პასტერნაკისეულ თარგმანებს, მაშინ შეიძლება მისთვის იმპრესიონისტ—მოდერნისტ—ფორმალისტის საშიში იარაღი მოგვეხსნა და იგი ადეკვატური თარგმანის ბრწყინვალე წარმომადგენლად გამოგვეცხადებინა. პასტერნაკი „ბუკვალურად“ არ იმეორებს დედნის რიტმსა და პოეტურ ინტონაციას, არამედ შეისისხლბორცებს, გადაამუშავებს მას რუსული ლექსის ყაიდაზე და დედნის კონვენციური სახით მოგაწეწის. ამ თავისებურად „გარდათქმის“ ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს თარგმანის მაქსიმალურად განტვირთვა დედნის არქაული არსენალისაგან (ამას თავისი მიზეზები აქვს: ვარდა პასტერნაკის სუბიექტური მიდრეკილებისა, თვით რუსი მკითხველისთვისაც უცხოა დღეს არქაულად გაწყობილი პროზა თუ პოეზია). სანამუშოდ მოვიყვანთ ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“ და მის პასტერნაკისეულ თარგმანს:

„ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცდომილი,  
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ დღეღვლი!  
ნუთუ მამისა არაა ჰქონდეს გულსტყვიელი,  
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?  
პოი, სახიბრო, რად წარვყვეთ მე სასოებას:  
პირველ უმანკომ თვით აღამამე ჰსცოდა შენს  
მცნებას,

უმსხვერპლა წაიღოს სამოთხისა  
შევენიერება, —  
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება.  
ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან  
შენთა,  
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთაი  
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მოცე მას სადგური მყუდროებისა!  
გულთა-მბილაგო, ცხად არს შენდა გულისა  
სიღრმე!  
შენ უწინარეს ჩემსა უწყვი, რაც ვიზრახო მე—  
და — ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა  
სათქმელად?  
მამა ღუმელიც მიმიტვალენ შენდამი  
ლოცვად!

„Отец небесный, снизойди ко мне,  
Утхомирь мой земные страсти,  
Нельзя отцу родному без участия  
Смотреть на гибель сына в западне.  
Не дай отчяться и обнадежь;  
Адам наказан был огнем играя,  
Но все-таки вкусил блаженство райа,  
Дай верить мне, что помощь мне пошлешь.  
Ключ жизни, утоли мою печаль  
Водою из твоих святых истоков.  
Спаси мой челн от бурь мирских пороков

**И в пристань тихую его причаль.**  
**О, сердцевед, ты видишь все пути**  
**И знаешь все, что я скажу заране,**  
**Мои нечаянные умолчания**  
**В молитву мне по благости зачти“.**

როგორც ვხედავთ, პასტერნაკმა ადეკვატურად გადაიტანა ბარათაშვილის ლექსის „სუნთქვა“, მისი აზრობრივ-ემოციური ელფერი, უხეშად არ დაურღვევია მის მხატვრულ სახეთა სისტემა (თუმცა კი ზოგი რამ შეცვალა) და ამავე დროს ბარათაშვილის არქაულ ლექსთან შეპირისპირებით მოგვცა სავსებით თანამედროვე ლექსიკონა და გრამატიკული ფორმებით შექმნილი თარგმანი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვათა ძველი ვანლაგების ორიოდ შემთხვევას). ერთადერთი ლექსიკური არქაიზმი, რისი ხმარების უფლებაც მან თავს მისცა, ესაა **ЧЕЛН** (ნავი, ნაუწყა), ისიც, ალბათ, ლექსის საზომის საკუთრებით.

შეიძლება თქვან: პასტერნაკმა არ იცოდა ქართული, თარგმანი ბწყარედისაგან შესარულა და, ამდენად, ვერ დაიცვა დედნის არქაული კოლორიტი. ეს არ არის მართალი. პასტერნაკი მშვენიერად ერკვეოდა, რა ენობრივი ორიენტაციის მწერალთან ჰქონდა საქმე; ქართლის უცოდნელობას იგი ქართველი მეგობარი პოეტებისაგან მიღებული ინფორმაციით იცნებდა. მაგრამ მთავარია პრინციპი, მთარგმნელის დამოუკიდებლესა შემოქმედებითი პროცესისადმი, რომელიც მან საუცხოოდ ჩამოაყალიბა სიმონ ჩიქოვანისადმი მოწერილ ბარათში: „... ზოგიერთი გამარტივება, ალბათ, შეგნებულად გამოვივიდა, და სხვაანაირად არც შემეძლო, როგორც ეს ახლა ყველას მიმართ შემჩნევა თარგმანსა, გაერთიმოვანების სიცხადისა და მოძრაობის სიმსუბუქის მიზნით, რაზედაც ზრუნვა ამჟამად ჩემში აპარბებს თვალწარმტაცობის, ემოციურობისა და სხვა დანარჩენი წვრილმანების აწონდაწონას“.

მაშ, გამარტივება და არა გართულება! — აი პასტერნაკის მთარგმნელობითი კრედი.

ამრიგად, ჩვენი ბოზიკია ნათელია: არქაიზაციის ისე მძაფრად გამოვლენა, როგორც შენით დასახელებულ ნიჭიერ მთარგმნელებთან გვექვს, ვერ მიიჩნევა პროგრესულ მოვლენად. ისინი მეტად იხედებიან უკან და არა წინ, საითაც უნდა გვიბიძგებდეს ენის შესაგანი განვიტარების ტენდენცია. ამასთან, ეს ხაზგასმული სტილიზება ერთგვარი ბოზისა და მანერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცხადია, მთ მიბრუნებას წარსულისაკენ ვერ გავამართლებთ ნიპილიზმით თანამედროვე ენის შესაქმნელობების მიმართ. ვეფქრობთ, დღევანდელი ქართული ენა თავისი პოტენციით არ ქმნის ასეთ უმიმელო სურათს. განმარტებითი ლექსიკონის, ქართული

**არლი თაყაიზილი**  
ენა ძველი, ენა ახალი



ვეზე. ამ თვალსაზრისს წერილის ავტორი ბოლოს იმით ამართლებს, რომ „თარგმანის პროცესში იცვლება ფორმა და არა ის მიმართება, რომელიც არსებობს ორიგინალის შინაარსსა და ფორმას შორის“.

И в пристань тихую его причаль.  
 О, сердцевед, ты видишь все пути  
 И знаешь все, что я скажу заране,  
 Мои нечаянные умолчания  
 В молитву мне по благости зачти“.

ვფიქრობთ, ამ სწორი მეთოდოლოგიური პრინციპით თუ მივუდგებით პასტერნაკისეულ თარგმანებს, მაშინ შეიძლება მისთვის იმპრესიონისტ—მოდერნისტ—ფორმალისტის საშიში იარაღი მოგვეხსნა და იგი ადექვატური თარგმანის ბრწყინვალე წარმომადგენლად გამოგვეცხადებინა. პასტერნაკი „ბუჟვალურად“ არ იმეორებს დედნის რიტმსა და პოეტურ ინტონაციას, არამედ შეისისხლბორცებს, გადააშუშავებს მას რუსული ლექსის ყაიდაზე და დედნის კონვენიალური სახით მოგვარდნის. ამ თავისებურად „გარდათქმის“ ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს თარგმანის მაქსიმალურად განტვირთვა დედნის არქაული არსენალისაგან (ამას თავისი მიზეზები აქვს: გარდა პასტერნაკის სუბიექტური მიდრეკილებისა, თვით რუსი მკითხველისთვისაც უცხოა დღეს არქაულად გაწყობილი პროზა თუ პოეზია). სანამთუ მოვიყვანთ ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“ და მის პასტერნაკისეულ თარგმანს:

„ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცდომილი,  
 და განსაცვენე ვენებათაგან ბოროტ დღევილი!  
 ნუთუ მამასა არაა ჰქონდეს გულისტკივილი,  
 ოდეს იხილოს განსადელში შემცოდე შვილი?  
 პოი, სახიროო, რად წარვიკეთ მე სასოებას:  
 პირველ უმანკომ თვით აღამამე ჰსცოდა შენს  
 მცენებას,

უმსხვერპლა წაიღოს სამოთხისა  
 მშვენიერება, —  
 გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება.  
 ცხოვრების წყაროვ, მახვ წმიდათა წყალთაგან  
 შენთა,  
 დამინთქე მათში ხალმობანი გულისა სენთა!  
 არა დაპჭროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვენებისა,  
 არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!  
 გულთა-მხილაო, ცხად არს შენდა გულისა  
 სიღრმე!  
 შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე—  
 და — ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა  
 სათქმელად?  
 მამა დღემილიც მიმიოთაღენ შენდამი  
 ლოცვად!

„Отец небесный, снизойди ко мне,  
 Утихомирь мои земные страсти,  
 Нельзя отцу родному без участия  
 Смотреть на гибель сына в западне.  
 Не дай отчаяться и обнадееж;  
 Адам наказан был огнем игрия,  
 Но все-таки вкусил блаженство рая,  
 Дай верить мне, что помощь мне пошлешь.  
 Ключ жизни, утоли мою печаль  
 Водюю из твоих святых истоков.  
 Спаси мой челн от бурь мирских пороков

როგორც ვხედავთ, პასტერნაკმა ადეკვატურად გადაიტანა ბარათაშვილის ლექსის „სუნთქვა“, მისი აზრობრივ-ემოციური ელფერი, უხეშად არ დაურღვევია მის მხატვრულ სახეთა სისტემა (თუმცა კი ზოგი რამ შეცვალა) და ამავე დროს ბარათაშვილის არქაულ ლექსთან შეპირისპირებით მოგვცა სავსებით თანამედროვე ლექსიკონი და გრამატიკული ფორმებით შექმნილი თარგმანი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვათა ძველი განლაგების ორიოდ შემხებევას). ერთადერთი ლექსიკური არქაიზმი, რისი ხმარების უფლებაც მან თავს მისცა, ესაა чели (ნავი, ნაუჯა), ისიც, ალბათ, ლექსის საზომის საჭიროებთ.

შეიძლება თქვან: პასტერნაკმა არ იცოდა ქართული, თარგმანი ბუკარდოდან შესარულა და, ამდენად, ვერ დაიცვა დედნის არქაული კოლორიტიო. ეს არ არის მართალი. პასტერნაკი მშვენივრად ერკვეოდა, რა ენობრივი ორიენტაციის მწერალთან ჰქონდა საქმე; ქართულის უცოდნელობას იგი ქართული მეგობარი პოეტებისაგან მიღებული ინფორმაციით იცნებდა. მაგრამ მთავარია პრინციპი, მთარგმნელის დამოკიდებულება შემოქმედებითი პროცესისადმი, რომელიც მან საუცხოოდ ჩამოაყალიბა სიმონ ჩიქოვანისადმი მოწერილ ბარათში: „... ზოგიერთი გამარტივება, ალბათ, შევანებულად გამომივიდა, და სხვანაირად არც შემეძლო, როგორც ეს ახლა ყველას მიმართ შემჩნევა თარგმანში, გაერთმობიანების სიცხადისა და მოძრაობის სიმსუბუქის მიზნით, რაზედაც ზრუნვა ამჟამად ჩემში აპირებებს თვალწარმტაცობის, ემოციურობისა და სხვა დანარჩენი წვრილმანების აწონდაწონას“.

მაშ, გამარტივება და არა გართულება — აი პასტერნაკის მთარგმნელობითი კრედიო. ამრიგად, ჩვენი პოზიცია ნათელია: არქაიზაციის ისე მამდრად გამოვლენა, როგორც ზემოთ დასახელებულ ნიჭიერ მთარგმნელებთან გვაქვს, ვერ მიიჩნევა პროგრესულ მოვლენად. ისინი მერტდ იხედებიან უკან და არა წინ, საითაც უნდა გვიბიძგებდეს ენის შინაგანი განვითარების ტენდენცია. ამასთან, ეს ხაზგასმული სტილიზება ერთგვარი პოზისა და მანერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცხადია, მათ მიბრუნებას წარსულისაკენ ვერ გავამართლებთ ნიპილიზმით თანამედროვე ენის შესაძლებლობების მიმართ. ვფიქრობთ, დღევანდელი ქართული ენა თავისი პოტენციით არ ქმნის ასეთ უიმედო სურათს. განმარტებითი ლექსიკონის, ქართული

არლი თაყაიზვილი  
 ენა ძველი, ენა ახალი

ენის ამ ამოურწყავი საუნჯის, წინასიტყვაობაში აღნიშნულია:

„ახალი ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია და სადა, ხალხურია და დახვეწილი. ამ სადა, დახვეწილ ქართულს შეუძლია არა მხოლოდ მხატვრული სახეები გამოკვეთოს, მას შესწევს ძალა საჭირო სიზუსტითა და სიღრმით გადმოსცეს მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ურთულესი მოძრაობა და ფაქიზი ნიუანსები“.

დიახ, ახალი სალიტერატურო ქართული მომავალს გაბედულად უსწორებს თვალს. სწორედ ამ ენით (არქაიზაციის მოშველიების გარეშე) დიდებულად ამეტყველეს ქართულად: **გ. ქიქოძემ** — ბალხაი, დოდე, სტენადილი... **ვ. კელიძემ** — შექსპირი, ჰემინგუეი, სელინჯერი... **აკ. ურუშაძემ** — პლუტარქე...

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ საერთოდ წინაღმდეგი ვიყოთ **არქაიზმებისა**. დიალექტიზმებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარიზმებთან ერთად მას ეუყურობთ როგორც ენის გაძლიერების ერთ-ერთ დაუშრობელ წყაროს. ოღონდ ვთხოულობთ მის მიმართ თავშეკავებულ დამოკიდებულებას, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოყენებას. ამ კონტექსტში კვლავ გაიხსენებთ ფლობერის „სალამბოს“ დიდი ზომიერების გრძნობითა და ტაქტით შესრულებულ ქართულ თარგმანს. მიგვაჩნია, რომ ეს არის ნიმუში, თუ რა დოზით უნდა შემოიღოდე ძველი ქართულის ელემენტები თანამედროვე ენაში, მით უმეტეს, რომ ნაწარმოები უმეღესი კართაგენის სისხლისმღვრელ ომებს ეხება! მართალია, თვით ფლობერიც არ იძლევა დიდი არქაიზაციის საბაზს (თუმცა, როგორც დავინახეთ, ბევრი მთარგმნელი ამას არ დაგიდევს!). მას ნოვატორად თვლიდნენ სტილის საკითხში. როგორც ერთ-ერთი მთარგმნელი მ. გვიგინიშვილი წინასიტყვაობაში წერს, „ერთგვარი სტილიზებული ბუნდოვანების მიუხედავად „სალამბო“ საოცარი სიუხადით გამოირჩევა“. ამიტომ იყო შესაძლებელი ეთქვა ჟორჟ სანდს, რომ „სალამბოში“ აუტან-

ლად რეალური არიან საგნები“. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ოროდღე პასაჟს:

„ჰაერში მოზუზუნებდა ტყვიის ბირთვები და თიხის გუნდები, მეთაურთა ძახილს, ბუკის ცემასა და ქნარის გულის მომწყველად ხმებს ფარავდა, თავის ქალას უპობდა და ტვიზს ანთხევინებდა **მებრძოლთ**. **დაკრილი** ცალი ხელით ფარს იშველიებდნენ, მეორით დაბლა დამკვებული ხმლები ეჭირათ. ზოგი სისხლის გუბეში ეგდო და თავს აბრუნებდა, რათა ქუსლები დაეკბინა **მტარვალთათვის**“ (გვ. 177).

ან კიდევ: „კართაგენი სიხარულს აეტანა, საერთო სიხარულს, **უსაზღვროსა** და **დაუოკებელს**. **ნანგრევთა** ნაპარალები ამოქოლეს, საღებავებით ისევ შეთითხნეს კერპები, ქუჩები ტვიზს რტოებით მოფინეს და **მებოძირებზე** კვლავ ააბოლქვეს **საკმეველი**. ტურასები ჭრელად დამოსილ ბრბოს მოეჩითა და გაფურჩქვინილ ყვავილთა კონას ჰგავდა“ (გვ. 328).

როგორც ამ მცირე მონაკვეთებიდან ჩანს, თარგმანის ენა მეტისმეტად თანამედროვეა, მაგრამ მას ახლავს ძველებური სიღარბაისლვე. არქაულობა სანიშნუშო ზომიერებითაა წარმოდგენილი: **ნართანინი** მრავლობითით, სიტყვათა ინვერსიული რიგით, ორიოდვე ლექსიკური ერთეულით. მოკლედ, ძველი ელემენტებიდან ის იჩენს თავს, რაც სალიტერატურო ენისთვისაც უცხო არაა. მთარგმნელები ათასში ერთხელ თუ იხმარენ სიტყვას ძველი ფორმით ან ძველი მნიშვნელობით, ისიც ისტორიული რეალის გასაცოცხლებლად.

აი საკითხთა ის წყება, რომელიც გვაძლევებდა ჩვენ და რომელზედაც შეძლებისამებრ გავცევით პასუხს.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე არქაიზმების ბრობლემა ქართულ ისტორიულ რომანებსა და საერთოდ ორიგინალურ ძეგლებში, მაგრამ იგი ცალკე საუბრის თემად გამოვყავით.

ახლა კი თხრობა გვესურს დავასრულოთ ილიას მოკრძალებული სიტყვებით: „...იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შეესციოდეთ ჩვენს საყვარელ ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა“.



## ღალი კოკია-შანშიძე

# მონოგრაფია თომას მანის აღრეულ შემოქმედებაზე

თომას მანზე დაწერილი გამოკვლევები მთად აღზავდებო, წერს თ. მანის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ვალტერ ვაისი, და მართლაც, არცერთ თანამედროვე მწერალზე არ შექმნილა ჯერ კიდევ სიცოცხლეში იმდენი მონოგრაფია თუ სტატია, რამდენიც თომას მანზე.

38 წლისა იყო თომას მანი, როცა მასზე პირველი მონოგრაფია დაიწერა. ეს იყო ვილჰელმ ალბერტის წიგნი „თომას მანი და მისი შემოქმედება“. მას შემდეგ არ შენელებულა ინტერესი ამ უდიდესი გერმანელი მწერლის შემოქმედებისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა გერმანიისტიკა ვერ დაიკვივნის თომას მანზე შექმნილი გამოკვლევების სიმრავლით. დღემდე ჩვენში თომას მანზე შექმნილია ერთადერთი მონოგრაფია: ვ. ადმონისა და ტ. სილმანის „Томас Манн, Очерк творчества“. ამ მონოგრაფიის გარდა, თ. მანის შემოქმედების კვლევა საბჭოთა გერმანიისტიკაში რამდენიმე ათეული სტატიითა და თ. მანის ნაწარმოებებზე წამოძვარებული წერილებით ამოიწურება. მართო ეს ფაქტი კმარა, რომ დღიად საყურადღებო მოვლენად მივიჩნიოთ თომას მანზე ცნობილი ქართველი გერმანიისტის ნოდარ კაკაბაძის მონოგრაფიის გამოცემა. I წიგნი წარმოადგენს თ. მანზე ჩაფიქრებული დიდი მონოგრაფიის პირველ ნაწილს. აქ განხილულია თომას მანის შემოქმედების პირველი პერიოდი, კერძოდ, 1893-1900 წლებში შექმნილი ნაწარმოებები, მაგრამ პარალელურად, რათა სწორად იქნას გაგებული და შეფასებული თ. მანის შემოქმედებითი ევოლუციის დასაწყისი, განთავალისწინებულია მწერლის მთელი შემოქმედება და მისი, როგორც მწერლისა და მოაზროვნის კავშირი და მიმართება გერ-

მანულ ეპიკურ და ფილოსოფიურ ტრადიციებთან.

თ. მანის შემოქმედების ის პერიოდი, რომელსაც ნ. კაკაბაძის ნაშრომი ეძღვნება, ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი თვით ევროპელ მკვლევართა მიერაც. განსაკუთრებით ზუსტია ეს აზრი თ. მანის ლირიკის მიმართ. ევროპელ მკვლევართა ნაშრომებზე თვალის ერთი გადავლევითაც კი ცხადი ხდება ერთი გარემოება: ნაშრომა უმეტესობა მიძღვნილია „ბულენბროკებისა“ და მისი შემდგომი პერიოდისადმი. მკვლევარები ან სახეებით უვლიან გვერდს თ. მანის აღრეულ შემოქმედებას, ან მხოლოდ გაცვირით იხსენიებენ „ბულენბროკებამდე“ პერიოდს. ეს პერიოდი კი (1893-1900), როგორც ცნობილია, მოიცავს თ. მანის ლირიკასა (7 ლექსი) და თერთმეტ მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებს.

როგორც აღენიშნე, განსაკუთრებით უუპრადღებობას იჩენენ თ. მანის მკვლევარები მისი ლირიკისადმი. მაგ. მხოლოდ იხსენიებს თ. მანის ლირიკას მწერლის მთელი შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ებერჰარდ ჰილშერის: თ. მანი სიკვამლეში ჰაინესბურ ლექსებს თხზავდაო (Eberhard, Hilscher, Thomas Mann. Leben und Werk, გვ. 6).

ეს აზრი თავისთავად დაზუსტებას მოითხოვს. ნ. კაკაბაძის დამაჯერებელი კვლევის საფუძველზე აშკარა ხდება თ. მანის ლირიკის სიახლოვე თეოდორ შტორმის ლირიკასთან. ნ. კაკაბაძე აღიარებს თ. მანის ლირიკაზე ჰაინეს გავლენას, მაგრამ ეს გავლენა მხოლოდ ჰაინეთი არ იფარგლება. ნ. კაკაბაძეს თ. მანის ლექსების გვერდით მოაქვს შტორმის ლირიკის ნიმუშები და ძირფესვიანი შეპირისპირების საფუძველზე ცხადყოფს თ. მანის ლირიკაზე თეოდორ შტორმის უტყუარ გავლენას.

დასკვნის სახით ნ. კაკაბაძე წერს: „საერ-

1. ნოდარ კაკაბაძე, თომას მანი, I. აღრეული შემოქმედება (1893-1900), თბ. უნივერსიტეტის გამბა, თბ, 1967.

თოდ თ. მანის აღრეულ შემოქმედებაში დასტურდება თეოდორ შტორმის — ნოველისტისა და ლორიკოსის კვალი“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 153).

თ. მანის სხვა მკვლევარი ფერდინანდ ლიონი (Ferdinand Lion, Thomas Mann, Leben und Werk) მხოლოდ აღნიშნავს, თ. მანი აღრეულ შემოქმედებაში შტორმის გავლენას ვანიცდღადო, მაგრამ საკუროდ არ თვლის ამ პერიოდზე შეჩერებას და თომას მანის შემოქმედების განხილვას პირდაპირ „ბუღენბროკებთან“ იწყებს. არც ჰანს აიპნერის წიგნშია ნახსენები თ. მანის ლირიკა, ასევე არ ამხვილებს აიპნერი ყურადღებას „ბუღენბროკებამდე“ შემოქმედებაზე.1 იგივე შეიძლება ითქვას არნოლდ ბაუერის წიგნზე<sup>2</sup> და სხვ.

საკმაოდ ვრცელაა აქვს განხილული თ. მანის აღრეული შემოქმედება ინგე დირზენს თავის მონოგრაფიაში: „Untersuchungen zu Thomas Mann“, მაგრამ ლირიკას ეს მკვლევარიც ზერეულდ მიმოიხილავს, აღნიშნავს ამ ლირიკის არსებობას, როგორც მხოლოდ ბიოგრაფიულ ფაქტს.

ვერობელ მკვლევართა ნაშრომებზე დავიკრება ცხადყოფს, რომ მკვლევართა უმრავლესობის ყურადღება კონცენტრირებულია თ. მანის იმ ნაწარმოებებზე, სადაც აშკარად არის გამოსახული თ. მანის შემოქმედების მთავარი ანტითეზა: წინააღმდეგობა ცხოვრებასა და გუნს, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის. ეს ტენდენცია არაფრით არ არის გამართლებული. ნოდარ კაკაბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თომას მანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უკვე კლასიკოსად ქცეულ მწერალთან, ამიტომ საინტერესოა და შესწავლის ღირსია მისი შემოქმედებითი ევოლუციის ყოველი საფეხური“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 6).

საერთოდ, მწერლის შემოქმედების პერიოდიზაცია პირობითია და არა ზუსტი. აქ შეიძლება მოვიგონოთ ჰერმან ჰესე. ჰესე ერთი მხატვრის პირით დასციინის ხელოვნებათმცოდნეებს, რომელნიც ცდილობენ ხელოვანის შემოქმედებას სამ მკვეთრად გამოჩენულ პერიოდად დაპყონ. მართალია, რასაც ხელოვანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ჰქმნის, ის ერთ ორგანულ მთელს წარმოადგენს, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ მწერლის შემოქმედების უკეთ შესწავლის მიზნით პერიოდიზაციის გამოყენება მართებული და დასაშვებია ხერხია. ამასთან უნდა ითქვას, რომ პერიოდიზაცია არავითარ შემთხვევაში არ გამოირიცხავს რომელიმე გარკვეული პერიოდის მთელი შემოქმედების გაქვიდან სრულ გამოცალკევებას. მწერლის შემოქმედების არც ერთი პერიოდის

შესწავლა არ შეიძლება მთელი მისი შემოქმედების გაუთვალისწინებლად.

ამ პრინციპით უღებება ბევრი ევროპელი მკვლევარი თ. მანის შემოქმედების კვლევას. მაგ. იონას ლესერი თ. მანის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში „Thomas Mann in der Epoche seiner Vollendung“ ხაზგასმით აცხადებს, რომ თ. მანის აღრეული შემოქმედების განხილვის გარეშე მის არც ერთ გვიანდელ ნაწარმოებზე სრულფასოვანი მხედლობა არ შეიძლება. ამავე აზრს ადგანან ინგე დირზენი, რონალდ პიკოე, ვალტერ ვაისი და ბევრი სხვა. ვალტერ ვაისი თავის ნაშრომში „Th. Manns Kunst der sprachlichen und thematischen Integration“ იკვლევს თ. მანის სტილს და მტკიცედ ასკვნის, ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, რა მჭიდროდ არის ფესვგადგმული აღრეულ შემოქმედებაში თომას მანის გვიანდელი შემოქმედებაო (გვ. 194).

სავსებით ლოგიკური იქნება ამ თეზისის შებრუნებული ვარიანტი, რომ არც აღრეული შემოქმედების კვლევა შეიძლება თ. მანის მთელი შემოქმედების გაუთვალისწინებლად.

ნ. კაკაბაძე სწორედ ამ პოზიციიდან მიუდგა თავის კონკრეტულ საკვლევ სფეროს. წიგნის პირველ ნაწილში იგი მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად იხილავს თომას მანის მთელ შემოქმედებას, განსაზღვრავს თ. მანის ადგილს გერმანულ და მსოფლიო ლიტერატურაში.

რაც შეეხება ნ. კაკაბაძის მიერ გამოყოფილ პერიოდს, 1893 წლიდან 1901 წლამდე (ე. ი. „ბუღენბროკების გამოქვეყნებამდე“) განვლილი პერიოდი თ. მანის შემოქმედებიდან შედარებით მკვეთრად გამოიყოფა, როგორც თემატიკის, ასევე მხატვრულობის თვალსაზრისითაც. ვარდა ამისა, „უკვე ამ წლებშივე თანდათანობით მზადდება პესიმიზმის, რომანტიკული სიკვდილის კულტის, ესთეტიზმისა და ნიცშეს „ხეობვების“ ფილოსოფიის დაძლევა“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 8).

ეს არის თითქმის მოსამზადებელი პერიოდი „ბუღენბროკებისათვის“. „ბუღენბროკებით“ იწყება ერთგვარი გარდატეხა თ. მანის შემოქმედებაში. ამ რომანის გამოქვეყნებამდე მწერალს ჯერ კიდევ სტანჯავდა საკუთარი შემოქმედებისადმი ურწმუნობის გრძობა. 1901 წელს, რომანის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით აღრე, თ. მანი თავის ძმას ჰაინრიხ მანს სწერდა: ხანდახან ასე გგონია, ჩემგან ბანკის მოხელე გამოვიდღადო, თუმცა დაახლოებით ამავე პერიოდში შექმნილ ტერცინებში უიმედობის გვერდით აშკარად გამოსჭვივის საკუთარი მომავლისადმი რწმენა.

სხენული ტერცინები ნ. კაკაბაძეს მხოლოდ შინაარსის მიხედვით მიაჩნია საყურადღებო. ეს და ლორიკის სხვა ნიმუშებიც, რა თქმა უნდა, მხატვრული ღონით ვერ უსწორდება თ. მა-

<sup>1</sup> Hans Eichner, Thomas Mann, Eine Einführung in sein Werk.

<sup>2</sup> Arnold Bauer, Thomas Mann.

ნის ვერცერთ პროზაულ ნაწარმოებს. ნ. კაკაბაძის მონოგრაფიაში დაწვრილებით არის განხილული თომას მანის შევიდევ ლექსი. აქ საინტერესოა მკვლევარის პოზიცია. თომას მანის ლირიკა მას ორმხრივ ანტერესებს: ერთი მხრივ, როგორც ლიტერატურული ფაქტი, მეორე მხრივ, კი ამ ლირიკის ანარქელის ძიება თომას მანის შემდგომ შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი ადრეულ პროზაულ ნაწარმოებებში. დაკვირებული კვლევის საფუძველზე ნ. კაკაბაძეს გამოაქვს მართებული დასკვნები: „თ. მანის ლირიკის თემატურ-პრობლემატური კავშირი მისსავე პროზასთან არ დასტურდება... მხოლოდ თ. მანის ტერცინებში ასახულ ხელოვანის სულიერ კონფლიქტსა და ადრეული ნაწარმოებების გვირის ფუჭ არტიტულ ილუზიებს შორის აშკარაა გარკვეული კავშირი და ნათქაობა... ლირიკული ლექსების პარალელურად და ჩაირე ხნის შემდეგ შექმნილ პროზაულ ნაწარმოებებს აქვთ ლირიკული, ელემენტარ-ემოციური, გრძნობითი შეფერილობა და განწყობილებითი ტონი“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 165).

ნ. კაკაბაძის აზრით, ეს შეეხება შემდეგ ნაწარმოებს: „ეზიზიონი“, „დაცემული ქალი“ („სწენდაცემული ქალი“ ხომ არ აჯობებდა? დ. კ.) „სიკვილი“, „გაცრუებული იმედები“. კარბი ლირიკულობით ხასიათდება ქრონოლოგიურად ოდნავ დაცილებული „ტონიო კროგერიცა“.

მწერლის შემოქმედებითი ევოლუციის თვალსაჩინოდ გადმოცემისათვის მნიშვნელოვანია თუნდაც ის გარემოება, როგორ უკალოდ ქრება შემდგომ ის ლირიკული ინტონაცია, რაც ასე თუ ისე დამახასიათებელი იყო თომას მანის ადრეული შემოქმედებისათვის.

აღნიშნულ პერიოდში შექმნილ პროზაულ ნაწარმოებთა კვლევისას ნ. კაკაბაძე მართებულად მიდის იმ დასკვნამდე, რომ თ. მანის ადრეულ ნაწარმოებებში თუმცა ჯერ კიდევ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული არ არის მანის შემოქმედების მთავარი ანტითეზა — წინააღმდეგობა ცხოვრებასა და გონს შორის, მაგრამ ამ ანტითეზის გაჩენის ფესვები სწორედ ადრეულ პერიოდში უნდა ვეძიოთ. სწორედ აქედან უნდა გაავადენოთ თვალი, როგორ თანდათან რთულდება და ივსება შინაარსით ადრეულ შემოქმედებაში შედარებით მარტივად, სქემატურად და სწორხაზოვნად წარმოსახული ანტითეზა. ასევე იჩენს თავს ამ პერიოდში თ. მანის შემოქმედების მრავალი თემა, მოტივი თუ მხატვრული ხერხი, რომლებიც უფრო სრულყოფილი და დახვეწილი სახით გვიანდელ პერიოდშიც გვევლინება.

მაგალითად შეიძლება მოგვეტანა თ. მანის განსაკუთრებული სიყვარული ზღვისადმი. ცნობილია, რომ თომას მანის ნაწარმოებები საოცრად ულანდშაფტოა. თითო თომას მანი

წერდა, ჩემი წიგნები თითქმის ულანდშაფტოა... გამოხალისს წარმოადგენს ზღვის ლანდშაფტი, მაგრამ როგორც მართებულად აღნიშნავს ნ. კაკაბაძე, ამ ლანდშაფტს მწერლისათვის იმდენად სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება და არა ემპირიული, რომ სხვადასხვა ნაწარმოებში თითქმის სიტყვისადასიყვიეთი მეორადება ზღვის აღწერილობა.

დაახლოებით ამავე აზრისაა გერმანელი მკვლევარი ვალტერ ვაისი. „ზღვა ლანდშაფტი არაა, ეს არის მარადისობის, არარაობისა და სიკვდილის განცდა, მეტაფიზიკური ოცნება“... (Weiss, გვ. 394).

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს თომას მანის მკვლევართათვის თ. მანის ე. წ. ლიტმოტივის ტექნიკა, მაგრამ ბევრი მკვლევარი რიდი ცდილობს ამ მხატვრული ხერხის ფესვებიც ადრეულ შემოქმედებაში ეძიოს. ამ საკითხში ნ. კაკაბაძე უახლოვდება თ. მანის ერთ-ერთ ცნობილ მკვლევარს ინგლისელ გერმანისტს რონალდ პიკოკს. პიკოკის აზრით, ადრეული შემოქმედების კვლევა თუნდაც იმიტომ არის ფრიად საინტერესო, რომ ადრეულ შემოქმედებაში ისახება თ. მანის ლიტმოტივის ტექნიკა. ის გარემოება, რომ ამ ლიტმოტივი უკვე ისეთ ფორმამაც გვევლინება, რომელიც გვიანდელ განვითარებისათვის გადამწყვეტი ხდება, ფრიად მნიშვნელოვანიაო, წერს პიკოკი.

როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, ნ. კაკაბაძეს მართებული პოზიცია უკავია თ. მანის ადრეული შემოქმედების კვლევაში. „იმი-სათვის, რათა დადგინდეს იქნეს პირველი პერიოდის კავშირი გვიანდელ შემოქმედებასთან, რათა არ დაირღვეს თომას მანის მთელი შემოქმედების „კონტექსტი“ და მართებულად შევაფასოთ მისი ლიტერატურული საწყისების მნიშვნელობა, საჭიროა სქემატურად მიანიც მთელი შემოქმედების, სრული შემოქმედებითი ევოლუციის გათვალისწინება. უამისოდ მწერლის შემოქმედების პირველი რგოლი ლოგიკურად ვერ ჩააჯდება“ მწერლის შემოქმედების მთელ „ჩაჯდება“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 6).

ამ პრინციპის მიხედვით წიგნის საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება თომას მანის, როგორც მხატვრისა და მოაზროვნის დახასიათებას, თომას მანის ადგილის განსაზღვრას გერმანულ პროზაში, ასევე საკმაოდ ვრცელია თომას მანის შემოქმედებისა და მსოფლმხედლობის ევოლუციისადმი მიძღვნილი თავი.

აქ ჩამოთვლილ თავებში გამოთქმული მო-

1 Ronald Peacock, Das Leitmotiv bei Thomas Mann.

**დალი კაკაბაძე-შანჭიშიძე**  
მონოგრაფია თომას მანის  
ადრეულ შემოქმედებაზე

საზრებანი დამატებით გაღრმავებული და დასაბუთებულია დიდი ცოდნითა და ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებით შედგენილ შენიშვნებში.

ნ. კაკაბაძის აზრით, თ. მანს, როგორც მხატვარს, შუალედური ადგილი უჭირავს: იგი ტრადიციული პროზის ნორმებსაც იცავს და ამავე დროს მისთვის უცხო არ არის საერთოდ თანამედროვე ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალიზმისა და აბსტრაქტულობის ძლიერი ტენდენციები, ანტიმათეტიკა, ანტისანტიმენტალიზმი და ანტიდრამატიზმი. თუმცა თვით თომას მანი წერდა, მე ჯოისთან ან პიკასოსთან შედარებით უსუსური ტრადიციონალისტი გახლავართო, ნ. კაკაბაძის აზრით, თომას მანი თავის სხვა რომანებთან შედარებით ყველაზე ტრადიციულ „ბუღენბროკეში“ კი არღვევს ე. წ. კლასიკური რომანის ჩარჩოებს, აქაც კი იჩენს თავს თ. მანის გვიანდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი შტრიხი, მაგ. ესეიზმის სიუჟეტი.

ნ. კაკაბაძე საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს თ. მანის შემოქმედებაში შინაგანი მონოლოგისა და ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტებზე და გამოაქვს დასკვნა, რომ თ. მანის ესეიზმის ვაიკეება „ცნობიერების ნაკადთან“ არ შეიძლება. თ. მანის ესეიზმი „უშთავერსად ავტორისეული მწყობრი, რაციონალური განსჯებისა და რეფლექსიებისაგან შედგება“ (გვ. 23). თუმცა ნ. კაკაბაძე არ უარყოფს „ცნობიერების ნაკადის“ თომას მანისეული სახესხვაობის არსებობას (მაგ. „ჯანდონსონი მთაში“ ზოგიერთი ადგილი, ან „ლოტე ვაიარში“ VII თავი).

ნ. კაკაბაძე ყურადღებას აქცევს თ. მანის პროზის კიდევ ერთ თავისებურებას, რაც მანს მოდერნისტულ პროზასთან აახლოებს. თომას მანმა კლასიკური ფორმის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს — ფაბულას ნაწილობრივ დაუკარგა ტრადიციული მნიშვნელობა. თვითონ თ. მანი წერდა: „ფაბულა თავისთავად მეტრამეტად უმნიშვნელო რამაა, მაგრამ უმისობაც შეუძლებელია, არა?“

თანამედროვე რომანისათვის დამახასიათებელია სათხრობი დროისა და მოთხრობილი დროის კლასიკურ რომანთან შედარებით განსხვავებული შეფარდება. თუ კლასიკურ რომანში მოთხრობილი დრო სჭარბობს სათხრობ დროს, თანამედროვე რომანში პირიქითაა: სათხრობი დრო გაცილებით სჭარბობს მოთხრობილ დროს. ნ. კაკაბაძის აზრით, თ. მანი ამ შემთხვევაშიც შუალედურ პოზიციაზე დგას.

ასევე აახლოებს თ. მანს თანამედროვე პროზასთან ლინდშაფტის თითქმის უგუნდბელყოფა. თომას მანის შემოქმედების ცენტრში თავიდანვე იღვკა ადამიანი, თავისი აზრებითა და გრძანობებით. ამასვე ადასტურებს მწერლის

განცხადებაც, ადამიანი იყო ოდითგანვე ინტერესის საგანიო.

საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ თ. მანის არცერთ რომანს არ უღვევს საფუძვლად ადამიანთა სოციალური ურთიერთობანი. ამ მხრივ შედარებით მეტ მასალას იძლევა რომანი „ბუღენბროკეში“, თუმცა აქაც საზოგადოების შედარებით ეწრო გავლენა ყურადღების ცენტრში მოქცეული. თვითონ მწერალი 1918 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიცისტურ თხზულებაში „აპოლიტიკურის შეხედულებანი“ „ბუღენბროკეისაც“ კი სოციალურობისაგან მთლად დაცილად სახავდა.

თ. მანის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს თვით მწერლის მოსაზრებებს თავის საკუთარ შემოქმედებაზე, მაგრამ არც ის გარემოება ჩანს საეჭვო, რომ ხშირად მწერალი საკუთარი შემოქმედების ყალბ ინტერპრეტორადაც კი გვევლინება. ეს აზრი განსაკუთრებით აშკარა ხდება თ. მანის ზემოხსენებულ პუბლიცისტური თხზულების განხილვისას. ნ. კაკაბაძე ითვალისწინებს ამ თხზულების შექმნის პირობებს — მწერლის დროებით სულიერი კრიზისს — და დიდი სიფრთხილითა და ფაქიზი ლიტერატურული აღღოთი იყენებს ამ გამოთქმულ მოსაზრებებს.

უღრესად საინტერესოა ნ. კაკაბაძის მსჯელობა თ. მანის ნაწარმოებებში არსებული ორი პლანის შესახებ. ეს არის გარეგანი და შინაგანი, ემპირიული და ფილოსოფიური, ფაქტობრივი და სიმბოლური პლანი. საგულისხმოა, რომ თ. მანის შემოქმედებაში თითქმის თანაბარი წონა აქვს ემპირიულსა და ფილოსოფიურს. ფაქტობრივსა და სიმბოლურს. აქვე ავლებს ნ. კაკაბაძე პარალელს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ პროზაში დასტურდება ინდიფერენტიზმი ემპირიული სინამდვილისადმი (ნ. კაკაბაძე, გვ. 32).

ნ. კაკაბაძე დრამად, ლოგიკურად მსჯელობს თ. მანის შემოქმედებით ევოლუციაზე, მის მსჯელობას ყოველთვის ზურგს უმაგრებს საკვლევი საკითხების ირგვლივ არსებული უზამართარი ლიტერატურის ღრმა ცოდნა, მაგრამ მისი მოსაზრებანი არასდროს არ იზღუდება თვით ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევართა შეხედულებებით. ნ. კაკაბაძეს ყოველთვის გამოაქვს საკუთარი, ხშირად გაბედული და ორიგინალური დასკვნები.

საინტერესოა თომას მანის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ევოლუციის კაკაბაძისეული ინტერპრეტაცია. დასავლეთელ მკვლევართა საპირისპიროდ ნ. კაკაბაძე გამოთქვამს აზრს, რომ თ. მანის შემოქმედების ადრეულ პერიოდშიაც მეტ-ნაკლები სიძლიერით იჩენს თავს სიკვდილის კულტის, სუბიექტივიზმის, მარტოობის „გარდევის“ ცდა, ადრეულ პერიოდშივე ისახება თ. მანის შემოქმედების მთავარი ანტითემა: გონსა და ცხოვრებას, ხელო-

ნებასა და ცხოვრებას შორის წინააღმდეგობა. ეს ანტითეზა ბოლომდე ვაკავა თ. მანის შემოქმედებას, მაგრამ უკვე 1903 წელს დაწერილ ვრცელ მოთხრობაში „ტონი კროგერი“ იცვლება ხელოვნების გაგება — იგი ერთგვარად ივსება დემოკრატიული შინაარსით, მაშინ როცა ადრეულ პერიოდში ხელოვნებას პათოლოგიური, პესიმისტური შინაარსი ჰქონდა. 1909 წელს დაწერილ რომანში „მეფური უდიდებულსობა“ (Königliche Hoheit) უკვე მკაფიოდ ნათქვამია თ. მანის თავიანთი ფაუსტური იდეალი, რაც პოლარულ წინააღმდეგობათა ჰარმონია-სინთეზში ელანდება. ამგვარი სინთეზისაკენ სწრაფვა უფრო დასრულებულ, ლოგიკურ სახეს იღებს რომანში „იოსები და ძმანი მისნი“ („Joseph und seine Brüder“).

თომას მანი ვითარდება დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმისაკენ, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას დროებით შეწყდა ეს განვითარება, უფრო მეტიც, მწერალმა რეაქციული პოზიცია დაიკავა.

ნ. კაკაბაძის აზრით, ერთბაშად არ შეიძლება მწერალს რეაქციული შეხედულებანი გასწვრივად. „მას უმკველად ჰქონდა პოტენციური სახით კონსერვატიული-პოლიტიკურ შეხედულებათა ელემენტი“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 74). ამ დროს მწერალს თითქმის შემოქმედებითი კრიზისის წლები დაუდგა. „სიკვდილი ვენეციაში“ შექმნის დროიდან (1912) „ჯადოსნურ მოამდე“ (1924) თ. მანს მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია. მისი პოლიტიკური შეხედულებანი ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ თხზულებებში გამოჰქანდა, განსაკუთრებით იჩინა თავი მწერლის რეაქციულმა მოსაზრებებმა „აპოლიტიკურის შეხედულებანიში“. აქ თ. მანი არაერთხელ იყენებს სიცოცხლის უარყოფველ ფორმულას „Sympathie mit dem Tode“ (სიკვდილის სიმპათია). აქვე ნ. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ თ. მანის მკვლევართა აზრი, თითქმის ეს ფორმულა თომას მანს კომპოზიტორ ჰანს პფიცენერისაგან ესესხებინოს, მოკლებულა სიმართლეს. პფიცენერმა და მანმა ეს ფორმულა „ერთმანეთისაგან დამოკიდებულად შემოღობავენ და თომას მანი ამ სიტყვა-სიტყვითა დამთხვევამ გააოცა და ააღელვა“ (ნ. კაკაბაძე, გვ. 79).

\* \* \*

უარესად საინტერესოდ ხსნის ნ. კაკაბაძე თ. მანის შემოქმედებაზე ნიცესსა და შოპენაუერის ფილოსოფიის გავლენას. აქაც, როგორც სხვა მრავალ საკითხში, ნ. კაკაბაძე ორიგინალურ, ყოველგვარი გარე გავლენისაგან თავისუფალ მოსაზრებებს გამოთქვამს და ასაბუთებებს კიდევ. სხვა დამამტკიცებელ საბუთებს შორის აქვე მოაქვს ნ. კაკაბაძის თვით თომას მანის „კატეგორიული განცხადება“, ნიცესს სულიერი და სტილისტური გავლენა

უპკველად ატყვია ჯერ კიდევ ჩემს პირველ, საჯაროდ გამოქვეყნებულ ქმნილებებსო, და აქვე ასაბუთებს, რომ ნიცესს თომას მანის შემოქმედებებზე არ დაუმჩნევია ისეთი ძლიერი კვალი, როგორც თვით მწერალი აცხადებს. ნ. კაკაბაძის აზრით, ნიცესს გავლენა უფრო პუბლიცისტურ თხზულებებში არის აშკარა, მხატვრულ ნაწარმოებებში კი, პირიქით, მწერალი ნიცესს დაძვინჯავს კი ცდილობს.

თავისი მოსაზრებების დასამტკიცებლად ნ. კაკაბაძე იშველიებს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ თ. მანი თითქმის ერთდროულად განიცდიდა ნიცესსა და შოპენაუერის გავლენას. ამ ორი ფილოსოფოსის მოძღვრება კი თითქმის ურთიერთგამომრიცხველია. შოპენაუერის უზენაესი „მაქსიმა“ არის ადამიანის ჩანერგილი „სიცოცხლის ნების“ (der Wille zum Leben) ჩაკეცა, ნების ვადაცლა „უუნებობაში“, ბოლოს და ბოლოს „არსებობის“ გადასვლა „არარსებობაში“ — სიკვდილში. ნიცესს კულტი კი ძლიერი ადამიანია — „ჰერა ბესტია“, რომელიც სუსტებს, „გონის ადამიანებს“ თრგუნავს და ანადგურებს. მართალია, თ. მანიც უნათიოდ ბატავდა „გონის ადამიანებს“, მაგრამ მათდამი უფრო სიმპათიას აქვდა ვიდრე ზიზღს (ნ. კაკაბაძე, გვ. 79-95).

შემდეგი კვთავები იძლევა თ. მანის დამოკიდებულებას ვანერის, ჰანს პფიცენერის, ერნსტ ბერტრამის შემოქმედებისადმი, თ. მანზე დისტოციის, ტოლსტოის, გოეთესა და შიშლის გავლენის კვლევას და სხვ.

აზრის სიზუსტისათვის ნ. კაკაბაძე ხშირად იძლევა ფილოსოფიური თუ ლიტერატურული ტერმინების უცატიყვისებს, კერძოდ, ცდილობს გერმანული ტერმინების ზუსტად ქართული შესატყვისების მოწოდებას. შეიძლება ქართული ენის სიწმინდის თვალსაზრისით ზოგ ასეთ ნათარგმნ ტერმინს ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავდეს, მაგრამ საფიქრებელია, რომ გერმანული ფილოსოფიური აზრის ზუსტად გადმოცემისათვის ასეთი ან ამდაგვარი ტერმინების შემოღება აუცილებელია.

საერთოდ, ნ. კაკაბაძის ნაშრომს ახასიათებს უღირსი სიზუსტე და შემოღება ახსნა-განმარტებათა ერთგვარი სიჭარბეც კი. ხშირად თომას მანის შემოქმედების რომელიმე კონკრეტული საკითხის განმარტების წინ წამძღვარებული უსვავალი თითქმის ნთქავა კიდევ ძირითად, კონკრეტულ სათქმელს. მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი ტენდენცია, თუ რეალურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, გამართლებულად შეიძლება გვეჩვენოს. სამკოთა გერმანისტია კეტისმეტად ღარიბია თ. მანზე დაწერილი გამოკვლევებით. წიგნის ავტორს თითქმის არ გააჩნია

**ლალი კოკაია-ჭანჭიანი**  
მონომოგრაფია თომას მანის  
ადრეულ შემოქმედებაზე

საშუალება, აქ განხილული საკითხების უმრავ-  
ლესობაზე მკითხველს მიუთითოს ხელმისაწვდო-  
მი ლიტერატურა რუსულ ან ქართულ ენებზე.  
ჩემი აზრით, ამით აიხსნება ავტორის დაუცხრო-  
მელი სწრაფვა, რაც შეიძლება მეტი თქვას ჩვენ-  
ში თ. მანის შემოქმედების ისეთ ნაკლებად შეს-  
წავლილ მომენტებზე, როგორცაა მწერლის  
შემოქმედების ფორმის საკითხი, მწერლის შე-  
მოქმედების ფილოსოფიური მხარე, თ. მანის  
ადგილი გერმანულ და მსოფლიო ლიტერატუ-  
რაში და სხვ. ასევე დიდ ყურადღებას უთმობს  
ნ. კაკაბაძე თ. მანთან ფორმით ან შინაარსით  
მახლობელი ან თუნდაც კონტრასტული მწერ-  
ლების შემოქმედების განხილვას.

ღრმა ანალიზის საფუძველზე ნ. კაკაბაძე ასკ-  
ვნის, რომ თ. მანს გარკვეული კავშირი აქვს  
კაფკა-ჯონისის ნაკადის მწერლებთან, მაგრამ  
თავისი მსოფლმხედველობით თ. მანი პრინცი-  
პულად განსხვავდება მათგან. კერძოდ, თ. მანი  
არასდროს არ კარგავს ადამიანისა და ცხოველ-  
ების რწმენას. თვითონ თომას მანს, მისივე  
სიტყვებით რომ ვთქვათ, უდიდეს მოვალეობად  
„ახალი ჰუმანიზმის“ შექმნაში წვლილის შე-  
ტანა მიაჩნდა, ახალი ჰუმანიზმის შექმნას კი  
თავის მხრივ აუცილებლად თვლიდა. 1930  
წელს თ. მანი ვალტერ რემს სწერდა: „უწინ-  
დელი საუკეთესო სულიერი ფასეულობანი შე-  
ვინებულა, ჰუმანიზმი დამცირებული და  
მკვდარი. დასკვნა: უნდა შეიქმნას ახალი ჰუმა-  
ნიზმი“. 1947 წელს კი ციურიპელი სტუდენტ-  
ებისათვის წაკითხულ მოხსენებაში თ. მანი  
ამბობდა, სულიერი შემოქმედების ნაყოფს მა-

შინა აქვს ფასი, თუ იგი რაღაცით მაინც ახა-  
ლი ჰუმანიზმის ატმოსფეროს შექმნისათვის ილ-  
წვისო. თვითონ მწერალმა უკანასკნელ წლებ-  
ში საკუთარი პესიმისტური ფორმულის „სიკ-  
ვდილის სიმპათის“ საპირისპიროდ შექმნა  
ფორმულა „სიცოცხლის სიმპათია“, რაც სიტყ-  
ვა-სიტყვითი გაბათილებაა ძველი პესიმისტური,  
რომანტიკული ფორმულისა და ჰუმანიზმის პო-  
ზიციებისაკენ შემობრუნების გამოხატულებას  
წარმოადგენს (ნ. კაკაბაძე, გვ. 31).

\* \* \*

ნ. კაკაბაძის დასკვნით, თომას მანი უაღრე-  
სად ორიგინალური და მკვეთრად გამოხატუ-  
ლი ინდივიდუალური ბუნების ხელოვანია. თო-  
მას მანის პროზისათვის სპეციფიკურია მხატ-  
ვრული სახისა და ცნების მიჯნაზე ბალანსირე-  
ბა, მისი ვრცელი მსჯელობებისა და რეფლექ-  
სების აღქმისას მონაწილეობს მკითხველის  
როგორც გონება, ასევე გრძნობა. ნ. კაკაბაძის  
სიტყვებითვე რომ ვთქვათ, თ. მანი მკითხველის  
წინაშე აყენებს მძიმე ესთეტიკურ და ინტე-  
ლექტუალურ ამოცანას.

ჩემი ღრმა რწმენით, ნ. კაკაბაძის ნაშრომი  
უდიდეს დახმარებას გაუწევს თ. მანის ყველა  
მკითხველსა და მკვლევარს ამ მძიმე ამოცანის  
გადაჭრაში. გარდა ამისა, თამამად შეიძლება  
ითქვას, რომ ეს მონოგრაფია თავისი მაღალი  
მეტნოიერული დონითა და დახვეწილი კულტუ-  
რით ღირსეულად უდგას მხარში თომას მანის  
თვალსაჩინო ევროპელ მკვლევართა ნაშრო-  
მებს.





# რაკეტის წინამორბედი?

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსცეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ი. ს. შკლოვსკისა და ამერიკელი დოქტორის კარლ საგანის წიგნი „სამყაროს გონივრული ცხოვრება“. ორივე მეცნიერი ვარაუდობს, რომ დედამიწას არა ერთგზის სწევიათ სხვა პლანეტის მკვიდრნი, რომელთა კვალი ჭერჯერობით მიუყვლებელია.

ბევრ სხვა მეცნიერსაც დასამუბებლად მიაჩნია შორეულ ვარსკვლავთში დასახლებული სამყაროების არსებობა, მაგრამ, მათი აზრით, ამ სამყაროებს არასოდეს არ ჰქონია ურთიერთობა დედამიწასთან.

საკითხი მართლაც რომ დამაფიქრებელია. სამხრეთ ამერიკაში, ამ უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში, ზღვის დონიდან ოთხი ათას მეტრზე, მდებარეობს მალაშმიანი ტბა ტიტიაკა, ეს ტბა რამდენადმე მოგვაგონებს ჩვენს „მთის მარვალის“ — ისიკ-კულს. ისიც ასევეა მთებით გარშემორტყმული, ასევე აწყდება მის ქვიშიან ნაპირს აზაფთებელი ტალღები... მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ თვალშეუდგამ სიმაღლეზე გვხვდება ზღვის წყალმცენარეები და ნიჟარები, რაც ადასტურებს, რომ დიდი ხნის წინათ ეს ადგილი ზღვას სჭერია. ტიტიაკაზე ახლაც არის ნაოსნობა, ახლაც დადის ოთხი წარღვნამდელი გემი, ერთ-ერთი გემი აქ ნაწილანაწილ დამოლი ამოუტანიათ ჭორები და ავერ უკვე საუქუნეა, ტბის მოსარკულ ზედაპირზე დასრიალებს. მაგრამ ტიტიაკაზე ყველაზე მეტად მოლოს ნანგრევები გაოცებთ. მოლოს სანაოსნო ტბაზე, საერთოდ, არ ავებენ. მამასადამე, იგი ნავსადგურის ნაშთია და ვანეკუთვნება იმ დროს, როცა ტიტიაკა ჭერ კიდევ ზღვის ყურე ყოფილა. ექვვარეშეა, მეზღვაურებს ანდის მთების ამაღლებასთან დაკავშირებით მძაფრი კატაკლიზმები გადაუტანიათ.

როდის ამაღლდა ანდის მთები? ამ კითხვაზე გეოლოგებს პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საკითხის გადაჭრა

არქეოლოგებს უნდა მიენდოს. მატრიალურია კულტურის ძეგლები — ეს წარსულის უტყვი, საიმედო მოწმენი ეხმარებიან კაცობრიობას დაინახონ საკუთარი თავი ცალკეულ ეპოქათა მჭრქალ სარკეში.

ინკებზე უამრავი ლეგენდა და თქმულებაა შემორჩენილი. ტიტიაკას ნაპირზე, სოფელ ტივაგუნაკოს მახლობლად, გვხვდება უძველესი ტაძრის — კალასოვას ნანგრევები, მისგან ოდნავ მოშორებით კი ამართულია მზის კარიბჭე. ზოგიერთ არქეოლოგს მიაჩნია, რომ ეს კარიბჭე უძველესია დედამიწაზე არსებულ ნაგებობათა შორის და, სულ ცოტა, ათი ათას წელიწადს მაინც ითვლის.

მზის კარიბჭეზე ამოკვეთილია იეროგლიფები, რომელთა ამოკითხვა სცადეს მეცნიერებმა პოხნანსკიმ და კისმა. 1949 წელს ეშტონმა დაასრულა მათ მიერ დაწყებული კვლევა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მზის კარიბჭეზე ამოჩუქურთმებულია „სტრონომიული კალენდარი“. ეს კალენდარი მეტად თვისებურია, იგი შეიცავს არა 365, არამედ მხოლოდ 290 დღეს. დიდი ცილი (წელიწადი) შედგება 12 მცირე ციკლისაგან (თვეებისაგან) — ათი თვე ნაანგარიშეა ოცდაოთხი, ორი კი ოცდახუთ-ოცდახუთი დღით.

მრავალი მეცნიერი ცდილობდა ამოესხნა ეს საიდუმლოებით მოცული კალენდარი. დამაფიქრებელი კი ბევრი რამ იყო. დედამიწა არასოდეს ტრიალებდა იმაზე ნელა, ვიდრე ამჟამად ტრიალებს, არასოდეს შემობრუნებულა თავის ღერძის გარშემო წელიწადში მხოლოდ 290-ჯერ, პირიქით, როგორც ცნობილია, იგი ყოველ ას წელიწადში 0,001 წამით აყოვნებს მოძრაობას.

შესაძლებია, ამ კალენდარს რაიმე რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა, იქნებ ქალის ფეხმძიმობის ხანას აღნიშნავდა? მაინც არ ემთხვევა — მთელი ოცი დღე ზედმეტი რჩება. მაშ, რა ვიფიქრობ? ნუთუ ეს „არამიწიერი“ — დედამიწის გარეთ შექმნილი კალენდარია, რომელსაც ინახავდნენ იმ ხალხთან ურთიერთობის სამახსოვროდ, ვინც ოდესღაც შორეული ვარს-

კვლავითიდან დედამიწაზე დაეშვა და ვისზეც ლაპარაკია უძველეს თქმულებებსა და ლეგენდებში?

ესპანელი კონკისტადორები, რომელთაც ვერაგულად დაიპყრეს ინკები (უნდა აღინიშნოს, რომ ინკებმა ისინი ჩათვალეს „დაბრუნებულეზად“, სხვა ვარსკვლავიდან მოსულ ადამიანებად, რომელთაც, როგორც ფიქრობდნენ, ოდესღაც მათი სახელმწიფო დაარსეს, და თავდამსხმელებისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწყვიათ), თავის მემუარებში მოგვითხრობენ: ინკები რაღაც უცნაურ „ღვთისსაწინააღმდეგო“ ცხოვრებას ეწვეიან, შრომა სავალდებულოა ყველასთვის (თეთი ინკების ბელადებს კი გამოყოფილი აქვთ მიწის ნაკვეთი, რომელსაც საკუთარი ხელით ამუშავებენო), სიკვდილით დასჯა ემუქრება მათ, ვინც შრომას თავს არიდებს, უგულბელყოფენ სიმდიდრეს და ოქროს მხოლოდ „ტექნიკაში“ იყენებენ, პური უფასოა ყველასთვის... ვინც კი ორმოცდაათ წელიწადს მიაღწევს, შეუძლია აღარ იშრომოს და თემის კმაყოფაზე გადავიდეს, მაღაროებში მომუშაოთ კი ამ უფლებას კიდევ უფრო ადრე იხვეპენო.

ვისი ხელმძღვანელობით, ვისი მითითებით იყო აქ ამგვარად აწყობილი ცხოვრება?

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინკების თქმულებებში ბირდამირ მოხსენიებულია მზის შვილები, რომლებიც თითქოს სხვა ვარსკვლავიდან მოფრინდნენ დედამიწაზე.

ინკების იმპერიის სამხრეთით არსებობდა მეორე უზარმაზარი კულტურა — ინსაკა, ახლა ამ სახელს ატარებს ერთი დიდი და ფართო ზეგანი. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, აეროფოტოგრაფების დროს, იქ აღმოაჩინეს ღია ფერის ქვებით ამოკებული უზარმაზარი ნახატები. ეს ნახატები რამდენიმე ასას წელიწადს ითვლის, მათი დანახვა შეიძლება ძალიან დიდი სიძლიადან, მაგრამ დეტალების გარჩევა ვაცს მიწაზედაც არ გაუჭირდება. ზოგი ნიშანი მოგვაგონებს მოკირწყლულ გზებს, რომლებიც უეცრად წყდება და მთის ღარბებში იკარგება. თავდაპირველად მეცნიერები ფიქრობდნენ, თითქოს ეს გზები მიემართებოდა ქალაქებისკენ, რომლებიც აწ ალგვილინ არიან პირისაგან მიწისა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ნიშნები მიუთითებდა თანავარსკვლავედთა მდებარეობაზე და შესაძლოა უძველეს ხანაში ასტრონომიული მნიშვნელობა კი ჰქონდა. სხვა ნიშნები წააგვანან თანამედროვე დასადგენს მოედნებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია საპაერო ოკეანის დაპყრობა.

მაგრამ დასაშვებია თუ არა ვილაპარაკოთ საპაერო ფრენაზე იმ დროს, რომელსაც ათასწლეული წლები თუ არა, საუკუნეები მიიწევს გვაზორებს?

ქვის უღბანოს — ინსაკას ჩრდილოეთით, ეკვატორთან ახლოს — სალაფაროში ნაპოვნია ქვის ვეზა. ვეზაზე გამოსახულია ადამიანის

მაგარი არსებები, რომლებიც ფრენენ რაკეტული ჭურვის მსგავსი რაღაც მოწყობილობის საშუალებით. მაგრამ ვანა შეიძლება აქედან რაიმე უსწავს გამოვიტანოთ? ძველ რუსულ ზღაპრებში ივანე სულნი რომ ტყემელზე ამხედრებული მოგზაურობდა? ან თუნდაც ცოტა რამ გვსმენია მფრინავ ხალიჩებზე?

ზღაპარი ადამიანის ოცნებას გამოხატავდა, მოძრაიე დღემდე სულაც არ ყოფილა პირველსახე ოდესმდე არსებული ოთქმალევისა, ეს გახლდათ ხალხის ოცნება იმაზე, რომ ოდესმე შექმნილიყო მსგავსი მანქანა. ჩვენი წინაპართა წინაპრები მფრინავი ხალიჩით როდი დაფრინავდნენ. ზღაპარი ასახავდა ადამიანის ოცნებას — აქრილიყო მალა და ცის ლაქვარი დაეკაყო.

მაგრამ საოცარი ის არის, რომ უძველეს ინდურ ეპოსში სანსკრიტულ ენაზე (ქურუმთა საიდუმლო ენაზე) აღწერილია რეალური, თითქოს ნამდვილად არსებული მფრინავი ხომალდი.

ხომალდის შუაგულში მოთავსებული ლითონის მძიმე ყუთი წარმოადგენდა „ძალის“ წყაროს. ამ ყუთიდან „ძალა“ გადიოდა ორ მსხვილ მილში, რომლებიც მიემართებოდნენ კიჩისა და ჭვინტასკენ. გარდა ამისა, „ძალა“ მიჰყვებოდა რვა მილს, ქვემოთ რომ იყურებოდნენ. გაფრენისას იღებოდა ამ რვა მილის სავალით, ხოლო ზემოთ საკვალთები გადაკეტილი იყო. „ძალა“ გრივალავით გამოიჭრებოდა გარეთ, ასკდებოდა მიწას, რითაც ხომალდს მალა-მალა სწევდა. რთვა ხომალდი საკმაოდ აიმალეებდა, იმ დაბლა შეცქერა მილებს სანახევროდ გადაკეტავდნენ, ისე რომ ხომალდს პაერში გაჩერება შეეძლებოდა და არ ჩამოვარდნილიყო. შერე „ძალის“ უდიდეს ნაწილს. ვაატარებდნენ კიჩოსკენ მიმავალ მილში, რათა გარეთ გამოჭრილიყო და ხომალდისთვის წინ-წინ ემიტა... („გორონიონტი ტექნიკი“, № 5, 1958 წ. პოლინეფი).

ძველი ინდური წყარო „სამარანანა სულარანა“ ავეიწერს მფრინავი ხომალდის მოწყობილობას:

იმაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მფრინავი ეტლის ნაწილები, არაფერს ვამბობთ, არა იმიტომ, რომ ეს არ ვიცით, არამედ იმიტომ, რომ საიდუმლო დავიცავთ. მოწყობილობას ზუსტად არ ავწერთ, რადგან რაკი იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, შეიძლება მანქანა ბოროტად გამოიყენონ. ეტლი ძლიერი და გამძლე უნდა იყოს და უნდა აიგოს მსუბუქი მასალისაგან, უზარმაზარი ფრინველის მსგავსად. შიგნით უნდა მოთავსდეს ვერცხლისწყლიანი მექანიზმი, რომლის ქვეშაც გამახურებელი რკინის მოწყობილობა დიდდგება. ძალის მეოხებით, რომელსაც შეიცავს ვერცხლისწყალი და რომელიც წარმოქმნის გრივალს, ეტლში მყოფ კაცს, შეუძლია დიდ მანძილზე გასაოცრად ფრენა ცაში...

რა საიდუმლოს დაცვა სურთ ქურუმებს ასე გულდააუღლ ამ ტექსტში? ხომ არ გულისხმობენ



განსაკუთრებით მიიმე, ვერცხლისფერ ლითონს, რომელიც გრიგალის წარმოქმნელ ძალას შეიცავს? როგორც ცნობილია, ასეთი ლითონი შეიძლება და მხოლოდ და მხოლოდ ურანი ყოფილიყო.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, შტატ ვისკონსინში, ქალაქ მედისონის მახლობლად აღმოჩენილია ჩიტების ვიგანტური გამოსახულებები, რომლებიც საფრენ აპარატებს მოგვაგონებენ. მათი გაშლილი ფრთების სიგანე 62 მეტრია. ამ ჩიტების დანახვა მხოლოდ შორი მანძილიდან შეიძლება.

ძველად თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ატტეკები, რომელთაც თქმულებებში შემოინახეს გადამცემა ვარსკვლავითიდან ჩამოსულ ადამიანებზე, და მათი დანაპირები: — ექვსი ათასი წლის შემდეგ ძველად ავაბრუნდებიან.

ატტეკების სამხრეთით მიაას ტომები სახლობდნენ. ისინი მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშის სიმინდი, კაკაო, თამბაქო და სხვა სასარგებლო კულტურები. აგებდნენ მონუმენტურ ნაგებობებს, ტაძრებს, ობსერვატორიებს, სივრცულ ასტრონომიას და წერდნენ ტრაქტატებს ციური სხეულების, კერძოდ, ვენერას მოძრაობის შესახებ. ასტრონომიის ცოდნას მიაას ხალხებისთვის გამოყენებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს ეხმარებოდა მათ ზუსტად განესაზღვრათ დრო, როდის უნდა მომზადებულიყვნენ თესვისთვის (ამოეწვათ ჯუნგლები და შემდეგ ჩაეჭროთ ხანძრები), როდის დაეთესათ სიმინდი და სხვა კულტურები.

საამისოდ იყენებდნენ ზუსტ კალენდარს, რომლის მიხედვით ყოველი წელიწადი 365 დღეს შეიცავდა. წელიწადში იყო 18 თვე, ყოველ თვეში ოც-ოც დღეს ანგარიშობდნენ და ყოველწლიურად კიდევ ხუთ დღეს უმატებდნენ.

ესპანელმა დამპყრობლებმა ყველაფერი ილონეს იმოსათეს, რომ მოესპოთ მიაას თავისებური კულტურა, მათი ხელნაწერები „ღვთის საწინააღმდეგოდ“ გამოაცხადეს და წმინდა ინკვიზიციის გულის მოსაგებად 1562 წელს დაწვეს. ამ საქმეს კათოლიკე ბერი, შემდგომ ეპისკოპოსი დიეგო დე ლანდა ხელმძღვანელობდა.

დიეგო დე ლანდამ დაწერა წიგნი, იგი 1863 წელს აღმოაჩინეს. ამ ნაშრომში ბერი იუწყებოდა არა მარტო იმ შვებულ საქმეებზე, დამპყრობლებმა წმინდა ეკლესიის საამებლად რომ ჩაიდინეს, არამედ რატომღაც საჭიროდ მიუჩინესა და გამოეწერა მიაას ალფაბეტიც. აღმოჩნდა, რომ მიაას ყოველი ნახატი შეესაბამებოდა ერთ-ერთ გარკვეულ ბგერას, რაც ლანდამ ესპანურ ფონეტიკას შეუფარდა. საინტერესოა, რატომ დასჭირდა ლანდას მთელი ვასალები იმ დამწერლობისა, რომლის ძეგლები საკუთარი ხელით მოსპო და გაანადგურა?

ბოლოს გამოირკვა, რომ ყველა ხელნაწერი

როდი მოესპოთ. თითქოს შემთხვევით გადაღწეული ჩენილიყო სამი მათგანი, რომლებიც ასტრონომიას, „ქურუმების საიდუმლო კალენდარს“ და ისტორიის ზოგიერთ მრავალმნიშვნელოვან მოვლენებს ეძღვნებოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან დაგვიანებით შეიტყვეს, რადგან მიაას ხელნაწერების წაიკითხვა ლანდას ალფაბეტის მიხედვით შეუძლებელი აღმოჩნდა. მრავალი ქვეყნის მეცნიერები ამოდ ცდილობდნენ ამოესნათ საიდუმლო. ბოლოს, ხელნაწერების გაშიფრვა საბჭოთა მეცნიერმა ი. ვ. კნოროზოვმა შეძლო, მან აღმოაჩინა ლანდასა და მის გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომები, აგრეთვე ისიც, რომ ალფაბეტით სწორად არ სარგებლობდნენ. თავის საფუძვლიან ნაშრომში „მიაას ინდიელთა დამწერლობა“ ი. კნოროზოვს მოჰყავს მიაას ყველა გადარჩენილი ხელნაწერისა და ქვეზე შემონახული წარწერების წაიკითხვის ზერზე. 1960 წელს ციმბირულ მათემატიკოსთა ერთმა ჯგუფმა აკადემიკოს სობოლევის ხელმძღვანელობით გადაწვიტა კნოროზოვის ნაშრომის საფუძველზე, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დახმარებით, გაეშიფრა მიაას ინდიელების ხელნაწერები. მანქანამ 48 საათი იშრომა, გაშიფრა იეროვლოები და ძირითადად დამატკიცა თარგმანის სისწორე. ამრიგად, საბჭოთა მეცნიერებმა ფარდა ახადეს ამ დამწერლობის საიდუმლოებას, მაგრამ ქურუმების გაშიფრული კალენდარი ჩვენთვის ისევ ამოუხსნელ ამოცანად დარჩა. ეს ამოცანა დღესდღეობითაც არ არის გადაჭრილი.

ქურუმების კალენდარი ნაცვლად 365 დღისა, შეიცავს 260 დღეს. რა ზერს არ მიმართეს მეცნიერებმა, რომ როგორმე ამოესნათ — საიდან გაჩნდა ეს 260 დღე. მას უკავშირებდნენ ქალის ფეხმძიმობის ხანას. თუმცა, როგორც მზის კარიბჭეზე, ციფრები აქაც არ ემთხვეოდა ერთმანეთს — ახლა ათი დღე აკლდებოდა, საგვიანო სიმინდის თესვისა და ადების პერიოდს (მაგრამ მაინც ვერ გაარკვიეს, რატომ უნდა დაეკლოთ წელიწადისთვის 105 დღე, როცა კალენდარში ამაზე არაფერი იყო მითითებული), და ა. შ.

ყველაფერი ამაზე შეგჩრდილი ერთ მეტად საინტერესო აღმოჩენასთან დაკავშირებით. ეს გახლავთ მიაას პირამიდის ქვის იატაკზე ამოკვეთილი ნახაზი ძველისძველ ქალაქ პალენკოში, რომელიც ოდესღაც უდიდეს როლს ასრულებდა მიაას სახელმწიფოში.

და თუმცა გამოსახულების ტვიფრები თითქმის ერთდროულად არის მიღებული იაბონიდან, იტალიიდან და ბელგიაიდან, აღამიანს უნებლიედ მაინც აღედრება ეჭვი.

**ალექსანდრე კაზანცვი**  
რატაბტის წინამორბედი?



მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, შეიძლება გავარჩიოთ საფრენი აპარატის მოხაზულობა, რომელშიც ზის ადამიანი. მას მაიას დამახასიათებელი პროფილი აქვს, ხელები კი თითქოს მართვის ხელსაწყოზე დაუწყვია. წინა მხარეს მოწყობილობა უკავშირდება გარემოს, თითქოს იმისათვის, რომ აიტაცოს პაერი მოძრაობის დროს. ადვილად შეიმჩნევა ღარები, რომელთაც ეს პაერი (მხატვარმა სამი ბუშტის სახით რომ გამოხატა) მოწყობილობაში ჩაიხსენ მიემართება. კიჩოს უკან გარკვევით მოჩანს ცეცხლის ენები. ცეცხლი იჭრება იმ რთული დანაღვარიდან, საფრენ ხომალდში მყოფი კაცის უკან რომ არის მითავსებელი.

ვცადოთ ამ სურათის გაშიფვრა თანამედროვე ტექნიკის თვალსაზრისით: ადვილი წარმოსადგინა, რომ ამ ქვის ნახაზზე გამოსახულია... მფრინავი აპარატი, რომელსაც საპაერო რეაქტიული ძრავა აქვს. აპარატი მჭდარი მფრინავი ფანჯარაში კი არ იტყობება, ყურ კედელს მისჩერება და მხოლოდ ოპტიკის წყალობით შეუძლია რამე დაინახოს.

საინტერესოა უძველესი ნახაზის შედარება მის თანამედროვე რეკონსტრუქციასთან, რომელიც გამოგზავნა იესუკა მატციმურამ — დედამიწაზე კოსმოსური ფენომენების შემსწავლელი იაპონური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა. ეს ნახაზის თავისებური, ინჟინრული ამოკოტხვაა.

ყურადღებას იპყრობს ისეთი დეტალები, როგორცაა, რაღაც მქნევარის მსგავსი ხელსაწყო, „მფრინავი“ მუხლს ქვემოთ, სწორედ მის ხელბეჭეშ. დეტალი საყურადღებოა იმიტომ, რომ მაიას ხალხებმა არ იცოდნენ, რა იყო ბორბალი.

მთავარი და უმთავრესი საკითხია: ხომ არ არის ყველაფერი ეს მისტიფიკაცია?

არა, ქვის ნახაზი — სინამდვილეში არსებობს, იგი ამოკვეთილია ქვის იატაკზე მაიას პირამიდის საიდუმლო საკანში. როდის და რომელ საუკუნეში? სულ ცოტა, 1300-1500 წლის წინათ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ იმ

დროს ადამიანები მსგავსი რეაქტებით დაფრინავდნენ. ალბათ ნახაზი შექმნილია ადრეული ნახაზების მიხედვით ან თქმულებების საფუძველზე. შეიძლება თუ არა საერთოდ დავუშვათ, რომ მაიას ინდიელები რეაქტიული თეიმფრინავებით ფრენდნენ?

არა მგონია, ამისათვის საჭირო იქნებოდა ცივილიზაცია, საკმაოდ მაღალი დონე მეტალურგიასა და ლითონის დამუშავების დარგში. ინდუსტრიის განვითარების კვალი კი არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო უძველესი კალაქების გათხრის დროს. ვიი რომ ასეთი კვალი არსად აღმოჩენილა.

მაშ, რას უნდა წარმოადგენდეს ეს ქვის ნახაზი?

ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაიას ხელნაწერებში ნათქვამია: დედამიწაზე ეშვებოდნენ მზის თეთრსახიანი შვილები და მათ მოსვლას თან ქვეა-ქუხილი ერთვოდაო.

როგორადაც არ უნდა დამახინჯებულყო თქმულება ასი და ათასეული წლის მანძილზე, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ზუსტად ემთხვევა ინკების, მაიასა და აცტეკების თქმულებებს, როცა საკითხი მზის შვილებს ეხება.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კ. ზაიციევი დაინტერესდა ამ საკითხით და გვაცნობა, რომ ნახაზიანი ქვის ფილა ჰხურავს აკლამასს, რომელიც აღმოაჩინა 1953 წელს ალბერტ რუს ლეიღემ. პიერ ონორეს მიიჩნია, რომ იქ დაკრძალულია კუკულკანი, მაიას ტომების იდუმალი „თეთრი ღმერთი“. დიახ, ეს მისი ძელები უნდა იყოს ქვის ნახაზის ქვეშ.

ხომ არ იქნებოდა სწორი — მზის შვილებისთვის დაგვეკავშირებინა ქვის ნახაზი? მისი საიდუმლოების ამოხსნა ნათელს მოჰდენდა რომანტიკულ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ სხვა პლანეტის მკვიდრი ოდესღაც დედამიწაზე ჩამოდიოდნენ.

„ტენიკა მოლოდიოვი“.  
I. 1968 წ.



გარეკანი და ტიტული თ. შირაზაშვილის, ო. ჯიშკარიანის.

ქურნალი გაფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშეილიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები. რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/III-68 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შვეკ. № 720. უე 01991. ტირ. 20.660.

საქ. კვ. ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

0 / 63



ფან 60 ააა.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»  
ИНДЕКС 76236